ნდობა და მშვიდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში

თბილისი, 2015

ერთად ნდობის აღდგენისათვის სამხრეთ კავკასიაში

გამომცემელი ორგანიზაციები:

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC)

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი

გამოცემაზე მუშაობდნდნ:
ენვერ ჯულიმანი, ნინო ტლაშაძე, ალეკო ცქიტიშვილი

ყდის დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ირმა მამასახლისი

ფოტო ყდაზე: ლევან ბოჭორიშვილი

წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა პროექტ „კოალიცია ნდობის აღდგენისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი ევროკავშირისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა სამხრეთ კავკასიაში 2012-2015 წწ ადგილობრივ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „გლობუსის“ სტამბაში. 2015 წ.

ISBN 978-9941-0-8194-1

სარჩევი

წინასიტყვაობა 5
თავი 1 7
ნდობა და გარდამავალი მართლმსაჯულება 8
ნდობა 16
იუგოსლავიის დაშლა: კონფლიქტის მიზეზები 44
წარმოსახვითი საზოგადოებები, ანუ „შენ შეიძლება მოგკლან შენი ეთნიკური წარმომავლობის გამო“ 54
თავი 2 79
ადამიანებიდან ხალხებამდე: ეთნოტერიტორიულობის საბჭოთა სისტემის დასაწყისი და დასასრული 80
სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები 96
ნდობის აღდგენის რესურსები 109
მთიანი ყარაბაღი დღეს 114
მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ხელახალი გააზრება: დინამიკა, წარმოდგენები და ტრანსფორმაციის პერსპექტივები 120
თავი 3 137
ადამიანის უფლებები, როგორც მშვიდობის მშენებლობის ელემენტი და რესურსი 138
გადაადგილების თავისუფლება სამხრეთ კავკასიაში 147
აფხაზეთის მოქალაქეების გადაადგილების თავისუფლების დარღვევა ... 157
განათლების უფლება 164
თავი 4 169
პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობა პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში 170
მშვიდობის მშენებლობაში სამოქალაქო საზოგადოების როლი და გავლენა 181
სამშვიდობო ჟურნალისტიკა – პირობები, მიზნები, შეზღუდვები და შესაძლებლობები, გამოცდილებები და სხვა 191
ახალგაზრდები მშვიდობის მშენებლობაში 195
თავი 5 201
რატომ ვუხდი ბოდიშს აფხაზ ხალხს – არჩევანი საქართველოსთვის: ქართული შოვინიზმი თუ აფხაზეთი? 202
დიალოგი – არასათანადოდ შეფასებული ინსტრუმენტი მშვიდობის მშენებლობაში 217
გარდამავალი მართლმსაჯულება და შერიგება ბოსნია-ჰერცოგოვინაში ... 233

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნის მიზანი არ არის ისტორიის შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ აქ გაეცნობით რამდენიმე ავტორის სტატიას, სადაც ეთნოკონფლიქტების ისტორიაზეა საუბარი. ავტორები ცდილობენ ეძიონ მიზეზები, თუ რის გამო გაჩაღდა სისხლიანი ეთნოკონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში. თუმცა, იქამდე, ვიდრე ეს პროცესები ობიექტურად შეფასდება, კიდევ დიდი დრო გავა.

ამ წიგნის მიზანი სრულიად სხვაა – მოიძებნოს რესურსები დიალოგისთვის და ურთიერთთანამშრომლობისთვის, რათა სამხრეთ კავკასიის ხალხების ისტორიაში დაიწყოს ახალი ეტაპი – ნდობის აღდგენა.

ამ წიგნში გამოქვეყნებულ სტატიებში გამოთქმული შეფასებები და მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და წიგნის გამოცემაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები შესაძლოა, მათ ნაწილობრივ ან საერთოდ არ იზიარებდნენ. სტატიებიდანვე ჩანს, რომ ავტორებს ზოგიერთ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება აქვთ და სხვადასხვანაირ ტერმინოლოგიას იყენებენ. შესაბამისად, თვითონ ავტორებიც არ იზიარებენ ერთმანეთის ზოგიერთ შეფასებას, ტერმინს თუ აზრს.

მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, წინამდებარე პუბლიკაცია უნიკალურია სწორედ იმით, რომ მასში თავმოყრილია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და რეგიონების წარმომადგენელთა განსხვავებული მოსაზრებები. ამავე დროს, ავტორთა უმეტესობას აქვს განსაკუთრებული მიზანი – ხალხებს შორის ნდობის აღდგენა, შერიგება და მშვიდობის მშენებლობა.

სწორედ ამ მიზნის გარშემო ერთიანდება კოალიცია „ნდობის აღდგენისათვის“, რომელიც ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიაში და აერთიანებს როგორც გაეროს წევრ სამ ქვეყანას – საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს, ასევე – არაღიარებულ ქვეყნებს: აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბაღს.

წიგნში შესულია ევროპელი ავტორების ძალიან საინტერესო ნაშრომები და სტატიები, საიდანაც მკითხველი მიიღებს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა ნდობის აღდგენის პროცესები სხვადასხვა ქვეყანაში სისხლიანი კონფლიქტების შემდეგ. ეს გამოცდილება გვისახავს იმედს, რომ გარდამავალი

მართლმსაჯულების სხვადასხვა მექანიზმების, ხალხთა შორის დიალოგისა და სხვა მშვიდობიანი რესურსების გამოყენებით, სამხრეთ კავკასიის სისხლიანი კონფლიქტების მძიმე მემკვიდრეობის დაძლევაც შესაძლებელია.

რა თქმა უნდა, დიალოგი, პირველ რიგში, მოიცავს მეორე მხარის მოსმენას. ხშირად კი მეორე მხარის მოსაზრებები მიუღებელია. ამის მიუხედავად, აუცილებელია, დიალოგი გაგრძელდეს, რათა ერთხელაც მიუღებელ პოზიციებსა და მოსაზრებებს შორის შეხების წერტილი მოიძებნოს, გამოინახოს საერთო ინტერესები, რაზეც შეიძლება დაშენდეს ნდობა და სამომავლო ურთიერთშეთანხმებები.

პარტნიორ ორგანიზაციებს, რომლებიც სამხრეთ კავკასიის ზემოხსენებულ ქვეყნებს წარმოვადგენთ, „ნდობის აღდგენისათვის“ კოალიციაში ბევრი საერთო მიზანი და ღირებულება გვაქვს. მათ შორის, ალბათ, მთავარია ადამიანის უფლებების პატივისცემა და ბრძოლა მშვიდობისთვის. ეს რომ ასეა, წინამდებარე წიგნის მკითხველიც დარწმუნდება, რადგან ვერც ერთ სტატიაში ვერ ნახავს სიძულვილის ენას და მტრის ხატის შესახებ გავრცელებულ სტერეოტიპულ ნარატივებს. სტატიებიდან მკითხველი ასევე შეიტყობს იმ სამშვიდობო ინიციატივების შესახებ, რაც შეიძლება კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფმა ხალხებმა ერთმანეთს შევთავაზოთ, ან უკვე ვთავაზობთ.

წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა პროექტ „კოალიცია ნდობის აღდგენისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი ევროკავშირისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა სამხრეთ კავკასიაში 2012-2015 წწ ადგილობრივ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.

თავი 1

ნდობა და გარდამავალი სამართალი

ნდობა და გარდამავალი მართლმსაჯულება
კლარა სანდოვალი

ნდობა
ენვერ ჯულიმანი

იუგოსლავიის დაშლა: კონფლიქტის მიზეზები

გარდამავალი სამართლის საერთაშორისო მექანიზმები — სიმართლის დამდგენი კომისიები, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი
სონია ბისერკო

წარმოსახვითი საზოგადოებები, ანუ „შენ შეიძლება მოგკლან შენი ეთნიკური წარმომავლობის გამო“
რაჰმან ბადალოვი

ნდობა და გარდამავალი მართლმსაჯულება

კლარა სანდოვალი

შესავალი

შეიარაღებული კონფლიქტები და რეპრესიული რეჟიმები, თანმდევი შედეგების გამო, პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ასეთი შედეგებია: ხალხთა მიგრაცია, ტერორიზმის გაძლიერება, იარაღის უკანონო წარმოება/ვაჭრობა, ორგანიზებული დანაშაული, გარემოს დაზიანება, სიღარიბე, განვითარების ნაკლებობა და ა.შ. აღნიშნული საფრთხის გამო აუცილებელია მსგავსი პრობლემების მქონე ქვეყნების დახმარება, რათა მათ წარმატებით გაიარონ პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების პროცესი და შექმნან სისტემები, სადაც განმტკიცებული იქნება კანონის უზენაესობა, დემოკრატია და ადამიანის უფლებები. ამ მიზნების მიღწევა, ასევე, ხელს შეუწყობს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

ამ კონტექსტში სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა აუცილებელია გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად, რათა თავიდან ავიცილოთ კონფლიქტებისა და რეპრესიების განმეორება. სამშვიდობო პროცესების გარეშე, კონფლიქტების განმეორება გარდაუვალია[1]. სამშვიდობო პროცესები მოიცავს მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, გარდამავალ მართლმსაჯულებას და სხვა ზომებს, რაც მიზნად ისახავს კონფლიქტების პრევენციას, უსაფრთხოების, სტაბილურობისა და წარმატების უზრუნველყოფას[2].

მთავარი პრობლემები

გარდამავალი მართლმსაჯულება

ტერმინი „გარდამავალი მართლმსაჯულება“ პირველად მოიხსენიეს 1995 წელს პუბლიკაციაში – *„გარდამავალი მართლმსაჯულება: როგორ უმკლავდებიან ახალი დემოკრატიები წინა რეჟიმებს“*[3]. დღესდღეობით, თითქმის ორი ათწლეულის შემდეგ, გარდამავალი მართლმსაჯულების კონცეფციამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა როგორც იმ

[1] Collier and Hoeffer, 2004.

[2] High-Level Panel on Threats, Challenges and Change, 2004.

[3] გამოქვეყნდა კრიცის (Kritz) რედაქტორობით;

საზოგადოებების სამართლებრივ, სოციალურ და პოლიტიკურ დისკურსზე, რომლებიც ფუნდამენტური სოციალური ცვლილებების პროცესში არიან, ასევე – საერთაშორისო საზოგადოებაზე. ასეთი ცვლილებების პერიოდში ჩნდება მოსაზრება, რომ ნებისმიერი სახელმწიფო, სადაც ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები დაფიქსირდა, უნდა ჩაერთოს პროცესებში, რომლებიც შედეგად მოიტანს სამართლიანობის აღდგენას, მშვიდობას, დემოკრატიული საზოგადოების განვითარებასა და კანონის უზენაესობას. აღნიშნული მოსაზრება უდევს საფუძვლად გაეროს მიერ შემუშავებულ სამუშაო დეფინიციას გარდამავალი მართლმსაჯულების შესახებ. ამ დეფინიციის თანახმად, გარდამავალი მართლმსაჯულება ნიშნავს „იმ პროცესებისა და მექანიზმების ერთობლიობას, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების მცდელობასთან, გაუმკლავდეს წარსულში ჩადენილ ფართომასშტაბიან დანაშაულებს, რათა დადგეს პასუხისმგებლობა, მოხდეს შერიგება და აღდგეს სამართლიანობა[4]“.

აღნიშნული დეფინიცია, რომელიც, ერთი შეხედვით, გარდამავალი მართლმსაჯულების ყველა ასპექტს მოიცავს, ყურადღების მიღმა ტოვებს მნიშვნელოვან საკითხებს. ასეთი საკითხია, მაგალითად, საერთაშორისო სამართლისა და გარდამავალი მართლმსაჯულების ურთიერთობა. საინტერესოა: უნდა შეეხოს თუ არა გარდამავალი მართლმსაჯულება იმ ქვეყნებს, სადაც ავტორიტარული რეჟიმები დემოკრატიული მთავრობით შეიცვალა და სადაც ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია?! მხოლოდ იმ ქვეყნებში უნდა ამოქმედდეს თუ არა გარდამავალი მართლმსაჯულება, რომლებმაც კონფლიქტი ან რეპრესიული რეჟიმი გამოიარეს?! როგორ უნდა გაუმკლავდეს სახელმწიფო წარსულში ჩადენილ ფართომასშტაბიან უფლებადარღვევებს და რა მექანიზმები უნდა გამოიყენონ?!

გარდამავალი მართლმსაჯულების სხვა დეფინიციები ავსებს და ამდიდრებს გაეროს დეფინიციას. როტ-არიაზა (Roht-Arriaza) განმარტავს გარდამავალ მართლმსაჯულებას, როგორც „იმ პრაქტიკის, მექანიზმებისა და ამოცანების ერთობლიობას, რომელიც ქვეყანაში წარმოიქმნება კონფლიქტების, სამოქალაქო დაძაბულობის ან რეპრესიების შედეგად და რომლის მიზანია წარსულში ჩადენილი ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებთან გამკლავება“[5]. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ტრანზიციის პროცესი შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მაშინ, როცა კონფლიქტი ან რეპრესია დასრულდა და ის უნდა მოიცავდეს ყველა უფლებას, მათ შორის – სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას. ეს

[4] Annan, 2004, p.4.

[5] 2006, გვ. 2.

კონცეფცია არ სარგებლობს ფართო მხარდაჭერით დაინტერესებული მხარეების მიერ, რომელთაგან ზოგიერთი ფიქრობს, რომ გარდამავალი მართლმსაჯულება უნდა შეეხებოდეს მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სერიოზულ და სისტემატურ დარღვევებს. აღსანიშნავია გაეროს აღიარება, რომ კონფლიქტის ძირეულ მიზეზებთან გასამკლავებლად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გარდა, ასევე აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარღვევებთან ბრძოლა[6].

არსებობს სხვა დეფინიციებიც, რომლებიც ფოკუსირებას ახდენს გარდამავალი მართლმსაჯულების პროცესების უკან მდგომ აქტორებზე, ნაცვლად აღნიშნული პროცესების შინაარსისა. მაგალითად, ართური (Arthur) გარდამავალ მართლმსაჯულებას შემდეგნაირად განმარტავს: „სფერო, რომელსაც წარმოადგენს ინდივიდებისა და ინსტიტუციების საერთაშორისო ქსელი. მათი ერთიანობა მიიღწევა საერთო კონცეფციებით, პრაქტიკული ამოცანებითა და ლეგიტიმურობის განსაკუთრებული მოთხოვნებით“[7], რომელთა უმრავლესობა ჩამოყალიბებულია მასობრივ უფლებადარღვევებზე საპასუხოდ, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებების კონტექსტში. ამისგან განსხვავებით, სხვები, მაგალითად – ბელი (Bell), ეწინააღმდეგებიან მოსაზრებას, რომ გარდამავალი მართლმსაჯულება არის „სფერო“ და შემდეგნაირად განმარტავენ მას: „იარლიყი ან საფარი, რომლის მიზანია მრავალფეროვანი მოსაზრებების რაციონალიზაცია წარსულის ერთიან გააზრებასთან დაკავშირებით, რათა შეინიღბოს არსებითად განსხვავებული ნორმატივი და აღნიშნული მოსაზრებების მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა“[8]. აღნიშნული ავტორისათვის გარდამავალი მართლმსაჯულების „სფეროდ“ აღიარება ნიშნავს მისი სამართლებრივი ბუნების უარყოფას, რომლის შინაარსს საფუძვლად უდევს რეაგირების საჭიროება წარსულში ჩადენილ დანაშაულებებზე პასუხის გაცემის მიზნით.

აღნიშნულ კონცეფციებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების მიუხედავად, თითოეული მაინც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გარდამავალი მართლმსაჯულება გულისხმობს მიდგომების განსაზღვრულ ჯგუფს ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებთან და საერთაშორისო დანაშაულებთან გასამკლავებლად. ზოგიერთი მიდგომა მართულია საერთაშორისო სამართლის პარადიგმით, კერძოდ – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, საერთაშორისო სისხლის სამართლითა და ლტოლვილთა დაცვის

[6] OHCHR, 2009.
[7] 2009, გვ. 324.
[8] 2009, გვ.6

საერთაშორისო სამართლით, რომლებიც წარმოგვიდგენს გარდამავალი მართლმსაჯულების „ნორმატიულ საფუძვლებს“[9]. თუმცა, გარდამავალი მართლმსაჯულების მიმართ მიდგომები ყოველთვის არ ემორჩილება ნორმატიულ საფუძვლებს, როგორც აცხადებს ბელი. ზოგიერთი ავტორი განსხვავებულ ნორმატიულ მიდგომას წარმოადგენს გარდამავალი მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანეს შეკითხვებთან დაკავშირებით.

- ***გარდამავალი მართლმსაჯულების პროცესი***

ექსპერტები თანხმდებიან, რომ გარდამავალ მართლმსაჯულებას შეადგენს ოთხი ძირითადი პროცესი, მიუხედავად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებისა, თუ რას მოიცავს აღნიშნული პროცესები და რა კავშირია მათ შორის. ჩვეულებრივ, ტრანზიცია მოიცავს *სამართლის აღსრულების პროცესს,* რათა მასობრივი დანაშაულებისათვის პასუხისმგებელი პირები გასამართლდნენ და კანონის შესაბამისად დაისაჯონ; *რეპარაციის პროცესს,* რათა მოხდეს მასობრივი დანაშაულების მსხვერპლთა კომპენსაცია; *სიმართლის ძიების პროცესს*, რათა მასობრივი დანაშაულები სრულად გამოიძიონ და ამ გზით, საზოგადოებამ იცოდეს, რა მოხდა რეპრესიის/კონფლიქტის დროს, ვინ ჩაიდინა დანაშაული, რა ბედი ეწია მსხვერპლს; *ინსტიტუციური რეფორმის პროცესს,* რათა მსგავსი დანაშაულები აღარასოდეს განმეორდეს[10].

აღნიშნულ ძირითად პროცესებთან ერთად, გარდამავალი მართლმსაჯულების ნაწილი გახდა სხვა მნიშვნელოვანი პროცესებიც: უპირველეს ყოვლისა, *კონსულტაციები ეროვნულ დონეზე,* რასაც მტკიცე რეკომენდაციას უწევს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR) და მშვიდობის შენების კომისია, რომელიც ხაზს უსვამს, რომ „საზოგადოების მნიშვნელოვანი მონაწილეობა“ აუცილებელია ნებისმიერი ტრანზიციის წარმატებისთვის[11]. კონსულტაციები ეროვნულ დონეზე უნდა გაიმართოს გარდამავალი მართლმსაჯულების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით. დაბოლოს, გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმებს და პროცესებს ავსებს *განიარაღება, დემობილიზაცია და რეინტეგრაცია* (DDR), რომლებიც, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს გარდამავალი მართლმსაჯულების პროცესების პარალელურად. DDR ეხმარება ყოფილ მებრძოლებს, შეწყვიტონ ბრძოლა და რეინტეგრაცია მოახდინონ საზოგადოებაში[12]. მართალია, ყველა

[9] OHCHR, 2009, and Annan, 2004, p.5.
[10] OHCHR, 2009.
[11] A/HRC/12/18, 2009, and A/63/881-S/2009/304, 2009.
[12] Waldorf, 2009.

ჩამოთვლილი პროცესი მნიშვნელოვანია, მაგრამ, აღნიშნული ანგარიშის ფოკუსს წარმოადგენს გარდამავალი მართლმსაჯულების ძირითადი პროცესები – სამართლის აღსრულება, რეპარაცია, სიმართლის ძიება და ინსტიტუციური რეფორმები.

- *სამართლის აღსრულება*

გარდამავალი მართლმსაჯულების არსის თანახმად, გენოციდის, ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის პასუხისმგებელ პირებს წაუყენებენ ბრალს. ისინი გასამართლდებიან და დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, დაისჯებიან კანონის შესაბამისად. აღნიშნულ მიდგომას ამყარებს სამი მთავარი არგუმენტი: ა) საერთაშორისო სამართლის პარადიგმა ავალდებულებს სახელმწიფოებს, გამოიძიონ, პასუხისგებაში მისცენ და დასაჯონ ასეთი დამნაშავეები; ბ) ადეკვატური რეპარაცია, საერთაშორისო სამართლის თანახმად, მოიცავს დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას; გ) წარსულში ჩადენილი დანაშაულებისათვის პასუხისგებაში მიცემა უმნიშვნელოვანესია ასეთი დანაშაულების მომავალში პრევენციისათვის.

შიდა და საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი განვითარება აძლიერებს ზემოაღნიშნულ ა და ბ არგუმენტებს. მართლაც, ქვეყნის შიგნით არსებული სასამართლო მექანიზმები, მაგალითად – არგენტინაში, კოლუმბიასა და ჩილეში, გამოიყენება არა მხოლოდ როგორც პასუხი მსხვერპლთა/დაზარალებულთა მოთხოვნებზე და მათი უფლებების განსამტკიცებლად, არამედ აღნიშნული ქვეყნების საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლადაც. მაგალითად, „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ 1948 წლის კონვენციის მე-4 მუხლი და გაეროს 1984 წლის კონვენციის „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ მე-4 მუხლი აწესებს გენოციდისა და წამების დანაშაულების დასჯის საერთაშორისო ვალდებულებას.

მართალია, ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორიცა – სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ღიად არ ითვალისწინებს მსგავს ვალდებულებას, მაგრამ ამ კონვენციებით გარანტირებულია უფლება ზიანის ანაზღაურებაზე. ხოლო ეს უფლება, მონიტორინგის ორგანოების განმარტებით, წარმოქმნის სახელმწიფოების ვალდებულებას ისეთი უფლებადარღვევების პრევენციის, გამოძიებისა და დასჯისა, როგორიც არის, მაგალითად, იძულებითი გაუჩინარება, წამება და მკვლელობა (Orentlicher, 1991). მთავარი პრეცედენტი ამ მიდგომასთან დაკავშირებით არის

გადაწყვეტილება საქმეში – *ველასკესი ჰონდურასის წინააღმდეგ* (1988), სადაც ადამიანის უფლებების ინტერამერიკულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ [ამერიკული] კონვენციით დაცული ნებისმიერი უფლებადარღვევის პრევენცია, გამოძიება და დასჯა და უფრო მეტიც, თუ შესაძლებელი იქნება, შეეცადონ, აღადგინონ დარღვეული უფლება და უზრუნველყონ ზიანის კომპენსაცია (პარაგრაფი 166). აქ მოხსენიებული კონვენციების უმეტესობა ასევე ავალდებულებს სახელმწიფოებს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიებას.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის აღნიშნული წყაროების გარდა, საერთაშორისო სისხლის სამართალმა დასახა მნიშვნელოვანი გზები დაუსჯელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. გაეროს უშიშროების საბჭომ შექმნა საგანგებო ად-ჰოკ ტრიბუნალები ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდას მიერ ჩადენილ მასობრივ დანაშაულებთან გასამკლავებლად (ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი და რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალი). რომის სტატუტს, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა 2002 წელს. სტატუტის საფუძველზე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა: კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ომის დანაშაული, გენოციდი და აგრესია. სტატუტის თანახმად, ინდივიდები პასუხისმგებელნი არიან აღნიშნული დანაშაულებისათვის საერთაშორისო დონეზე.

ასევე, საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა ჰიბრიდული ტრიბუნალები, როგორიც არის სიერა ლეონეს სპეციალური სასამართლო, ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფო სასამართლო, კამბოჯის საერთო სასამართლოების განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილებები და აღმოსავლეთ ტიმორის დილის ოლქის რეგიონალური სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება. მოვლენათა ასეთი განვითარება გვიჩვენებს მნიშვნელოვან ტენდენციებს ქვეყნის შიდა და საერთაშორისო დონეზე დაუსჯელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ნიშნავს, რომ, თუ ქვეყნები ვერ შეასრულებენ თავიანთ საერთაშორისო ვალდებულებებს, პასუხისგებაში მისცენ დამნაშავეები თავიანთი იურისდიქციით, მაშინ საერთაშორისო საზოგადოება მიიღებს შესაბამის ზომებს.

სამართლის აღსრულების მხრივ, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს აღქმა, რომ ის შეიძლება ქმნიდეს დაბრკოლებას მშვიდობის, სიმართლის ძიებისა და შერიგების მისაღწევად ქვეყანაში მომხდარი კონფლიქტის თუ რეპრესიის შემდეგ. არსებობს ასევე მოსაზრება, რომ საერთაშორისო სამართალი არ გამორიცხავს ამნისტიას წარსულში ჩადენილი დანაშაულების

გამო[13]. ამ მოსაზრების მხარდამჭერთათვის უპირველესი მიზანია მშვიდობის მიღწევა (ან ნებისმიერი სხვა ზემოხსენებული მიზანი), სამართლის აღსრულების ხარჯზეც კი. შესაბამისად, მათი აზრით, ამნისტიები (ასევე, ხანდაზმულობის ვადები) მნიშვნელოვანი აუცილებლობაა, რათა საზოგადოებამ შეძლოს წინ წასვლა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პოტენციურად არღვევენ გამოძიების, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისა და დასჯის ვალდებულებას. მაგალითად, *აზაპოს* საქმეში (1996), სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციურმა სასამართლომ ძალაში დატოვა „ეროვნული ერთიანობისა და შერიგების ხელშეწყობის 1995 წლის აქტის“ იმ დებულებების კონსტიტუციურობა, რომლებიც ეხებოდა ამნისტიას. უფრო ახლო წარსულში, ბრაზილიის უზენაესმა სასამართლომ (2010) ასევე ძალაში დატოვა ამნისტიის შესახებ არსებული კანონმდებლობა იმ საფუძვლით, რომ ის განამტკიცებდა მშვიდობას და წარმოადგენდა სოციალური კონსენსუსის შედეგს.

შეუთანხმებლობა აღნიშნულ მიზნებს შორის აშკარაა საერთაშორისო დონეზეც. ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო საფრთხეს შეუქმნის მშვიდობის მიღწევას იმ ქვეყნებში, სადაც ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს, მაგალითად – უგანდასა და სუდანში. უგანდაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ წამოიწყო ფორმალური გამოძიება წინააღმდეგობის მოძრაობის მიერ ჩადენილი დანაშაულებისათვის ჩრდილოეთ უგანდაში და გამოსცა დაკავების ორდერები. აღნიშნული მოქმედება მძაფრად გააკრიტიკეს იმ სავარაუდო ზიანის გამო, რაც შეიძლება, სამშვიდობო მოლაპარაკებებს მოუტანოს[14].

სამართლის აღსრულების პროცესი, ასევე, დაკავშირებულია სხვა პრობლემებთან, რასაც შესაბამისი განმარტება სჭირდება. მასობრივი დანაშაულების გამოძიებასთან, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემასა და დასჯასთან დაკავშირებით არსებობს მნიშვნელოვანი შეკითხვები, რომლებიც პასუხებს ითხოვს: ზუსტად რას მოიცავს აღნიშნული ვალდებულება[15]? საკმარისია თუ არა გამოძიება/პასუხისგებაში მიცემა დასჯის გარეშე? უნდა იყოს თუ არა დასჯა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი? როგორ უნდა გაიზომოს მართლმსაჯულების ტრადიციული მექანიზმების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან? არსებობს თუ არა თანამშრომლობის ვალდებულება ტრანზიციაში მყოფ ქვეყნებთან, რათა მათ უკეთ შეასრულონ თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებები? კანონის როლთან და სოციალურ ცვლილებებთან დაკავშირებით: სამართლის

[13] Mallinder, 2008.
[14] Waddell and Clark, 2008.
[15] Mendez, 1997.

აღსრულება უნდა ეფუძნებოდეს განაწილებითი სამართლიანობის პრინციპებს თუ მხოლოდ რეტრიბუციულ სამართალს?

რაც შეეხება დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლას და რეტრიბუციულ სამართალს, როგორ შეიძლება იმ მტკიცებულებების მოპოვება, რომლებიც ხელს შეუწყობს რეტრიბუციული სამართლის აღსრულებას, ან – იმ მტკიცებულებებისა, რომლებიც არა მხოლოდ დაადგენს დანაშაულის გარემოებებს, არამედ ასევე მოახდენს დამნაშავეთა იდენტიფიცირებას? როგორ უნდა შეიქმნას მსხვერპლისა და მოწმის დაცვის ეფექტური მექანიზმები[16]; როგორ უნდა იქნას მიღწეული საერთაშორისო თანამშრომლობა ქვეყნებს შორის, დამნაშავე პირების პასუხისგებაში მისაცემად და დასასჯელად? როგორ უნდა მოხდეს შენახვა და საჭიროების შემთხვევაში მტკიცებულებების გაზიარება? როგორ უნდა მოხდეს საჭირო ექსპერტიზისა და უნარ-ჩვევების უზრუნველყოფა კომპლექსური გამოძიების ჩასატარებლად ისეთ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები/ორგანოები?

ამ შეკითხვების უმეტესობაზე პასუხები ფორმირების პროცესშია, მაგრამ საჭიროა უფრო შედარებითი, მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური კვლევა, რათა შიდა და საერთაშორისო სამართლის პრობლემები და ასევე, მიღწევები ნათლად გამოიკვეთოს.

დაბოლოს, ჯერ კიდევ დასადგენია ის კავშირი, რომელიც შესაძლოა, არსებობს მართლმსაჯულების განხორციელებასა და პრევენციას შორის (კერძოდ, დანაშაულის პრევენციის საკითხი მართლმსაჯულების მექანიზმების გამოყენების შედეგად), მიუხედავად იმისა, რომ ამას ამტკიცებს საერთაშორისო სამართლის ისეთი ხელშეკრულებები, როგორიცაა: კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ და კონვენცია წამების წინააღმდეგ; ასევე – ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა, მაგალითად, გაერო. დღემდე, ყველაზე გამორჩეული სამუშაო ამ სფეროში ჩაატარეს კიმმა და სიკინკმა[17], რომელთა აზრით, მთლიანობაში, წარსულში ჩადენილ მასობრივ დანაშაულებში ბრალდებულ პირთა გასამართლება/სასამართლო პროცესები ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვას იმ ქვეყნებში, რომლებიც ტრანზიციის პროცესში იმყოფება და მათ მეზობელ ქვეყნებშიც კი. აღნიშნული კვლევა არსებითად განსხვავდება სნიდერისა და ვინჯამურის კვლევისაგან[18], რომლებიც აცხადებენ, რომ ნაცვლად იმისა, მოახდინონ მომავალი

[16] OHCHR, 2009.

[17] Kim and Sikkink (2007)

[18] 2003 და 2004.

დანაშაულების პრევენცია, ასეთი სასამართლო პროცესები იწვევს უფრო მეტ დანაშაულს.

მართლაც, რადგანაც გარდამავალი მართლმსაჯულების პროცესები დიდ დროს მოითხოვს, ერთი თაობით მეტსაც კი, არ არის მარტივი იმ ზეგავლენის გაზომვა, რაც შიდასახელმწიფოებრივ თუ საერთაშორისო გასამართლებას შეიძლება ჰქონდეს მასობრივი დანაშაულების პრევენციისათვის. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, უფრო მეტი კვლევა ჩატარდეს ამ სფეროში, რათა უკეთ მოხდეს იმ არგუმენტების დასაბუთება, რომლებიც ადასტურებს რეტრიბუციული მართლმსაჯულების როლს მასობრივი დანაშაულების პრევენციის კუთხით.

ნდობა

ენვერ ჯულიმანი

ნდობისა და უნდობლობის საკითხების კვლევის ინტერესი სხვადასხვა ინტელექტუალურ დისციპლინებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ თემაზე მოსაზრებები გამოთქვეს სხვადასხვა ავტორებმა. გაზრდილი ინტერესის ერთ-ერთი მიზეზია ინსტიტუციური ნდობის შემცირება დასავლეთის დემოკრატიებში, ასევე გაურკვევლობა და ფიქრი, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ამ ტენდენციამ. სხვა მიზეზი დაკავშირებულია კომუნიზმისა და აღმოსავლეთ ბლოკის დაცემასთან, სადაც პრობლემები შეიქმნა ინსტიტუციური ნდობის შენების მხრივ. არის მესამე მიზეზიც – ტექნოლოგიისა და საკომუნიკაციო არხების განვითარება წარმოადგენს ინდივიდებისათვის გამოწვევას, იპოვონ ახალი გზები პირადი ურთიერთობებისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ნდობის შესახებ

დავიწყოთ ნდობის ჩემეული დეფინიციით. ჩემთვის ნდობა ნიშნავს მოლოდინს, რომ ინდივიდი ან ინდივიდების ჯგუფი არ მისურვებენ ცუდს/ზიანს. აღნიშნული ასევე გულისხმობს, რომ ინდივიდებს/ჯგუფებს აქვთ კარგი განზრახვა ჩემდამი და მისურვებენ კარგად ყოფნას! (უნდობლობა ჩემთვის ნიშნავს შიშს და თავის დაცვას იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც არა აქვთ კარგი განზრახვა ჩემდამი). ჩემი ნდობის საფუძველია წარსულის პოზიტიური გამოცდილება და ჩემი მოლოდინი, რომ კონკრეტული

ინდივიდი ან ჯგუფი იმოქმედებს ჩვენი საერთო ღირებულებების ფარგლებში. ნდობა აღწერს ურთიერთობას, რომელშიც მე შემიძლია ვიყო თავდაჯერებული, რათა ვენდო კონკრეტულ ინდივიდს (ჯგუფს) ჩემს ცხოვრებაში.

ჩვენი სიცოცხლე წარმოუდგენელია ნდობის გარეშე. როგორც კი სამყაროს მოვევლინეთ, სხვაზე დამოკიდებული გავხდით. სწორედ ორმხრივი ნდობა ხდის შესაძლებელს ჩვენს ცხოვრებას ამ სამყაროში. ჩვენ გვჭირდება ნდობა იმისათვის, რომ გავუმკლავდეთ ცხოვრების სირთულეებს, შევამციროთ რისკები და ვიცხოვროთ საზოგადოებაში. ნდობა წარმოაჩენს ადამიანში არსებულ პოზიტიურ განწყობას. სწორედ ამიტომ, ის არის ჩვენი თანაცხოვრებისა და სოლიდაროზბის საფუძველი. თუმცა, ნდობა ასევე რაციონალური არჩევანია, რომელიც ეფუძნება გარკვეულ ცოდნას/ინფორმაციას. ცოდნის ნაკლებობა, წინასწარი განწყობები და სტერეოტიპები შედეგად გვაძლევს არარაციონალურ უნდობლობას სხვების მიმართ.

ნდობა ხშირად გულისხმობს ჩვენი უფლებების, მათ შორის, ჩვენი პირადი უსაფრთხოების გადაცემას ინდივიდისათვის ან ინსტიტუტისათვის. ამის გამო, ჩვენ განვასხვავებთ პირად და სოციალურ ნდობას. პირადი ნდობა ყალიბდება ინდივიდებს შორის და ეფუძნება პირად გამოცდილებას. მეორე მხრივ, სოციალური ნდობა არსებობს ისეთი ინსტიტუტების მიმართ, როგორიც არის პარლამენტი (ნდობა პოლიტიკური წარმომადგენლების მიმართ), პოლიცია, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ინსტიტუტები და ა.შ. სოციალურ ნდობას ხშირად უწოდებენ ინსტიტუციონალურ ან სტრუქტურულ ნდობას. ის ყალიბდება ინდივიდებსა და სოციალურ სისტემას შორის და შესაბამისად, აბსტრაქტულია. ასეთი ნდობა ხშირად პასიურია და მემკვიდრეობით გადაიცემა. ის ასახავს ადამიანების მთელ ისტორიულ მემკვიდრეობას, მათ შორის პოლიტიკურ, რელიგიურ, ეკონომიკურ და სხვა ფაქტორებს. მოქალაქეთა ნდობა სისტემის შემადგენელი ინსტიტუტების მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების განვითარებისათვის. ასეთი ნდობა ხელს უწყობს მშვიდობას, სტაბილურობას, კანონის უზენაესობას, სოციალურ ინტეგრაციას, საზოგადოებრივი სიკეთის სამართლიან განაწილებას, ეკონომიკურ განვითარებას, ჯანმრთელობის დაცვას, მოქალაქეთა განათლებას და მათ მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მათ ინიციატივებში.

არსებობს ორი განსხვავებული თეორიული მიდგომა ნდობის ცნებასთან დაკავშირებით – ინდივიდუალური და სოციალური. ინდივიდუალური[19]

[19] See: G. W. Allport, Pattern and Growth in Personality, Holt, Rhinehart and Winston, New York, 1961.

მიდგომის თანახმად, ნდობა არის პიროვნების მახასიათებელი, მათ შორის, ისეთი სოციოლოგიური ფაქტორების, როგორიც არის სქესი, ასაკი, განათლების დონე, შემოსავალი და კლასობრივი კუთვნილება. სოციალური[20] მიდგომის თანახმად, ნდობა არის სოციალური კატეგორია და შედგება ინდივიდებისაგან, რომლებიც ავითარებენ ნდობის კულტურას. ამ შემთხვევაში, მორალური ნორმები და ჩვეულებები წარმოადგენს ინტერპერსონალური ნდობის საფუძველს საზოგადოების შიგნით. უმაღლესი ფასეულობები სძლევს ინდივიდების ეგოისტურ ინტერესებს. შესაბამისად, ორმხრივი ნდობა საზოგადოების შიგნით წარმოადგენს საბოლოო მიზანს.

სოციალური ნდობა წარმოქმნის ისეთ განწყობებს, დამოკიდებულებას, ქცევასა და სოციალურ ურთიერთობებს, რაც ეფუძნება თანამშრომლობასა და უსაფრთხოებას. ასეთი სახის ნდობა წარმოადგენს სოციალურ კაპიტალს, რომელიც გამოიყენება საზომად, თუ რამდენად მზად არის საზოგადოება და მისი წევრები სტაბილური პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური განვითარებისათვის. ნებისმიერი საზოგადოება გადის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპსა და სახელმწიფოებრივი მოწყობის სხვადასხვა ფორმებს. ამის გათვალისწინებით ნდობა მოიცავს კავშირს როგორც წარსულთან, ასევე მომავალთან. ის ზომავს საზოგადოების წარმატებას საერთო საზოგადოებრივი ღირებულებების მემკვიდრეობით მიღებასა და შემდეგი თაობებისათვის გადაცემის კუთხით. ასეთი ფორმის ნდობის არარსებობა გამორიცხავს სოციალურ პასუხისმგებლობას, ინდივიდუალური და სოციალური ღირებულებების აღიარებას თუ კანონის უზენაესობას.

არსებობს ასევე ნდობის სხვა ფორმებიც ერთი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის ან სხვადასხვა საზოგადოების ჯგუფებს შორის. პირადი ურთიერთობისაგან განსხვავებით, ჯგუფებს შორის ურთიერთობისას ინდივიდუალური იდენტობა არ არსებობს და ის შთანთქმულია კოლექტიური იდენტობის მიერ. სწორედ ასე მოხდა ყოფილ იუგოსლავიაში ომის დროს, როცა ჩვენ დავეყრდენით კოლექტიურ იდენტობას ჩვენი სურვილებისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად (არ ვეცადეთ სხვების გაგებას და არ მოვუსმინეთ სხვებს) და გამოვხატეთ კუთვნილება და ნდობა მხოლოდ ჩვენს ეთნიკურ ჯგუფში. უფრო ხშირად, ჩვენ ვიქცეოდით ისე, როგორი მოლოდინიც იყო ჩვენგან, როგორც ჯგუფის წევრებისაგან[21].

[20] R. Inglehart, »Trust, well-being and democracy«, u: M. E. Warren (ur.), Democracy and Trust, Cambridge University Press, Cambridge, 1999., p. 88–120.

[21] არსებობს ერის სამი მთავარი მახასიათებელი: საერთო მცდარი შეხედულება წარსულის შესახებ, საერთო არატოლერანტობა სხვა ერების მიმართ და ბოლოს, საერთო ილუზიები მომავლის შესახებ. მარიო ვარგას ლიოსა, პერუელი მწერალი და ნობელის პრემიის ლაურეატი, „ერის“ შესახებ წერს: „ყველა ნაციონალისტური

ცოტა ხნის წინ ჩემმა კოლეგამ ნორვეგიაში მითხრა, რომ ერთხელ მის შვილს, მეგობრებთან ერთად, ჩხუბი მოუვიდა ახალგაზრდა კაცებთან, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ბოსნიიდან იყვნენ. მე ამის შესახებ როცა ვუთხარი ჩემს ბოსნიელ ნაცნობებს, ზოგმა მიპასუხა, რომ შესაძლოა, ახალგაზრდა კაცები სინამდვილეში სერბები იყვნენ, რომელთაც სურდათ ბოსნიელების რეპუტაციის შელახვა. ომის დასრულებიდან ოცი წლის შემდეგ, ჩვენ ჯერ კიდევ გვჯერა, რომ მეორე მხარე ჩასაფრებულია, რათა ზიანი მოგვაყენოს. ჩვენ ვცდილობთ, შევეგუოთ, რასაც ვხედავთ და მოვერგოთ იმ ჩარჩოებს, რომელსაც „ვიცნობთ“. ჩვენ მხოლოდ იმ ინფორმაციას ვუშვებთ ჩვენამდე, რომელიც შეესაბამება ჩვენს წინასწარ შექმნილ განწყობებს. ჩვენ ვიღებთ მხოლოდ იმ აზრს, რომელიც ადასტურებს ჩვენს მოლოდინებს და უარვყოფთ იმას, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ჩვენს წარმოდგენებს. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ ისევ ვენდობით მხოლოდ ჩვენს სიმართლეს, სხვების სიმართლეზე მეტად. ჩვენ ვართ საკუთარი წარსულის მძევლები.

ნდობის, პოზიტიური ურთიერთობებისა და კეთილი ნების (bona fide) გარეშე, ვერანაირი შეთანხმება შედეგს ვერ გამოიღებს. ეს განსაკუთრებით ნათელია ტრანზიციის პროცესში მყოფ ქვეყნებში (საზოგადოებებში), სადაც კანონის უზენაესობა ჯერ არ არის მიღწეული. ასეთი საზოგადოებები ნდობის ნაკლებობას განიცდის როგორც ინდივიდების, ასევე სოციალური ინსტიტუტების შემთხვევაში, რაც იწვევს შიშს, ეჭვებსა და უხმო მორჩილებას. „ხაფანგის ქვეშ მოქცეულ“ ასეთ საზოგადოებებში, უნდობლობის გამო, განსაკუთრებით დიდი ენერგია იხარჯება გეგმების შემუშავებაზე, გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებაზე. ამ საზოგადოებებში უნდობლობაა გაბატონებული როგორც ინტერპერსონალურ, ასევე ჯგუფებს შორის ურთიერთობებში. ასეთ საზოგადოებებში უნდობლობა ხდება გადამდები სენი და საზოგადოებაში ვითარდება სინამდვილის თავისებური აღქმა (რომელშიც ნდობა არ სცილდება ჯგუფის შიდა წევრებს)[22].

უნდობლობა აშორებს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, რის შედეგადაც ვითარდება ურთიერთგაგებისა და სიახლოვის განსხვავებული ხარისხი სხვადასხვა სოციალურ სიტუაციებსა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს

დოქტრინა ეფუძნება რწმენის აქტს [...]. ნაციონალიზმი არის რწმენის კოლექტიური აქტი, რომელიც საფუძველს აძლევს მითიურ წარმონაქმნს - ერს - ფიქციური ერთიანობით, რომელსაც არ ეხება ისტორიული ცვლილებები. თემის მუდმივობის შეგრძნებასთან ერთად, ნაციონალიზმი მოითხოვს მეტაფიზიკური ეგზისტენციალიზმის რწმენას - აღნიშნული დოქტრინის თანახმად, ინდივიდები არ არსებობენ იმ ნაციონალური საწყისისაგან განცალკევებით, რომელმაც მიანიჭა მათ იდენტობა“. ლიოსასთვის „ერი“ არის ფაბრიკაცია, რომელიც ეფუძნება კოლექტიურობასა და მეტაფიზიკურ ეგზისტენციალიზმს.

[22] Gambetta, D. Mafia, The Price of Distrust. 1988. P. 234

შორის ურთიერთობებში. მართალია, სოციალური დისტანცია ყოველთვის არ ნიშნავს მტრობას თუ ნეგატიურ წარმოდგენებს, მაგრამ, ხშირად წარმოაჩენს, თუ რამდენად უცხოა გარე ჯგუფი შიდა ჯგუფის წევრებისათვის. თუმცა, ჩვენ არ უნდა გავებათ მახეში და არ გავუთანაბროთ უნდობლობა ბოროტებას და ნდობა სიკეთეს, რასაც სავარაუდოდ ჰქონდა ადგილი კნუდ ი. ლოგსტრაფის შემთხვევაში[23]. ნდობისა და უნდობლობის ცნებები არ უნდა იყოს მორალიზაციის საგანი შემდეგი მიზეზების გამო:

- არავინ არ არის ვალდებული, ენდოს სხვა ადამიანს, თუ სხვა ადამიანი ცნობილია, როგორც არასაიმედო და არასანდო;
- უნდობლობა არის მორალური პასუხი ისეთ გარემოებებზე, რომლებიც იმსახურებს კრიტიკას;
- გარკვეულ შემთხვევებში, უნდობლობა შეიძლება იყოს ნდობის წინაპირობა;
- გარკვეული სახის ნდობამ (მაგალითად, კრიმინალებს შორის) შეიძლება გამოიწვიოს მორალურად მიუღებელი ქცევა.

ნდობა და სოციალური კაპიტალი

ეკონომიკური კაპიტალის გარდა, ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს გარკვეული ადამიანური კაპიტალი (განათლებული ინდივიდები), მორალური კაპიტალი (ეთიკური ნორმები), ემოციური კაპიტალი (ემპათია) და სოციალური კაპიტალი. სოციალური კაპიტალის ცნებას საფუძვლად უდევს ის ნორმები და ფასეულობები, რომლებიც შესაძლებელს ხდის დემოკრატიის არსებობას.

ყველაზე ხშირად სოციალურ კაპიტალს განმარტავენ, როგორც მოქალაქეების ურთიერთობას იმ საზოგადოებასთან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. სოციალურ კაპიტალში ასახულია:

- ნორმები და ფასეულობები;
- ურთიერთდაკავშირებულ ქსელები;
- ბენეფიტები, რომელიც მოაქვს ნებაყოფლობით ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ შესაძლებლობებსა თუ რესურსებს[24];
- ინდივიდის მოლოდინი, მოეპყრან თანასწორად[25];

[23] K. E. Løgstrup. Den etiske fordring. 1991.

[24] Putman, R. D. Making Democracy Work: Civik Traditions in Modern Italy. Princeton University Press. 1993. See also Newton, K. (1997). “Social capital and democracy“, The American Behavioral Scientist , Vol. 40, 10

[25] Mungiu - Pippindi, A. Deconstructing Balkan Particulism. 2005. Southeast European and Black Sea Studies. P 52.

სოციალური კაპიტალი გამოხატულია ისეთ საზოგადოებებში, რომლებიც მოწყობილია სოციალური ნდობისა და ურთიერთდაკავშირებული ქსელების მეშვეობით. სოციალური კაპიტალი შედარებით ახალი კონცეფციაა, რომლის თანახმადაც, გარდა ფიზიკური და ფინანსური კაპიტალისა, საზოგადოებაში არსებული შიდაპერსონალური ურთიერთობები ასევე შეადგენს კაპიტალის ფორმას. კაპიტალის ნებისმიერი სხვა ფორმის მსგავსად, სოციალური კაპიტალი ისეთი მიზნების განხორციელების საშუალებას იძლევა, რომელთა მიღწევა სხვაგვარად წარმოუდგენელია. თუმცა, კაპიტალის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს სოციალურ აქტორებს შორის ურთიერთობების ფორმას[26].

ფიგურალურად რომ ვთქვათ, ეკონომიკური კაპიტალი არის ფული, რომელსაც ინდივიდები ბანკში ინახავენ; ადამიანური კაპიტალი არის ცოდნა, რომელიც არსებობს ადამიანების გონებაში; სოციალური კაპიტალის აღმოჩენა კი შეიძლება შიდაპერსონალური ურთიერთობების სტრუქტურებში. სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს სოციალურ ურთიერთობებს, ინფორმაციის გაცვლასა და სოციალურ ინტეგრაციას.

სოციალური კაპიტალის ცნება საკმაოდ ფართოა; ჩვენს ამჟამინდელ ფოკუსს წარმოადგენს მისი განმსაზღვრელი ნორმები და ფასეულობები.

მშვიდობისა და თანამშრომლობის კონტექსტში, სოციალური კაპიტალის მთავარი პრინციპებია – ნაცვალგება და ნდობა. ნაცვალგება არის მოლოდინი, რომ ჩემს სათანადო ქცევას ან იმ ჯგუფის სათანადო ქცევას, რომელსაც მე ვეკუთვნი (მნიშვნელობა არა აქვს, ჩემი არჩევანით თუ არჩევანის გარეშე), პასუხი გაეცემა შესაბამისი ქცევით ჩემს გარემოში არსებული სხვა ინდივიდის/ჯგუფის მიერ. ყოველდღიურ ცხოვრებაში, ნაცვალგების პრინციპი მოითხოვს გაცნობიერებულ რისკს, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა მოქალაქეებს შორის ნდობის არარსებობის შემთხვევაში. პოლიტიკური თუ ინსტიტუციური ნდობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაკავშირებულია სოციალურ თუ პოლიტიკურ ინსტიტუტებთან და გულისხმობს მოქალაქეების აქტიურ პოლიტიკურ მონაწილეობას, მათ შორის, არჩევნების გზით. გარდა ამისა, პოლიტიკური ნდობა გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წევრობას და არასამთავრობო ორგანიზაციებში მოხალისეობას. რობერტ პუტნამის კვლევა გვიჩვენებს, რომ მაღალი სოციალური კაპიტალის მქონე ქვეყნებში მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფრო მაღალი ალბათობაა. ამ გზით მოქალაქეები საჯარო ინსტიტუტების ეფექტიანობას უწყობენ ხელს.

[26] Berto Šalaj. Radionica: Socijalno povjerenje i socijalni kapital u Bosni i Hercegovini. Friedrich Ebert Stiftung. Tuzla 2010.

სოციალური კაპიტალის იდეის არსი ჯანმრთელ და მშვიდობიან საზოგადოებაში ცხოვრების მეტი ხარისხი და ჰარმონიაა. ურთიერთობების ხარისხი უკეთესია, როცა ინდივიდები საზოგადოების შიგნით ურთიერთდაკავშირებულნი არიან. ურთიერთკავშირის ქსელები მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. თუ საზოგადოების წევრები ჩართული არიან სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ორგანიზაციებში და აქვთ ორმხრივი ნდობა, ასეთი საზოგადოებები გაცილებით უკეთ ფუნქციონირებს, ვიდრე საზოგადოებები, სადაც უნდობლობა და სოციალური დისტანციაა. *სოციალური კაპიტალის* შინაარსს კარგად განმარტავს პიერ ბორდიე[27] – „არსებული და პოტენციური რესურსები, რომლებიც დაკავშირებულია გრძელვადიან ან მეტ-ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულ წევრობასა და კუთვნილებაზე დაფუძნებულ ურთიერთობებთან“. იმისათვის, რომ ინდივიდებმა მიიღონ სარგებელი სოციალური კაპიტალისაგან, ისინი დაკავშირებული უნდა იყვნენ სხვა ადამიანებთან. აღნიშნული კონცეფციის ძირითადი იდეა მარტივია: სოციალური ქსელები მნიშვნელოვანია; ისინი მნიშვნელოვან დანამატს წარმოადგენს მათში ჩართული ადამიანებისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური კაპიტალი არ არის ყოველთვის პოზიტიური. სოციალური კაპიტალის მქონე პირები სარგებლობენ გარკვეული შესაძლებლობებითა და უპირატესობებით, რის გამოც, კაპიტალის ეს ფორმა იწვევს სოციალურ უთანასწორობასა და გარიყულობას.

არსებობს სოციალური კაპიტალის ორი ფორმა: დამაკავშირებელი და შემაერთებელი. დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალი აკავშირებს მსგავსი სოციალური მახასიათებლების მქონე ადამიანებს ისეთი ნიშნებით, როგორიც არის, მაგალითად, ეთნიკურობა, რელიგია, სოციალური კლასი და ა. შ. (ერთი და იგივე ჯგუფის წევრები), მაშინ, როცა შემაერთებელი სოციალური კაპიტალი აკავშირებს ადამიანებს, რომელთაც აქვთ განსხვავებული სოციალური მახასიათებლები. სწორედ აღნიშნული მახასიათებლები წარმოადგენს იარაღს დემოკრატიისა და მშვიდობის მშენებლობისათვის. სოციალურმა კაპიტალმა შესაძლებელია, დახმარება გაუწიოს კონფლიქტის სხვადასხვა მხარეებს ურთიერთნდობის ჩამოყალიბებაში, რაც შეიძლება აღიწეროს, როგორც „ინკლუზიური სოციალური კაპიტალი“. ამ თვალსაზრისით, სოციალური კაპიტალი ასრულებს შემაერთებელ ფუნქციას. ის გვიყალიბებს ნდობას იმ ჯგუფების წევრთა მიმართ, რომლებიც უცხოა ჩვენთვის.

[27] Pierre Bourdieu. The Forms of Capital. In J. Richardson (Ed.) Handbook of Theory and Research for the Sociology of Education (New York, Greenwood). 1986. P 248.

სოციალური კაპიტალი გამოხატულია ინტერპერსონალურ ურთიერთობებში და ასევე ურთიერთობებისა და კავშირების ჩამოყალიბებისას. ის მოიცავს სოციალურ ნდობას და კავშირებს, რომლებიც ხელს უწყობს კოორდინაციას საერთო სარგებლის მისაღწევად. ის შესაძლებელს ხდის ურთიერთობებს ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის საერთო ინტერესების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სოციალური ქსელების განვითარებას, რომლებიც ფუნქციონირებს კერძო და სოციალურ სფეროს შორის არსებულ სივრცეში.

რატომ არის მნიშვნელოვანი სოციალური კაპიტალის გაძლიერება? მთავარი მიზეზია ის, რომ სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ნდობის შენებას, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარების საფუძველს. სოციალური კაპიტალი ასევე ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ მონაწილეობაზე, რადგანაც აძლიერებს ნდობას დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ და ხელს უწყობს ინტერპერსონალური ნდობის, როგორც ინსტიტუციონალური ნდობის გაგებას. სხვა მიზეზებია ისეთი დემოკრატიული ფასეულობები, როგორიც არის: ტოლერანტობა, მიმღებლობა, თანასწორობა, სოლიდარობა, დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ნებაყოფლობითი სათემო ჩართულობა. ნაშრომში „ნდობა“, ფრანცის ფუკუიამა[28] კავშირს ავლებს სოციალურ კაპიტალსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის და აჩვენებს, რომ ძლიერი სოციალური კაპიტალის გამოცდილების მქონე ქვეყნებში უფრო მაღალია ეკონომიკური განვითარების ხარისხი.

სოციალური კაპიტალის ინდიკატორები მოიცავს:

- კლუბებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებში წევრობას;
- აქტიურ სათემო ჩართულობას;
- მოხალისეობასა და სოციალურ ნდობას, როგორც ქცევის სტანდარტს.

სოციალური კაპიტალის კონტრასტს წარმოადგენს მოტყუება[29], კონსპირაციული და თაღლითური ქცევა, რაც იწვევს უნდობლობას და ხელს უშლის როგორც ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, ასევე სახელმწიფოსთან ურთიერთობას. ამის მიზეზი შესაძლოა, იყოს უნდობლობის საერთო მემკვიდრეობა, ნეგატიური სოციალური კაპიტალი და სოციალური ჯგუფების გაუცხოება.

რა ხდება, როცა სოციალური კაპიტალი არ არის სათანადოდ განვითარებული? საზოგადოებრივ დონეზე ამან შეიძლება, გამოიწვიოს

[28] Social Capital and Civil Society. Standford University. 2000. See Also Francis Fukuyama, Trust: The Social Virtues and The Creation of Prosperity. 1995. Free Press.

[29] In the countries of the former Yugoslavia there is a saying: „We play fair, but one of us will get fucked over“ (Pošteno, pa ko koga zajebe)

დანაშაული, გადასახადებისაგან თავის არიდება, პროტესტი და ა. შ. პოლიტიკურ დონეზე კი – ნაციონალიზმი და ცრუ პატრიოტიზმი, პასიურობა არჩევნებზე, მთავრობის არაკომპეტენტურობა და ბიუროკრატია, პოლიტიკური არასტაბილურობა, ძალადობა და დისკრიმინაცია.

ნდობის დეფიციტი საზოგადოებაში, სოციალური კაპიტალის ნაკლებობა და ურთიერთთანამშრომლობის უუნაროობა წარმოადგენს მთავარ პრობლემებს, რაც ხელს უშლის ნდობის ჩამოყალიბებას. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური კაპიტალი არ არის ყოველთვის პოზიტიური ან პროდუქტიული. თანაბრად მტრული ეთნიკური ჯგუფები, სოციალური კაპიტალის მნიშვნელოვანი გამოცდილებით კარგ მაგალითს წარმოადგენს აღნიშნული განცხადების საილუსტრაციოდ. ასეთი ჯგუფები რესურსებზე განსხვავებულ ხელმისაწვდომობას სთავაზობენ (მოკლე ვადით) შიდა ჯგუფის წევრებს და საერთოდ არ ითვალისწინებენ გარე ჯგუფს.

როგორც წესი, დემოკრატიულ საზოგადოებებში სოციალური ნდობის უფრო მეტი ხარისხია, ვიდრე ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში[30]. არსებობს ამის რამდენიმე მიზეზი:

- ტრანზიციის პროცესებმა არ გაითვალისწინა სოციალური კაპიტალის განვითარების საჭიროება;
- განათლების დაბალი დონე (მეტი ალბათობით, განათლების მაღალი დონის მქონე ადამიანები უფრო მეტ სოციალურ კაპიტალს ქმნიან);
- არ არის განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, რომელმაც უნდა წარმოქმნას სოციალური კაპიტალი;
- ინსტიტუციური ნდობის ნაკლებობა.

ასეთ საზოგადოებებში სოციალური კაპიტალი საკმარისად ხშირად არ ფიგურირებს საჯარო დისკუსიებში და პოლიტიკოსები (ისევე როგორც პოლიტიკური პარტიები) ხშირად სიფრთხილით ეკიდებიან ასეთ „ინსტიტუტს“ და მის შესაძლო „შედეგებს“. მაგალითად, ბალკანეთში, სოციალური კაპიტალისა და სოციალური ნდობის ცნებები განმარტებულია, როგორც „ძმობა და ერთობა“, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ნაციონალისტი

[30] გამოკვლევა აჩვენებს, რომ სკანდინავიის საზოგადოებებში არსებობს მოქალაქეებს შორის ნდობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი. ადამიანებს სწამთ, რომ პოლიცია დაიცავს მათ, რომ საჯარო ორგანოები არ იმართება პირადი კავშირებითა და პოლიტიკოსები არ არიან კორუმპირებულები. „მსოფლიო ღირებულებათა კვლევის“ თანახმად, 1981-2008 წლებში, ნორვეგიამ პირველი ადგილი დაიკავა ნდობის ხარისხის მიხედვით. შემდეგი ადგილები კი, შესაბამისი რიგითობით - შვედეთმა, დანიამ და ფინეთმა. ამას მოჰყვებოდა სხვა დასავლური ევროპული ქვეყნები. ნორვეგიის მოსახლეობის 74% თანხმდება, რომ „შეიძლება ადამიანების უმრავლესობის ნდობა“. იტალიაში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 29%, რუსეთში - 27%, ესპანეთში - 20%, თურქეთში კი 5%.

პოლიტიკოსების სურვილებს. ნდობის ეს ფორმა ხშირად მიუღებელია პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში, რადგანაც ის საფრთხეში აგდებს ძალაუფლებაში მყოფი პირების ინტერესებს.

სოციალური კაპიტალი და სამოქალაქო საზოგადოება

სოციალური კაპიტალის მთავარი კომპონენტებია: ნდობა, ნორმები და ურთიერთობები სოციალური ქსელების შიგნით; შესაძლებლობა, პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს დემოკრატიაზე პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხის გაზრდით; კოლექტიური მოქმედებები. ასე რომ, სოციალური კაპიტალი ავითარებს სამოქალაქო საზოგადოებას, რადგანაც ხელს უწყობს მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს.

გ. ბეზოვანის თანახმად[31], სამოქალაქო საზოგადოება განიმარტება, როგორც „ინსტიტუტების, ორგანიზაციების, ქსელებისა და ინდივიდების (ასევე მათი ფასეულობების) არეალი, რომელიც იკავებს სივრცეს ოჯახს, სახელმწიფოსა და ბაზარს შორის. აღნიშნული აქტორები ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო სამოქალაქო წესების მეშვეობით, სადაც ინდივიდები აყალიბებენ ნებაყოფლობით ასოციაციებს, საერთო ინტერესების ადვოკატირების მიზნით“. სამოქალაქო საზოგადოება არის იმ აქტივობების მთავარი ხელმშემწყობი, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვასა და რეალიზებას და დემოკრატიის შენარჩუნებას. ის განსაკუთრებულ როლს ასრულებს პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში[32]. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს, აქტიურად ჩაერთონ მშვიდობის შენების პროცესში და ზეგავლენა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებზე, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს დემოკრატიული ინსტიტუტების ხარისხზე და მთავრობის ეფექტურობაზე.

---

[31] G. Bežovan, »Zakonski, politički i kulturni okvir za razvoj civilnog društva u Hrvatskoj«, Revija za socijalnu politiku, 10 (2003.), br. 1.

[32] ომის შემდგომ პერიოდში, სამშვიდობო შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლს წარმოადგენს აღნიშნული შეთანხმებების განხორციელების მონიტორინგი. სწორედ ასეთი ორგანიზაციები ქმნის სივრცეს ნდობის შენებისა და შერიგებისათვის. თუმცა, ამ ორგანიზაციებმა უნდა მოიპოვონ მოქალაქეების ნდობა. მათ უნდა იმოქმედონ დამაჯერებლად და ა) მოითხოვონ, რომ ომის დამნაშავეები მიეცენ პასუხისგებაში; ბ) მონაწილეობა მიიღონ კვლევის, ფაქტების მოძიებისა და საზოგადოების ინფორმირების პროცესებში, იმ პროცესების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, რომელთაც ადგილი ჰქონდა კონფლიქტის დროს; გ) თანაბარი მონაწილეობა მიიღონ მსხვერპლი და დამნაშავე პირების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესში; დ) მონაწილეობა მიიღონ იმ აქტივობებში, რომელიც მიზნად ისახავს ნდობის შენებასა და შერიგებას.

მთავარ პრობლემას წარმოადგენს პოზიტიური ურთიერთკავშირის ჩამოყალიბება სოლიდარობას, ნდობასა და მონაწილეობას შორის.

პოზიტიური განწყობები ნდობის შენებასთან, ქსელების ჩამოყალიბებასთან და სოლიდარობის განვითარებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს წინაპირობას სამოქალაქო საზოგადოებაში მონაწილეობისათვის ადგილობრივი თემის თუ უფრო მაღალ დონეებზე. ამ კონტექსტში, სოლიდარობა გაგებულია, როგორც სოციალური ურთიერთობის ფორმა, რომელიც ერთიანობას ეფუძნება. ეს არის სოციალური ფენომენი, რომელსაც სათავეს უდებს იდეა, რომ ადამიანებს აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა, აქვთ უნარი, იყონ ურთიერთდამოკიდებული და მზად არიან, ემსახურონ თემისა და სხვა ადამიანების ინტერესებს. შესაბამისად, ინდივიდის მიერ სხვების (თუ საზოგადოების) დახმარება ანაზღაურდება ანალოგიური ქმედებით ინდივიდის მიმართ საზოგადოების (თუ სხვების) მხრიდან.

ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მოქალაქეებსა და დემოკრატიული საზოგადოების ინსტიტუტებს თუ პოლიტიკურ ძალებს, მნიშვნელოვანი როლი აკისრია სისტემის ლეგიტიმიზაციის კუთხით. ინსტიტუტებს არა აქვთ შესაძლებლობა, შეეჭიდონ სოციალურ პრობლემებს, მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გარეშე[33]. სამოქალაქო საზოგადოების ქსელების ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ეს ხელს უწყობს ნდობის შენებას. ასეთი კონსოლიდირებული ძალისხმევით, სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია, განავითაროს თავისი შესაძლებლობები და მიაღწიოს გაცილებით უკეთეს შედეგებს, ვიდრე ინდივიდის თუ ინდივიდუალური ორგანიზაციების ძალისხმევას[34].

ნეთვერქინგი აძლიერებს წევრი ორგანიზაციების პოზიციებს საზოგადოებაში, აუმჯობესებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობას და ავითარებს შესაძლებლობას ადვოკატირებისათვის. მთავრობა და საზოგადოება ასეთ ქსელს აღიქვამს, როგორც საინტერესო და პატივსაცემ ჯგუფს.

სამოქალაქო საზოგადოების ქსელების ჩამოყალიბების მიზნებია:

- სოციალური დისტანციის შემცირება და ნდობის, როგორც სოციალური კაპიტალის შენება;

[33] Gambetta, D. Mafia, The Price of Distrust. 1988. P 234

[34] ინსტიტუციები უფრო ადვილად თანამშრომლობენ ერთიან ქსელთან, ვიდრე ფრაგმენტირებულ მცირე ზომის ორგანიზაციებთან.

- ადამიანების, იდეებისა და აქტივობების დაკავშირება[35];
- სერვისების გაცვლის ხელშეწყობა, საერთო აქტივობებში მონაწილეობა და კამპანიების ჩატარება;
- კომუნიკაციის არხების გახსნა, ინფორმაციის წარმოება და ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა;
- სწრაფი რეაგირება კრიზისულ სიტუაციებზე, რადგანაც მიზნები წინასწარ არის შეთანხმებული და საკომუნიკაციო ქსელი – ჩამოყალიბებული;
- სოლიდარობის განვითარება, ქსელის წევრების დაცვის უზრუნველყოფა და „კოლექტიური სიმამაცის“ განვითარება;
- სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ერთიანი თემის და არა როგორც ინდივიდუალური ორგანიზაციების ერთობლიობის ფორმირება;

სამოქალაქო საზოგადოების პოზიტიური მცდელობები, სოციალური კაპიტალის განვითარების მიზნით, შეიძლება შეაფერხოს შემდეგმა ფაქტორებმა:

- მოქალაქეთა გულგრილობამ ჯგუფის თუ საერთო ინტერესების ხელშეწყობასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ხელსაყრელია მათი პირადი ინტერესებისათვის;
- პასუხისმგებლობის არარსებობამ საზოგადო სიკეთის მოტანისა და საჯარო არენის განვითარებისათვის;
- ფაქტმა, რომ მოქმედებების ორგანიზება და კოორდინაცია უნდა მოხდეს გარედან, რადგანაც არ არსებობს წამყვანი ძალა ქვეყნის შიგნით, რომელიც მოახდენდა მოქალაქეთა მოტივირებას;
- ფაქტმა, რომ საჯარო მოხელეები იდენტიფიცირებას ვერ ახდენენ ორგანიზაციის თუ ჯგუფის მიზნებთან, რაც შედეგად იძლევა პრობლემების გაგების უუნაროობასა და პასიურობას;
- კორუმპირებულმა საჯარო მოხელეებმა.

პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში, არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი რაოდენობის მიუხედავად, ხშირად სამოქალაქო საზოგადოების ქსელები არ არის ჩამოყალიბებული[36].

[35] მთავარი პრობლემა, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აწყდებიან პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, არის დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ნაკლებობა, მაგ. სამოქალაქო საზოგადოების მიმართ უნდობლობის რადიკალური ფორმა, რაც ხშირად გამოხატავს მოქალაქეთა ტოტალიტარულ მსოფლხედვას, ისევე როგორც მათ შეხედულებას, რომ საჯარო ჩართულობის ერთადერთი მიზეზი პოლიტიკური ინტერესია.

ნდობის სამი ფორმა

პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში სოციალური ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენის საკითხი მიჩნეულია ცენტრალური მნიშვნელობის საკითხად. აქ დიდ როლს ასრულებს კონსენსუსი კონფლიქტის მხარეებს შორის საერთო მომავალთან და დღის წესრიგთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მშვიდობასა და განვითარებას. თუმცა, ზოგის აზრით, მთავარი გასაღებია ემოციური ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ომგამოვლილი საზოგადოების გაჯანსაღებას, თემის განვითარებასა და მშვიდობის გამყარებას. ბუნებრივია, ტრავმის პარალელურად, რომელიც მთელმა საზოგადოებამ გამოიარა, განსაკუთრებით ძნელია „შეხების წერტილების“ პოვნა და ისეთი მექანიზმების განვითარება, როგორიც ადამიანებს დაეხმარება ჰუმანურობის, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ ნდობის აღდგენაში.

ნდობის შენებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა განსაკუთრებული მოლოდინების არსებობა (ყველაზე ხშირად – სხვების მიმართ). ხშირად არსებობს მოლოდინი, რომ სხვები აღიარებენ საკუთარ დანაშაულს, იტყვიან სიმართლეს და იკისრებენ პასუხისმგებლობას. ამ პირობებში ჩნდება შემდეგი შეკითხვები: როგორ ვაქციოთ პოტენციური ნდობა ნამდვილ ნდობად? რა უნდა გავაკეთოთ ასეთი ნდობის განსავითარებლად? ნდობის მისაღწევად აუცილებელი მთავარი რეკვიზიტებია:

- ნდობის მიღწევისა და მომავალში მშვიდობიანი თანაცხოვრების სურვილი;
- კონფლიქტის გაგებისა და ახსნის სურვილი;
- საკუთარი თავის, ჩვენი ჯგუფისა და სხვების შესახებ არსებული წარმოდგენებისა და შეხედულებების ტრანსფორმირება – კონფლიქტის გამომწვევი წარმოდგენების/შეხედულებების ტრანსფორმირება იმ წარმოდგენებად/შეხედულებებად, რომელიც მშვიდობისკენ გაგვიძღვება;
- წარსულის ნეგატიურ მემკვიდრეობასთან გამკლავება;
- პოზიტიური თანაცხოვრების წარსულის მაგალითებისა და სხვა ჯგუფების წევრების მიერ გაკეთებული კეთილი საქმეების გახსენება;
- „სხვების“ რეჰუმანიზაცია და დეკოლექტივიზაცია, როგორც მათი მიღების ნიშანი;

[36] ასეთი მდგომარეობა არაერთ ქვეყანაში მინახავს - სადაც არსებობს ათასობით არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ არა სამოქალაქო საზოგადოება. პრობლემა ის ხომ არ არის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის სუსტია კომუნიკაციაა?

- მეხსიერების კულტურის განვითარება, რომელიც გვასწავლის, თუ როგორ გვახსოვდეს წარსული ისე, რომ ეს ემსახურებოდეს მშვიდობის მიზნებს და არ წარმოადგენდეს მომავალი კონფლიქტების საფუძველს;
- ახალი ენა, ახალი ცოდნა.

მომავალ თავებში მოკლედ აღვწერ ნდობის სამ ფორმას: ინსტიტუციურ ნდობას, ინტერპერსონალურ ნდობასა და კოლექტიურ ნდობას ჯგუფის დონეზე.

ინსტიტუციური ნდობა

ინსტიტუციური ნდობა არის საზოგადოების დამაკავშირებელი ქსოვილი, რომელიც შესაძლებელს ხდის საზოგადოების ფუნქციონირებასა და განვითარებას. პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში ნდობის ეს ფორმა ან ძალზე იშვიათია ან არარეალურად მაღალი (დიდი ხნის ნანატრი მთავრობის ცვლილების შემდეგ). შესაბამისად, ახალი მთავრობების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ნდობის აღდგენა მთავრობებსა და მათ ინსტიტუტებში (აღნიშნული ინსტიტუტები მოიცავს: განათლების სისტემას, მედიას, პოლიციას, სოციალურ დაცვასა და მართლმსაჯულების სისტემებს, პარლამენტსა და სამოქალაქო სამსახურს).

სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, დაიცვან თავიანთი მოქალაქეების უფლებები და უსაფრთხოება და მიიღონ ყველა საჭირო ზომა წარსულის ნეგატიურ მემკვიდრეობასთან გასამკლავებლად (დანაშაულების გამოძიება, მსხვერპლთა და დამნაშავეთა იდენტიფიცირება, ბრალდებულთა სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა, რეპარაციის უფლების უზრუნველყოფა მსხვერპლთათვის და სტრუქტურული რეფორმების განხორციელება). ასეთი ყოვლისმომცველი მიზნის მისაღწევად აუცილებელია ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება. ასეთი რეფორმები უნდა დაიწყოს საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებით, რათა მათ ესმოდეთ პირადი და ინსტიტუციური პასუხისმგებლობა ნებისმიერი ქმედებისათვის და აცნობიერებდნენ ღიაობის საჭიროებას მოქალაქეთა მოთხოვნების მიმართ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების, სამართალდამცავ და სასჯელაღსრულების ინსტიტუტებზე ფოკუსირება, იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად სწორედ ეს ინსტიტუტებია დაკავშირებული წარსულში ჩადენილ მასობრივ უფლებადარღვევებთან. არ დაგვავიწყდეს, რომ აღნიშნული ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირება წარმოადგენს საფუძველს მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის,

სისტემის ფუნქციონირებისა და მოქალაქეთა ინსტიტუციური ნდობის განვითარებისათვის.

კონფლიქტების შემდეგ ინსტიტუტების შენების, საზოგადოების აღდგენისა და მშვიდობის შენარჩუნების პროცესში ბევრ ქვეყანაში იყენებენ გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმებს, რათა განავითარონ სხვადასხვა სტრატეგია, რომელიც უპასუხებს ქვეყანაში არსებულ კონკრეტულ ვითარებას. აღნიშნული სტრატეგიები მიზნად უნდა ისახავდეს: ა) მისაღები პლატფორმის შემუშავებას ეფექტური და რეალისტური აქტივობებისათვის, უსამართლობის აღმოსაფხვრელად და იმ ტრავმის განსაკურნად, რომელიც შეიარაღებულმა კონფლიქტებმა მოიტანა. ბ) ინსტიტუტების მიმართ ნდობის აღდგენას და უფლებადარღვევების განმეორების პრევენციას. აღნიშნული პროცესი მოიცავს ადამიანის უფლებების დარღვევებისა და ომის დანაშაულების მემკვიდრეობასთან გამკლავებას, რომლის მიზანიც უნდა იყოს საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ტრანსფორმაცია. საბოლოო მიზანს წარმოადგენს ისეთი ინსტიტუციური და სოციალური სისტემის შექმნა, სადაც უზრუნველყოფილი და დაცული იქნება დემოკრატიული ფასეულობები და ადამიანის უფლებები. აღნიშნულის წინაპირობას კი წარმოადგენს პოლიტიკური კონსენსუსი თავად საზოგადოებაში, რომელიც შეესაბამება კონსტიტუციურ წესრიგს და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს.

იმისათვის, რომ მოქალაქეებს საკუთარი თავისა და საჯარო ინსტიტუტების მიმართ განუვითარდეთ ნდობა (ეფექტური, წარმომადგენლობითი და დამაჯერებელი), ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს:

- სოციალური დაცვისა და მართლმსაჯულების სისტემები, რომელიც ეფუძნება მოქალაქეთა თანასწორობას და ეს აღქმულია მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ;
- საკანონმდებლო ჩარჩო[37], რომელიც უზრუნველყოფს საჯარო მოხელეთა გამოცდას/ტესტირებას ყველა დონეზე და ინსტიტუტების მიერ პროფესიონალიზმის, გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვა;
- ინსტიტუციური და არასამართლებრივი მექანიზმების გაუმჯობესება და გაძლიერება; სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივები ღია, ფუნქციური და პროდუქტიული დიალოგისათვის წარსულთან, სიმართლის ძიებასთან

[37] პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებებში, კანონის უზენაესობას ხშირად ანაცვლებს ინდივიდების მიერ შექმნილი წესების უზენაესობა.

30 | გ ე ო ნ ა ხ ი ს ა ნ ი ს ტ ი ტ უ ტ ი ს ა ნ ი ს ტ ი ტ უ ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ნ დ ო ბ

და სიმართლის თქმასთან დაკავშირებით წარსულში ჩადენილი ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების შესახებ;

- დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, რადგანაც არსებობს შეხედულება, რომ გარდამავალი მართლმსაჯულების არც ერთ სხვა მექანიზმს არა აქვს მსგავსი სახის ძლიერი ზეგავლენა ინდივიდებზე, მსხვერპლთა მოძრაობასა და საზოგადოებაზე. დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ სამართლიანობა მიღწევადია და სისტემა ფუნქციონირებს, რაც არის წინაპირობა ნდობის აღსადგენად ინსტიტუტებსა და სისტემაში.
- ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მსხვერპლთა მონაცემების შესახებ სამართლებრივად განსაზღვრული, ჰარმონიზებული და დაცული სისტემის განვითარება; მსხვერპლთა რეპარაცია.
- მსხვერპლთა ასოციაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების კომუნიკაცია სამთავრობო დაწესებულებებთან, პირველ რიგში, კონსულტაციებისა და საჯარო დიალოგის სხვა ფორმების გზით, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება პრობლემის გადასაჭრელად საჭირო სისტემურ ცვლილებებთან დაკავშირებით;
- კოლექტიური მეხსიერების განვითარება, შენარჩუნება და დიალოგის ინიცირება წარსულთან დაკავშირებით, რათა თავიდან ავიცილოთ დანაშაულის განმეორება.

ყველა საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში, სტერეოტიპები და წინასწარი განწყობები ხშირად იწვევს რასიზმის ინსტიტუციონალიზაციას. ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებაში არსებული განსაზღვრული ჯგუფები დანახულია წინასწარი განწყობებისა და სტერეოტიპების ლინზით. ამის შედეგად, საჯარო ინსტიტუტები უნდობლობას გამოხატავენ ასეთი ჯგუფების წევრთა მიმართ. თავის მხრივ, ასეთი ჯგუფების წევრებს უნდობლობა უჩნდებათ საჯარო ინსტიტუტების მიმართ. ინსტიტუციონალური რასიზმის ამ ფორმას იმდენად ღრმა ფესვები აქვს და მისი გარჩევა იმდენად ძნელია, რომ ხშირად ხელისუფლების ორგანოებისთვის მათი არსებობა უცნობია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის თანახმად, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ საჯარო ინსტიტუტები იყოს დამოუკიდებელი და წარმომადგენლობითი და იმოქმედოს პასუხისმგებლობით (პირველ რიგში, გარე და შიდა კონტროლის მექანიზმების შემოღებით). მხოლოდ ამ ინსტიტუტების აღდგენისა და გააქტიურების შემდეგ იქნება შესაძლებელი მათი მხრიდან მუშაობა ნდობის აღდგენისათვის ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის.

ინსტიტუციური ნდობის არარსებობა იწვევს პიროვნებათა შორის უნდობლობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ უნდობლობის

„ინსტიტუციონალიზაციაც“ არის შესაძლებელი იმ შემთხვევაში, როცა საჯარო მოხელეებს უნდობლობა აქვთ ერთმანეთის მიმართ ინსტიტუტების შიგნით. ამ დროს ინსტიტუტების თანამშრომელთა ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული წესების ფარგლებში, რომელიც ყალიბდება მოლაპარაკების შედეგად. ხოლო, პირიქით, როცა თანამშრომელთა შორის არის ნდობა და ისინი მოქმედებენ საერთო დემოკრატიული, ცივილური და ეთიკური ნორმების საფუძველზე, თანამშრომლობა გაცილებით უფრო მარტივია და შესაბამისად უკეთეს შედეგებს იძლევა. ასეთ ინსტიტუტებთან ჩართულობით, საზოგადოებებიც უფრო უწყობს ხელს ცვლილებებს.

თუმცა, სინამდვილე სხვაგვარია. ინსტიტუტები არ არიან დაინტერესებული, აღიარონ მოქალაქეთა საჭიროებები (ხშირია წარმოდგენა, რომ მოქალაქეები არსებობენ ინსტიტუტებისათვის და რომ ინსტიტუტები „ანიჭებენ“ უფლებებს მოქალაქეებს, ნაცვლად იმისა, რომ პირიქით იყოს). ინსტიტუტები ადვილად ექცევიან პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ. არსებობს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება მოქალაქეებს შორის, რომ ინსტიტუტები კონკრეტული ჯგუფების თუ პოლიტიკური პარტიების ინტერესების გასატარებლად მუშაობენ (ყოფილ იუგოსლავიაში, მოქალაქეები პოლიტიკურ პარტიებს აიგივებენ ინსტიტუტებთან. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის შემცირება თავისთავად ამცირებს ინსტიტუციურ ნდობას. გარდა ამისა, არსებობს პოპულარული აზრი, რომ პოლიტიკური პარტიები მუშაობენ არა საჯარო სარგებლისათვის, არამედ თავიანთი პარტიისა და მხარდამჭერებისათვის).

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა ის, რომ საზოგადოება ინსტიტუტებს აღიქვამს, როგორც არაწარმომადგენლობითს, რადგანაც ისინი არ მოიცავს გარკვეული ჯგუფების წარმომადგენლებს – მაგალითად, გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს. ასეთი ინსტიტუტები არ არიან დაინტერესებული, მიიღონ ზომები, რათა რეპარაციები უზრუნველყონ ომის მსხვერპლთათვის, უზრუნველყონ მათი დევიქტიმიზაცია და რესოციალიზაცია და გაუჩინონ რწმენა, რომ სამართლიანობა აღდგა. არაეფექტურ და არასანდო ინსტიტუტებს არ შეუძლიათ პასუხისმგებლობის აღება და იმ როლის შესრულება, რაც ევალებათ თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში. ნაცვლად იმისა, რომ უკეთესი მომავლისა და განვითარების რწმენა გააძლიერონ, აღნიშნული ინსტიტუტები იწვევს უნდობლობას, გულგრილობასა და მოქალაქეთა პასიურობას.

დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტიანობა პირდაპირ არის დაკავშირებული მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობასთან სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში, რომლებიც უზრუნველყოფს მათი პოლიტიკური წარმომადგენლების მიერ ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას. მართალია, ამქვეყნად არ არსებობს სახელმწიფო, სადაც ყველა მოქალაქე

სრულად იქნება გაცნობიერებული და ექნება სურვილი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში, მაგრამ სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურა აუცილებელია დემოკრატიის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. მოქალაქეები, რომელთა ინსტიტუტები იღებენ შემთხვევით გადაწყვეტილებებს და უპირატესობას ანიჭებენ ინდივიდებს მათი ჯგუფური კუთვნილების გამო, აცნობიერებენ ასეთი ინსტიტუტების უსამართლობას და ვერ აღიქვამენ მათ, როგორც მოქალაქეთა ინტერესების ჭეშმარიტ დამცველებს.

ინსტიტუტები როცა არ ასრულებენ სამუშაოს სათანადოდ, მოქალაქეები არ გრძნობენ ვალდებულებას, პატივი სცენ არსებულ წესებს, რასაც შედეგად მოაქვს ქაოტური სოციალური ურთიერთობები და არასტაბილურობა[38]. ასეთ ქვეყნებში არსებული ყოვლისმომცველი უნდობლობის კლიმატი იწვევს პოლიტიკური მონაწილეობის დაბალ ხარისხს[39], რაც წარმოადგენს წინაპირობას მშვიდობის შენებისა და დემოკრატიის განმტკიცებისათვის.

საერთაშორისო ინსტიტუტები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნდობის შენების პროცესში (ხშირად, მოქალაქეების მოლოდინი საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ უფრო დიდია, ვიდრე ქვეყნის შიგნით არსებული საკუთარი ინსტიტუტების მიმართ. თუმცა, საერთაშორისო ინსტიტუტებსაც იგივე პრობლემები აქვს, რაც შიდასახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს ახასიათებს). მაგალითად, ყოფილი იუგოსლავიის

---

[38] რუმინელი მეცნიერის, ალინა მუნგიუ პიპიდის მიხედვით, ტრანზიციის პროცესები ბალკანეთში ხშირად მთავრდება, როგორც „სიმულირებული ცვლილება“ - მთავრობები თავს იკატუნებენ, თითქოს მართავენ, მოქალაქეები - თითქოს ემორჩილებიან, სინამდვილეში კი, არაფორმალური მმართველობა ყვავის, კანონებს იშვიათად ასრულებენ, არაფორმალური წესრიგი ანაცვლებს ფორმალურს. „**[...]** ასეთ ქვეყნებში ვითარდება თანამედროვე ბიუროკრატია. გლეხები რჩებიან ადგილობრივ ძალაუფლებაზე დამოკიდებულები. ხელისუფლება პირადი ქსელებით იმართება. მტაცებლები აკონტროლებენ ეკონომიკას. ისინი იღებენ არა მხოლოდ ლომის წილს სხვადასხვა რესურსებიდან, არამედ, ასევე, გამდიდრების პროცესში იწვევენ მასობრივ სიღარიბეს საზოგადოების დანარჩენ ნაწილში. დემოკრატიის გარკეული გამოხატულებები შეცდომაში შემყვანია და უმეტესწილად, წარმოადგენს ფორმას, შინაარსის გარეშე“. *Mungiu-Pippidi, A. (2005). “Deconstructing Balkan Particularism”. Pp 49-50.*

[39] გალუპ ბალკან მონიტორის (Gallup Balkan Monitor) 2010 წლის კვლევამ აჩვენა, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინის მოსახლეობის ნახევარზე ცოტა ენდობა მართლმსაჯულებას, ორ მესამედზე მეტს კი არანაირი ნდობა არ აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების ან სხვა პარტიების მიმართ. ინსტიტუციური ნდობის ასეთი ნაკლებობის ერთ-ერთი შედეგია მოქალაქეების დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა. კერძოდ, მთელი მოსახლეობის ერთ მეხუთედზე ნაკლებია სამოქალაქო ასოციაციების წევრი, ერთ მეათედზე ნაკლებია აქტიურად ჩართული ასოციაციების საქმიანობაში, უმეტესად რელიგიურ, სპორტულ ან გასართობი სახის ასოციაციებში ან პროფკავშირებში.

საერთაშორისო ტრიბუნალი წლების განმავლობაში გამოყოფდა მნიშვნელოვან ფინანსებს პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად და საჯარო ნდობის მოსაპოვებლად დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში. თუმცა, შეუძლებელია შედეგების „ყიდვა“. ავიღოთ ბილჯანა პლავიჩის (Biljana Plavšić) მაგალითი. ბილჯანა პლავიჩს 11 წელი მიუსაჯეს, რადგანაც მხედველობაში მიიღეს მის მიერ დანაშაულის აღიარება. ციხეში ყოფნისას მან დაწერა წიგნი, სადაც უარყოფდა დანაშაულის ჩადენას. იგი შეიწყალეს და გაათავისუფლეს. შესაბამისად, სერბების ნაწილმა ჩათვალა, რომ მიღწეულ იქნა გარკვეული სამართლიანობა და გაუჩნდათ გარკვეული ნდობის ხარისხი ჰააგის ტრიბუნალის მიმართ; მაშინ, როცა ბოსნიელებმა ჩათვალეს, რომ ეს იყო უსამართლობის კიდევ ერთი მაგალითი, რაც იწვევდა ტრიბუნალის მიმართ ნდობის დაკარგვას (ჩნდება შეკითხვა – მხოლოდ მსხვერპლი წყვეტს, რა არის სამართლიანი, თუ ასევე დამნაშავეები? ყველას მიმართ გამოიყენება ეს პრინციპი თუ მხოლოდ სუსტების მიმართ?).

ინტერპერსონალური ნდობა – ნდობა ინდივიდებს შორის

დანიელმა ფილოსოფოსმა, კნუდ აილერტ ლოგსტრაფმა (Knud Eilert Løgstrup (1905-81)), თავის ნაშრომში – „ეთიკური მოთხოვნა“ (Den etiske fordring (1956)) – დაწერა შემდეგი: „ჩვენ არ ვაყენებთ ერთმანეთის სიტყვების გულწრფელობას კითხვის ქვეშ. ჩვენ ვენდობით ერთმანეთს. ეს შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ეს ჩვენი ბუნებიდან, ადამიანობიდან გამომდინარეობს. ჩვენ ვერც ვიქნებით სხვანაირები. ეს შეეწინააღმდეგებოდა ჩვენს არსებობას. უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა სხვანაირად ცხოვრება; ერთმანეთის მიმართ უნდობლობა, მოლოდინი, რომ ერთმანეთს ვატყუებთ ან ვქურდავთ, გამოფიტავდა ჩვენს სულს, დააკნინებდა ჩვენს ცხოვრებას“.

უნდობლობა მძიმე და ზიანის მომტანია როგორც მისთვის, ასევე ჩემთვის. ორივეს გვჭირდება პროგნოზირებადი მომავალი – მომავალი, რომელშიც შესაძლებელი იქნება, ერთმანეთს ვენდოთ. ნიშნავს თუ არა ეს, რომ რისკზე უნდა წავიდეთ და გავბედოთ ერთმანეთის ნდობა? დიახ, თუ გვინდა ვიცხოვროთ, როგორც ღირსეულმა ადამიანებმა. ის, რომ ალტერნატივა გაცილებით უარესია – ცხოვრება შიშში, უნდობლობასა და ჩვენივე თავის მიერ მისჯილ პატიმრობაში – ნიშნავს თუ არა, რომ ჩვენ არა გვაქვს სხვა არჩევანი? ჩანს, რომ ამის თქმა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე გაკეთება.

ნდობა ინდივიდუალური გრძნობაა, რაც სხვებთან ურთიერთობის პოზიტიური გამოცდილების შედეგად ჩნდება. ის ვითარდება შემდეგი ნიშნების საფუძველზე: ტრადიციული ნიშნები, რომელიც ჩვენს ჯგუფს ახასიათებს; ჩვენი პირადი გამოცდილებები; უნივერსალურ ფასეულობებზე დაფუძნებული პიროვნული ურთიერთობები. ნდობა არის ყველა ადამიანური

ურთიერთობის სათავე. ის შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს, დაუკავშირდნენ ერთმანეთს და შესაძლებელს ხდის მათ თანაარსებობას. ჩვეულებრივ, რთულია საუბარი ნდობაზე და მის აღდგენაზე პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში. როგორ უნდა აღვადგინოთ ის, რაც განადგურდა? ომმა გაძარცვა ადამიანები ერთმანეთის, საზოგადოების, თავიანთი მომავლისა და სამართლიანობისადმი ნდობისაგან.

ჩემი აზრით, ინდივიდუალური ნდობა შეიძლება აღდგეს მხოლოდ მაშინ, როცა მზად ვიქნებით ვაღიაროთ/მოვყვეთ ჩვენი ისტორია სხვების ისტორიების მოყოლის საშუალებით და მაშინ, როცა მზად ვიქნებით, ნება დავრთოთ სხვებს, მოყვნენ ჩვენი ისტორია (ომის დროს როცა გვესმოდა ახალი ამბები, თუ როგორ გაათავისუფლა ჩვენმა ჯარმა კონკრეტული ქალაქი, ჩვენ ვფიქრობდით – კარგია, ეს კარგია. თუმცა, ჩვენ არ ვფიქრობდით იმაზე, თუ რა ემართებოდათ იმ ადამიანებს, რომლებიც იმ ქალაქებში ცხოვრობდნენ. სანამ ჩვენ არ დავიწყებთ დიალოგს ამ ადამიანებთან, ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, თუ რა მოხდა. რატომ უნდა გვქონდეს კონფლიქტის ერთ მხარეს დაზარალებულ ადამიანებს ნეგატიური გრძნობები და უნდობლობა იმ ადამიანების მიმართ, ვინც კონფლიქტის მეორე მხარეს დაზარალდა?).

ნდობის აღდგენის წინაპირობაა ერთმანეთის, როგორც ინდივიდების და არა როგორც ჯგუფის წევრების აღქმა. ბოლოს და ბოლოს, ნორმალურ ვითარებაში, ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებენ ინდივიდები და არა ჯგუფები[40]. და როცა ასე არ ხდება, ჩვენ უნდა ვისწავლოთ, როგორ შევძლოთ ეს, რადგანაც გამოცდილება გვეუბნება, რომ ინდივიდები ჯგუფების სახით როცა ურთიერთობენ, ჩნდება გაუგებრობა, უნდობლობა, ხდება თემების განზოგადება და იმარჯვებს უგუნურება. ამ დროს ჩვენ ინდივიდის იდენტობას ვაიგივებთ ჯგუფის იდენტობასთან. სწორედ აქ ვავლებთ საზღვარს. სწორედ აქ შევიგრძნობთ ძლიერ ემოციებს, ვამართლებთ დისკრიმინაციას და გვმართავს შიში. სწორედ ამიტომ მე, როგორც ინდივიდი, ვეწინააღმდეგები ყველაფერს, რაც კოლექტიურია.

მე ხშირად ვიხსენებ ბრიტანული კომედიური ჯგუფის, მონტი პაითონის მიერ დადგმულ სცენას სკეტჩიდან „ბრაიანის ცხოვრება“:

„ბრაიანი: გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ, მომისმინეთ! ერთი-ორი რაღაც მინდა გითხრათ.

ხალხი: გვითხარი! გვითხარი ორივე!

[40] რეალურ ცხოვრებაში, ჩვენ ვხვდებით არა ერს, არამედ ინდივიდს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მე ვიტყოდი, რომ ყოფილ იუგოსლავიაში არ არსებობს უნდობლობა და მტრობა ინდივიდებს შორის - უნდობლობა ყოველთვის სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებობს. სწორედ აღნიშნული სახის უნდობლობაა ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც იწვევს ომს.

ბრაიანი: მისმინეთ, თქვენ ცდებოდით! თქვენ მე არ უნდა დამემორჩილოთ, თქვენ არავის არ უნდა დაემორჩილოთ! თქვენ ემორჩილებით მხოლოდ საკუთარ თავს! თქვენ ყველა ინდივიდები ხართ!

ხალხი: დიახ! ჩვენ ყველა ინდივიდები ვართ!

ბრაიანი: თქვენ ყველანი განსხვავებულები ხართ!

ხალხი: დიახ! ჩვენ ყველანი განსხვავებულები ვართ!

კაცი (ხალხის ჯგუფიდან): მე არ ვარ განსხვავებული.

ხალხი: ჩუმად![41]“

ჩვენ ვთანხმდებით, რომ ომის დროს ჩვენ წინააღმდეგ გამოვიდნენ ინდივიდები. მათ ჩვენ შეგვარჩიეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვეკუთვნოდით კონკრეტულ ჯგუფს; თუმცა, ჩვენ ვთანხმდებით იმაზეც, რომ ჯგუფური კუთვნილება არ განსაზღვრავს, როგორი ინდივიდები ვართ. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ კარგი და ცუდი, სანდო და არასანდო ადამიანები ყველა ჯგუფში არსებობენ. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ ვამბობთ – „მე არ ვენდობი მათ“?

ჩემი აზრით, პირველ რიგში, ჩვენ უნდა დავტოვოთ ჯგუფები (ბევრი ადამიანი იმალება ჯგუფში, რათა გაექცეს ადამიანად ყოფნის პასუხისმგებლობას). იყო ჯგუფისაგან თავისუფალი, ნიშნავს, იყო დამოუკიდებელი. მხოლოდ თავისუფალი ადამიანი შეიძლება იყოს სანდო – თავისუფალი წინასწარი განწყობებისა და საკუთარი ეგოსაგან. ამის შემდეგ კი უნდა ვისწავლოთ, რომ შეხედულებების წინასწარ შექმნა ადამიანებზე არასწორია და შესაძლებლობა მივცეთ მათ, თავად შეგვიქმნან წარმოდგენები.

კოლექტიური ნდობა – ნდობა ჯგუფურ დონეზე

ბუნებრივია, რომ ნდობა არ არსებობს მხოლოდ ინტერპერსონალურ დონეზე. პერუელი მწერლის, ლიოსას გაგებით, ჯგუფებსაც შეიძლება ახასიათებდეს ინდივიდების მსგავსი ნდობა თუ უნდობლობა. კოლექტიური ნდობა კი ის მდგომარეობაა, როცა ინდივიდები არჩევანს აკეთებენ ჯგუფური კუთვნილების საფუძველზე. ჩემი ქალაქის, მოსტარის დაბომბვამდე ორი თუ სამი დღით ადრე, სერბების დიდი უმრავლესობა სამსახურში არ გამოცხადდა. ზოგმა თქვა, რომ „საქმეზე იყო წასული“, ზოგმა ავადმყოფობა მოიმიზეზა, ზოგს ბავშვი გაუხდა ავად. თუმცა, როცა პირველი ბომბი ჩამოვარდა და დაბომბვა რამდენიმე კვირის განმავლობაში გაგრძელდა, მივხვდი, რომ სინამდვილეში მათ ქალაქი დატოვეს – სერბებით დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებს მიაშურეს. მოგვიანებით გავიგე, რომ ისინი წინასწარ გააფრთხილეს. მათ უთხრეს, რომ მოსტარის „გათავისუფლებას“ რამდენიმე დღე დასჭირდებოდა და ამის შემდეგ შეეძლოთ სახლებში დაბრუნება. მათ

[41] http://www.youtube.com/watch?v=QereR0CViMY

მოგვიანებით თქვეს, რომ წავიდნენ, რათა შეერთებოდნენ თავიანთ ხალხს – თითქოს მე არ ვეკუთვნოდი მათ ხალხს.

აღმოჩნდა, რომ ბევრ ადამიანს, რომელსაც მეგობრად ვთვლიდი, საერთოდ არ ანაღვლებდა ჩემი და ჩემი შვილების უსაფრთხოება. ისინი წავიდნენ ისე, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ მოსალოდნელ სამხედრო შეტევაზე. დღეს, ამდენი წლის შემდეგ, მე ვეკითხები ჩემს თავს – ოდესმე შევძლებ, რომ ისევ ვენდო მათ? იგივეს ხომ არ გააკეთებენ მომავალში? გავბედავ ისევ რისკზე წასვლას? და თუმცა ჩემი გონება მეუბნება, რომ მათ ისევ უნდა ვენდო, როგორ ვაგრძნობინო იგივე ჩემს გულს? ნდობას ხომ მხოლოდ გონება არ წყვეტს. არ არის მარტივი, ერთხელ დაკარგული ნდობა აღადგინო და ამ პროცესში ასევე დაიბრუნო საკუთარი თავი.

მოსტარის ძველი ხიდი როცა აღადგინეს, ბევრი ენთუზიაზმით სავსე განცხადება გაკეთდა, რომ ეს ხიდი აღადგენდა ნდობას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ჩემმა ერთ-ერთმა სტუდენტმა ამ თემაზე ინტერვიუები აიღო მოსტარის მოსახლეობისგან. მისმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა: „როგორ უნდა დაგვაკავშიროს ერთმანეთთან ქვამ, როცა ამას გული ვერ აკეთებს“? მართლაც, ყველაზე დიდი გამოწვევაა ჩვენი საკუთარი თავის აღდგენა, რაც მოიცავს ფუნდამენტური ღირებულებების, მათ შორის, ნდობის აღდგენას.

როგორ უნდა აღვადგინოთ საკუთარი თავი? როგორ უნდა აღვადგინოთ ჯგუფები, რომ მივაღწიოთ ნდობას, მშვიდობიანი განვითარებისა და საერთო მომავლისთვის?

მულტიეთნიკურ საზოგადოებებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი უნდა იყოს „სხვების“ შიშის შემცირება. 2014 წლის 7 თებერვალს ბოსნია-ჰერცოგოვინაში საპროტესტო მოძრაობები დაიწყო. პროტესტის მიზეზს წარმოადგენდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე მიიყვანა. საპროტესტო მოძრაობებისას, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ნდობა განსაკუთრებით დაბალი იყო. ამან შეიძლება ახსნას, თუ რატომ მოახერხეს პოლიტიკოსებმა სერბთა რესპუბლიკაში მოქალაქეთა დარწმუნება, არ შეერთებოდნენ საპროტესტო აქციებს ქვეყნის იმ ნაწილში, რომელიც ბოსნიელი უმრავლესობით იყო დასახლებული. მათი განცხადებით, პროტესტის მიზანი სერბთა რესპუბლიკის გაუქმება იყო. იგივე მოახერხეს ნაციონალისტმა ლიდერებმა ხორვატი უმრავლესობით დასახლებულ ადგილებში. იგივე იყო მათ მიერ გამოყენებული არგუმენტიც – რომ საპროტესტო აქციები ხორვატი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული[42]. ამის შედეგად, საპროტესტო აქციები გაიმართა ქვეყნის

[42] Vidi IWPR, 21 februar 2014. http://iwpr.net/report-news/bosnias-serb-entity-immune-protests

მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ბოსნიელი უმრავლესობით იყო დასახლებული, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ყველა მოქალაქე, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, განიცდიდა მძიმე ეკონომიკური ვითარების შედეგებს. ბოსნია-ჰერცოგოვინა მკვეთრად დაყოფილი საზოგადოებაა, სადაც ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებები ერთმანეთთან არსებითად შეუთავსებელია. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ინდივიდი ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნება, ენდოს სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს, უპირატესობას მაინც საკუთარ ეთნიკურ ჯგუფსა და ეროვნულ იდენტობას ანიჭებს. ასე აგრძელებენ მოქალაქეები იგივე არჩევანის გაკეთებას როგორც აწმყოში, ასევე მომავალში (ამ დროს მიჩნდება კითხვა – სად ვიქნებით მე და ჩემი მეზობელი ახალი კრიზისის დროს?).

გარდა იმისა, რომ ადამიანებს ეშინიათ ერთმანეთის, ყოფილი იუგოსლავიის ყოფილი მოქალაქეები აღარ იზიარებენ იდეას, რომ ისინი ეკუთვნიან ერთ კულტურულ ტერიტორიას (ამ იდეას მხარი დაუჭირა მოქალაქეთა 6%-მა ბოსნია-ჰერცოგოვინაში, 2%-მა – მონტენეგროსა და მაკედონიაში და 1%-მა – ხორვატიაში[43]). ადამიანებს არ უნდათ აღიარება, რომ არსებობს ერთი კულტურული ტერიტორია. საინტერესოა, როგორი იქნებოდა შედეგები, მათთვის რომ ეკითხათ, თუ რა მუსიკას უსმენენ ან რა წიგნებს კითხულობენ. ნათელია, რომ ადამიანებს არ სურთ გაიზიარონ კულტურული ტერიტორია იმ ხალხთან, რომელსაც არ ენდობიან. იგივე გამოკითხვამ აჩვენა, რომ ნდობის ხარისხი სხვა ერების მიმართაც ნაკლებია და დაახლოებით 25-40% შორის მერყეობს. მაგალითად, სერბეთში, მოსახლეობის 43% ენდობოდა სლოვენიელებს, მაშინ, როცა ნდობის ხარისხი სხვა ხალხების მიმართ მნიშვნელოვნად დაბალია – 33% ენდობა მონტენეგროელებს და 9% – ალბანელებს. ალბანელების 7% -მა განაცხადა, რომ ისინი ენდობიან სერბებს.

წინა პარაგრაფში აღწერილი ნდობა გულისხმობს „საზღვრებშორის“ ნდობას. თუმცა, როგორც კი საკუთარი ქვეყნის საზღვრებს შიგნით აღმოჩნდებიან, ნათელია, რომ ადამიანები აცნობიერებენ ნდობის აღდგენის საჭიროებას. ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი გამოკითხვა[44] ბოსნია-ჰერცოგოვინის მოქალაქეების განწყობების შესახებ შერიგებისა და რელიგიის საკითხების მიმართ, რომელიც ომის შემდეგ ჩატარდა, ადასტურებს მოსახლეობის უდავო მხარდაჭერას შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესების მიმართ ქვეყანაში. ედინბურგის უნივერსიტეტისა და რელიგიის

[43] Survey: 20 Years After 1991. European Fund for the Balkans, April 12th 2012. Survey covered generations of people born in 1971 and 1991 http://www.openmontenegro.eu/2012/04/13/zapadni-balkan-nepovjerenje-medu-narodima-sfrj/

[44] 'Building Understanding, Appreciating Reeligious and Social Diversity. The survey was conducted in 2013 in: Sarajevo, Mostar, Banja Luka, Stolac, Jajce, Tuzla, Srebrenica, Livno, Bijeljina, Brčko, Trebinje, Bihać and Teslić.

საკითხებზე ემპირიული კვლევების ცენტრის წარმომადგენლების მიერ 2013 წლის ნოემბერში მედიის მიმართ გაგზავნილი პრეს-რელიზები წარმოაჩენს აღნიშნული გამოკითხვის ზოგიერთ შედეგს:

რესპონდენტთა 77%-ს სჯერა, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინაში მნიშვნელოვანია შერიგების პროცესები, რომელიც დაეფუძნება ნდობასა და გულწრფელობას. გაცილებით ნაკლები იყო რესპონდენტთა პოზიტიური განწყობა პოლიტიკოსების პოტენციურ როლთან დაკავშირებით შერიგების პროცესში (51.9%-მა აღნიშნა, რომ ისინი ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს). რესპონდენტები ასევე მტკიცედ უჭერდნენ მხარს ისეთ პროცესს, რომელშიც პოლიტიკოსები სერიოზულად მიიღებდნენ ჩვეულებრივი ადამიანების აზრებს (76.8%). გარდა ამისა, რესპონდენტებმა ძლიერი მხარდაჭერა გამოხატეს (77.8%) იმ აქტივობების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობს მოქალაქეთა განსხვავებულობის გაგებასა და პატივისცემას. გამოკითხვამ ასევე აჩვენა მოქალაქეთა განსაკუთრებით ძლიერი მხარდაჭერა შერიგების პროცესების მიმართ რელიგიურ რესპონდენტებსა და ყოფილ ჯარისკაცებს (ომის ვეტერანებს) შორის. შერიგების პროცესების ყველაზე ძლიერი მხარდამჭერები აღმოჩნდნენ პენსიონერები. პასუხებს შორის მსგავსების ხარისხი უფრო მაღალი იყო იმ ბოსნიელებს, სერბებსა და ხორვატიელებს შორის, რომლებიც უმცირესობებს წარმოადგენენ თავიანთ ადგილობრივ ტერიტორიებზე, ბანჯა ლუკაში, ბუგოინოში, მოსტარსა და სარაევოში, ვიდრე იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც ეკუთვნიან შესაბამის ეთნიკურ ან ეროვნულ ჯგუფს და ცხოვრობენ ტერიტორიაზე, სადაც წარმოადგენენ უმრავლესობას.

იგივე შედეგები აჩვენა ბოზო სკოკომ (Bozo Skoko)[45]. მართალია, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა იდენტიფიცირებას ახდენდა, როგორც სამი მთავარი ჯგუფიდან ერთ-ერთი, მხოლოდ 8%-მა თქვა, რომ მხედველობაში იღებენ ეროვნულ იდენტობას ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, როგორიცაა მეგობრობა და პირადი ცხოვრება. აღნიშნული კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ამ ქვეყანაში პრობლემა არსებობს არა ინდივიდუალურ, არამედ ჯგუფურ დონეზე. თუმცა, აღნიშნული ასევე აჩვენებს, რომ მოქალაქეებმა დაიწყეს იმ ზიანის გაცნობიერება, რაც მოაქვს იდეოლოგიურად მოწინააღმდეგე ეროვნულ-რელიგიურ ჯგუფებად დაყოფას საზოგადოებაში (თუმცა, რთულია, არ მიიღო მოწვევა და ვალდებულებები „ჯგუფისაგან“, როცა ასეთი მოწვევა მომდინარეობს ნაციონალისტი პოლიტიკოსებისაგან, რომლებიც ფლობენ სტრუქტურულ ძალაუფლებას, შესაბამისად – დასჯის უფლებას). თუმცა, აღნიშნული შედეგები ასევე გვახსენებს, რომ ყველა ჯგუფის წარმომადგენელი, მათ შორის – ყველაზე

[45] Bozo Skoko, *Što Hrvati, Bošnjaci i Srbi misle jedni o drugima a što o Bosni i Hercegovini*. p. 15. Friedrich Ebert Stiftung, 2011. See http://library.fes.de/pdf-files/bueros/sarajevo/09256.pdf

რელიგიური და არარელიგიური, ყველა ასაკისა და პროფესიისა – სერიოზულად ეკიდება შერიგების საჭიროებას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, მთელ ქვეყანაში, საზოგადოების ნებისმიერ დონეზე ჩაერთოს რაც შეიძლება მეტი განსხვავებული მონაწილე, რათა პროცესი იყოს წარმატებული. ამ პროცესში უნდა ჩაერთონ ასევე ის ადამიანები, რომლებიც სკეპტიკურად არიან განწყობილი მის მიმართ.

იმ საკითხის კვლევისას, თუ „რაში სდებენ ბრალს“ ადამიანები სხვებს და რა უშლის ხელს მათ ურთიერთობას, გამოვლინდა ასეთი შედეგი: ყველა ჯგუფის ნეგატიური წარმოდგენები[46] დაკავშირებულია ომთან და ძალადობასთან. ომი და მისგან მიყენებული ტრავმა ჯერ კიდევ გამჯდარია ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში და წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას ადამიანებს შორის ურთიერთობებში (Skoko p.17). მათ შორის ჯერ კიდევ არსებობს უნდობლობა[47].

სკოკო შეეცადა, დაედგინა, თუ რა შეაცვლევინებდა რესპონდენტებს აზრს ინდივიდებთან და ჯგუფების წევრებთან დაკავშირებით. შედეგების მიხედვით, ხორვატიელები და სერბები ითხოვენ ბოსნიელებისაგან, არ შეურაცხყონ სახელმწიფო და საჯარო ინსტიტუტები (რესპოდენტთა დაახლოებით 50%) და უფრო ღია იყონ დანარჩენი ორი ერის მიმართ (დაახლოებით 40%). სერბები (ხორვატიელებისაგან განსხვავებით) ბოსნიელებისაგან ითხოვენ ომთან დაკავშირებული დანაშაულის აღიარებას და ბოდიშის მოხდას (სერბების 58%), მაშინ, როცა ხორვატიელების მხოლოდ 15% თვლის, რომ ბოსნიელებმა ბოდიში უნდა მოუხადონ სერბებს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამო. ხორვატიელებიც (61%) და ბოსნიელებიც (82%) ელოდებიან სერბებისგან თავისი დანაშაულის გაცნობიერებას, ბოდიშის მოხდას და სახელმწიფოს მიმართ უფრო მეტი პასუხისმგებლობის გამოვლენას (ბოსნიელთა 72% და ხორვატიელების 49%), ისევე, როგორც საჯარო ინსტიტუტების ბოროტად გამოყენების შეწყვეტას (ბოსნიელთა 57%, ხორვატიელთა 45%). ბოსნიელები (59%) ხორვატიელებზე (32%) უფრო მეტად თვლიან, რომ სერბები უფრო ღია უნდა იყვნენ დანარჩენი ორი ერის მიმართ.

[46] Our image of others is a set of beliefs, ideas, opinions, impressions, stereotypes and prejudices about an individual or a group.

[47] სრჯან პუალოს (Srdjan Puhalo) კვლევის მიხედვით, ხორვატიელების 67% მიიღებდა სისხლს სერბებისა და ბოსნიელებისაგან, თუ მათი სიცოცხლე საფრთხეში დადგებოდა. დაახლოებით 40% კი ბოშებისაგან (გვ. 35). იგივე სიტუაციაში, ბოსნიელების 54.3% მიიღებდა სისხლს ხორვატიელებისაგან და 49% სერბებისაგან, მაშინ როცა, ბოსნიელების 39.6% მიიღებდა სისხლს ბოშებისაგან (გვ. 39). სერბების 37.5% მიიღებდა სისხლს ხორვატიელებისაგან, თუ მათი სიცოცხლე საფრთხეში იქნებოდა, 35.2% ბოსნიელებისაგან და 34.5% ბოშებისაგან (გვ. 43). ბოშებთან ურთიერთობის დისტანცია დამოკიდებულია ურთიერთობის სახეზე. ბოშა მასწავლებელი მისაღებია ხორვატიელების 35.3%-თვის, მაშინ როცა, ქორწინება ბოშა ადამიანზე მისაღებია მხოლოდ 6%-თვის. (გვ. 35). Srdjan Puhalo, *Etnička distanca i autostereotipi građana Bosne i Hercegovine.* 2009.

ბოსნიელებსა და სერბებს, ჩვეულებრივ, სხვადასხვა აზრი აქვთ ხორვატიელებთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ ორივე თანხმდება მათი მხრიდან უფრო მეტი ღიაობის საჭიროებაზე დანარჩენი ორი ერის მიმართ (38% და 37%). საგრძნობლად მეტი ბოსნიელი (55%), ვიდრე სერბი (38%) ელოდება ხორვატიელებისაგან მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენას ბოსნია-ჰერცოგოვინის მიმართ. სერბები ფიქრობენ, რომ ხორვატიელებმა უნდა გააცნობიერონ საკუთარი ომის დანაშაული და მოიხადონ ბოდიში (50%), მაშინ, როცა ბოსნიელების უმრავლესობა არ იზიარებს ამ შეხედულებას (რესპონდენტთა მხოლოდ 26% იზიარებს ამ აზრს). ბოსნიელები ფიქრობენ, რომ ხორვატიელებმა უნდა შეწყვიტონ სახელმწიფოსა და საჯარო ინსტიტუტების ბოროტად გამოყენება (44%), მაშინ, როცა სერბების მხოლოდ 21% ფიქრობს ასე (Skoko pp. 15-16).

აღნიშნული გამოკითხვის თანახმად, ორმხრივი ნდობის მისაღწევად ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა საერთო მიზნის არარსებობა. მეორე დაბრკოლებაა კონსენსუსის ნაკლებობა ბოსნია-ჰერცოგოვინის ომთან დაკავშირებით. მესამე დაბრკოლებაა ის ფაქტი, რომ პოლიტიკური ლიდერების უმრავლესობას არა აქვს სათანადო წარმოდგენა სხვა ხალხების საჭიროებების შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში, გამოკითხვამ აჩვენა, რომ არსებობს პოტენციალი ხალხთაშორისი ურთიერთობების განსავითარებლად. აღნიშნულს ასევე ადასტურებს ფაქტი, რომ რესპონდენტებმა უფრო მეტი პოზიტიური ღირებულება სცნეს სხვა ხალხებში, ვიდრე ნეგატიური, რისი მაჩვენებელიც მკვეთრად დაეცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

ნეგატიური წარმოდგენები, რაც ხშირად სიძულვილში გადაიზრდება და ნდობის აღდგენას უშლის ხელს, ერთი ხელის მოსმით არ გაქრება, რასაც ხშირად ესწრაფვოდნენ საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლები. დავიდ მაკდონალდი (2010: 376), რომელმაც გაანალიზა ყოფილი იუგოსლავიის დაშლის მიზეზები და თანამდევი სისხლიანი ომი, აცხადებს, რომ სწორედ წარსულის გადაულახავმა ტრავმებმა (ეს არ იყო ჩვენი ბრალი, სიძულვილი და უნდობლობა მემკვიდრეობით გადმოგვეცა) შეუწყო ხელი ემოციური ატმოსფეროს დაძაბვას 1990-იან წლებში, რაც წარმოადგენდა ნაყოფიერ ნიადაგს ნეგატიური მითების გავრცელებისათვის. ბალკანეთში არსებული რეჟიმები სისტემატურად იწვევდა უნდობლობას საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფში. შესაბამისად, ნდობისა და უნდობლობის ამჟამინდელ სიტუაციას აქვს საკუთარი ისტორია და უნდობლობა მხოლოდ ბოლო ომს არ გამოუწვევია.

ძალიან რთულია ნდობის შენება ეთნიკური განსხვავებების პატივისცემის გარეშე, რადგან რთულია ხალხებს შორის ურთიერთობების ხასიათის ცნობა, მრავალრიცხოვან სტერეოტიპებსა და უნდობლობის მიზეზებში გარკვევა და ბოლოს, იმ რეალობის გარკვევა, რომელშიც უამრავ ადამიანს უწევს ცხოვრება.

ჯერ კიდევ მოუშუშებელია წარსულის ტრავმა, აწმყოში მიღებული და მომავალი ტრავმის შიში. ოჯახის დახოცილი წევრების დამარხვის შეუძლებლობა გადარჩენილ წევრებს „დროში ყინავს“ და შესაძლებლობას ართმევს, გამოიგლოვონ მიცვალებული. მეორე მხრივ, ისინი, ვინც იპოვა გარდაცვლილი ოჯახის წევრები, ცხოვრობენ გამუდმებულ სევდასა და გაურკვევლობაში, რადგანაც მათთვის უცნობია, თუ რა ვითარებაში დაიღუპნენ მათთვის ძვირფასი ადამიანები – ხომ არ შიოდათ, სწყუროდათ, ეშინოდათ და ა.შ. ყველაზე მეტად მათ სჭირდებათ ინფორმაცია და სიმართლე, ისევე, როგორც საზოგადოების მხარდაჭერა, მათი ტანჯვის გაგება და აღიარება, რათა დაიბრუნონ სიცოცხლის, სამართლიანობისა და ადამიანების ნდობა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ადამიანების მიმართ ნდობაზე, ვინც დანაშაული ჩაიდინა. ბედნიერ ოჯახურ შემთხვევებს, მაგალითად – შვილიშვილის დაბადებას, ჩრდილად გასდევს ომის სევდა და იმ ახლობლის დაღუპვის ტკივილი, რომელიც ვეღარასოდეს გაიზიარებს ოჯახის სიხარულს. „ყოველ ჯერზე მე მათ ვთავაზობ სიცოცხლეს და ისინი მაგებებენ სიკვდილს“, – კომენტარი ომგამოვლილ მოსახლეობასთან მომუშავე თერაპევტისაგან.

ყველაზე დიდი გამოწვევა ამჟამად არის გარკვევა, თუ როგორ გამოვიყენოთ პოზიტიური დამოკიდებულებები ახალი ურთიერთობების დაწყებისა და ნდობის აღდგენისათვის. შეიძლება ამას არც კი ვუწოდოთ ნდობა და დავარქვათ, მაგალითად, ურთიერთობათა ნორმალიზაცია. თუმცა, ამ მიზნის მიღწევა საჭიროებს ინდივიდებს, ჯგუფებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც გაზრდიან ცნობიერებას იმის შესახებ, თუ რა მოხდა და პირველ რიგში, დაგმობენ ომის დროს ჩადენილ თავიანთ დანაშაულს. სამწუხაროდ, ეს არ ხდება. ნახეთ, ომიდან ოცი წლის შემდეგ სერბთა რესპუბლიკის რამდენმა პროფესორმა ჩაიყვანა სრებრენიცაში სტუდენტები და პირიქით – ფედერაციიდან იმ ადგილებში, სადაც სერბების წინააღმდეგ მოხდა მასობრივი დანაშაული?

მულტირელიგიურ და მულტიეროვნულ საზოგადოებებში, ისეთში, როგორიც არის ბოსნია-ჰერცოგოვინა, აუცილებელია სოციალური ნდობისა და ჯგუფებს შორის ნდობის განვითარება, მათ შორის, კონსენსუსის მიღწევა. ეს, ერთი მხრივ, იძლევა შესაძლებლობას ფასეულობების შესახებ არსებულ სხვადასხვა წარმოდგენებს შორის ხიდები გაიდოს (მშვიდობა უნდა გახდეს საზოგადოების ღირებულებათა სისტემის ნაწილი) და მეორე მხრივ, კავშირები დამყარდეს სხვადასხვა მახასიათებლების მქონე (რელიგიური, ეთნიკური და ა.შ.) ადამიანებს შორის. უნარი, ეძებდე რაღაც საერთოს სხვა ადამიანებში, ფასეული იქნება ტრანსფორმაციის პროცესისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ის განუწყვეტლივ და თანადროულად დაექვემდებარება სოციალურ-კულტურულ ცვლილებებს და ჩვენ შესახებ არსებული

შეხედულებების ცვლილებებს. ამ პროცესის მუდმივი მონაწილეები უნდა იყვნენ სხვა ერის წარმომადგენელი ადამიანები.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს კონსენსუსი მიიღწევა მაშინ, როცა საზოგადოება პირისპირ დადგება როგორც წარსულთან, ასევე მომავალთან. ეს ყოველთვის განსაკუთრებული გამოწვევაა. ნდობის შენების მიზანი უნდა იყოს ურთიერთგაგების მიღწევა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, მშვიდობის, სოციალური პროგრესის, უსაფრთხოებისა და ძალზე საჭირო შერიგების უზრუნველყოფა. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა სიმართლე დადგინდება (რომელსაც ძალა ექნება ყველა ჯგუფისათვის), დანაშაულს აღიარებენ და მოხდება ისტორიული ფაქტების ლეგიტიმაცია.

თუ ჩვენ გვინდა, ავაშენოთ ნდობა მულტიეროვნულ საზოგადოებებში, ისეთში, როგორიც არის ბოსნია-ჰერცოგოვინა, აუცილებელია, უკუვაგდოთ ეთნიკურ ფასეულობებზე დაფუძნებული საზოგადოება და შევქმნათ სამოქალაქო ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოება. მართლაც, თითოეული საზოგადოების პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური სტაბილურობისა და პროგრესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მოქალაქეთა ნდობა. სწორედ სოციალური კაპიტალი არის საზოგადოების განვითარების საზომი – იმ ადამიანების მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა ნდობა წარმოადგენს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ნდობის საფუძველს. თითოეული საზოგადოება არსებობს თაობების განმავლობაში და გადის განვითარების სხვადასხვა დონეს. შესაბამისად, ნათელია, რომ ნდობა მოიცავს როგორც წარსულის, ასევე მომავლის დამოკიდებულებებს. ეს არის იმ წარმატების საზომი, თუ როგორ გადასცემს საზოგადოება შემდეგ თაობებს მემკვიდრეობით მიღებულ საერთო სიკეთეს. ასეთი ნდობის გარეშე ვერ იარსებებს სოციალური პასუხისმგებლობა, შეუძლებელი იქნება ინდივიდის, სოციალური ღირსების თუ კანონის უზენაესობის აღიარება. თუმცა, შეკითხვა მნიშვნელოვანია – როგორ უნდა მივაღწიოთ ამას? განსაკუთრებით მაშინ, როცა ნდობა განადგურებულია პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში, სადაც ინდივიდები, ჯგუფები და მთლიანად საზოგადოება განიცდის იდენტობის, სტატუსის, პოზიციის, ეკონომიკის, იდეოლოგიის და სხვა უამრავი სახის ტრანზიციას.

ნდობა არის უფრო რეალისტური და მიღწევადი მიზანი, ვიდრე შერიგება. შერიგება საჭიროებს პატიებას. არავინ არ უნდა ელოდოს მსხვერპლისაგან მზაობას, აპატიონ დამნაშავეებს, რომლებმაც მათ და მათთვის ძვირფასი ადამიანების წინააღმდეგ სისასტიკე ჩაიდინეს. ამიტომ უნდა დავიწყოთ ნდობის აღდგენით. ნდობის გარეშე შეუძლებელია პროგრესი და თანაცხოვრება ნებისმიერ კულტურულ თუ ცივილიზებულ დონეზე. მოდი, დავასრულოთ აილერტ ლოგსტრაპის სიტყვებით: „ნდობის გარეშე უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა ცხოვრება; ერთმანეთის მიმართ უნდობლობა,

მოლოდინი, რომ ერთმანეთს ვატყუებთ ან ვქურდავთ, გამოფიტავდა ჩვენს სულს, დააკნინებდა ჩვენს ცხოვრებას“.

იუგოსლავიის დაშლა: კონფლიქტის მიზეზები

გარდამავალი სამართლის საერთაშორისო მექანიზმები – სიმართლის დამდგენი კომისიები, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი

სონია ბისერკო

იუგოსლავიის დილემა vs ევროპული დილემა

იუგოსლავია კომპლექსური საზოგადოება იყო, რომელიც ცდილობდა მისი და მსოფლიოს წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად საუკეთესო გამოსავლის პოვნას: ეს პრობლემები, ძირითადად, ეხებოდა განსხვავებული ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და ცივილიზაციის მქონე საზოგადოებების მშვიდობიან და ჰარმონიულ თანაცხოვრებას. საბოლოოდ იუგოსლავიამ ვერ შეძლო სათანადო გამოსავლის პოვნა. საერთაშორისო საზოგადოება ჯერ კიდევ სწორ პასუხს ეძებს – პასუხს, რომელიც რეალურად ასახავს და შეესატყვისება დროის მოთხოვნებს.

იუგოსლავია, რომელიც დაიშალა (ე.წ. მეორე იუგოსლავია -1945-1991), უზრუნველყოფდა მასში შემავალი ყველა ერის მნიშვნელოვან ინსტიტუციონალურ ჩარჩოს ეროვნული ემანსიპაციისთვის, ისევე, როგორც მისი რესპუბლიკებისა და პროვინციების საზღვრების გამიჯვნას. ეს საზღვრები დღესაც მოქმედებს და აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ. რესპუბლიკებისა და კოსოვოს ყოფილი პროვინციის თვითგამორკვევამ და თანამდევმა დამოუკიდებლობამ დაასრულა 1978 წელს ბერლინის კონგრესის მიერ დაწყებული ისტორიული პროცესი. მეორე იუგოსლავიას წინ უსწრებდა სხვა სახელმწიფო, რომელიც 1918-1941 წწ. ჩამოყალიბდა. ამდენად, ორივე მათგანი მეოცე საუკუნეში არსებობდა. ბალკანეთის ერების ისტორიაში ეს არ იყო მცირე მიღწევა.

რატომ დაიშალა იუგოსლავია?

ის დაიშალა მისი შექმნის დღიდან განსხვავებული წარმოდგენებისა და სახელმწიფოს ბუნების განსხვავებული კონცეფციების გამო, რომლის მიხედვითაც ქვეყანა უნდა ორგანიზდეს და იმართოს. ერთი მხრივ, სერბები აღიქვამდნენ, რომ იუგოსლავია – ეს იყო გაფართოებული სერბია, მათი სახელმწიფო, რისთვისაც იბრძოლეს და მსხვერპლი გაიღეს ორ მსოფლიო ომში. მეორე მხრივ, სხვა ერები – სლოვენიელები და ხორვატები, მაკედონიელები, მონტენეგროელები და ბოსნიელები იცავდნენ მსგავსი ერების ასოციაციის საკუთარ კონცეფციას. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ იუგოსლავიის სერბულ კონცეფციაში შთანთქმას და ასიმილიაციას. ეს დაძაბულობა ცხადი ხდებოდა ქვეყნის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე მთელი საუკუნის განმავლობაში. სულ ბოლოს, სერბეთმა არ მიიღო შეთავაზება, შექმნილიყო თანაბარი ქვეყნების კავშირი ან კონფედერაცია. ახალი პარადიგმა, რომელიც შესაძლოა, დაფუძნებოდა იუგოსლავიის ისტორიაში არსებული მიღწევებისა და კრახის ხელახლა შეფასებას (რაც ყველასათვის მისაღები იქნებოდა), ვერ იპოვეს.

რატომ გახდა შეუძლებელი იუგოსლავიისთვის მშვიდობიანად დაშლა?

პასუხი არის შემდეგი: სერბეთის ელიტა ვერ აცნობიერებდა რეალობას და იუგოსლავიის საერთო სახელმწიფოს ფარგლებში სხვა რესპუბლიკების მისწრაფებას უფრო მაღალი დონის დამოუკიდებლობისკენ. იუგოსლავიის შიგნით არსებული ერების ემანსიპაცია შეუქცევადი და ბუნებრივი პროცესი იყო. ყველა რესპუბლიკამ და პროვინციამ პირველ ადგილზე დააყენა უფრო მეტი დამოუკიდებლობის მოთხოვნა, მაგრამ სხვადასხვა დონეებზე და სხვადასხვა სფეროებში. ეს იყო დრო, როცა სერბეთის პოლიტიკური ელიტის ნაწილიც უპირატესობას ანიჭებდა ფედერალური ხელისუფლებიდან დეცენტრალიზაციას. პროცესი ეტაპობრივად დროებით შეჩერდა, როცა ყველა რესპუბლიკელი ლიდერი ჩანაცვლდა პარტიაშიც და ჯარშიც კონსერვატორებით, განსაკუთრებით – სერბეთში, რასაც საბჭოთა კავშირიც უჭერდა მხარს.

1974 წლის კონსტიტუცია

და მაინც, დეცენტრალიზაციის პროცესის ზემოქმედება ვერ წაიშლებოდა. მან კულმინაციას მიაღწია 1974 წლის კონსტიტუციაში, რომელშიც გაერთიანდა ყოფილი რესპუბლიკელი ლიდერების მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ ახალ კონსტიტუციას ბევრი ნაკლი ჰქონდა, მისი მნიშვნელობა უდიდესი იყო. მან შექმნა კონფედერაციული იუგოსლავიის

საბაზისო ჩარჩო და მისი გაგრძელება ახალ საკონსტიტუციო საფუძველზე. 1974 წლის კონსტიტუცია რეალურად იყო ერთადერთი არჩევანი და იუგოსლავიის სახელმწიფოს გადარჩენის ერთადერთი გარანტი.

ბრძოლა ტიტოს მემკვიდრეობისთვის

ასე რომ, დაიწყო ბრძოლა ტიტოს მემკვიდრეობისთვის. 1974 წლის კონსტიტუციის გადახედვის მოთხოვნა დღის წესრიგში უკვე 1977 წელს დადგა. სხვა რესპუბლიკებმა არ მიიღეს ეს მოთხოვნა. ტიტოს ჭარმაგი ასაკი ბელგრადის ლიდერებისთვის საკმარისად დამაჯერებელი მიზეზი იყო, რომ შეენელებინათ და შეეწყვიტათ პროგრესული ცვლილებები, რათა მოეგოთ მეტი დრო იუგოსლავიის ხელახალი რეორგანიზაციისთვის.

ტიტოს სიკვდილის შემდეგ, სერბეთმა და ჯარმა (YNA) გააძლიერეს მცდელობა ქვეყნის ხელახლა მოწყობისთვის. წამყვანი სერბი პოლიტიკური, კულტურული, ინტელექტუალი, სამხედრო და რელიგიური წარმომადგენლების უმრავლესობა ემზადებოდა მთელ იუგოსლავიაში სერბების ჰომოგენიზაციისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად, ასევე – ომისათვის.

სერბეთის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის მემორანდუმი

საყოველთაოდ ცნობილი სერბეთის აკადემიის მემორანდუმი გამოქვეყნდა 1986 წელს, როგორც დიდი სერბეთის ეროვნული პროექტის სტრატეგიული პროგრამა. ფაქტობრივად, მემორანდუმი იყო სერბეთის მე-19 საუკუნის დასასრულის და მე-20 საუკუნის დასაწყისის ნაციონალური პროგრამის გაგრძელება. მაშინდელი პროგრამა მოითხოვდა „ყველა სერბის ლიბერალიზაციას და გაერთიანებას და სერბეთის ერვოვნული და სახელმწიფო თემის ჩამოყალიბებას მთელი სერბეთის ეროვნულ ტერიტორიაზე“.

მემორანდუმმა ხელმეორედ დაამტკიცა ყველა ის მთავარი საკითხი, რაც სერბეთის ეროვნული პროგრამის განხორციელებისთვის იყო რელევანტური. მან ასევე ცხადყო ამ მიმართულებით მიმდინარე მოსამზადებელი პროცესები. აკადემიის წევრები, რომლებმაც აღნიშნული მემორანდუმი დაწერეს, ასევე სერბეთის მწერალთა ასოციაციისა და კულტურისა და საჯარო მოღვაწეები ფაქტობრივად გახდნენ ამ მემორანდუმის პროგრამის მთავარი ხელშემწყობები. ისტორიკოსებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ყველა ახლადწამოჭრილი საკითხის ინტერპრეტირებაში. მათი დავალება იყო, შეექმნათ ყოფილი მეზობლების დესტრუქტურიზაციისთვის საჭირო პირობები, სხვა ეთნიკური ჯგუფების სავარაუდო მტრებად წარმოჩენის კამპანიის წარმოებით.

დობრიკა კოსიჩი

საჯარო დებატების თემად იქცა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საკითხი – საზღვრების საკითხი, რომელიც წამოიჭრებოდა თუ იუგოსლავიის ერები ვერ მიაღწევდნენ შეთანხმებას ახალი იუგოსლავიის ფორმულაზე. განახლებული ეროვნული პროექტის იდეოლოგიური ლიდერი, ავტორი და პოლიტიკოსი დობრიკა კოსიჩი და მისი მეკავშირეები არ აღიარებდნენ რესპუბლიკების საზღვრებს (AVNOJ), რომელიც განისაზღვრა ანტიფაშისტური ომის ბოლოს. ის მხარს უჭერდა იდეას – „ერების თვითგამორკვევის შესახებ პლებისციტის უფლება“ და არა რესპუბლიკების თვითგამორკვევის უფლებას.

კოსიჩი ყოფილ საზღვრებს მიიჩნევდა, სლოვენიის გამოკლებით, „როგორც კომუნისტურს და დროებითს“. ის აცხადებდა, რომ „ისინი არ იყო შექმნილი ეთნიკური, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური ან საკომუნიკაციო ხაზების გასწვრივ“. მისი პოზიცია იუგოსლავიის არამდგრადობის შესახებ 1970-იანი წლებიდან და 1974 წლის კონსტიტუციიდან გამომდინარეობდა. შემდეგ ის აცხადებდა, რომ იუგოსლავიის დრამის ფუნდამენტური და ისტორიული მიზეზები იყო „სერბების, ხორვატებისა და სლოვენიელების გაერთიანების სხვადასხვა მოტივები და მიუღებელი პირობები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ“.

სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიაც არ აღიარებდა სერბეთის საზღვრებს იუგოსლავიაში. ეკლესიამ ხელმეორედ დააფიქსირა აღნიშნული პოზიცია 1992 წელს და განაცხადა, რომ საზღვრების გადახედვა უმაღლესი ეროვნული ინტერესის საკითხი იყო. სერბ აკადემიკოსებთან, ინტელიგენციასთან და მედიის დიდ ნაწილთან ერთად ეკლესია მხარს უჭერდა და კიდევ უჭერს სერბი ერების გაერთიანებას, „რომელიც მოიცავს სერბეთის, მონტენეგროს, აღმოსავლეთ ჰერცოგოვინის, ბოსნიის უდიდეს ნაწილს და ბოსნიის მხარეს და ასევე ხორვატიაში სერბთა რესპუბლიკის მხარეს“.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რამაც 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში სერბი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, ბოსნია-ჰერცოგოვინასა და კოსოვოში მზარდი ისლამური ფუნდამენტალიზმი იყო. მემორანდუმი ამ საკითხზე ყურადღებას არ ამახვილებდა, ვინაიდან ელოდნენ, რომ იუგოსლავიის დაშლის შემთხვევაში ბოსნია-ჰერცოგოვინა სერბიასთან, მონტენეგროსა და მაკედონიასთან ერთად ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩებოდა.

იუგოსლავიის დაშლის პროცესი

მემორანდუმი ახალი რეჟიმის იდეოლოგიური სახელმძღვანელო გახდა პოპულისტი პოლიტიკოსის სლობოდან მილოშევიჩის მმართველობის დროს,

რომელიც აღზევდა კომუნისტური პარტიის რიგებიდან მმართველ პოზიციამდე. მემორანდუმი არ გეგმავდა სოციალისტური სისტემის მიტოვებას. მისი კრიტიკა ეფუძნებოდა დეცენტრალიზაციის პრობლემას, რომელსაც აღიქვამდნენ, როგორც იუგოსლავიისა და სერბეთის მოთხოვნის საფრთხეს.

ქვეყნის დემოკრატიზაციისა და მოდერნიზაციის საკითხი გვერდზე გადაიდო და გადავადდა, როდესაც სერბეთის ეროვნული საკითხი გახდა მოსაგვარებელი. ეროვნული საკითხის მოგვარება – დიდი, ეთნიკური სერბული სახელმწიფოს შექმნა ნებისმიერ ფასად – გახდა მთავარი პოლიტიკური პრიორიტეტი. მილოშევიჩის რეჟიმმა დაიწყო ნაციონალისტური იდეოლოგიის პროპაგანდა. მიმდინარეობდა სერბი ერის ხოტბის შესხმა და სხვა ერების დამცირება, განსაკუთრებით – ხორვატების, ალბანელებისა და მუსლიმების, ნაწილობრივ სლოვენიელებისაც.

ფაქტობრივად, იუგოსლავია დაიშალა მისი გადარჩენის მცდელობის საბაბით. მომზადებული ტექნოლოგია გამოიყენეს „ინსტიტუციონალურად და არაინსტიტუციონალურად“, როგორც ამას მილოშევიჩი ამბობდა ხოლმე. საპროტესტო აქციები იმართებოდა იუგოსლავიის ყველა რეგიონში, სადაც ეთნიკური სერბი მოსახლეობა ცხოვრობდა (ხორვატიაში, ბოსნია-ჰერცოგოვინაში და კოსოვოში).

ფედერალური მთავრობა, პრემიერ-მინისტრ ანტე მარკოვიჩის ხელმძღვანელობით, უფრო რეფორმისტული და პროევროპული იყო. 1990 წელს იუგოსლავია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პირას იდგა, ისევე, როგორც კვიპროსი იმ ეტაპზე. შეთანხმება უნდა ხელმოწერილიყო, როცა ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებას ვადა გაუვიდოდა. თუმცა, ფედერალური მთავრობის მიერ განხორციელებული თუ დაგეგმილი ეკონომიკური რეფორმები წარმატებული ვერ გახდებოდა ფუნდამენტური პოლიტიკური ცვლილებების გარეშე. ომმა რეფორმების ყველა გეგმა თავდაყირა დააყენა.

იუგოსლავიის მშვიდობის კონფერენცია

იუგოსლავიის მშვიდობის კონფერენცია, რომელიც ევროკავშირმა 1991 წლის სექტემბერში დაიწყო ლორდ ქარინგტონის თავმჯდომარეობით, ბოლო შანსი იყო, გადაერჩინათ ერთიანი იუგოსლავია და მოეძებნათ ქვეყნის დაყოფის პროცესიდან გამოსავალი.

მას შემდეგ, რაც სერბიამ არ მიიღო ჰააგის წინადადება, ბადინტერის საარბიტრაჟო კომისიამ 1991 წლის ბოლოს და 1993 წლის შუაში წარმოადგინა 15 შეხედულება იუგოსლავიის ფრაგმენტაციიდან წარმოშობილი იურიდიული საკითხების შესახებ. უკვე 1991 წლის ნოემბერში კომისიამ

დაადგინა, რომ იუგოსლავია დაშლის პროცესში იმყოფებოდა, ყოფილი საზღვრები საერთაშორისო სამართლის მიერ იყო დაცული და უმცირესობათა უფლებებიც მაქსიმალურად უნდა დაცულიყო საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. საბოლოოდ, კომისია რეკომენდაციას მისცემდა ევროპის საზოგადოებას, მიეღო წარმოქმნილი სახელმწიფოების მოთხოვნა აღიარებაზე მას შემდეგ, რაც გარანტირებული იქნებოდა ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების დაცვა და საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება.

იმ დროისათვის იუგოსლავიის არმია (YNA) უკვე მტკიცედ იდგა სერბეთის დასაცავად. ამიტომ სერბეთმა არ მიიღო მშვიდობის კონფერენციის შეთავაზება და მოემზადა, არმიის დახმარებით, იუგოსლავიის სამხედრო დაპყრობისთვის – ქვეყნის ხელახალი ცენტრალიზაციის, ან ახალი ქვეყნის შექმნის მიზნით, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა სერბის ამ ქვეყნის შიგნით გაერთიანებას. დანარჩენი, როგორც ისინი აცხადებდნენ, ისტორია იყო.

საერთაშორისო საზოგადოების როლი

იუგოსლავიის დაშლა დასრულდა 2006 წელს მონტენეგროს დამოუკიდებლობით და 2008 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობით. ქვეყნის დაშლის პროცესი თითქმის 20 წელი გაგრძელდა, რაც დაახლოებით იგივე ხანგრძლივობის იყო, რაც მისი დაშლისათვის მზადება.

საერთაშორისო საზოგადოება – ევროკავშირი, აშშ და ნატო კარგად ხვდებოდა იუგოსლავიის დაშლის ბუნებას. აშშ-მ განსაკუთრებული როლი შეასრულა ბალკანეთში ომების დასრულებაში. 2003 წელს ევროკავშირმა წევრობა შესთავაზა იუგოსლავიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ სახელმწიფოებს.

ევროკავშირის როლი გარდაუვალი იყო გამანადგურებელი რეგიონალური კონფლიქტის შემდგომ საზოგადოებებში კანონის უზენაესობის ჩამოყალიბებაში. ევროკავშირის მიერ განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები სტანდარტებისა და ინსტიტუციების შეტანის მიზნით, რომლებიც იყო და კვლავაც არის საჭირო რეგიონში ქვეყნების დემოკრატიული ტრანსფორმაციისთვის. თუმცა, ევროკავშირმა გაუშვა შანსი, უფრო აქტიურად ჩართულიყო ბალკანეთის ინტეგრაციის პროცესში. ბალკანეთის აღდგენა შეუძლებელია ეკონომიური აღდგენის გარეშე და რეგიონი თავად უკვე ვეღარ შეძლებს ამ პრობლემას გაუმკლავდეს.

რაც ევროკავშირმა და აშშ-მ არ გააკეთა, არის ის, რომ არ დარჩნენ საკუთარი პრინციპული გამოსვლების ერთგული. ამის ნაცვლად მათ გზა მისცეს ეთნიკურ დანაწილებას და უფრო მეტიც, ეს ასახეს დეიტონის შეთანხმებაშიც. მათ არ აღკვეთეს გენოციდი ბოსნია-ჰერცოგოვინაში 1992

წელს. ისინი ელოდნენ, ვიდრე სრებრენიცაში მოწყობილმა სასაკლაომ და გენოციდმა მათივე საჭიროება/არსებობა არ დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ. ისინი მხოლოდ მაშინ ჩაერთნენ უდანაშაულო ქვეყნის უდანაშაულო მსხვერპლთა დასაცავად, როცა ეს უკვე მინი იმპერიულ ომად იქცა.

ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი და სამართლის საერთაშორისო სასამართლო

საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტებმაც – ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალმა (ICTY) და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ (ICJ) დიდი წვლილი შეიტანა რეგიონში კანონის უზენაესობის დამყარებაში. ICTY-მ აჩვენა უზარმაზარი უარყოფითი ზეგავლენა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების არარსებობის გამო. მშვიდობიანი მეთოდების გამოყენების ნაცვლად, რეგიონის კონფლიქტები უნდა მოგვარებულიყო ძალით, ეთნიკური წმენდით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებით, ომის დანაშაულებით და გენოციდით.

ეს დანაშაულები ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ რეგიონში, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეები უკვე წარდგნენ ჰააგის ტრიბუნალზე. სერბეთის წინაშე კვლავ უდიდესი გამოწვევაა. უდიდესი მორალური და ინტელექტუალური ძალისხმევაა საჭირო, გაუმკლავდე საკუთარ წარსულს და აღიარო და მიიღო ისტორიული სინამდვილე იუგოსლავიის დაშლისა და მასში სერბეთის როლის შესახებ. რეგიონში მცხოვრებ ერებს შორის მომავალი ურთიერთობა სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

დემოკრატიული გარდაქმნის პრობლემები წარმოქმნილ სახელმწიფოებში

გარდამავალ პოლიტიკურ პროცესში და მის ამჟამინდელ პოლიტიკურ რეგრესში სერბეთი შეხვდა სირთულეებს, რომლებიც გამოწვეულია რეგიონში დიდი დაინტერესების გამო. ამავე დროს, ეს პრობლემები სიმბოლურიცაა, თუ არ ვიქნებით ძალიან კატეგორიულები, ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების სირთულეების გამო. შვიდივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა სასტიკი ომის, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი აურაცხელი დანაშაულის, მოსახლეობის დევნისა და უზარმაზარი ნგრევის შემდეგ. მარტო ეს ფაქტი აფერხებდა წარმოქმნილი ქვეყნების ინდივიდუალურ შესაძლებლობას, მოეხდინათ საკუთარი პოზიციების კონსოლიდირება და დაეწყოთ სწრაფი და წარმატებული გადასვლა დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობაზე. დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ძალიან რთული აღმოჩნდა.

დემოკრატიული ღირებულებების მიღება და განხორციელება უდიდეს ძალისხმევას ითხოვს, შედეგები კი ჯერ კიდევ არ ჩანს.

სერბეთი vs ბოსნია-ჰერცოგოვინა

შესაძლოა, სერბეთმა გააგრძელოს თავისი რეგიონის დესტაბილიზაციის დესტრუქციული პოლიტიკა, ვინაიდან საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ შეძლო ბალკანეთის ახალი ქვეყნების სტაბილიზაციის დასრულება. მე-19 საუკუნის ბოლოს, თავიანთი თანამედროვე სახელმწიფოს შექმნის დასაწყისიდან, სერბი ელიტა ბოსნია-ჰერცოგოვინას აღიქვამდა, როგორც სახელმწიფო საზღვრების შესახებ თავისი ყველა იმედგაცრუებისა და უკმაყოფილების კომპენსაციას.

სერბიამ თავის სტრატეგიულ მიზანს მიაღწია სამხრეთ სლავური ერების ერთ სახელმწიფოში – იუგოსლავიაში გაერთიანებით. როგორც უკვე აღვნიშნე, სერბული ელიტა იუგოსლავიას საკუთარ ქვეყნად აღიქვამდა, როგორც გაფართოებულ სერბიას. სწორედ ეს წარმოდგენა დაედო საფუძვლად სერბეთის ელიტისა და იუგოსლავიის სხვა ლიდერებს შორის გაუგებრობას, რომლებსაც ასევე საკუთარი, განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ იუგოსლავიის სახელმწიფო სისტემაზე. ერთმანეთთან დაპირისპირებული კონცეფციები იუგოსლავიის დაშლით დასრულდა. და მაინც, სერბული ელიტა არ თმობდა თავის მე-19 საუკუნის ოცნებას. ბოსნია-ჰერცოგოვინა ამ ოცნებაში წამყვან როლს ასრულებდა, ოცნების ასრულების კამპანია კი გენოციდით დასრულდა.

ეპილოგი: ბოსნია-ჰერცოგოვინა

ჰააგის ტრიბუნალის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, განსაკუთრებით – მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ბოსნია-ჰერცოგოვინაში მუსლიმების წინააღმდეგ გენოციდის შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ შეცვალა სერბეთის მტკიცებულება, რომ ისლამური ფუნდამენტალიზმი, თუ მთავარი არა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო იუგოსლავიის დაშლისა. ამ თეზისმა სერბულ საზოგადოებაში ომების ინტერპრეტაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. პოლიტიკოსებსა და სამართალს შორის კომპრომისმა, რომელიც აშკარა გახდა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, ასევე ყოფილი იუგოსლავიის ომების საკმაოდ ბუნდოვანმა განმარტებამ, ხელი შეუწყო საზოგადოების იგნორირებას და უარყოფას.

სერბეთის სახელმწიფო პოლიტიკა ბოსნია-ჰერცოგოვინას წინააღმდეგ არ შეცვლილა სლობოდან მილოშევიჩის წასვლის მერე. ეროვნულ სტრატეგებს სჯერათ, რომ მისი როლი ეროვნული მიზნების განხორციელებაში

მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ომის პერიოდში მან მოახერხა, მოენიშნა ტერიტორიები, რომლებსაც ახალი მთავრობები ნელ-ნელა სერბულ ეთნიკურ ტერიტორიებად განამტკიცებენ „დემოკრატიული მიზნებით“ და „განდის მეთოდებით“.

სიტუაციის ამჟამინდელ მდგომარეობაზე საერთაშორისო საზოგადოების პასუხისმგებლობის წილი დიდია. ის ეცადა პრობლემის პოლიტიკურ დონეზე მოგვარებას ეროვნული ლიდერების დახმარებით, მაშინ, როცა არ გაითვალისწინა ბოსნიის პოლიტიკური იდენტობისთვის სტრატეგიის შექმნა, რაც ყველა ეროვნული საზოგადოებისათვის მიმზიდველი იქნებოდა. ჯერ კიდევ არ არსებობს ისტორიის საერთო ინტერპრეტაცია და არც მეხსიერების კულტურა.

ამ სიტუაციის ყველაზე მწვავე მაგალითია სრებრენიცა. ვინაიდან სრებრენიცის გენოციდის უარყოფა შეუძლებელია, სერბულმა მხარემ გადაწყვიტა, შეექმნა სიმეტრიული ისტორია და უდანაშაულო მსხვერპლთა რიცხვის დაპირისპირება. მსხვერპლი სერბების საპატივსაცემოდ სრებრენიცის მახლობლად ბრატუნაჩში ააგეს მემორიალი. მათი ხსოვნის დღე იმართება სრებრენიცის მსხვერპლთა ხსოვნის დღის შემდეგ, რაც საშუალებას აძლევს ყველა პოლიტიკურ ლიდერს, რომ ერთდროულად გაიაზრონ როგორც სრებრენიცის, ისე მსხვერპლი სერბების ტრაგედია.

დეიტონის შეთანხმებით შექმნილი ბოსნია-ჰერცოგოვინა მხოლოდ ერთ-ერთი ინდიკატორია იმისა, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინის დაყოფა კრიზისის ხანგრძლივი წყარო იქნება, ვინაიდან სერბია და ხორვატია ერთმანეთს განუწყვეტლივ ეპაექრებიან რეგიონში დომინანტის როლის მოპოვებისთვის. დეიტონის სამშვიდობო მოლაპარაკებების ორგანიზატორებმა ორივე ლიდერი აიძულეს, ხელი მოეწერათ ხელშეკრულებაზე. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ამერიკელი შუამავლები აცნობიერებდნენ ამ რისკს.

სამწუხაროდ, იმ დროს საერთაშორისო მედიატორებს ან არ ჰქონდათ ნათლად წარმოდგენილი, ან ვერ მიაღწიეს კონსენსუსს ბოსნია-ჰერცოგოვინის მომავალში მდგრადი მოწყობისთვის. დეიტონის შეთანხმება არ ითვალისწინებდა მისი მოთხოვნების შეზღუდვების გადალახვის მექანიზმებს. ამიტომ, შეთანხმება ბოსნია-ჰერცოგოვინის ფუნქციონალურ სახელმწიფოდ კონსოლიდაციისთვის მთავარ წინაღობად რჩება.

ევროკავშირის ფორმატში ბოლოდროინდელი გერმანულ-ბრიტანული ინიციატივაა, მობილიზება გაუკეთოს ბოსნიელ ლიდერებს რეფორმების გასატარებულად, რაც შექმნის პირობას საგზაო რუკის შესაქმნელად ბოსნიის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის.

სერბია არ თმობს ბოსნია-ჰერცოგოვინაში ომის შედეგად მიღწეულ მიზნებს. ცნობილი განცხადებები, რომ ბელგრადი მხარს დაუჭერს ნებისმიერ შეთანხმებას სამ ერს შორის (ევროკავშირის წარმომადგენლები ხშირად

იყენებენ იგივე ენას), მიზნად ისახავს სტატუს კვოს შენარჩუნებას. ბოსნიელი სერბები არ არიან ავტონომიური პოლიტიკური აქტორები პოლიტიკურ სცენაზე, მაგრამ ისინი ბელგრადის ხელში პოლიტიკური ინსტრუმენტები არიან.

როგორ უნდა მოგვარდეს ბოსნია-ჰერცოგოვინის პრობლემა?

დეიტონის შეთანხმებიდან 20 წლის შემდეგ, აუცილებელია, გაძლიერდეს მცდელობა ბოსნია-ჰერცოგოვინის ხანგრძლივი პრობლემის მოსაგვარებლად. გარდა იმისა, რომ საჭიროა, შეიცვალოს ამ საკითხისადმი მიდგომა, აუცილებელია, ყველა განხილვაში გათვალისწინებული იყოს მორალური მხარეც. აგრესია და გენოციდი არ უნდა წახალისდეს.

რეგიონალური თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის კოპენჰაგენის მნიშვნელოვანი პოლიტიკური კრიტერიუმების მიღებასა და განხორციელებაში პროგრესის მიუხედავად, ბალკანეთში ისტორია ყოველთვის იჩენს თავს და ითხოვს ახსნა-განმარტებებს. რეგიონში აქვთ პრობლემის საკუთარი ახსნა. ცვლილება ადვილი არ იქნება. ხორვატიასა და სერბეთს შორის თანამშრომლობა შესაძლოა, დაეხმაროს სერბეთის მცდელობას, დაფაროს საკუთარი ტყუილები, მისი ფალსიფიცირებული ცეტნიკური მოძრაობის ინტერპრეტაცია, მის მიერ იუგოსლავიის სარგებელის უგულვებელყოფა და უარყოფა.

სამწუხაროდ, სერბეთი კვლავ არ ეგუება რეგიონში ახალ რეალობას. სერბია კვლავ ისტორიულ სინამდვილეს აღიარებს. ეს როცა მოხდება, ქვეყანა შეძლებს სწორად შეაფასოს უახლესი ისტორია. მხოლოდ მაშინ მიუახლოვდება სერბია ბოსნია-ჰერცოგოვინას, რაც ორივე ქვეყნის მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ორივემ დაიწყოს პოზიტიური ცვლილებები.

ბოსნია მარტო ბოსნიური ან რეგიონალური პრობლემა არაა. ეს ევროპული პრობლემაცაა. ევროკავშირმა უნდა გადაწყვიტოს, რა სჭირდება მას: ეთნიკურად დაშლილი ბოსნია თუ თანამედროვე პლურალისტური საზოგადოება. თუ ახალ ინიციატივაში წარმატებას ვერ მიაღწევს, ბოსნია გახდება ყველა ეთნიკური კონფლიქტის პარადიგმა, როგორიცაა, მაგალითად, უკრაინა. დეიტონის შეთანხმება უკვე ახსენეს, როგორც პრობლემის მოგვარების საშუალება.

წარმოსახვითი საზოგადოებები, ანუ „შენ შეიძლება მოგკლან შენი ეთნიკური წარმომავლობის გამო“

რაჰმან ბადალოვი

ეპიგრაფის ნაცვლად

ორი მოგონება სომეხ კოლეგებთან შეხვედრებიდან:

სომხეთში, ქალაქ წაღკაძორში, კონფერენციაზე სიტყვით უნდა გამოვსულიყავი. ჩემი გამოსვლა ჩანიშნული იყო კონფერენციის ბოლო დღეს. დილით როცა გავიღვიძე, თავში ერთმა „მხიარულმა“ აზრმა გამიელვა. ალბათ, ჯერ კიდევ ნიცშეს ნაშრომის – „მხიარული მეცნიერების“ (*Die fröhliche Wissenschaft*) შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, რომლის წაკითხვა ახლახან დავამთავრე. სწორედ ამ „მხიარული აზრით“ გადავწყვიტე ჩემი გამოსვლის დამთავრება.

„მხიარული აზრი“ ძალიან მარტივი იყო: „ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ მეორე მხარეზე არც უკეთესები ვართ და არც უარესები“. „ჩვენ“-ში იგულისხმებოდა აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეები.

მოგვიანებით, იგივე აზრი გავიმეორე ვორკშოფზე, რომელშიც ახალგაზრდა ლიდერები მონაწილეობდნენ ამ ორი ქვეყნიდან. სასიამოვნოდ გავოცდი, როცა შემთხვევით მოვისმინე, რომ ჩემს აზრს იმეორებდა ახალგაზრდა ლიდერი სტეპანაკერტიდან, რომელიც თავიდან უკომპრომისობითა და რადიკალიზმით გამოირჩეოდა.

მე არა მხოლოდ ვიწამე „მხიარული აზრის“ ძალა, არამედ, იმ დასკვნამდეც მივედი, რომ არ უნდა გვეშინოდეს ჩვენი ძალისხმევის სიმცირის. როგორც ერთმა ბრძენმა თქვა, „არ გეშინოდეს ნელა სიარულის, გეშინოდეს უმოძრაობის“.

მეორე მოგონებაც ახალგაზრდა ლიდერების პროექტს უკავშირდება. ამ პროექტის ფარგლებში, ბრიუსელში ჩატარდა შეხვედრა ტრენერებსა და მენტორებს შორის მნიშვნელოვან ევროპელ თანამდებობის პირებთან ერთად. პროექტის ლიდერებმა გვირჩიეს, თითოეულ ჩვენგანს აერჩია კოლეგა სხვა ქვეყნიდან, რომელთანაც ერთადაც წარადგენდა პროექტს. მე შევუერთდი ჩემს კოლეგას ვანაძორიდან. ჩვენი ერთობლივი პრეზენტაცია დავიწყე შემდეგი შესავლით – „ჩვენ გვაერთიანებს ის, რომ ჩვენთვის ეროვნული იდენტობა არის არა პასუხი, არამედ შეკითხვა“.

მოგვიანებით მივხვდი იმასაც, რომ ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი ეროვნული იდენტობა არის შეკითხვა და არა პასუხი, არასოდეს იომებენ ერთმანეთის წინააღმდეგ.

მენტალური ჩიხები

„მენტალური ჩიხი“ არის კომპლექსური ფილოსოფიური პრობლემა. მოცემულ შემთხვევაში, ამ პრობლემას განვიხილავთ ადამიანებს შორის სოციალური ინტერაქციის პრობლემის ჭრილში.

ჩვენ ყველას გვაკავშირებს სოციალური ინტერაქცია სხვადასხვა ჯგუფებთან. არსებობს განსაზღვრული ნიშან-თვისებები, რომელთა საფუძველზე ადამიანებს მიაკუთვნებენ ამა თუ იმ ჯგუფს. ასეთი ნიშანი შეიძლება იყოს სქესი, ასაკი, სოციალური კუთვნილება, ეთნიკურობა, სუბკულტურა, მოქალაქეობა და სხვა უფრო წარმავალი ნიშან-თვისებები. ჩვენი ჯგუფისადმი მიკუთვნება განსაზღვრავს იმ გზებს, რომლითაც სხვები ურთიერთობენ ჩვენთან და ჩვენ ვურთიერთობთ მათთან. ზოგი ნიშან-თვისება, მაგალითად, სქესი ან ასაკი, იმწამსვე იპყრობს ჩვენს ყურადღებას და არ საჭიროებს სპეციალურ გამორკვევას. სხვა ნიშან-თვისებები, მაგალითად, განსაზღვრული ახალგაზრდული სუბკულტურის წევრობა, შესაძლოა, გამოვლინდეს გარეგნულ მახასიათებლებში, რომელსაც ჯგუფის წევრი გამიზნულად ირჩევს, მაგალითად, ტატუში ან იროკეზის სტილის ვარცხნილობაში და სხვ. გარკვეული სახის ნიშან-თვისებები გამოვლინდება ადამიანის გაცნობის შემდეგ, მაგალითად, პროფესიული ჯგუფის წევრობა, მოქალაქეობა ან ეთნიკური წარმომავლობა.

განსაზღვრული ჯგუფისადმი კუთვნილება ზოგიერთ საზოგადოებაში ან სიტუაციაში შეიძლება იყოს ფსიქოლოგიურად კომფორტული, მაგალითად, როცა საზოგადოებაში განსაკუთრებული პატივისცემა არსებობს ხანდაზმული ადამიანების ან ქალების მიმართ, ან, მაგალითად, დიდგვაროვანი წრისადმი კუთვნილება, როცა საკმარისია, შენი გვარი დაასახელო, რომ სხვების აღფრთოვანება გამოიწვიო. ზოგიერთ შემთხვევაში კი კონკრეტული ჯგუფისადმი კუთვნილება საფრთხეში აგდებს ადამიანის სიცოცხლეს, მაგალითად, როგორც ებრაელებს ნაცისტურ გერმანიაში.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება არის სხვადასხვა ჯგუფებს შორის მუდმივი ინტერაქცია და ურთიერთზეგავლენა, სადაც სხვა ჯგუფის როლისა და მნიშვნელობის გაცნობიერება და საჭირო ინფორმაციის გაცვლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კონფლიქტოლოგ მიშელ ლებარონის აზრით, მართალია, რთულია იმ კულტურის ლინზების მოხსნა, რითაც სამყაროს ვაკვირდებით, მაგრამ ჩვენ უნდა ვცადოთ ამის გაკეთება. ლინზებს როცა მოვიხსნით, წინ უნდა დავიდოთ და კარგად დავაკვირდეთ, ვნახოთ, რა ფერია და რას აჩვენებს, ასევე – რას მალავს. შემდეგი ნაბიჯი კი უნდა იყოს სხვა კულტურის ლინზების დროებით მორგება.

იგივე არსია სოციოლოგ ნიკოლას ლუჰმანის თეორიაში, რომელიც განმარტავს კომუნიკაციას, როგორც საზოგადოების ეგზისტენციალურ

საფუძველს. საზოგადოება კი მობილური სოციალური სისტემაა, რომელსაც შეუძლია თვითრეპროდუქცია. იურგენ ჰაბერმასი მის მიერ შემუშავებულ სოციალურ ფილოსოფიას უწოდებს „კომუნიკაციის მიზეზის ფილოსოფიას“. კომუნიკაციის შეწყვეტა ნიშნავს, რომ საზოგადოება სტაგნაციაშია, რეგრესს განიცდის და საბოლოოდ ნაწილებად დაიშლება.

როცა ვსაუბრობთ კომუნიკაციაზე, თვითრეპროდუქციასა და ჯგუფის უნარზე, გააცნობიეროს მეორე ჯგუფის როლი და მნიშვნელობა, უნდა გვახსოვდეს, რომ განვითარებულ საზოგადოებებში სოციალური ჯგუფი არის მობილური/ფლექსიბილური და ადამიანი არ არის მკაცრად მიკუთვნებული ერთ კონკრეტულ ჯგუფს. რაც უფრო მობილურია ჯგუფის შიგნით არსებული საზღვრები და ადამიანის შესაძლებლობა, გადავიდეს ერთი ჯგუფიდან მეორეში, მით უფრო გაიგებს იგი სხვა ჯგუფის ინტერესებს. შედეგად, საზოგადოება უფრო კომუნიკაბელური და განვითარებულია. ასეთი საზოგადოება შეძლებს, გადალახოს კომუნიკაციის გაწყვეტით გამოწვეული კრიზისი: როცა კრიზისი დადგება, სოციალურ თუ პოლიტიკურ მოწყობაში ცვლილებები განხორციელდება, რათა ჯგუფებს შორის კომუნიკაცია აღდგეს. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა გვახსოვდეს, რომ შეუძლებელია, დემოკრატია არსებობდეს მხოლოდ ერთი ჯგუფისთვის. დემოკრატია მთელი საზოგადოებისთვის არსებობს, შესაბამისად, კომუნიკაციის პროცესი საზოგადოებაში არსებულ ყველა ჯგუფს უნდა შეეხოს.

როგორ უნდა ვისაუბროთ „მენტალურ ჩიხებზე“?

ბევრ განვითარებულ საზოგადოებაში არსებობს პრობლემა, როცა იმიგრანტთა ჯგუფები მკაცრად მიაკუთვნებენ საკუთარ თავს ეთნო-კულტურულ იდენტობას, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ, შეინარჩუნონ ერთიანობა უცხო ქვეყანაში, მაგრამ მასპინძელ ქვეყანას ეს აცდუნებს, გარიყოს ისინი კომუნიკაციის პროცესებიდან.

განვითარებად საზოგადოებებში, როგორც წესი, ტიტულური ეთნიკური ჯგუფის წევრობა არის გადამწყვეტი სოციალურ ურთიერთობებში. ასეთ საზოგადოებაში მცხოვრებმა ადამიანმა ყველა სიტუაციაში, მოქმედებაში, სიტყვასა და შეგრძნებაში, პირველ რიგში, უნდა გაუსვას ხაზი თავის ეთნიკურ წარმომავლობას და მხოლოდ მეორე, მესამე ან მეოთხე ჯერზე გაიხსენოს, რომ ქალია, პროფესორია, მუსლიმი ან ქრისტიანია. ამ საზოგადოებებში ადამიანმა უნდა დაივიწყოს ან იფრთხილოს და შენიღბოს საკუთარი პირადი გრძნობები, რომელიც ჯგუფური ინტერესების იგნორირებას ახდენს.

განსაკუთრებული შემთხვევაა ტოტალიტარულად მართული მულტიეთნიკური ერების დაშლა (საბჭოთა კავშირი ან იუგოსლავია), როცა

ძლიერი ცენტრი ახორციელებდა ეთნიკური სეგრეგაციის პოლიტიკას, მაშინ, როცა ეთნიკური ელიტური ჯგუფები, რომლებიც ცენტრალური მთავრობის ერთგულნი იყვნენ, წახალისდებოდნენ ხოლმე მთავრობის მიერ რეგიონებში. ამ სახელმწიფოების ნანგრევებზე თანამედროვე ერის შენების მტკივნეული პროცესი ხშირად ჩანაცვლდება ილუზიური ცნებით ძველი ერის აღდგენის შესახებ, რომელმაც დისკრიმინაცია განიცადა უცხოელების მიერ. მნიშვნელოვანი ცნებები, როგორიცაა „ერი“, „ნაციონალიზმი“ ან „იდენტობა“, უკიდურესად გამარტივებულია პატრიოტული მნიშვნელობით, რომელიც მტერს ეძებს არა მხოლოდ „უცხოელებს“ შორის, არამედ ასევე „შინაურებს“ შორისაც. ილუზია მდგომარეობს აღქმაში, რომ ჰეტეროგენული საზოგადოება პოტენციურად სუსტია, შესაბამისად, საჭიროა ერთიანობის მიღწევა, წინააღმდეგ შემთხვევაში მილიტარისტული პრობლემები გადაუჭრელი დარჩება. ნორმალურ კომუნიკაციას ცვლის მითები, რომელთა დაყენებაც კითხვის ნიშნის ქვეშ არ შეიძლება.

როგორ უნდა გავექცეთ ამ „მენტალურ ჩიხებს“? როგორ უნდა გავარღვიოთ ფსევდოპატრიოტული ცნებების ბოროტი წრე? როგორ უნდა გამოვააშკარავოთ ყალბი რომანტიკა „ადამიანების სულის“ შეუცვლელობაზე და ა.შ.? როგორ უნდა მოვახდინოთ იმის დემონსტრირება, რომ ჰომოგენური საზოგადოება არაბუნებრივია (ნახევრად ბუნებრივია)? როგორ უნდა დავუბრუნოთ საზოგადოება ნორმალურ კომუნიკაციას, რომლის გარეშეც ის წყვეტს საზოგადოებად ყოფნას?

ეს შეკითხვები რთულია. მათზე პასუხის გაცემა გრძელ დისკუსიასა და თანმიმდევრულ პრაქტიკულ ნაბიჯებს მოითხოვს. დასაწყისში, ჩვენ უნდა ვცადოთ მიშელ ლებარონის რჩევის გაზიარება და ჩვენი ლინზების მოხსნა. ამაში, პირველ რიგში, ხელოვნება დაგვეხმარება. ხელოვნებას შეუძლია, დასცინოს იმ „დამახინჯებულ ლინზებს“, რომლებსაც ხალხი უკვე დიდი ხანია, ვეღარ ამჩნევს.

...წარმოიდგინეთ, რომ აგებთ გვირაბს ბალკანეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. ის გეხმარებათ, დააკავშიროთ სხვადასხვა კულტურები, ჩაეფლოთ მიწაში და დაივიწყოთ რეალობა. გვირაბის ზემოთ სიცოცხლეა. სიცოცხლე სასწაულს ჰგავს, სასაცილოა, ცოტა უცნაური, ცოტა – გიჟი. ზოგს უყვარდება, ზოგი შორდება. ბევრი ღობე არსებობს. ყველაფერი დაყოფილია. ვერ გაიგებ, სად არიან „შინაურები“ და სად – „სხვები“. თქვენ მძევლად აგყავთ „სხვა“, რომ გაცვალოთ „შინაურზე“. „სხვა“ – ულამაზესი ქალი აღმოჩნდება. თქვენ მას თვალს ვერ წყვეტთ. მაგრამ იგი სხვა რელიგიას ეკუთვნის. თქვენთვის ეს სულერთია. თქვენ გინდათ, მასთან ერთად გაიქცეთ სხვა ცხოვრებაში, სადმე, სადაც არ არსებობს ჯებირები. იქნებ გვირაბში, სადაც დაივიწყებთ სხვადასხვა კულტურის არსებობას? მაგრამ, ვინ მოგცემთ იმის

გარანტიას, რომ გვირაბში სიცოცხლე ისეთივე სასწაული, უცნაური და გიჟი იქნება?! ხომ არ ღირს რაღაცის შეცვლა აქ...

ხელოვნება აკეთებს თავის საქმეს, არა მხოლოდ ამ ფილმით, არამედ ბევრი სხვა ფილმითაც. თუმცა, შეუძლებელია „მენტალური ჩიხების“ ასე სწრაფად გარღვევა. იმიტომ, რომ ჩვენ ვეჩვევით ლინზებს და ვეღარ ვაცნობიერებთ, რომ ისინი უკვე დიდი ხანია, სამყაროს დამახინჯებულ გამოსახულებას გვაჩვენებენ.

„ჩვენ“ და „ისინი“

ერთი შეხედვით, „ჩვენ“ მარტივი და გამჭვირვალე კატეგორიაა, რომელიც განსაკუთრებულ ახსნას არ საჭიროებს. კატეგორია „ჩვენ“ გულისხმობს ჩვენს ნაწილს, ჩვენს მსგავსს. „ისინი“ რთული კატეგორიაა. ის არ არის ნათელი, შეიძლება გულისხმობდეს მეგობარსაც და მტერსაც.

სოციოლოგ-ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ უძველეს ხალხებში ყველაფერი სხვაგვარად იყო. ადამიანები ჯერ ავითარებდნენ „სხვების“ ცნებას. ამის შემდეგ ვითარდებოდა „ჩვენ“ ცნება. „სხვების“ ცნება იყო მკაფიო, „ჩვენ“ ცნება – ბუნდოვანი.

ისტორიკოსი ბ. პორშნევი ამბობს:

„ისინი“ – არის გაცილებით უფრო კონკრეტული და რეალური. მას აქვს განსაზღვრული მახასიათებლები: მაგალითად, თავდასხმა მოწინააღმდეგე ტომიდან, რომელსაც არ ესმის შენი ენა. არ არის აუცილებელი მათი პერსონიფიცირება იმისათვის, რომ გავიხსენოთ, ზუსტად რას ნიშნავდა „ისინი“. „ისინი“ შეიძლება იყოს საკმაოდ მრავალფეროვანი კატეგორია და არა აუცილებლად ერთობა. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში კატეგორია „სხვები“ განსაზღვრავდა კატეგორიას „ჩვენ“, რადგანაც ყველა, ვინც არ იყო სხვა, იყო შენიანი.

არსებობს „ჩვენ“ კატეგორიის უძველესი განმარტება – ის სიტყვასიტყვით ნიშნავდა „ნამდვილ ადამიანებს“, მაშინ, როცა „სხვები“ არ მიიჩნეოდა „ნამდვილ ადამიანებად“. აღნიშნული წარმოჩინდებოდა ტომების სახელებშიც – ბევრი უძველესი ტომის სახელი მათ ენებზე ნიშნავდა „ადამიანს“, „ხალხს“, „ნამდვილ ადამიანს“. არქაულ დონეზე ასეთი ცნებები შესაძლოა, ბუნებრივად და სამართლიანად მიიჩნეოდა. ერთ ტომად გაერთიანებულ ადამიანებს ჰქონდათ საკუთარი ენა, წესები და რიტუალები. რიტუალები მოქმედებდა ცხოვრების ყველა ასპექტში, დაბადებიდან სიკვდილამდე, ნებისმიერ ურთიერთობაში. აღნიშნულ წეს-ჩვეულებებს შეიძლება, ვუწოდოთ მითები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ასეთი წარმოდგენები არსებობს ყველა ერის ფოლკლორში. ეს შეიძლება იყოს გადმოცემული პოეტურ აღწერილობაში ან ისეთ სიტუაციებში, სადაც

„გმირი წინაპრები“ იმარჯვებენ „არანამდვილ ადამიანებზე“, რომელთაც არ აქვთ „ჭეშმარიტი“ გზები ან „ჭეშმარიტი მითები“. გმირულ-ეპოსურ დონეზე, ნებისმიერი უცხოელის დაღვრილ სისხლზე „ხელები დაბანილია“ და მეხსიერება – „წაშლილი“.

„დედე კორკუტის“ წიგნში, ოღუზთა გმირულ ეპოსში (ოღუზები იყვნენ თანამედროვე აზერბაიჯანელების ეთნიკური წინაპრები), შვილი ეკითხება მამას, რომელიც გამორჩეული მებრძოლია: „რატომ ვეძახით „მტრებს“ იმ ადამიანებს, რომლებსაც ვებრძვით“? მამის პასუხი არის შეუნიღბავად გულუბრყვილო და პირდაპირი – იმიტომ რომ, „ჩვენ როცა მივდევთ მათ და ვიჭერთ, ვკლავთ და როცა ისინი მოგვდევენ და გვიჭერენ, ჩვენ გვკლავენ“.

თუმცა, ოღუზთა ეპოსი სხვა ეპოსებისაგან დიდად არ განსხვავდება. გავიხსენოთ „ილიადა“. უნდა ვაღიარო ჩემი აღფრთოვანება ამ ნაწარმოებით. ეს დიდებული ნაწარმოებია ადამიანური ძალის, მისი გარდაუვალი ლიმიტებისა და მარცხის შესახებ, რომელსაც უდიდესი გმირი – აქილევსიც კი ვერ გაექცა. თუმცა, სისასტიკე, განსაკუთრებით კი – სისასტიკე მტრების მიმართ შეწყნარებულია ამ დიდებულ ეპოსშიც. აქილევსი დარდობს თავის ქუსლზე, რომელიც ხელს უშლის, გახდეს უკვდავი ჰერაკლეს მსგავსად, მაგრამ მას არ ადარდებს იმ ადამიანების სისხლი, რომელსაც ღვრის.

შეიძლება, ჩანდეს, რომ ეს ყველაფერი წარსულს ეკუთვნის.

ყველა ერს გამოუვლია გმირული ხანა, როცა ომი საზოგადოების ნორმალური მდგომარეობა იყო. ჩვენ ვკითხულობთ ასეთ ისტორიულ საგებს. ჩვენ შეიძლება ძალიან დავაფასოთ მათი მხატვრული ღირებულება, მაგრამ ასევე ვაფასებთ იმ ფაქტს, რომ იმ დროში არ ვცხოვრობთ. ჩვენთვის ძნელია, წარმოვიდგინოთ, რომ „სხვები“ არ არიან ნამდვილი ადამიანები; რომ მტრები ყოველთვის მტრებად რჩებიან; რომ მათ დაღვრილ სისხლზე „ხელები დაგვიბანია“ და გონებიდანაც წაგვიშლია.

კაცობრიობამ დიდი გზა გაიარა, სანამ გააცნობიერებდა, რომ „ჩვენ“ შეიძლება მოიცავდეს მთელ არსებულ კაცობრიობას, „სხვების“ გამორიცხვის გარეშე. ამის გაცნობიერების შემდეგ ხალხი მიხვდა, რომ არ არსებობს „ნამდვილი“ და „არანამდვილი“ ერები, არ არსებობს გენეტიკა ან სხვა რაიმე წინაპირობა ამა თუ იმ ერის განვითარებისათვის. სტერეოტიპებისა და წინასწარი განწყობების დაძლევის შედეგად, კაცობრიობამ იპოვა „ნამდვილი ადამიანი“ სხვა რასის, რელიგიის, სოციალური კუთვნილების ადამიანში. ჩვენ არ ჩავუღრმავდებით ადამიანური რეაბილიტაციის თითოეულ ამბავს. თუმცა, ყოველი მათგანი კარგი გაკვეთილია.

სისხლიანმა მე-20 საუკუნემ ახალი გამოცდები მოიტანა. საზარელ ფენომენს წარმოადგენდა ჰოლოკოსტი, გენოციდი და საბჭოთა გულაგი არა მხოლოდ იმიტომ, რომ აღადგინეს „წმინდა სისხლის“ შესახებ მითები, არამედ, იმიტომაც, რომ მათ წარმოადგინეს ადამიანური გარყვნილების

ამაზრზენი ექსპერიმენტი, სადაც მწამებლები და აღმასრულებლები ანადგურებდნენ ადამიანურობას არა მხოლოდ მსხვერპლში, არამედ საკუთარ თავშიც.

შეიძლება აქაც ჩანდეს, რომ ეს მოვლენები წარსულს ეკუთვნის.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ფაშისტური და კომუნისტური დანაშაულები საყოველთაოდ დაგმეს. ომი თანამედროვე ეპოქაში ანაქრონიზმი გახდა. გლობალურ სამყაროში კულტურათაშორისმა დიალოგმა შეიძინა არა მხოლოდ ჰუმანიტარული, არამედ კომუნიკაციის მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ სამყაროში ჯერჯერობით არასოდეს დაუსადგურებია მშვიდობას.

ჩვენ ბევრი რამ ვიცით ომების შესახებ. მსოფლიო ისტორია სინამდვილეში სამხედრო ლიდერებისა და ომების ისტორიაა. ჩვენ ვიცით ასწლიანი ომის შესახებ, ვიცით ოცდაათწლიანი ომის შესახებ, ვიცით მე-20 საუკუნის ორი მსოფლიო ომის შესახებ, რომელმაც ყველა წინამორბედს გადააჭარბა სისასტიკის მასშტაბებით.

ჯერ კიდევ გრძელდება რეგიონალური ომები, რომლებიც ანახლებს ნამდვილი და არანამდვილი ერების შესახებ არსებულ არქაულ მითებს და ამართლებს მკვლელობას ეთნიკური ნიშნით.

რაღაც ამდაგვარი მოხდა ბალკანეთსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. რაღაც ამდაგვარი მოხდა რუანდაში, სადაც ჰუტუს ტომმა ამოწყვიტა ტუტსის ტომი. ეს ყველაფერი მოხდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, მაშინ, როცა ადამიანები თითქოს უნდა დაბრძენებულიყვნენ და უკეთ გაეცნობიერებინათ თითოეული ადამიანის სიცოცხლის ფასი.

რა შეიძლება ითქვას ამაზე?

პირველ რიგში, არ უნდა დაგვავიწყდეს არისტოტელეს სიტყვები: „ადამიანი, რომელიც კანონებისა და სამართლის მიღმა ცხოვრობს, არის ყველაზე ცუდი“. ეს აგრეთვე რელევანტურია ერებისთვის/ხალხებისთვის.

მეორე მხრივ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ კანონი, სამართალი თუ მორალი არ არის მოსასხამი, რომელსაც თავმომწონედ ვაფრიალებთ. არ არსებობს ზუსტი წესები სწორი ცხოვრებისათვის. არ არსებობს გამზადებული „მოსასხამი“ სწორი სიტუაციისთვის; უნდა გავაცნობიეროთ, რომ ცხოვრების/სიცოცხლის კომპლექსურობა ყოველთვის მოიტანს გამოწვევებს. უნდა გვახსოვდეს, რომ უგულობა, სისასტიკე და უგუნურება ყოველთვის ახლოსაა, კარის ზღურბლზე.

წარმოსახვითი საზოგადოებები, ანუ „შენ შეიძლება მოგკლან შენი ეთნიკური წარმომავლობის გამო“

ერთხელ, კითხვისას, ასეთ იდეას წავაწყდი:

„ეროვნულობა, იგივე ეთნიკურობა, არის კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო, ყველაზე დამანგრეველი სიყალბე. გარდაუვალობის თუ საჭიროების მიუხედავად, ყველაზე ცუდი და გამანადგურებელი“.

მას შემდეგ, რაც გამოიგონებენ, ეროვნულობა (როგორც პრინციპი, როგორც კუთხე, საიდანაც ადამიანი ხედავს მსოფლიოს) განსაზღვრავს იმ წესებს, რომელსაც ადამიანი უნდა დაემორჩილოს.

„ადამიანებს კლავენ ეთნიკური წარმომავლობის გამო“.

ძნელია უპირობოდ დაეთანხმო ამ მოსაზრებას. კაცობრიობა არ არის ასეთი უგუნური. საჭირო და გარდაუვალი „სიყალბე“ შეუძლებელია, იყოს ასეთი ცუდი და სამწუხარო. თუ ერი „გამოიგონეს“ რაღაც ისტორიულ საფეხურზე, თუ მან შექმნა მთელი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში, თუ ის გავრცელდა ყველგან, თუ მის შესახებ გრძელდება კამათი დღესაც, მაშინ მასში უნდა არსებობდეს რაღაც ღრმა აზრი, თუნდაც ჩვენთვის გაუგებარი.

ბრძენი ისაია ბერლინი ამბობს: „ერის მოთხოვნები ინდივიდის ინტერესებთან დაკავშირებით დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ ერის ცხოვრება და ისტორია აძლევს მნიშვნელობას იმ ყველაფერს, რაც მის წევრებს ოდესმე გაუკეთებიათ ან აკეთებენ“. ბევრი მაგალითი არსებობს, რომელიც დაადასტურებდა ამ სიტყვებს. ბევრი ადამიანი არსებობს, რომლისთვისაც ცხოვრების მთავარი არსი მის ერს უკავშირდება; მათი პირადი ემოციების მთელი სპექტრი ფოკუსირებულია მათი ერის წარმატებაზე.

ამავე დროს, არ არსებობს მიზეზი იმ მოსაზრების იგნორირებისათვის, რომ ერის გამოგონება იყო „სამწუხარო“. პათოლოგიის მსგავსად, რომელიც ააშკარავებს ნორმას, გულწრფელი მოსაზრება, თუნდაც ზედმეტად ემოციურად, აშკარა გაზვიადებით გამოხატული, ხშირად გვაფხიზლებს თვითკმაყოფილი სიმშვიდისაგან. მართლაც, თუ ადამიანებს კლავენ ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე და არ არსებობს ამის პრევენციის გარანტია, რატომ არ ვეკითხებით ჩვენს თავს: შესაძლოა, ეროვნულობა, რომლის გამოგონება ადრე აუცილებელი იყო, ახლა ჩვენზე ბატონობს? შესაძლოა, რაღაც უნდა შეიცვალოს ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს გონებაში?

რთულია, არ დაეთანხმო იმ ფაქტს, რომ მსოფლიო შედგება ერებისა და ეთნიკური ჯგუფებისაგან და თითოეული ჩვენგანი წარმოადგენს რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს. ხშირად ადამიანის გაცნობა იწყება მისი ეროვნების გაცნობით, ამის შემდეგ ხდება ასაკის, ქვეყნის, პროფესიის, სოციალური სტატუსის გარკვევა. ცნობილ ადამიანებზე ინფორმაცია ვიკიპედიაში მათი

ეროვნების შესახებ ინფორმაციით იწყება. შეიძლება ეს ჩვეულებრივი კლიშეა და მეტი არაფერი.

ვიკიპედიაში წავიკითხე: „ნილს ბორი: დანიელი ფსიქიატრი“. მაშინვე გამიჩნდა შეკითხვა, რას მეტყოდა ვიკიპედია აინშტაინზე – ამერიკელი თუ ებრაელი ფიზიკოსი? ამ შემთხვევაში ეროვნება საერთოდ არ იყო მითითებული. ვიკიპედიის ავტორების მიხედვით, ალბერტ აინშტაინის შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა ეროვნებას, იგი იყო უბრალოდ ფიზიკოსი. თუმცა, „დანიელი ფიზიკოსი“ ან „გერმანელი მათემატიკოსიც“ უცნაურად არ ჟღერს?

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ფიზიკა, ქიმია და მათემატიკა განსხვავებული შემთხვევებია, ვიდრე ხელოვნება. ხელოვნების შემთხვევაში ეროვნულ კუთვნილებას განსაკუთრებული ესთეტიკური დატვირთვა აქვს. რა თქმა უნდა, მეცნიერება და ხელოვნება ერთმანეთისაგან განსხვავდება. მიუხედავად ამისა, კინოში სულ უფრო და უფრო რთულდება ისეთი სიტყვების წარმოთქმა, როგორიცაა „ფრანგული კინო“, „ავსტრალიელი მსახიობი“ ან „ესპანელი რეჟისორი“. ხელოვნების კრიტიკოსებსა და ისტორიკოსებს შეუძლიათ ახსნან, რას ნიშნავს ფრანგული კინო და რა არის მასში განსაკუთრებული, მაგრამ ეს ვირტუალური გამოსახულებაა; ასეთი „ფრანგული კინო“ შეიძლება ხვალ გადაიღონ ტუნისში ან იაპონიაში.

მუსიკაშიც კი, ხშირად, ეს საკითხები არ არის ასეთი ნათელი. არ ვიცი თქვენს შესახებ, მაგრამ მე მაღიზიანებს, როცა ამბობენ „გერმანელი კომპოზიტორი – იოჰან სებასტიან ბახი“ – მას ხომ არ შეუქმნია ავთენტური ეთნიკური გერმანული მუსიკა? რომ აღარაფერი ვთქვათ ავანგარდულ ხელოვნებაზე, რომელიც პრინციპულად კოსმოპოლიტურია.

მოდით, ვაღიაროთ, რომ ეროვნულობის საკითხები ძალიან იდუმალია. ის სპეციალისტებშიც კი გაურკვევლობას იწვევს. ისინი დებატებს მართავენ, კამათობენ.

რას უნდა ველოდოთ ადამიანებისაგან, რომელთაც სწამთ, რომ მათი ეროვნული იდენტობა შეუძლებელია კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ? ბევრს სჯერა, რომ მათმა ერმა შეინარჩუნა წმინდა სისხლი ბოლო 500, 1000 და 2000 წლის განმავლობაში. არავინ არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ იმას, თუ რამდენად არის ეს პრაქტიკულად შესაძლებელი. მოდი, ვცადოთ და წარმოვიდგინოთ ჩვენი ბებიები და ბაბუები და მათი ბებიები და ბაბუები – თუ სწორად დავთვალე, ჯამში 16 ადამიანი. წარმოვიდგინოთ ასევე მათი წინაპრები. წმინდა სისხლი უნდა ნიშნავდეს იმას, რომ არც ერთ მათგანს არ ჰყავდეს უცხოელი მეუღლე. ეს ხომ აბსურდია, მაგრამ.... ადამიანებს მაინც კლავენ ეროვნების გამო.

რა თქმა უნდა, არსებობს საერთო ენა, ტრადიციები, წესები, მაგრამ ისინი თავისთავად არ ერთიანდება „ეროვნებად“. შეგნებული ადამიანებისათვის

ეთნიკურობა არის კულტურული სიმბოლო, კულტურული თამაში, მსგავსად ფილოსოფოს იოან ჰუიზინგას (ჩვენ არ ვუწოდებთ მას „ჰოლანდიელ ფილოსოფოსს“. იგი საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც შეეწინააღმდეგა ნაცისტურ წარმოდგენებს არიული სიწმინდისა და ანტისემიტიზმის შესახებ) პერსონაჟისა („კაცი, რომელიც თამაშობს“ – „Homo Ludens“). „დიდ თამაშად“ თვლიდა იგი ადამიანების ისეთ საქმიანობას, როგორიც არის პარლამენტი ან სასამართლო. ჰუიზინგას მიხედვით, თითოეულ კულტურას თავისი წარმოდგენა აქვს წარსულის შესახებ და შეუძლია „დაწეროს ისტორია“ საკუთარი გზით. არა მხოლოდ თითოეულ კულტურას, არამედ, ასევე სხვადასხვა სუბკულტურებს ერთ კულტურაში. იგი საუბრობს სხვადასხვა ინტერპრეტაციების შესახებ ჰოლანდიის ისტორიასთან დაკავშირებით, პროტესტანტული და სოციალისტური გადმოსახედიდან. განა არ ადასტურებს ეს „Homo Ludens“-ის არსებობას, რომელიც თამაშობს და შეიცნობს, თამაშობს და სწავლობს თავისი და სხვების შესახებ?

ბევრ მკვლევარს სჯერა, რომ კულტურული რევოლუციის საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა უძველეს საბერძნეთში ჩვ.წ.აღ. მე-8 – მე-5 საუკუნეში, იყო ჰელენიკური აგონი, შეჯიბრი, რომელიც ვრცელდებოდა ცხოვრების ყველა სფეროზე ძველ ბერძნულ პოლისში, ათლეტური სპორტიდან დაწყებული, სასამართლოთი, თეატრითა და ფილოსოფიით დამთავრებული. ამ შეჯიბრმა საშუალება მისცა ძველ ბერძნებს, ბევრი რაღაც ესწავლათ, შეთანხმებისათვის მიეღწიათ ბევრ საკითხთან დაკავშირებით. აგონმა დართო მათ ნება, ყველა უცხოელისათვის ბარბაროსი დაერქმიათ. სხვა რა იყო ეს, თუ არა კულტურული თამაში?

და მაინც, თითქოს რაღაც იცვლება წარმოდგენებში ერებისა და ნაციონალიზმის შესახებ. ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ პრაქტიკულად ყველა ის ფენომენი, რომელიც ფუნქციონირებს ჩვენ გარშემო, ჩვენს მიერ არის შექმნილი, ზოგ შემთხვევაში უფრო წარმატებული, სხვადასხვა სემანტიკური კონტექსტით; სხვა შემთხვევებში კი ნაკლებად წარმატებული და ადვილად დავიწყებული. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩვენთვის მოსახერხებელია აღვიქვათ ჩვენი ეროვნული ისტორია, როგორც დიდებული ნარატივი, გმირობის ისტორია, რომელიც თანმიმდევრულად განვითარდა დროში. ეს ბუნებრივია, მაგრამ ჩვენ არ უნდა მოვახდინოთ ნარატივის მითოლოგიზაცია და არ უნდა მივცეთ მას ჩვენს გონებაზე და ქმედებაზე ბატონობის საშუალება.

ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ „ერი“ ისეთივე კონსტრუქციაა, როგორც ბევრი სხვა კონსტრუქცია, ისეთივე „გამოგონებაა“, მაგრამ არა ისეთი სამწუხარო ან ცუდი, რადგანაც მნიშვნელოვანი ისტორიული საჭიროებები დააკმაყოფილა. ჩვენ მივხვდით, რომ „ერი“ და „ეროვნული“ საგნები კულტურული თამაშებია, რაც საშუალებას გვაძლევს, განვავითაროთ

დამაკავშირებელი იდენტობა ჩვენს ჩვეულებებს, ტრადიციებსა და მსოფლხედვებს შორის, ჩვენს ფოლკლორსა და ხელოვნებას შორის, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვაქციოთ თამაშის წესები მძიმე დოგმებად. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ სხვებისაგან განსხვავება მსგავსებას არ აღემატება და ჩვენ უნდა ვისწავლოთ ღია სამყაროში ცხოვრება, რომელშიც ბევრი რამ არის დამოკიდებული ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე.

ვაღიარებ, რომ მიხარია ფართო გავრცელება ბენედიქტ ანდერსონის ტერმინისა – *„წარმოსახვითი საზოგადოებები“.* ამ ტერმინს ის ადამიანებიც კი ხშირად იყენებენ, ვისაც ეს წიგნი საერთოდ არ წაუკითხავს (თუმცა წიგნი ვერ პასუხობს სათაურში დასმულ შეკითხვებს: „რატომ წარმოსახვითი“? „რატომ აგრძელებენ ადამიანები წარმოსახვას“? „რატომ მაინცდამაინც ამ გზით წარმოსახვა“?). გარდა ექსტრემალი რეტროგრადებისა, რომელთაც არ შეუძლიათ „ობიექტურობის“ დოგმის დათმობა და ექსტრემალი რადიკალებისა, რომელთაც ურჩევნიათ, სჯეროდეთ მითი, რათა მოხერხებულად გამოურეცხონ ტვინები სხვებს, ყველა თანდათანობით მიეჩვია „წარმოსახვით“ საზოგადოებებს.

მე არ ჩავუღრმავდები „ერისა“ და „ეროვნულობის“ დეტალებს – ამაზე უკვე საკმარისად დაიწერა – მე შემიძლია, ვთქვა მხოლოდ შემდეგი:

ჩვენ არ უნდა აღვიქვათ „შენება“, როგორც რაღაც იდუმალი ძალების კონსპირაცია, მაგალითად – მასონური ლოჟა, რომელიც ფარულად განაგებს სამყაროს. ამ პროცესში არის ბევრი სპონტანურობა და სხვადასხვა ისტორიული ინტერესი; როგორც კი ჩნდება პროექტი ან პროგრამა, რომელიც, მაღალი ალბათობით, მოლოდინებს დააკმაყოფილებს, ჩნდება ასევე ილუზიაც, რომ მის შესახებ ადრეც ვიცოდით. ამიერიდან შენ ვერ შეძლებ მის გარეშე არსებობას – როგორც მაგნიტი, რომელიც რკინას იზიდავს, ის გიზიდავს მრავალი მნიშვნელობით. ის ხდება არა მხოლოდ პოლიტიკური და კულტურული, არამედ, ასევე ფსიქოლოგიური რეალობა და არ არის შეზღუდული იმ ტერიტორიით, რომლის წიაღშიც წარმოიქმნა.

„ნაციონალიზმის“ შემთხვევაში, პირველ რიგში, დადასტურებულია, რომ ის აღმოჩნდა მოსახერხებელი მანქანა სხვადასხვა საერთო რელიგიის ხალხებისათვის, „გაეცნობიერებინათ“ ერთმანეთისადმი ნათესაობა.

მეორე მხრივ, „ერების“ შექმნამ შესაძლებელი გახადა ქაოსისა და სისხლიანი რელიგიური დაპირისპირებების თავიდან აცილება იმდროინდელ ევროპულ პოლიტიკურ სივრცეში.

მესამეც, ერებმა მისცა ბიძგი ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობებს, რამაც გარდაქმნა მსოფლიო პოლიტიკური რუკა. სახელმწიფო მოწყობის სოციალური და სამართლებრივი მოდელები აღქმული იყო, როგორც უცხო, ზედმეტად რაციონალური და „ცივი“, მაშინ, როცა ეთნო-ნაციონალისტურმა

სლოგანებმა მოახდინა იმ ხალხების მობილიზება, რომელთაც საერთო ნიშან-თვისებები აკავშირებდა.

კაცობრიობამ გაიარა განვითარების რამდენიმე ფაზა: „ჩვენ მათ წინააღმდეგ“, „მე სხვების წინააღმდეგ“, „ჩემი კულტურა სხვა კულტურის წინააღმდეგ“, „მე სხვის (შინაურის) წინააღმდეგ“, „მე ჩემში არსებული სხვა ადამიანის წინააღმდეგ“ და სხვა მსგავსი წინააღმდეგობები, რაც მოიცავდა „ჩვენ“-ს და „მე“-ს. აღნიშნული ფაზები ურთიერთკავშირშია და ხშირად ერთდროულად არსებობს, მაგრამ თითოეულ ფაზას აერთიანებს ის, რომ ცივილიზაციის განვითარებას განსაზღვრავს ინდივიდი და არა კოლექტივი, თანაც ეს ხდება არა თეორიულად, არამედ პრაქტიკაში.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება თუ არა, ითქვას დღეს, რომ ერების დრო წავიდა? ან ის, რომ ერის ეთნიკური ინტერპრეტაციის დრო წავიდა? გულუბრყვილო იქნება ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა აღნიშნული სტატიის ფორმატში, რომელიც უფრო ჟურნალისტური ხასიათისაა. მე მხოლოდ ორ ციტატას გამოვიყენებ.

პირველ რიგში, გავიხსენოთ ბ. ანდერსონის სიტყვები: „ეროვნულობა არის ყველაზე უნივერსალური ლეგიტიმური ფასეულობა ჩვენი დროის პოლიტიკურ ცხოვრებაში“.

ჯ. ჰაბერმასი, როცა იგი განიხილავს დაძაბულ ურთიერთობას ნაციონალისტურ და რესპუბლიკურ იდენტობებს შორის, ამბობს: „ეს დაძაბულობა შეიძლება განიმუხტოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის კონსტიტუციური პრინციპების ფონზე, ეროვნების კოსმოპოლიტური გაგება უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე მისი ეთნიკურად კონცენტრირებული ინტერპრეტაცია“.

თუმცა, ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „კოსმოპოლიტური ერი“, მაინც უხეშად ჟღერს, რადგანაც ვაცნობიერებთ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებაში არ არის განვითარებული ცივილური გრძნობები, ადამიანების ლეგიტიმურობას განსაზღვრავს ერი და ეროვნული იდენტობა.

მიუხედავად ამისა, გლობალურ სამყაროში „ნაციონალიზმი“, ეთნიკურ-ცენტრისტული ინტერპრეტაციით უფრო და უფრო ანაქრონისტული ხდება. განსაკუთრებით მიუღებელია, როცა ის ერთ ეთნიკურ ჯგუფს განაწყობს მეორის წინააღმდეგ და ამართლებს ეთნიკური ნიშნით ჩადენილ მკვლელობებს.

ხუთი იდენტობა

„ერისა“ და „ნაციონალიზმის“ საკითხები კვლავ აღელვებს საზოგადოებას, მაგრამ თანდათანობით და შეუმჩნევლად, კოლონიური და პოსტ-კოლონიური მენტალობის გაქრობასთან ერთად, ეს საკითხები მეორეხარისხოვანი ხდება.

თეორეტიკოსებს სჯერათ, რომ „იდენტობა“ ისეთივე სემანტიკური ქამელეონია, როგორც „ერი“ და „ნაციონალიზმი“; ჩვენ ხშირად ვამბობთ ერთს, მაგრამ ვგულისხმობთ მეორეს; ჩვენ ვკამათობთ თეორიის შესახებ, მაგრამ ცნობიერად თუ არაცნობიერად, გადავდივართ პოლიტიკაში, სოციოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში. მოდი, ნუ დავივიწყებთ ძალიან გავრცელებულ მცდარ შეხედულებას: ხშირად ხდება, რომ ვინმე ჭკვიანი ან ნაკლებად ჭკვიანი იტყვის რაღაც სიტყვას ტერმინის სახით და აღმოჩნდება, რომ ეს არის ის სიტყვა, რომელსაც ყველა ელოდა. ყველა ცდილობს ამ ტერმინის გამეორებას, მისთვის ახალი მნიშვნელობის შეძენას. საბოლოოდ ისე ხდება, რომ ტერმინის თავდაპირველი არსი ეწინააღმდეგება ახლად შეძენილ მნიშვნელობებს, მაგრამ მას მაინც იმეორებენ, როგორც კლიშეს.

ალბათ, ზოგიერთი მკვლევარი სწორია, როცა ამბობს, რომ ტერმინი „იდენტობა“ ვერასოდეს გავრცელდებოდა ასე ფართოდ, „ეროვნულობის“ შინაარსი რომ არ მოეცვა, რამაც მიანიჭა პოლიტიკურობის ელფერი. „კულტურული იდენტობა“ სწორედ იმის გამო ვერ გახდა პოპულარული, რომ მას არ ჰქონდა პოლიტიკური კონტექსტი.

მოდი, ვცადოთ და გავიგოთ, რას ნიშნავს ეს „პოლიტიკური კონტექსტი“ და რატომ გახდა ის ასეთი რელევანტური პოსტკოლონიური ქვეყნებისა და დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში მყოფი ქვეყნებისათვის.

კომუნიზმის დაცემის შემდეგ განვითარებულმა დემოკრატიულმა მოძრაობამ გააღვიძა ნაციონალისტური მსოფლხედვის სხვადასხვა ფორმები. ეს იყო გარდაუვალი რეაქცია პროლეტარიატის გაბატონების იდეოლოგიის წინააღმდეგ, რაც წარმოადგენდა კომუნიზმის საბოლოო მიზანს და რომელმაც სძლია ეთნიკურ, რელიგიურ და სხვა განსხვავებებს, მაგრამ, როგორც წესი, ერთი უკიდურესობა იწვევს მეორე უკიდურესობას. კომუნიზმზე რეაქცია წარმოადგენდა ეთნიკური ნაციონალიზმის რაღაც ფორმას, რომელმაც გამოიგონა „სხვების“ (რომლებიც არ გვეკუთვნიან „ჩვენ“) ანტიკური ფორმულა ისე, რომ არც დაფიქრებულა, თუ რას ნიშნავს „ჩვენ“.

ცნობილი სისხლიანი მოვლენების შემდეგ, სამყაროს პოსტსაბჭოთა და პოსტკომუნისტურმა ნაწილმა გააცნობიერა, რომ განვითარებულ დემოკრატიებში მოქმედებს ეროვნული იდენტობის ცივილური მოდელი და რომ პროგრესი დემოკრატიისაკენ უნდა ნიშნავდეს ეროვნული იდენტობის ეთნიკური მოდელის დაძლევას. თუმცა, როგორ შეიძლება ახალი მოდელი გაიგო და მიიღო, როცა რამდენიმე თაობა ცხოვრობდა ტოტალიტარულ სახელმწიფოში, როცა ტოტალიტარიზმი საზოგადოების თითოეულ სფეროში იყო გავრცელებული და გამორიცხავდა სამოქალაქო აქტივობის ნებისმიერ ფორმას? ჩვენ კიდევ და კიდევ ვხედავთ რეტროგრადულ მოძრაობას ფსიქოლოგიურად კომფორტული ეთნიკური ნაციონალიზმისაკენ. ეს არის მოდელი, სადაც ერის შექმნას წინ არ უსწრებს სახელმწიფოს შექმნა. ამ

მოდელში ეროვნული იდენტობა ცდილობს, გახდეს სახელმწიფო. ეროვნული კონსოლიდაცია ასეთ მოდელში დაფუძნებულია „ხალხების“ ცნებაზე და არა მოქალაქეობის ცნებაზე. ასეთი „ეროვნული იდენტობა“ ხშირად ეფუძნება ისეთ წარმოდგენებს, როგორიცაა „ადამიანების მარადიული სული“, „იდუმალი რუსული სული“, „მყარი თურქული სული“.

ჩვენ არ უნდა მოვახდინოთ ამ მოვლენების ზედმეტად დრამატიზება. საშიშროებას წარმოადგენს უსუსური განსჯა: როცა ცვალებადი სამყარო რთული გასარკვევია, უფრო ადვილია „უძველესი ერის“ მარტივი მოდელის გამოყენება, რომელიც არასოდეს იცვლება დროში. ამ დროს შედეგზე არავინ ფიქრობს.

იდენტობის პოლიტიკური კონტექსტი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მასთან დაკავშირებული როლების თამაში. ადამიანს შეუძლია მოირგოს სხვადასხვა სოციალური როლი და თავისუფლად გადავიდეს ერთი როლიდან მეორეში. იგი შეიძლება „გზასაც ასცდეს“ და ზღვარზე აღმოჩნდეს, რომლის მიღმა სოციალური სასჯელი იწყება. ადამიანს შეუძლია ასევე ითამაშოს სხვადასხვა როლი, მაგრამ შეინარჩუნოს საკუთარი თავი – „შინაგანი თანასწორობა“[48]. ცხადია, ასეთი მდგომარეობა ძალიან მყიფეა, თითქმის სულიერი აშლილობის ზღვარია. ე. ერიქსონი საუბრობს ასევე „გაურკვეველ“ ან „ჩამოუყალიბებელ“ იდენტობებზე, როცა პიროვნება ვერ ყალიბდება, როგორც ერთი მთლიანი.

ჩვენ ვხედავთ, რომ ტერმინმა „იდენტობა“ შესაძლოა, წარსულში დაგვაბრუნოს და ანტიკური წარმოდგენები გააღვიძოს ან გამოიწვიოს უფრო რთული – „მეორე მეს“ თამაშები, რომელიც შეიძლება, დაეხმაროს ადამიანს, უკეთ გააცნობიეროს მისი ადამიანური პოტენციალი. ჩვენ ვცხოვრობთ რთულ სამყაროში, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, მისი მთავარი მიზანია პიროვნების გათავისუფლება კოლექტიური იდენტობის ბორკილებისაგან და ადამიანური პოტენციალის გამოთავისუფლება, რომელიც მიჩქმალულია მასში.

დასკვნის სახით, მინდა, გაგიზიაროთ ჩემი დაკვირვება. გთხოვთ, არ აღიქვათ ეს საჯარო აღიარებად და არ ჩათვალოთ დრამატული როლის თამაშად.

ახლახან ჩატარებულ ვორკშოფში, რომელშიც ვმონაწილეობდი, როგორც მენტორი, მონაწილეებს შევთავაზეთ ასეთი როლური თამაში: მათ უნდა მოეხდინათ თვითდაკვირვება და დაესახელელებინათ 5 საკუთარი იდენტობა, დაწყებული ყველაზე მნიშვნელოვანით. ჩემი იდენტობები უნდა გამეზიარებინა მეც.

ჩემი პირველი იდენტობა: მე ვარ დედამიწელი.

---

[48] E. Erikson

მე ნებაყოფლობით ვრთავ საკუთარ თავს „მე-ჩვენ-მსოფლიო“ სისტემაში. მე ვარ დედამიწელი – შესაბამისად, მე ვცდილობ, ვიყო პასუხისმგებელი ყველაფრისათვის მსოფლიოში.

ჩემი მეორე იდენტობა: მე ვარ ბაბუა.

მე მყავს 4 შვილიშვილი. მე ვფიქრობ, რომ ვარ გაცილებით უკეთესი ბაბუა, ვიდრე ვიყავი მამა. ერთხელ სტატიაც კი გამოვაქვეყნე – „ბაბუად ყოფნის ხელოვნება“.

ჩემი მესამე იდენტობა: მე ვარ ჰუმანიტარი.

„გუშინ“ კოლექტიური იდენტობის პათოლოგიები იყო ფაშიზმი და კომუნიზმი. „დღეს“ კოლექტიური იდენტობის პათოლოგიაა ნაციონალიზმი.

ამასთან დაკავშირებით, ვორკშოფის მონაწილეებს გავუზიარე ჩემი ერთი აღმოჩენა: გუნდი არ არის კოლექტივი, რომლის ყველა წევრი მსხვერპლად გაიღებს თავს საერთო მიზნისათვის; გუნდი – ეს არის კოლექტივი, რომელიც მგრძნობიარეა მისი ყველა წევრის მიმართ და შეუძლია, გამოვლინდეს თითოეულ წევრში.

ჩემი მეოთხე იდენტობა: მე ვარ ინტელექტუალი.

ეს არ შეეხება ცოდნის დონეს ან საკუთარი თავის ქებას. მე უბრალოდ მჯერა, რომ კაცობრიობა იზრდება, როცა ფიქრობს. ფიქრი აქცევს ადამიანს ადამიანად. მე უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს ფიქრებში, ვიდრე პრაქტიკულ მოქმედებებში.

ჩემი მეხუთე იდენტობა: მე ვარ მოქალაქე.

ამაში ვგულიხმობ მოქალაქეობის მთავარ არსს. ძველი ბერძნების სიტყვებით რომ ვთქვათ: „მე ვარ მოქალაქე, მე არ ვარ იდიოტი“. როგორც ვიცით, ისინი იდიოტს ეძახდნენ ყველას, ვინც თავს არიდებდა სამოქალაქო საქმეს.

ჩემი პრეზენტაციის შემდეგ, ყველამ შეამჩნია, რომ ახალგაზრდების უმეტესობისაგან განსხვავებით, მე არ შემიტანია „ეროვნული იდენტობა“ ჩემს 5 არჩევანში.

მულტიკულტურულობა თუ მულტიკულტები...

ცხოვრების ერთფეროვნება და სტანდარტიზაცია არა მხოლოდ მოსაწყენია, არამედ გამანადგურებელიც. ადამიანური კულტურა არის მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი, რაც არა მხოლოდ მიმზიდველია, არამედ თვითგადარჩენის საშუალებაც არის.

მაშინ რატომ დაიწყო დისკუსია „მულტიკულტურულობის“ შესახებ: არავინ არ დაობს, რომ უნდა არსებობდეს „ბევრი კულტურა“, მაგრამ სიტყვა „მულტიკულტურულობა“ მხოლოდ ამ მნიშვნელობით შემოიფარგლება?

რატომ ხდება ისე, რომ ზოგიერთი მთავრობის წარმომადგენელი აღიარებს მულტიკულტურულობას, როგორც საჯარო პოლიტიკის ნაწილს, ზოგი კი ფიქრობს, რომ მულტიკულტურულობამ მარცხი განიცადა? როგორ წარმოიქმნა ასეთი უკიდურესი პოზიციები: ზოგიერთი იცავს „მულტიკულტურულობას“ ანტირასისტული პერსპექტივიდან, სხვები კი სწორედ რასიზმში ადანაშაულებენ მას?

მოდი, პირველ რიგში, გადავხედოთ იმ ისტორიულ ნარატივს, რომლის წიაღშიც წარმოიშვა ეს შეკითხვები.

მე-19 საუკუნეში მსოფლიო ჩანდა მარტივი და ნათელი და ადამიანებს სჯეროდათ გონების ძალის. მეცნიერებასა და ტექნოლოგიას უნდა უზრუნველეყო კაცობრიობის კეთილდღეობა, ევროპული კულტურის მისიად სწორედ ეს იყო მიჩნეული. „ჩამორჩენილი ხალხის კეთილდღეობისთვის“ საჭირო იყო მათი კოლონიზაცია. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს აქვს ირონიის ტონი, მაგრამ ვერ უარვყოფთ იმ სინამდვილეს, რასაც სხვა ხალხების ცივილიზების მისია ჰქვია.

მეოცე საუკუნეში ქანქარა სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით შებრუნდა. „ქანქარას“ ცნება კარგად წარმოაჩენს დასავლური ცივილიზაციის ძალას. კრიზისს ერთ სფეროში მოჰყვება კრიზისი მეორე სფეროში. ადამიანები, რომლებიც საკუთარი ცხვირის მიღმა ვერაფერს ხედავენ, ხშირად იმყოფებიან მუდმივი „კრიზისების ცვლის“ პროცესში. მათთვის ნებისმიერი კრიზისი, ნებისმიერი ფინანსური მარცხი არის ნიშანი, რომ დასავლეთის კულტურა აპოკალიფსის წინაშეა. გამოცანად რჩება, აპოკალიპტური ხედვები სიამოვნებას ანიჭებთ თუ იმდენად გულუბრყვილოები არიან, რომ აპოკალიფსის შემდეგ ახალი, ანტიდასავლური ეპოქის დადგომის სჯერათ, ყოველგვარი კრიზისებისა და სოციალური პრობლემების გარეშე.

მეოცე საუკუნე შეიძლება მივიჩნიოთ „სხვების“ რეაბილიტაციის საუკუნედ. სხვა სიტყვებით, იმ ხალხის რეაბილიტაციის საუკუნედ, რომლებიც ადრე „დაიწუნა“ დასავლურმა ცივილიზაციამ, რადგანაც ისინი წლების განმავლობაში ვერ გაუთანაბრდნენ განათლებულ თეთრ ადამიანს. შესაბამისად, მოხდა პრიმიტიული ადამიანის, იგივე „ველურის“ რეაბილიტაცია. მას აღმოაჩნდა „სხვა“, მაგრამ თანაბრად ეფექტური ლოგიკა. რეაბილიტაცია განიცადა ქალმაც. მან დაამტკიცა, რომ შეუძლია გაუთანაბრდეს მამაკაცს ნებისმიერ სფეროში. ადამიანის ქვეცნობიერის რეაბილიტაციაც კი მოხდა. ნათელი გახდა, რომ ადამიანური მოქმედებები არ არის დამოკიდებული მხოლოდ განათლებაზე. რეაბილიტაციის ტალღამ გადაუარა კოლონიების ხალხს. ნათელი გახდა, რომ ბევრ მათგანს ჰქონდა უნიკალური, მაღალი კულტურა და არ უნდა ყოფილიყვნენ მუდმივად „მოსწავლის“ როლში.

იგივე „ქანქარის“ მეორე მხარეა რადიკალური სკეპტიციზმი „დიდებულ იდეოლოგიებთან“ („დიდებული ნარატივები“, როგორც მათ ზოგიერთი ფილოსოფოსი უწოდებს) დაკავშირებით. ამ იდეოლოგიების სლოგანები ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო – „დედა სამშობლოს სახელით“, „დიდებული მომავლისათვის“, „რასობრივი წმენდის სახელით“, „მომავალი სამოთხისათვის“, „წარმართებისაგან გასათავისუფლებლად“ და ა.შ. მაგრამ მათი არსი იყო ერთი და იგივე – ადამიანის ყველაზე დიდ მისიად მიიჩნეოდა იდეისათვის სიცოცხლის მსხვერპლად გაღება. ასე ხდებოდა კომუნიზმის, ფაშიზმისა და რადიკალური რელიგიური ჯგუფების, ისევე, როგორც სხვადასხვა მისტიური და ოკულტური მოძრაობების შემთხვევაში.

თითქმის ყველა გამოჩენილ დასავლელ ინტელექტუალს მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჰქონდა მემარცხენე შეხედულებები. ისინი გამოდიოდნენ უნივერსალური გონების რწმენის წინააღმდეგ. ისინი აფრთხილებდნენ დასავლურ ცივილიზაციებს, რომ იდეოლოგიისადმი შემრიგებლობა მათ აქცევდა „დიდებულ ნარატივად“, რომელიც ითხოვს ბრმა მორჩილებას. აკადემიკოსებიდან ამ იდეებმა პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებში გადაინაცვლა.

„მულტიკულტურულობის“ იდეამ, ერთი მხრივ, ინტელექტუალურ და მეორე მხრივ, პოლიტიკურ პრაქტიკაში გადაინაცვლა. პირველად – კანადაში, სადაც მიიღეს „მულტიკულტურულობის“ აქტი, შემდეგ – ავსტრალიაში, შემდეგ კი მთელ ევროპულ კონტინენტზე. გარკვეული ხარისხით, ეს იდეები იყო პასუხი ასიმილაციის კონცეფციაზე, რომელიც გაბატონებული იყო აშშ-ში მეოცე საუკუნეში.

თუმცა, პოლიტიკურად კორექტულმა მულტიკულტურულობის ფორმულამ ვერ გადაჭრა ბევრი პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა, როცა ემიგრაციის დიდმა ტალღებმა გადაუარა დასავლურ ქვეყნებს. პოპულარული გახდა ფორმულა – „ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე“. აღმოჩნდა, რომ საკმარისი ანაზღაურება როცა არსებობს, შესაძლებელია „ასიმილაციისა და ინტეგრაციის“ გარეშე არსებობა.

მულტიკულტურულობის თემამ ორი სახის გამოწვევა გამოავლინა. ერთი მხრივ, პოსტსაბჭოთა, პოსტკომუნისტური, პოსტკოლონიური, განვითარებადი ქვეყნები და იმიგრანტთა ეთნიკური ჯგუფები უნდა გამკლავებოდნენ ცივილიზაციის განვითარების გამოწვევებს. მეორე მხრივ, განვითარებულ ქვეყნებს უნდა ეპასუხათ იმ გამოწვევებისათვის, რაც უკავშირდებოდა გამუდმებულ პოლიტიკურ და კულტურულ კონტაქტებს პოსტკოლონიურ ქვეყნებთან.

მოდი, ეს გამოწვევები შეკითხვების სახით ჩამოვაყალიბოთ.

შეკითხვების პირველი რაუნდი:

დღევანდელ სამყაროში რამ უნდა მართოს ინდივიდებისა და ჯგუფების, შვილებისა და მშობლების, მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა? – ეროვნულმა ტრადიციებმა თუ საერთაშორისო ნორმებმა?

მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობა არის თუ არა უნივერსალური ხასიათის თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში? „არაბული გაზაფხული“ ეროვნული ტრადიციების დარღვევის შედეგი იყო თუ მსოფლიო დემოკრატიული წესრიგის დარღვევის?

სწორია თუ არა კულტურების მრავალფეროვნებაზე საუბარი, როცა მათი წარმომადგენლები, მასობრივი კომუნიკაციებისა და სტანდარტიზებული განათლების საერთო სისტემების გამო, იზიარებენ ცოდნის საერთო სისტემას?

რატომ უნდა მივდევდეთ ტრადიციული საზოგადოების პრინციპებს და არა თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების პრინციპებს?

შესაძლებელია თუ არა დიალოგი იმ ეთნიკურ-კულტურულ ჯგუფთან, რომლისთვისაც იდენტობა წარმოადგენს წმინდა ტრადიციების ბატონობას, რომელიც არათუ გადასინჯვას, უმცირეს შესწორებასაც კი არ ექვემდებარება?

რა საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ემიგრანტები, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების დიდ ქალაქებში სახლდებიან, ქმნიან „სხვა“ კულტურას, რომელსაც სჭირდება რეაბილიტაცია, რადგანაც მას აქვს კულტურული ფასეულობა მთელი კაცობრიობისათვის?

როგორ უნდა მოვეპყროთ იმიგრანტთა საზოგადოებებს, რომლებისთვისაც საზოგადოების ცნება დაკავშირებულია საერთო ენასთან, კულტურასთან, ტრადიციებთან და მათთვის რთულია ისეთ საზოგადოებაში ადაპტირება, სადაც მოქალაქეები გაერთიანებულნი არიან „ცივი“ კანონით და არა „ცხელი“ ჩვეულებით?

შეკითხვების მეორე რაუნდი:

თუ მმართველი საზოგადოება ვერ ახდენს ასიმილაციას კონკრეტულ ეთნიკურ-კულტურულ საზოგადოებაში, შეიძლება თუ არა აღნიშნულმა გაამართლოს „ეთნიკური წმენდა“ და სხვა დისკრიმინაციული ზომები?

სწორია თუ არა ვარაუდი, რომ სამოქალაქო ცნობიერებამ ყველა შემთხვევაში უნდა დაძლიოს ეთნიკური ცნობიერება? ღირს თუ არა სლოგანის – „ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე“ – გამოყენება, თუ იმიგრანტთა ჯგუფებისთვის ის მისაღები არ არის?

რა შეიძლება ითქვას იმ ადამიანების უმრავლესობაზე დასავლურ (და არა მხოლოდ დასავლურ) ქვეყნებში, რომლებიც იმიგრანტებში ხედავენ ყველა პრობლემის სათავეს? როგორ უნდა გავუმკლავდეთ პარტიებს, რომლებიც პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობენ ამ ადამიანების სენტიმენტების ხარჯზე?

როცა გაზეთები და ელექტრონული მედია მოიხსენიებს იმიგრანტებს, როგორც „სხვებს“, შეიძლება თუ არა, ეს მივიჩნიოთ ფარულ

დისკრიმინაციად? შეიძლება თუ არა ამ სიტუაციაში ჩავთვალოთ, რომ „სხვები“ შეიძლება იყოს დიალოგის მხარე?

საკითხების გარკვეული წრე უკავშირდება აშშ-ს, სადაც ყოველთვის იყო და არის სხვადასხვა კულტურებს შორის ინტერაქციის პრობლემა. ერთი მხრივ, აშშ დომინირებს და ჩანს, რომ ყოველთვის დომინირებდა. აქ ეთნიკური საკითხები განიხილება სამოქალაქო ცნობიერების პერიფერიებში, როგორც ინდივიდებისა და კონკრეტული ეთნიკური ჯგუფების პირადი საკითხი. ეს გვახსენებს მაია ანჯელოუს ლექსს, წარმოთქმულს ბილ კლინტონის ინაუგურაციისას, სადაც მან მოიხსენია ოცდაშვიდი ეთნიკური, რელიგიური და ტომობრივი ჯგუფი, რომელმაც დევნა განიცადა აშშ-ში. რა თქმა უნდა, შეიძლება ბევრმა დააყენოს კითხვის ნიშნის ქვეშ ამერიკული გამოცდილების ასეთი დრამატული სურათი. ეს საკითხები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აშშ-სთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც.

და ბოლო შეკითხვა:

მკვლევარ ს. ჰანტინგტონის კონცეფცია ცივილიზაციების შეჯახების შესახებ გახდა პოლიტიკური და კულტურული სპეკულაციების საფუძველი წლების წინ. შესაძლოა, მთავარი აზრი შეიცვალა და ცივილიზაციების დაპირისპირებაზე საუბრის ნაცვლად, უნდა ვილაპარაკოთ ცივილიზაციისათვის ბრძოლაზე, ერთიანობასა და მრავალფეროვნებაზე, ყველა კულტურისა და სუბკულტურის ჩართვაზე მსოფლიო პროცესში.

უნდა ვაღიაროთ, რომ გლობალურ სამყაროში, განვითარებული დემოკრატიები განიცდიან ახალ გამოწვევებს, რომლებსაც პასუხი უნდა გასცენ.

ერთი მხრივ, ერთიანი სახელმწიფო ყოველთვის ისწრაფვის ერთიანი პოლიტიკური იდენტობისაკენ. ეს კი იწვევს იმ ხალხის გარიყვის ცდუნებას, რომლებსაც არ სურთ, ან არ შეუძლიათ უმრავლესობის იდენტობის მიღება. მეორე მხრივ, პრობლემის ასეთი გადაჭრა ხარვეზიანია არა მხოლოდ მორალური გადმოსახედიდან, არამედ ლეგიტიმურობის პერსპექტივიდანაც, რადგანაც ის აცხადებს, რომ რაღაც წესი საერთო უნდა იყოს ყველა ადამიანისათვის.

რა შეიძლება გაკეთდეს? პირველ რიგში, უნდა მოხდეს იმ პრობლემის აღიარება, რომელიც ეხება არა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს, რომლებსაც არ შეუძლიათ იმიგრანტთა ტალღის მიღება, არამედ გლობალურ სამყაროს, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს ყველაფერს, რაც სამყაროს სხვადასხვა ნაწილში ხდება.

შემდეგ: არსებობს მოსაზრება, რომ უნდა დადგინდეს პროცედურული დისტანცია, როცა დიალოგი „სხვასთან“ უშედეგოა, როცა „სხვას“ არ შეუძლია დიალოგი ან არ ესმის შენი. პოლიტიკურ სფეროში საჭიროა დემოკრატიულ სამართლებრივ პროცედურებზე დაყრდნობა და ე.წ. „პროცედურული

რესპუბლიკისაკენ“ გამუდმებული სწრაფვა. შევთანხმდეთ, რომ ასეთი „პროცედურული რესპუბლიკა“ აუცილებელი წინაპირობაა პოლიტიკური ქაოსის დასაძლევად, მაგრამ საკმარისია კი?

ისტორიულ იდენტობებს ხელაღებით ვერ მოვიშორებთ თავიდან. თუმცა, ასევე მიუღებელია მონოპოლიის მოთხოვნაც. ისტორია არ ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებებს. სამართლებრივი პროცედურები წარმოადგენს მთავარ წინაპირობას სამართლიანი სახელმწიფოს სათანადო ფუნქციონირებისათვის, მაგრამ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ პროცედურა თავისთავად წარმოადგენს ნეიტრალიტეტის გარანტიას, რომ ის აღმოფხვრის სხვადასხვა კულტურული სიმბოლოების შესახებ დისკუსიის საჭიროებას. ვერანაირი პროცედურა ვერ გამორიცხავს იმ აუცილებლობას, რომ საჯარო სივრცე გაზიარებული იყოს სხვადასხვა იდენტობის მქონე ხალხებთან.

სინამდვილეში, ჩვენ წინაშეა ფილოსოფიური შეკითხვა, რომელსაც აქტიურად განიხილავდნენ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან. ქვეცნობიერის ერთიანობა, რომელიც ჩაანაცვლებს ცხოვრების მრავალფეროვნებას, აუცილებლად გარდაიქმნება მონოპოლიად, სამართლებრივ ქვეცნობიერად. როგორც ფილოსოფოსი მ. ბახტინი ამბობს, „სხვა ადამიანების ცნობიერება შეუძლებელია, იყოს აღქმული, გაანალიზებული ან განმარტებული ჩვენ მიერ – მასთან კავშირი მხოლოდ დიალოგის გზით შეიძლება“.

მოდი, დავუბრუნდეთ მულტიკულტურულობას და გამოვიტანოთ დასკვნები.

მულტიკულტურულობამ მარცხი განიცადა, როცა „არაევროპელ ადამიანებს“ მიეცათ უფლება, განცალკევებოდნენ ცივილიზაციის განვითარების უნივერსალურ გზას.

მულტიკულტურულობამ მარცხი განიცადა, როცა ინტეგრაციის მიზნები ჩაანაცვლა ნეიტრალურმა „პროცედურულმა დემოკრატიამ“.

მულტიკულტურულობა იქცევა რასიზმის რაღაც ფორმად, როცა „სხვა“ კულტურას ენიჭება სეგრეგაციის უფლება, მაშინ, როცა ნამდვილ სამყაროში მულტიკულტურულობას ანაცვლებს ფოლკლორული ჯგუფის ფესტივალი, ეგზოტიკური ტანსაცმელი ან ეგზოტიკური საჭმელი. ამ შემთხვევაში მულტიკულტურულობა გადაიქცევა „მულტიკულტად“ (მულტიკულტურულობის ირონიულ სინონიმად), საშობაო ხის დეკორაციის მსგავსად (თუმცა, „საშობაო დეკორაციის“ შემთხვევაში ყველას ესმის, რომ არ შეიძლება იკითხო, რა არის დეკორაციის შიგნით – ჰაერი თუ ბამბა, მულტიკულტურულობის შემთხვევაში კი ამას ყველა ვარაუდობს).

„მულტიკულტურულობა“ არ უნდა გავიგოთ, როგორც „კულტურათა აღლუმი“ ან „კულტურების დიალოგი“. ის მოიცავს ორ მნიშვნელოვან საკითხს – ერთი მხრივ, განვითარებული ქვეყნების ორმხრივ

პასუხისმგებლობას, მეორე მხრივ კი იმიგრანტთა მიერ თავიანთი ქვეყნის იძულებით დატოვებას და უცხო გარემოში ინტეგრაციის გართულებას. ორივე მხარემ ერთად უნდა მიიღოს მონაწილეობა არსებული პრობლემების შესახებ დისკუსიაში კონკრეტული ქვეყნის კანონის ფარგლებში.

და რჩება ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვა – გამოიყენება თუ არა მულტიკულტურულობა აზერბაიჯანში?

მე დაუყოვნებლივ ვიტყვი „კის“ და შევეცდები მოკლედ ავხსნა ჩემი პოზიცია.

ჩვენ ვართ მულტიეთნიკური ქვეყანა, მადლობა ღმერთს. მე-19 საუკუნის ინდუსტრიული განვითარების შემდეგ ბაქო განვითარდა, როგორც კოსმოპოლიტური, რუსულენოვანი ქვეყანა და ამაში არაფერია ცუდი. ფორმულა – „ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე“ შეიძლება მისაღები იყოს ჩვენთვის, თუ ჩვენ ხელოვნურად არ გავაფეტიშებთ ყველაფერ „ეთნიკურს“ და შიშით არ მოვარიდებთ თავს ყველაფერს „არაეთნიკურს“.

ყველა ეს საკითხი უნდა განვიხილოთ სხვა ჭკვიანი ადამიანების თანდასწრებით, რადგანაც ჩვენს გონებაში ბევრი გაურკვევლობაა. ჩვენ ველოლიავებით უტოპიურ წარმოდგენებს, თუ როგორ უნდა „გავერთიანდეთ“, გამოვააშკარავოთ ყველა პოტენციური „მტერი“ და გავიმარჯვოთ „ომში“. ამავე დროს, ჩვენ გვიხარია, რომ ვართ მრავალფეროვნები და ტოლერანტები, ვამაყობთ, რომ არ ვუშვებთ დისკრიმინაციას რასობრივ, რელიგიურ თუ ეთნიკურ ნიადაგზე.

ჩვენს ქვეყანას დიდ წინსვლა ჰქონდა მე-19 საუკუნის 70-იან და მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის ევროპული გზის შესახებ. თუმცა, ამ გზაზე ყოველთვის იყო ჩვენთვის სასიკვდილო (თუ სასიცოცხლო?) გამოწვევები – დასავლეთში ხომ ამდენი გარყვნილებაა, ვაითუ ჩვენი „უცოდველობა“ დავკარგოთ?

ჩვენ, აზერბაიჯანელები, ჩვენ, სომხები...

ოცი წელი გავიდა მას მერე, რაც მთიან ყარაბაღში კონფლიქტი შეწყდა და ომი შეჩერდა. თუმცა, მშვიდობა არასოდეს დამდგარა, უფრო სწორად – არც ომი და არც მშვიდობა.

ზოგჯერ, გამყოფ ხაზთან სნაიპერების დუელები გაჩაღდება ხოლმე. ადამიანები კვდებიან, მხარეები ოფიციალურ წერილს წაიკითხავენ – „ცეცხლის დაბრუნება საჭირო გახდა მტრის შესაჩერებლად...“ და ასე გრძელდება შემდეგ შესვენებამდე.

ამ 20 წლის განმავლობაში, უცხოელების მიერ დაფინანსებული მშვიდობის შენების ბევრი პროექტი განხორციელდა. როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს ამ პროექტების მიმართ, მათ

ყოველთვის აქვს აზრი, რადგანაც ხელს უწყობს ადამიანების შეხვედრას. ადამიანების შეხვედრას კი ყოველთვის აქვს აზრი. ზოგს უჭირს, დაძლიოს ზიზღი და წინასწარი განწყობები. ზოგს სჯერა სამშვიდობო პროცესების, მაგრამ ყველაზე ოპტიმისტმა ადამიანმაც კი იცის, რომ ეს შეხვედრები ვერ მოახდენს სერიოზულ გარღვევას. ადამიანების შეხვედრა არ ნიშნავს მოწინააღმდეგე მხარეების შეხვედრას, განსაკუთრებით – იმ გარემოში, სადაც სახელმწიფოს მთელი პროპაგანდისტული მანქანა ასეთი ინიციატივების წინააღმდეგ მუშაობს.

იქმნება პარადოქსული სიტუაცია – აბსურდულიც და ტრაგიკულიც. მხარეები შორდებიან ერთმანეთს, რათა დაიწყონ სისტემატური საინფორმაციო ომი. ცხელმა ომმა გზა დაუთმო ცივ ომს. არც ერთ მხარეს არ გადაუდგამს სერიოზული ნაბიჯი ჩიხიდან გამოსასვლელად (ჩემს ერთ-ერთ სტატიაში მე ამას დავარქვი „ნევრასთენიული სინდრომი“). მათ არა აქვთ საკმარისი ძალები მოსაგებად, საკმარისი სიმამაცე – დასამარცხებლად, საკმარისი სიბრძნე – თანხმობის მისაღწევად. მხოლოდ სუსტი იმედი რჩება, რომ მოიძებნება ძლიერი მესამე მხარე, რომელიც დასჯის შენს ოპონენტს. თუ არა და, მაშინ ერთმანეთს დავადანაშაულებთ და ამავე დროს წარმოვაჩენთ ჩვენს „კუნთებს“ ან გავამწვავებთ საინფორმაციო ომს.

როგორ უნდა მოილაპარაკოთ, თუ ყოველთვის ფიქრობთ, როგორ მოიმწყვდიოთ კუთხეში თქვენი ოპონენტი? როგორ უნდა მოილაპარაკოთ, თუ მოლაპარაკების ჩიხები აგრძელებს მენტალურ ჩიხებს, რომლებსაც, თავის მხრივ, მითები კვებავს? დიალოგი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა იქნება მოსმენის, დისკუსიისა და შეთანხმების მზაობა.

არაფერი არ შეიცვლება – ვერც მედიატორები დაგვეხმარებიან და ვერც პრეზიდენტების შეხვედრები, თუ მხარეები არ იპოვნიან ძალას საკუთარ თავში, რათა მოიხსნან მითების ლიწზები და აკრძალონ „მტრის ხატები“.

პარადოქსია, მაგრამ სიმართლეა, რომ შენი ეთნიკური „მტრის“ მითოლოგიზაციას როცა ახდენ, შენ ახდენ შენი ისტორიის მითოლოგიზაციას. მილიტარისტული პატრიოტიზმი, რომელიც ეთნიკურ „მტერს“ იღებს მიზანში, იქცევა ყალბ პატრიოტიზმად, რადგანაც შედეგად მოაქვს შეუწყნარებლობა განსხვავებული აზრის მიმართ. არაფერი შეიცვლება, სანამ არ აღიარებ, რომ ეთნიკური იდენტობა არის არა პასუხი, არამედ შეკითხვა, რომელმაც უნდა გაგაერთიანოს გამყოფი ხაზის მიღმა მდგომ მეორე მხარესთან. არაფერი არ შეიცვლება, სანამ არ აღიარებ, რომ შენი ეთნიკური იდენტობა არ არის ურყევი და აბსოლუტური, რომ უბრალოდ, ძალზე დამღლელია მას დაეყრდნო მთელი დღე და თუ ჩვენში არ არიან „კოსმოკრატები“, ესე იგი ძალიან პროვინციული ვყოფილვართ.

პარადოქსია, მაგრამ მხოლოდ სხვისი გაგებით არის შესაძლებელი საკუთარი თავის გაგება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ „სხვა“ უცხო და

განსხვავებული ჩანს. და მაინც, რჩება სუსტი იმედი, რომ ამ ორ ქვეყანაში არსებობენ შეგნებული ადამიანები, თავისუფალნი ნაციონალისტური მითებისაგან, რომელთაც სჯერათ კომუნიკაციის ძალისა თანამედროვე სამყაროში.

ორმა შეგნებულმა ავტორმა დაპირისპირებული ქვეყნებიდან შეისწავლა აზერბაიჯანისა და სომხეთის სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოები, დაწყებული მე-5 კლასიდან. ისინი მივიდნენ სამწუხარო დასკვნამდე – იმ წიგნებით, რითაც ახალგაზრდობა უნდა აღიზარდოს, შეუძლებელია ორმა მხარემ რამეზე მოილაპარაკოს.

რა იპოვა ორმა ავტორმა?

სომხური სახელმძღვანელოების მიხედვით, სომხეთი დაარსდა ქ.შ.-მდე მე-18 საუკუნეში, სომხებს აქვთ განსაკუთრებული ხასიათი და ეთნო-ნაციონალური და რელიგიური იდენტობა.

აზერბაიჯანის სახელმძღვანელოები აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიას იწყებენ აზიხის მღვიმეთი, სადაც პრეისტორიული ადამიანის ძვლები აღმოაჩინეს. ერის მთელი ისტორია ინტერპრეტირებულია, როგორც განუწყვეტელი დაპირისპირება მის გარეშე მტრებთან.

მართალია, სახელმძღვანელოები წარმოადგენს ისტორიას ქრონოლოგიურად, დაწყებული ძველი დროიდან, მოყოლებული დღემდე, სინამდვილეში ისინი დაწერილია „საპირისპირო ქრონოლოგიით," რადგანაც ამართლებს დღევანდელ „ეროვნულ ინტერესებს".

სახელმძღვანელოები, ძირითადად, ფოკუსირებულია მასობრივი მკვლელობების, ეთნოსებს შორის კონფლიქტებისა და დეპორტაციების აღწერით და ქმნის ტოტალური და გამუდმებული დაპირისპირების იდეოლოგიას, ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე. მტრობის დისკურსი გამყარებულია რიტორიკული კლიშეების განუწყვეტელი გამოყენებით, რომლებიც ნასესხებია ე.წ. „პატრიოტული" ჟურნალისტიკიდან – „მოღალატე უცხოელები", „გამყიდველები", „მასობრივი მკვლელობები", „მარცვა", „ძალადობა" და სხვ...

ამ სახელმძღვანელოების მიხედვით, „ჩვენი" პოზიტიური იმიჯი და „სხვების" დეჰუმანიზებული იმიჯი წარმოადგენს მსოფლიოს, რომელიც დაყოფილია მტრულ ცივილიზაციებად. ძნელია იმ შედეგების პროგნოზირება, რასაც ეს წიგნები მოუტანს ახალგაზრდებს, რომლებიც კომპლექსური, ზრდასრული მსოფლიოსათვის უნდა მოემზადონ.

და მაინც, ჩვენდა სამწუხაროდ, სტატიის ავტორებს უნდა დავეთანხმოთ, რომ „ამ წიგნების გამო, აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდების თაობები იცხოვრებენ გადაუჭრელი კონფლიქტისა და მტრობის მუდმივ მდგომარეობაში".

ცეცხლის შეწყვეტამ ოცი წლის განმავლობაში შეაჩერა „ცხელი ომი“, გადაარჩინა ბევრი სიცოცხლე ორივე მხარეს – რაც საჭირო, მაგრამ არასაკმარისი წინაპირობა იყო კონფლიქტის დასასრულებლად.

„ცივი ომი“ გრძელდება და ნაციონალიზმის იდეა აგრძელებს მის კვებას, მაგრამ დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში, როცა ადამიანები მიგრირებენ ერთი ქვეყნიდან მეორეში, იცვლება იდენტობები, მულტიკულტურულობა და ქრება შეზღუდვები, ძალიან ძნელი გახდება „შინაურის“ იდენტიფიცირება. რა მიზეზით უნდა გვჯეროდეს, რომ ასეთ გლობალიზებულ სამყაროში, ის ადამიანი, რომელიც ჩვენს ერს წარმოადგენს, უფრო ახლობელია ჩვენთვის, ვიდრე ის „უცხოელი“, რომელთანაც უფრო მეტ სიახლოვეს ვგრძნობთ კულტურული განვითარების დონიდან გამომდინარე?

დღეს ჩვენ ინერციით ვამბობთ – „ჩვენ, აზერბაიჯანელები“, „ჩვენ, სომხები“, თითქოს ყველა „შინაურის“ სახელით ვლაპარაკობდეთ, თითქოს ვვარაუდობდეთ, რომ ყველა „შინაურის“ აზრი ერთმანეთს ემთხვევა.

მე ვფიქრობ, დადგება სხვა დრო და ჩვენ გამოვიყენებთ სხვა სიტყვებს, „აზერბაიჯანის მოქალაქეების ნაწილი“, „სომხეთის მოქალაქეების ნაწილი“. სხვაობა აშკარაა და თვალისთვის შესამჩნევი. „მოქალაქეების ნაწილი“ – ნებაყოფლობითი არჩევანია.

ეპილოგი

მე მოგონებებით დავიწყე და მოგონებებითვე დავასრულებ.

ზემოთ ნახსენებ ტრენინგზე ასეთი იგავი მოვყევი:

„კაცი უზარმაზარი ქვით დგას ჭაობში. გამვლელი სთავაზობს მას დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ გადააგდებს ქვას.

„არ შემიძლია“, – ამბობს კაცი, – „ეს ქვა გამოხატავს ჩემში დაგუბებულ ზიზღს და ჩემს შეურაცხმყოფელებს უნდა ვესროლო“.

„მაგრამ მერე ჭაობში დაიხრჩობი...“

იგივე ტრენინგზე ასეთი თამაში შევთავაზე აუდიტორიას:

მე მათ ვაჩვენე წიგნი სათაურით – „როგორ უნდა გადავრჩეთ იდიოტებს შორის“. წიგნის შინაარსის გაცნობის გარეშე, ვთხოვე, ჯერ თვითონ ეპასუხათ ამ შეკითხვაზე. მათ ძალიან იაქტიურეს და ბევრი საინტერესო გზა მოიფიქრეს. თითქმის არც ერთი პასუხი არ იყო აგრესიული – ძირითადად, საუბრობდნენ ადაპტაციაზე, იგნორირებაზე, მოტყუებაზე და ა.შ.

წიგნში წარმოდგენილი მთავარი გამოსავალი კი იყო – იდიოტის პოვნა საკუთარ თავში.

დასკვნის სახით, ვიტყვი იმას, რასაც ხშირად ვიმეორებ ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ საუბრისას.

ფიზიკოსები/ნატურალისტები დიდი ხნის წინ მიხვდნენ, რომ მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანია ინტერაქცია. ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ რა ხდება „ურთიერთშორის“, რა მოძრაობს, რა ურთიერთობს. ინტერაქციის გარეშე ვითარდება „შავი ხვრელები“.

„მკვდარი ზონების“ ფორმირება, რომლებიც „შავ ხვრელებს“ ჰგავს, ყარაბაღის კონფლიქტის ყველაზე საშინელი გამოგონებაა.

თავი 2

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები – ისტორია და დღევანდელობა

ადამიანებიდან ხალხებამდე: ეთნოტერიტორიულობის საბჭოთა სისტემის დასაწყისი და დასასრული
მარიონ ყიფიანი

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები
ზურაბ ბენდიანიშვილი

მთიანი ყარაბაღი დღეს
ჟანა კრიკოროვი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ხელახალი გააზრება: დინამიკა, წარმოდგენები და ტრანსფორმაციის პერსპექტივები
ანონიმი ავტორი

ადამიანებიდან ხალხებამდე: ეთნოტერიტორიულობის საბჭოთა სისტემის დასაწყისი და დასასრული

მარიონ ყიფიანი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საბჭოთა იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იყო ეროვნული განსხვავებების თანდათანობით გაქრობა და ერების კომუნიზმის ქვეშ გაერთიანება. ანალიტიკოსები იმ ეთნოკონფლიქტებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მის სამხრეთ ნაწილში ამოხეთქა, ხშირად ადარებენ ძირძველი სენტიმენტების ამოფრქვევას, მსგავსად იმ წნევისა, რომელიც ხეთქავს მდუღარე ქვაბის თავსახურს: როგორც კი ნაციონალისტური ემოციების რეპრესია შეჩერდა, მთელი სიმძლავრით იჩინა თავი ერების მოთხოვნებმა ექსკლუზიურ უფლებებზე და თავიანთი მიწის მართვაზე. თუმცა, საბჭოთა ნაციონალიზმის პოლიტიკის დისკურსსა და პრაქტიკას თუ დავაკვირდებით, ეს მეტაფორა სრულყოფილად არ ასახავს რეალურ სიტუაციას. სრულიად საპირისპიროდ, ამ პოლიტიკამ, ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებში არსებულ რეგიონალურ თავისებურებებთან ერთად, საბოლოო ჯამში, მოიტანა არა ეროვნული გრძნობების გაღვივება, არამედ ნიადაგი მოუმზადა ნაციონალურ შოვინიზმს, რამაც საბჭოთა კავშირის დაშლა ასეთი ძალადობრივი გახადა, განსაკუთრებით – სამხრეთ კავკასიაში.

ეთნო-ფედერალიზმის საფუძველი საბჭოთა კავშირის პირველ ათწლეულებში

ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში, საბჭოთა ლიდერები და განსაკუთრებით ლენინი დაუფარავი ზიზღით იყვნენ განწყობილნი ნაციონალიზმის მიმართ და აკრიტიკებდნენ ფედერალიზმს, როგორც ძალას, რომელიც საფრთხეში ჩააყენებდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრალიზმს – შესაბამისად, გაანადგურებდა სახელმწიფოს ერთიანობას, რაც აუცილებელი იყო სოციალიზმის მომავალი წარმატებისთვის. მარქსისა და ენგელსის დოქტრინების შესაბამისად, ლენინი განიხილავდა ერებსა და ნაციონალიზმს, როგორც ბურჟუაზიული კაპიტალიზმის შედეგს, რომელიც ხელს უწყობს ადამიანურ გაუცხოებას[49]. ამავე დროს, ლენინი არასოდეს

[49] cf. Bremmer, Ian, 1997. *Post-Soviet nationalities theory: past, present, and future.* In: Bremmer, Ian and Ray Taras (eds.): *New States, New Politics: Building the Post-Soviet Nations.* Cambridge, New York and Melbourne: Cambridge University Press (pp.3-26) p.7; Derluguian, Georgii M., 1995. *Historical Sociological Interpretation of Nationalist Separatism in the Four Former Soviet Autonomous Republics: Tataria, Chechnya, Abkhazia, and Ajaria.* Dissertation submitted to the Graduate School of the State University of New York at Binghamton p.76;

აყენებდა ეჭვქვეშ ერებისა და ნაციონალიზმის არსებობას. იგი მიიჩნევდა, რომ ადამიანებს შორის უთანასწორობა პირდაპირი ფაქტორია, რომელიც დაუსრულებელ ეთნო-ნაციონალიზმს იწვევს მოდერნიზებულ ქვეყნებში. ამ გაგებით, სამართლებრივი თანასწორობა, რასაც სოციალისტური რევოლუცია მოუტანდა ერებს, არ იქნებოდა საკმარისი უნივერსალური ინტეგრაციის გარანტირებისათვის. საჭირო იყო რეალური გათანაბრება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა (სოციო-კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ) სფეროში[50].

გეოგრაფიული სივრცის პოლიტიკური რეალობა, რომელსაც განაპირობებდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ითხოვდა პრაგმატულ მიდგომას ტერიტორიული მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით. ცარისტული იმპერიის დიდმა ნაწილმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დამოუკიდებლობა გამოაცხადა რუსეთის სახელმწიფოსაგან, მათ შორის იყვნენ ბელორუსია და უკრაინა, ასევე სამხრეთ კავკასიის ქვეყნები – სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. რუსეთის კომუნისტი ლიდერების თვალში, აღნიშნული მოვლენები აშკარად არ წარმოადგენდა ამ ერების პროლეტარიატის, განსაკუთრებით კი – სოციალიზმის ინტერესს. თუმცა, ახლად შექმნილი დამოუკიდებელი ქვეყნების პოლიტიკური ელიტა ესწრაფვოდა თავიანთი ქვეყნების სუვერენობას და მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა კონტროლს ყოფილი იმპერიული ცენტრისაგან. სუსტმა პოლიტიკურმა და სამხედრო პოზიციებმა 1920-იანი წლების დასაწყისში, ლენინსა და სტალინს მოუჭრა გზა ადგილობრივ ლიდერებთან, რომელთა მხარდაჭერა პირდაპირ იყო დაკავშირებული საბჭოთა მხარდაჭერასთან მათი ქვეყნების სუვერენული ეროვნულ-ტერიტორიული სტატუსის მიმართ[51].

ლენინის მიერ დასაწყისში გამოვლენილი რბილი ეროვნული პოლიტიკა მიიჩნეოდა გარდამავალ პერიოდზე გათვლილ პოლიტიკად. იგი ნაციონალიზმს მიიჩნევდა აუცილებელ, მაგრამ გარდამავალ ფაზად უფრო უნივერსალური იდენტობის გზაზე. გარდა ამ პოლიტიკის დაუყოვნებლივი შედეგისა, რაც გამოიხატებოდა ეკონომიკური გათანაბრების მიღწევაში, მისი

Hirsch, Francine, 2005. *Empire of Nations. Ethnographic Knowledge & the Making of the Soviet Union.* Ithaca (NY) and London: Cornell University Press p. 67; Kaiser, Robert J., 1994. *The Geography of Nationalism in Russia and the USSR.* Princeton (N.J.): Princeton University Press, p.99; Velychenko, Stephen, 1994. *National History and the "History of the USSR": The Persistence and Impact of Categories.* In Schwartz, Donald V., and Razmik Panossian (eds.): *Nationalism and History. The Politics of Nation Building in Post-Soviet Armenia, Azerbaijan and Georgia.* University of Toronto, Center for Russian and East European Studies, 1994, (pp.13-40) p.18

[50] cf. Kaiser (1994) op. cit. pp.96 et seq.

[51] cf. Bremmer (1997) op. cit. p.7; Hirsch (2005) op. cit. p.67; Kaiser (1994) op. cit. p.100

საბოლოო მიზანი იყო ხალხის დაჩქარება მარქსიზმის განვითარების (ისტორიის) სხვადასხვა საფეხურებზე, ფეოდალიზმიდან და კაპიტალიზმიდან სოციალიზმისკენ და საბოლოო ჯამში – კომუნიზმისკენ. საბჭოთა ლიდერები მოიაზრებდნენ ერს, როგორც სოციალური წესრიგის თანამედროვე პოსტფეოდალურ ფორმას, მაგრამ – ისეთს, რომელიც დაფუძნებულია ბურჟუაზიის მიერ გაერთიანებულ, წარსულისკენ ორიენტირებულ საზოგადოებებზე. ამ პოლიტიკის თანახმად, რადგანაც მუშები გააცნობიერებდნენ, რომ სოციალიზმის განვითარებისას, მათ საჭიროებებს უფრო დააკმაყოფილებდა კლასობრივი, ვიდრე ეროვნული კუთვნილება, ადრეული კაპიტალიზმის საწყისებზე აღმოცენებული ნაციონალიზმი ადგილს დაუთმობდა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს. ასე რომ, ფეოდალიზმის ბოლო ნიშნების გაქრობა და ხალხის რეორგანიზება ერებად მიჩნეული იყო პროგრესულ მოვლენად[52].

ეროვნული ტერიტორიალიზმი

სტალინი განსაზღვრავს ერს, როგორც „ისტორიულად განვითარებად, სტაბილურ თემს, რომელსაც აქვს საკუთარი ენა, ტერიტორია, ეკონომიკური ცხოვრება, ფსიქოლოგიური და კულტურული ნიშნები“[53]. აღნიშნულიდან ერთ-ერთი მახასიათებლის დაკარგვა, მაგალითად – ენის ან ჩვეულებების, გამოიწვევს ეროვნული ცნობიერების დაკარგვას. შესაბამისად, სტალინისათვის, ეროვნული ტერიტორია იყო უბრალოდ ცარიელი კონტეინერი, რომელიც ერებს შეეძლოთ შეექმნათ და გაენადგურებინათ მისი კულტურული მახასიათებლების განვითარებით თუ განადგურებით. მნიშვნელოვანია ამ შეხედულებების გაანალიზება, რათა გავიგოთ, თუ რატომ ცდილობდნენ ბოლშევიკები საბჭოთა კავშირის, როგორც ეთნო-ტერიტორიულ ერთეულებზე დაფუძნებული ფედერაციის შექმნას.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმი პასუხობდა ადრეული ბოლშევიკური სახელმწიფოს წინაშე მდგარ სამ ძირითად გამოწვევას: პირველი – ტერიტორიული ძალაუფლების ორგანიზება; მეორე – ომების, რევოლუციისა და გადატრიალებებისაგან ძალაგამოცლილი ერების გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ, მესამე – შიდა და გარე ლეგიტიმურობის მოპოვება ახალი საბჭოთა კავშირისათვის, *დე იურე*

[52] cf. Bremmer (1997) op. cit. p.7; Hirsch (2005) op. cit. pp.103 et seq.; 164 et seq.; Kaiser (1994) op.cit. pp.96, 193

[53] cf. Kaiser (1994) op. cit. pp.102 et seq., citing Stalin, Josef [1913] 1934. *Marxism and the national question.* In: *Marxism and the national and colonial questions* (pp.3-61). New York: International, p.8

უფლებების მინიჭება იმ ერებისათვის, რომლებიც, საბჭოთა ხელმძღვანელობის მტკიცებით, გაათავისუფლეს ცარისტული უღლისაგან[54].

ასე რომ, 1922 წლის 30 დეკემბერს, რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა, ტრანსკავკასიურ საბჭოთა ფედერაციულ-სოციალისტურ რესპუბლიკებთან ერთად (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) ჩამოაყალიბეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ახალი კავშირი (სსრკ). სსრკ გამოცხადდა კონფედერაციად, თუმცა, ძალაუფლება, დამფუძნებელი ხელშეკრულების თანახმად, მნიშვნელოვნად იყო გადახრილი მოსკოვისაკენ, სადაც არსებული ცენტრი ინარჩუნებდა კონტროლს შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებზე, ჯარსა და ეკონომიკაზე. აღნიშნული მოწყობა შენარჩუნდა საბჭოთა კავშირის პირველ კონსტიტუციაში, რომელიც 1924 წელს მიიღეს[55].

ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც შეადგენდნენ საბჭოთა კავშირს, შეიქმნა განსხვავებული ეროვნული იდენტობების საფუძველზე, რამაც გამოიწვია ის, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 90%-ს ჰქონდა ეთნიკურად განსაზღვრული ტერიტორიები[56]. სისტემა დაყოფილი იყო ოთხ რეგიონალურ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულად. ყოველ დონეზე არსებული ინსტიტუტი იყო თითქმის იდენტური და წარმოადგენდა სახელმწიფოსა და პარტიის, ისევე, როგორც კულტურული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ასლს. ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის უმაღლეს დონეს წარმოადგენდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ), რომელიც მიჩნეული იყო სუვერენად და ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი და თითქმის ყველა ის სახელმწიფო ორგანო, რაც დამოუკიდებელ ქვეყნებს ახასიათებთ. შემდეგ დონეს წარმოადგენდა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები (ასსრ), რომლებიც განმარტებული იყო არა როგორც სუვერენული, არამედ „ეროვნული“ სახელმწიფოები, პირდაპირ პასუხისმგებელი სსრკ-ს მიმართ და მოქცეული მისი იურისდიქციის ქვეშ. თუმცა, მათ ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია და შედარებით მეტი ავტონომია. შემდეგ დონეზე გვხვდება ავტონომიური რეგიონები (ე.წ. ავტონომიური „ობლასტები“), რომლებსაც არ ჰქონდა კონსტიტუცია და მათი ავტონომიაც უფრო შეზღუდული იყო. ბოლო დონეზე კი არსებობდა

[54] cf. Zürcher, Christoph, 2007. *The Post-Soviet Wars. Rebellion, Ethnic Conflict, and Nationhood in the Caucasus.* New York and London: New York University Press p.24

[55] cf. Hirsch (2005) op. cit., p.82; Kaiser (1994) op. cit. p.112

[56] cf. Bunce, Valerie, 1999. *Subversive Institutions. The Design and the Destruction of Socialism and the State.* Cambridge, New York and Melbourne: Cambridge University Press pp.46 et seq.

„ავტონომიური ოკრუგები“, ძირითადად – ციმბირში, რომლებსაც კიდევ უფრო ცოტა ძალაუფლება ჰქონდა[57].

საბჭოთა კავშირში არსებულ ეთნიკურ ჯგუფებს, ავტონომიის სხვადასხვა დონეზე ენიჭებოდათ მიწები, განვითარების კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ბურჟუაზიულ საფეხურზე მყოფ ე.წ. „ნაციას“ (ერს) ან როგორც პრებურჟუაზიულ ე.წ. „ნაროდს“ (ხალხს). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავებები ხშირად ყალბი იყო. საბჭოთა კავშირი – სუპრანაციონალური სტრუქტურა, ქვედა დონეზე მდგომ ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად, ვალდებული იყო, დაეცვა უმცირესობების უფლებები კავშირის თითოეულ რესპუბლიკაში[58].

1922 წლის დამფუძნებელი კონსტიტუციისა და შემდეგ მიღებული კონსტიტუციების თანახმად, კავშირში შემავალი რესპუბლიკები ნებაყოფლობით შედიოდნენ სუვერენულ სახელმწიფოთა კონფედერაციაში. მათ შეინარჩუნეს განსაზღვრული უფლებები, მათ შორის – სეცესიის უფლება. მართალია, ამ უფლებებს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რესპუბლიკის, ასევე ცენტრისათვის, ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ შეზღუდულად იყენებდნენ იმის გათვალისწინებით, რომ ძალაუფლება კონცენტრირებული იყო პარტიის აპარატსა და ფედერალურ ცენტრში. დროთა განმავლობაში კი აღნიშნული უფლებები საერთოდ გაქრა და სსრკ იქცა ძლიერად ცენტრალიზებულ, უნიტარულ სისტემად[59].

მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები წარმოადგენდნენ ტერიტორიულ ჩარჩოს პროცესისათვის, რომელსაც ჰირში[60] უწოდებდა „ორმაგ ასიმილაციას“ – ერთი მხრივ, განსხვავებულ ხალხთა ჯგუფების ასიმილაციას განსაზღვრულ ეროვნულ კატეგორიებში და მეორე მხრივ, აღნიშნული ჯგუფების ასიმილაციას საბჭოთა საზოგადოებაში[61]. საბჭოთა ლიდერები, მარქსისტული თეორიის თანახმად, მიზნად ისახავდნენ „ფეოდალური“ და „კოლონიური“ ხალხის განვითარებას ცარისტულ იმპერიაში იმ ხალხებად, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საფუძველზე შექმნილ ადგილობრივ

---

[57] cf. Bremmer (1997) op. cit. pp.7 et seq.; Cornell (2001) Cornell, Svante E., 2001. *Small Nations and Great Powers. A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus.* Richmond (Surrey, UK): Curzon Press p.41; Zürcher (2007) op. cit. pp.25 et seq.

[58] cf. Astourian, Stephan, 1994. *In Search of their Forefathers: National Identity and the Historiography and Politics of Armenian and Azerbaijani Ethnogeneses.* In Schwartz, Donald V., and Razmik Panossian (eds.): *Nationalism and History. The Politics of Nation Building in Post-Soviet Armenia, Azerbaijan and Georgia.* University of Toronto, Center for Russian and East European Studies (pp.41-94) p.56, fn60; Hirsch (2005) op. cit. p.160

[59] cf. Kaiser (1994) op. cit. pp.113, 342

[60] Hirsch (2005).

[61] cf. Hirsch (2005) op cit. pp.146 et seq.

საბჭოებში – რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის განადგურების საბოლოო მიზნით.

„ნატივიზაციის“ პოლიტიკა

ეს არ იყო უბრალოდ იერარქიული პროცესი. ბოლშევიკი ლიდერები განზრახ იყენებდნენ საზღვრების გავლებისა და აღწერის მეთოდებს, რათა შეექმნათ პროცესები ხალხის იდენტობის ტრანსფორმირებისათვის. შემოიღეს ახალი ლექსიკონი და სტრუქტურები. განვითარდა ახალი პრაქტიკა, რომ ხალხს მასში ეპოვა აზრი. პარტიის წარმომადგენლები ენდობოდნენ ეთნოგრაფიული ექსპერტებისა და ადგილობრივი ლიდერების ძალისხმევას ამ პროცესში და ყურადღებას აქცევდნენ ჩვეულებრივი ადამიანების პეტიციებსა და ჩივილებს. თუმცა, ეს მიდგომა არ უნდა იქნას იდეალიზებული. მართალია, პარტია აცხადებდა, რომ სარგებელი უნდოდა მოეტანა საბჭოთა კავშირში მცხოვრები „წარსულისკენ ორიენტირებული“ ადამიანებისთვის, მაგრამ ამავე დროს, ის თავს ესხმოდა ტრადიციულ კულტურას და განსაკუთრებით – რელიგიას, ანადგურებდა ადგილობრივ თემებს, ენებს და ასობით კლანის თუ ტომის იდენტობას, რათა ხელი შეეწყო „განვითარებისათვის“[62].

ბოლშევიკური მცდელობების ხერხემალს, სსრკ-ს ხალხის „გასაბჭოების“ საქმეში, წარმოადგენდა „კორენიზაცია“ („ნატივიზაცია“), რომელიც მოიცავდა ადგილობრივი წარმომავლობის კადრების შერჩევას თითოეული ეროვნული ტერიტორიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინსტიტუტებში. აღნიშნული პროცესის მიზანს წარმოადგენდა, ადგილობრივი წარმომადგენლებისაგან შეექმნათ ელიტა, რომელიც კომუნიზმის ერთგული იქნებოდა და გაზრდიდა უნივერსალურ თანასწორობას საბჭოთა კავშირის შიგნით. „ნატივიზაციის“ პოლიტიკას ჰქონდა რამდენიმე მიმართულება, რომელიც მოიცავდა ადგილობრივი კულტურული ფორმების, განსაკუთრებით – ენის მხარდაჭერას; ამ მიზნით შემოიღეს ანბანი და გრამატიკა რამდენიმე ენისათვის საბჭოთა კავშირში. „ნატივიზაცია“ ასევე ითვალისწინებდა რესპუბლიკებსა და რეგიონებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლებისა და დასაქმების ზრდას[63].

ეს პოლიტიკა განსაკუთრებით წარმატებული იყო 1920-იან წლებში, იმდენად რომ, 1930-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა ხელმძღვანელობამ დაიწყო ძალისხმევის მობილიზება „ნატივიზაციის“ პოლიტიკის შესაცვლელად და გადავიდა რუსიფიკაციის პოლიტიკაზე. ადგილობრივი

[62] cf. Hirsch (2005) op cit. pp.9 et seq., 102 et seq., 146 et seqq.
[63] cf. Kaiser (1994) op cit. pp.105, 125 et seq.

ელიტები, რომლებმაც განახორციელეს „კორენიზაცია“ განსაკუთრებული ენთუზიაზმით, დაშალეს და რუსული ენა დაწინაურდა, როგორც სახელმწიფო და სოციალური მობილურობისათვის საჭირო ენა. თუმცა, მიუხედავად მზარდი იძულებითი ანტიეროვნული პროგრამებისა და რუსიფიკაციისა, 1930-იან წლებში „კორენიზაცია“ მაინც არ შეჩერებულა სტალინური რეპრესიების პიკის დროსაც კი. უფრო დაბალ დონეზე და განსაკუთრებით კულტურულ სფეროში, გრძელდებოდა „ნატივიზაციის“ პოლიტიკა[64].

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და სტალინის გარდაცვალების (1953 წ.) შემდეგ, საბჭოთა კავშირის შემადგენელი ერთ-ერთი ოფიციალური ეროვნების წევრობა დაკავშირებულ იქნა ეროვნული უფლებების, ისევე როგორც ეკონომიკური და კულტურული რესურსების ქონასთან. ეთნიკური ჯგუფების კონსოლიდაცია მოხერხდა სტანდარტიზებული სალიტერატურო ენის შექმნის გზით, რასაც დაემატა განათლების სწრაფი გავრცელება და გაზრდილი სოციალური მობილურობა. სახელმწიფოს ფედერალიზაციამ ეთნო-ნაციონალურ საზღვრებში მოსახლეობას გაუჩინა რწმენა, რომ უპირატესობები ექნებოდათ კულტურული უფლებების, ასევე მაღალ დონეზე დასაქმებისა და განათლების მიღების მხრივ. ჩეტერიანის (Cheterian) თანახმად, საბჭოთა კავშირი, ახდენდა რა ნაციონალიზმის, როგორც პოლიტიკური გამოხატულების რეპრესიას, ამავდროულად ინსპირაციას უკეთებდა მოქალაქეების ეროვნულობის შეგრძნებას[65].

ეთნო-ფედერალიზმი და ელიტური ინტერესები 1950 წლის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საბჭოთა კავშირში დადგა სტაბილურობის პერიოდი. სტალინური წმენდის მასობრივი ტერორი დასრულდა, მაგრამ მოსკოვი აგრძელებდა უკმაყოფილების ჩახშობას კავშირის რესპუბლიკებში კულტურული და ლინგვისტური გამოხატვის, რელიგიური თავისუფლების, ტერიტორიული საზღვრებისა და ელიტურ დონეზე დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, „ნატივიზაციის“ პროცესი, რომელიც „კორენიზაციის“ პოლიტიკამ განაპირობა 1920-იან წლებში, გრძელდებოდა და მას განსაკუთრებით მხარს უჭერდა რესპუბლიკური ელიტა. საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში და, შედარებით შეზღუდული სახით, ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში, განვითარდა ორდონიანი სტრატიფიკაციის სისტემა, რომელმაც დომინანტი პოზიციები მიანიჭა რუსებს

[64] cf. ibid. pp.125, 137 et seqq., 385

[65] cf. Cheterian, Vicken, 2008. *War and Peace in the Caucasus. Russia's Troubled Frontier.* London: HURST Publishers Ltd. p.45; Hirsch (2005) op. cit. p.318; Kaiser (1994) op. cit. pp.135, 168 et seq.

მთელ საბჭოთა კავშირში, მაგრამ თითოეულ ერს – პრივილეგირებული პოზიციები თავიანთ რესპუბლიკებში[66].

ოფიციალური პოზიციები საბჭოთა კავშირის ნაციონალისტური პოლიტიკის შესახებ იშვიათად თუ გახმოვანებულა სტალინის სიკვდილიდან პირველი ათწლეულის განმავლობაში. მხოლოდ პარტიის 21-ე კონგრესზე 1961 წელს, ნიკიტა ხრუშჩოვმა შეიმუშავა ეროვნული განვითარების თეორია კომუნისტური პარტიის პროგრამაში: საბჭოთა ეროვნებები უნდა განვითარებულიყო თავიანთი ეთნიკური კულტურის გაღრმავებით. ეს პროცესი შედეგად მოიტანდა ერების დაახლოებას მანამ, სანამ მიღწეული იქნებოდა ერების სრული გაერთიანება ახალი „საბჭოთა ხალხის“ შექმნის გზით. ცხადია, პარტიის ლიდერები მიზნად ისახავდნენ, რომ აღნიშნული თეორია განეხორციელებინათ ეროვნულობის უარყოფით. თუმცა, მალე განვითარდა ორი ტენდენცია: ეროვნული ლიდერები რესპუბლიკებში გახდნენ უფრო დამოუკიდებლები და ახალი „არამართლმადიდებლური“ ნაციონალიზმი ოპოზიციური განწყობებით გამოჩნდა ფედერალურ ქვე-ერთეულებში[67].

საბჭოთა კავშირის არსებობის პირველი ათწლეულების განმავლობაში, ცენტრალური ხელმძღვანელობა ზოგიერთ შემთხვევაში იყენებდა რეპრესიულ მექანიზმებს (ტერორს, დასაქმების პრობლემებს და სხვ.), იდეოლოგიურ წამახალისებელ საშუალებებთან ერთად, რათა ეკონტროლებინა ადგილობრივი ელიტები ფედერალურ ქვე-ერთეულებში. 1950-იანი წლების შუაში ტერორის სისტემა დასრულდა. ლეონიდ ბრეჟნევის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნობის პერიოდში (1964-1982), ადგილობრივ ლიდერებს უზრუნველყოფილი ჰქონდათ მაღალი თანამდებობები. „კადრების სტაბილურობამ“ მოიტანა ცენტრის შემცირებული კონტროლი რესპუბლიკებში. ადგილობრივ ლიდერებს, რომელთა დაწინაურება საბჭოთა კავშირის საერთო ინსტიტუტებში თანდათანობით შეიზღუდა, სტიმული მიეცათ, შეექმნათ ადგილობრივი ეკონომიკური და სამხედრო ბაზა. ამ პროცესებს ხელი შეუწყო ინსტიტუტების სიმრავლემ და კომუნისტური სისტემის მიერ პოლიტიკისა და ეკონომიკის აღრევამ ადგილობრივ დონეზე[68].

---

[66] cf. Beissinger, Mark R., 2002. *Nationalist Mobilization and the Collapse of the Soviet State.* Cambridge: Cambridge University Press pp.52 et seqq.; Kaiser (1994) op. cit. pp.386, 390; Suny, Ronald Grigor, 1992. *State, civil society, and ethnic cultural consolidation in the USSR – roots of the national question.* In Lapidus, Gail W., and Victor Zaslavsky with Philip Goldman (eds.): *From union to commonwealth: Nationalism and separatism in the Soviet republics.* Cambridge Soviet Paperbacks. Cambridge: Cambridge University Press (pp.22-44) p.30

[67] cf. Suny, Ronald Grigor, 1994. *The Making of the Georgian Nation. Second Edition.* Bloomington (In.) and Indianapolis (In.): Indiana University Press p.294

[68] cf. Bunce (1999) op. cit. pp.25, 32 et seq., 50 et seqq., 85; Suny (1992) op. cit. p.31

ადმინისტრაციული მოწყობის უცნაური ეთნო-ტერიტორიული სისტემისა და „ნატივიზაციის“ პოლიტიკის გრძელვადიანი ეფექტების გამო, ადგილობრივი ელიტები დიდწილად შედგებოდა ტიტულური ერების სოციალურად მობილური წევრებისაგან. ხშირ შემთხვევაში, მათ არჩევდნენ სპეციალური პროცედურებით, სადაც დომინირებდა ნაციონალიზმი და „ლოკალიზმი“[69], ადმინისტრაციული ერთეულის ინტერესების იდენტიფიცირება კონკრეტული ეროვნული ჯგუფის ინტერესით. ამ მოვლენებმა შედეგად მოიტანა გახშირებული კონფლიქტები ცენტრსა და რესპუბლიკებს შორის, საბოლოო ჯამში კი – სუვერენობის რესპუბლიკანიზაცია და ეთნო-პოლიტიკური მანქანის ამოქმედება[70].

შემადგენელი რესპუბლიკების ძალაუფლება

1960-იან და 1970-იან წლებში ადგილობრივი ელიტები იძულებულნი გახდნენ, უფრო მეტად მიეღოთ მხედველობაში რესპუბლიკებში მცხოვრები ადამიანების ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სისტემა კვლავ აგრძელებდა სპონტანური საპროტესტო აქტივობებისა და დისიდენტების რეპრესიას, მასებმა საბჭოთა კავშირში შეიძინეს ახალი სოციალური ძალა[71]. სტალინური ტერორის დასასრულმა და შედარებითმა ეკონომიკურმა წარმატებამ 1960-იან წლებში მოიტანა „შემაჩერებელი ძალა, ყოველდღიური წინააღმდეგობის ძალა“[72]. ძლიერმა მუშებმა და პროფესიონალმა, განათლებულმა კადრებმა უზრუნველყვეს კომუნისტური პარტიის პასუხისმგებლობა სრულ დასაქმებაზე. მათ მოითხოვეს ის სამომხმარებლო სარგებელი, რომელიც ადრე მხოლოდ ნომენკლატურის მაღალი ეშელონებისათვის იყო ხელმისაწვდომი[73].

გარდა ამისა, მმართველ ელიტებში გამოვლენილმა მომხმარებლურმა ეთოსმა 1960-იან წლებში შეცვალა თავდაპირველი ბოლშევიკური მორალი, რომელიც დაფუძნებული იყო ანტიკაპიტალისტურ განვითარებაზე. იდეოლოგიური სიცარიელის შევსების მიზნით, ალტერნატიული მორალის შემუშავების მცდელობისას, საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ მიაშურა

[69] cf. Beissinger, Mark and Lubomyr Hajda, 1990. *Nationalism and Reform in Soviet Politics.* In Hajda, Lubomyr, and Mark Beissinger (eds.): *The Nationalities Factor in Soviet Politics and Society.* The John M. Olin Critical Issues Series. Boulder (Co.), San Francisco, and Oxford: Westview Press (pp.305-322) p.310

[70] cf. Bunce (1999) op. cit. pp.50 et seq.; Kaiser (1994) op cit. pp.332 et seq.

[71] cf. Beissinger (2002) op. cit. pp.332 et seqq., Bunce (1999) op. cit. pp.24, 28; Derluguian (1995) op. cit. p.24

[72] Derluguian (1995) op. cit. p.24

[73] cf. Beissinger and Hajda (1990) op. cit. pp.309 et seq., Bunce (1999) op. cit. p.28; Derluguian (1995) op. cit. p.24

ეროვნულ კულტურასა და ეროვნულ ტრადიციებს[74]. ეს ფენომენი განსაკუთრებით დაწინაურდა საბჭოთა კავშირის პერიფერიებში, მათ შორის – სამხრეთ კავკასიაში. ამას ხელი შეუწყო ფაქტმა, რომ 1959 წლიდან 1989 წლამდე, სამი კავკასიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა გახდა ეთნიკურად ერთგვაროვანი. მაგალითად, საქართველოში, ტიტულური ერის შემადგენლობა რესპუბლიკის მთელ მოსახლეობაში გაიზრდა 64%-დან 70%-მდე. ამავდროულად, 1970 წელს, ტიტულური ერის წილი კომუნისტურ პარტიასა (76%) და უნივერსიტეტების სტუდენტებს შორის რესპუბლიკაში (თითქმის 83%) უფრო მეტი იყო, ვიდრე მოსახლეობაში[75].

ეთნო-ტერიტორიალიზმი სამხრეთ კავკასიაში

ხრუშჩოვის ლიბერალიზაციისა და ცენტრალური კონტროლის შესუსტების შემდეგ, რეგიონალურმა პოლიტიკურმა ელიტამ ყველგან უფრო მეტი ავტონომია შეიძინა. სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივმა ელიტამ ეს ავტონომია აღიქვა, როგორც პატრონ-კლიენტური ქსელების შექმნა, რომელიც უფრო მეტად იყო დამოკიდებული ადგილობრივ კავშირებზე, ვიდრე ხელისუფლების ბიუროკრატიულ ხაზებზე. ფართო საზოგადოებამ აღნიშნული კორუფციული და კლანური სტრუქტურები მიიღო ლიდერების მხრიდან ადგილობრივი ნაციონალიზმისა და იატაკქვეშა ეკონომიკური საქმიანობის მიმართ უფრო მსუბუქი დამოკიდებულების სანაცვლოდ. დერლუგიანმა (1995) აღნიშნულ ეკონომიკურ სისტემას უწოდა „კმაყოფილი საზოგადოება“ (welfare society), რაც უპირისპირდებოდა „კმაყოფილ სახელმწიფოს“. მისი გაგებით, საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილში რჩებოდა უხელფასო შრომა და მდიდრისა და კლიენტიზმის პატრონყმული დამოკიდებულება, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ეთნიკურად ფორმულირებული სოციალური ურთიერთობები.

ამავე დროს, საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილის რეალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი აღმასვლა დაიწყო 1950-იან წლებში, როცა ეკონომიკური კლიმატი გაუმჯობესდა საბჭოთა კავშირში. შედეგად კერძო მომხმარებლებს გაეზარდათ მოთხოვნილება მაღალი ხარისხის სამხრეთულ ხილზე და ბოსტნეულზე, ასევე ტურისტულ სერვისზე, განსაკუთრებით – შავი ზღვის

[74] cf. ibid. pp.125, 137 et seqq., 385

[75] cf. Snyder, Jack, 2000. *From Voting to Violence. Democratization and Nationalist Conflict*. New York and London: W. W. Norton & Company pp.224 et seq.; Suny, Ronald Grigor, 1990. *Transcaucasia: Cultural Cohesion and Ethnic Revival in a Multinational Society.* In Hajda, Lubomir, and Beissinger Mark (eds.): *The Nationalities Factor in Soviet Politics and Society.* The John M. Olin Critical Issues Series. Boulder (Co.), San Francisco, and Oxford: Westview Press (pp.228-252) p.235

სანაპიროზე. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოებამ და სოფლის მეურნეობის განვითარების ამბიციურმა კამპანიებმა ასევე რევოლუცია მოახდინა სამხრეთულ ეკონომიკაში. საბჭოთა კავშირის წამყვანი გიგანტური მრეწველობის უქონლობის გამო, სამხრეთული სამრეწველო სტრუქტურები ორიენტირებული იყო ჩრდილოვან, კვაზი საბაზრო ეკონომიკაზე, რომელიც შედგებოდა წვრილი კორპორაციებისგან, რაც გადაჭდობილი იყო პერსონალური ერთგულების ფართო ქსელთან. კორპორატიული ვაჭრობა ხშირად შეცდომით საზღვრავდა კვოტებს და ასეთ გარემოებებში რესურსების განთავსება ხშირად იწვევდა არათანაბარ შედეგებს. მიღებული სარგებელი კი თავს იჩენდა გეოგრაფიული და ეთნიკური საზღვრების გასწვრივ, რამაც დასაბამი მისცა „ნაციონალურ კონფლიქტებს“.

1970-იან წლებში, მოსკოვში განსაკუთრებული იმედგაცრუება გამოიწვია ცენტრისგან მანდატირებული რეფორმების განუხორციელებლობამ საბჭოთა კავშირის სამხრეთ კავკასიურ რესპუბლიკებში; ასევე – ოფიციალური ეკონომიკური ციფრების თვალშისაცემმა და ქრონიკულმა ვარდნამ, რაც განაპირობა კორუფციამ და ადგილობრივი სტატუსის ჯგუფებს შორის მუდმივმა ბრძოლამ, ზოგიერთი ადგილობრივი ლიდერის არაორდინალურად ხანგრძლივმა მმართველობამ (მაგალითად, ვასილ მჟავანაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი იყო 1953-1972 წწ.), რაც თანამდევ ელიტურ კლიენტიზმს და ეკონომიკურ დასაშვებობას აღარ ეგუებოდა. ცენტრალურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გაერღვია კომპლექსური ქსელები, რაც პიროვნულ მიკერძოებაზე იყო დაფუძნებული და შემოეყვანა რესპუბლიკის ახალი ლიდერები ადგილობრივად დომინირებული აპარატების გარედან.

ამგვარად, ახალი ფიგურები, როგორიცაა ჰეიდარ ალიევი — აზერბაიჯანში და ედუარდ შევარდნაძე — საქართველოში, შეარჩიეს, რათა სათავეში ჩასდგომოდნენ ადგილობრივ პარტიულ სტრუქტურებს. თუმცა, ახალმა ადამიანებმა მალე მოახერხეს საკუთარი პერსონალური ქსელების შექმნა, რომლებშიც შედიოდნენ უკვე არსებული ბიუროკრატიული ელიტის სეგმენტებიც. როგორც ასეთი, მმართველი გუნდის როტაცია ელიტურ კლანებს შორის ძალაუფლებისა და სიმდიდრის გადანაწილების მექანიზმი უფრო იყო, ვიდრე კორუფციული და კლიენტისტური პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლა. მიუხედავად ყველაფრისა, ალიევისა და შევარდნაძის მსგავსი ლიდერები აღჭურვილი იყვნენ იმ უნარებით, რომ შეექმნათ განცდა უკანონობის წინააღმდეგ მომავალი ბრძოლის შესახებ და ჩაეხშოთ ადგილობრივი ნაციონალიზმის ყველაზე მძაფრი გამოვლინებაც, ამავე დროს კი მხარი დაეჭირათ რესპუბლიკების მოსახლეობის მოთხოვნებისთვისაც.

შევაჯამოთ: 1977 წელს ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მოსამზადებლად გამართული დებატების დროს ბრეჟნევის განცხადების მიუხედავად, თითქოს

საბჭოთა კავშირში ნაციონალური პრობლემები არ არსებობდა, სოციალური და პოლიტიკური რეალობა სულ სხვა იყო — მზარდი გულისწყრომა და ნაციონალიზმი ფედერალურ ანკლავებში. მცირე მცდელობასაც კი, რომ კონსტიტუციიდან ამოეღოთ ტიტულური ეროვნებების შესახებ მუხლი, მოჰყვა ფართომასშტაბიანი აქციები. 1978 წლის დემონსტრაციებით საქართველოში მოსახლეობამ გააპროტესტა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციიდან ქართული ენის, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ენის, სტატუსის ამოღების მცდელობა.

საბჭოთა კავშირი დემოკრატიულ რეფორმებს შეხვდა მოუმზადებლად საკუთარი არსებობის ბოლო დეკადაში, მაგრამ საზოგადოება უკვე მობილიზებული იყო ეთნიკური დაძაბულობებისათვის.

პერესტროიკა, გლასნოსტი, დემოკრატიზაცია და ეთნო-ფედერალური სისტემის გახსნა

იმ დროისათვის, როცა მიხეილ გორბაჩოვი გახდა საბჭოთა კავშირის კომპარტიის პირველი მდივანი 1985 წელს, საბჭოთა კავშირი სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა. ხანგრძლივმა ეკონომიკურმა ვარდნამ, ავღანეთში კატასტროფულმა ომმა და საბჭოთა სისტემის ლეგიტიმურმა კრიზისმა გორბაჩოვს უჩვენა, რომ მხოლოდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებში მნიშვნელოვანი ცვლილებები გადაარჩენდა საბჭოთა კავშირს. რეფორმების პაკეტის საბაზისო თემა იყო პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების დერეგულაცია დემოკრატიზაციისა და პერესტროიკის გზით (რესტრუქტურიზაცია ეკონომიკური რეფორმების სახით). აღნიშნული რეფორმების პარალელურად უნდა მიეღოთ ისეთი ზომებიც, რასაც მოიხსენიებდნენ ტერმინით **გლასნოსტ**, ანუ ღიაობა.

*ტერმინი **გლასნოსტ*** პირველად გამოიყენეს მე-19 საუკუნეში ალექსანდრეს რეფორმების დროს. მაშინაც და 1980-იან წლებშიც მას მიიჩნევდნენ, როგორც რეჟიმის დამხმარე მექანიზმს, საზოგადოებრივი უკმაყოფილების დროს შეინარჩუნოს კონტროლი საპასუხო საჭირო შეზღუდული მასშტაბების რეფორმების გზით. როგორც მოგვიანებით თვით გორბაჩოვმაც აღიარა, რეჟიმის საჯარო პოლიტიკური გამოხატვის ახალი დასაშვებობის უპირველესი მიზანი იყო არა ლიბერალიზაცია — კომუნისტურ პარტიაზე კონტროლის თანამდევი დაკარგვით, არამედ საზოგადოების მობილიზცია ახალი პოლიტიკური კურსისათვის.

თუმცა, ოფიციალური ინსტიტუციების გარეთ დინამიზმისა და ინოვაციების წყაროების ძებნისას, რეფორმებმა პროგრესულად გააფართოვა ლეგიტიმური პოლიტიკური აქტივობის საზღვრები, ამავე დროს შექმნა

ახალი შესაძლებლობები და სოციალური აქტორები. ამ პროცესში, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ფუნდამენტურად შეიცვალა და პოლიტიკოსები, ძალაუფლების ზედა ეშელონებში მყოფი ლიდერებისათვის მიმართვის ნაცვლად, უფრო ხშირად მიმართავდნენ თავიანთ მოქალაქეებს, რათა მოეპოვებინათ ლეგიტიმაცია და შეენარჩუნებინათ საზოგადოებრივი წესრიგი. ამავე დროს, საზოგადოება და განსაკუთრებით უფრო რადიკალური პირები დაუპირისპირდნენ არსებულ ხელისუფლებებს — დაიწყეს საკუთარ დისიდენტურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებლის გადაფასება.

პირველად გლასნოსტი აისახა ოფიციალური ინსტიტუციების შეცვლილ ფუნქციონირებაში. 1987 წლის გაზაფხულისთვის ბალტიისპირეთის დისიდენტების მცირე ჯგუფებმა, რუსმა ნაციონალისტებმა, ეკოლოგებმა, ჰიპებმა და ებრაელებმა დაიწყეს შეზღუდულ ქუჩის აქციებში ჩართვა. პოლიციის მდუმარე რეაქციამ წააქეზა ისინი, სხვადასხვა ადგილზე საჯაროდ გამოეხატათ საკუთარი პროტესტი. წლის ბოლოსთვის, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სომხეთში, ტაჯიკეთსა და საქართველოში ფართომასშტაბიანი დემონსტრაციები ნაციონალურ ტონალობაში გაიმართა. პოპულარული მხარდაჭერის მოსაპოვებლად სისტემის გარკვეული ლიბერალიზაცია იყო საჭირო, რომელიც აისახებოდა ნაკლები და საიდუმლო პოლიციის არსებობაში. ოფიციალური კონტროლის ამ მოდიფიცირებულმა პარამეტრებმა გამოიწვია პოლიტიკური ოპოზიციის წარმოშობა. რეჟიმის მცდელობას, ორიგინალური ჩანაფიქრების, კრიტიკული დამოკიდებულებისა და პირადი ინიციატივების სტიმულირება მოეხდინა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა ეფექტი, თუ შემწყნარებლობა იქნებოდა უნივერსალური.

1990 წლისთვის დემონსტრაციებმა საბჭოთა კავშირის ბევრ ნაწილში იმდენად რეგულარული სახე მიიღო, რომ ბისინჯერმა (2002 წ.) ამას საპროტესტო ტალღის მიმოქცევა დაარქვა. მან დაპირისპირების მოვლენები და მათი დროში და სივრცეში კავშირი აღწერა, როგორც ისტორიისკენ სვლა. რეჟიმის გამოწვევებმა გააძლიერა გაურკვევლობის შეგრძნება, ასევე ქვეყნის შესაბამის პოლიტიკასა და რეაქციებში მზარდი შეუსაბამობა და უუნაროობა. ისტორია, როგორც ბისინჯერი ამბობს, გადავიდა სხვა რელსებზე, რაც სხვა მხრივ წარმოუდგენელი იყო.

დაპირისპირების ნარატიული ჩარჩოები

სეპარატისტული, ანტიკოლონიური და ანტიიმპერიალისტური ჩარჩო მიმართული იყო საბჭოთა სივრცის რუსული დომინაციის წინააღმდეგ, რაც განსაკუთრებული წარმატებით განხორციელდა საზოგადოების ფართო

ფენების მობილიზაციით. ეს მობილიზაცია არ მომხდარა, როგორც მოძრაობების იზოლირებული შეკრება, არამედ როგორც ტრანს-ნაციონალური მოძრავი ძალის გავრცელება ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან სამხრეთ კავკასიამდე. ის გავრცელდა მოლდავეთშიც, უკრაინაშიც და ნელ-ნელა თავად რუსეთშიც. ***გლასნოსტმა*** საზოგადოების ჩართულობის ახალი ფორმების ლეგიტიმაციით გამოიწვია საბჭოთა სისტემის საფუძვლები. მან გამოცდა მოუწყო ეთნიკური სტრატიფიკაციის ტრადიციულ ნიმუშს ალტერნატიული, არაოფიციალური ორგანიზაციების ფორმირების შესაძლებლობის მინიჭებით — ეს ორგანიზაციები 1989 წელს უკვე 60 ათასამდე იყო, უმრავლესობა კი 1987 წლიდან წარმოიქმნა.

ამ ჯგუფების დიდი ნაწილი სინამდვილეში ეროვნული ავტონომიისა და კულტურული უფლებების შესახებ კითხვების გარშემო ჩამოყალიბდა. ბევრ შემთხვევაში დაპირისპირების დომინირებული ნარატივი არ იყო პირდაპირ მიმართული საბჭოთა წესრიგის საწინააღმდეგოდ, არამედ მეზობელ ეროვნულ ჯგუფებთან ურთიერთობის წინააღმდეგ. ასე რომ, ეროვნული მოძრაობები ინტერაქციული იყო საბჭოთა კავშირის ეთნო-ნაციონალურ და ეთნო-ტერიტორიალურ რთულ კომპლექსთან. საკუთარ რეგიონებში ტიტულურად მიჩნეული ეროვნებებიც არ იყვნენ თანაბარი საკუთარ ავტონომიურ უფლებებში. ამის შესახებ ბრემერი (1997 წ.) საუბრობს „პირველი რიგის“ ტიტულურ ეროვნებებზე — კავშირის რესპუბლიკებში და ასევე „მეორე რიგის“ ეროვნებებზე, რომელთა „სამშობლო“ ავტონომიური რესპუბლიკები ან რეგიონები იყო. როდესაც კავშირის რეპუბლიკების ტიტულური საპროტესტო ჯგუფები საპროტესტო აქტივობებს გეგმავდნენ ძირითადად საბჭოთა ცენტრისგან თავის დახსნის მიზნით, მეორე რიგის ტიტულურმა ეროვნებებმა კი გააპროტესტეს კავშირის რესპუბლიკების მათ სამშობლოზე დომინირება. დროდადრო ეს დაპირისპირება მოსკოვის ინტერესებთან იდუმალი გარიგების სახეს იღებდა.

ამდენად, როცა საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლება აცხადებდა, რომ ეროვნებათა საკითხები გათანაბრების გზით მოგვარდა, კავშირის რესპუბლიკებში სიტუაცია ხშირად განსხვავებული იყო.

თუმცა, როდესაც საბჭოთა კავშირს მთლიანობაში განვიხილავთ, სოციალური მობილობის მასობრივი ზრდა, ურბანიზაცია და საგანმანათლებლო მიღწევები ყველა ერში იყო მზარდი დისბალანსი ტიტულურ და არატიტულურ ჯგუფებს შორის. ტიტულური ეროვნებები იყენებდნენ ელიტურ პოზიციებს და პრივილეგირებულ სტატუსს განათლებაში. მათ ამ პრივილეგიების ინსტიტუციონალიზაცია მოახდინეს ნაციონალური ტერიტორიული დისკრიმინაციის სისტემის საშუალებით. ამ

პრაქტიკამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის ეროვნული ნიშნით გამოყოფილ ტერიტორიებში ელიტის გაკოტრება.

1980-იანი წლებში, გორბაჩოვის რეფორმების პიკში, ნაციონალიზმმა თავი იჩინა, როგორც პოპულარული მობილიზაციის მთავარმა ბაზამ. საბჭოთა ფილოსოფოსმა გრიგორ პომერანტსმა ეს ფენომენი ამგვარად ახსნა: „ნაციონალიზმი, საბჭოთა მოქალაქეების ერთადერთი ოფიციალურად აღიარებული განმასხვავებელი ნიშანი, გახდა პოლიტიკური ორგანიზაციის მთავარი წამყვანი პრინციპი. ნაციონალისტები პოლიტიკურ პარტიებად ჩამოყალიბდნენ. რეალურად, ბევრ შემთხვევაში ე. წ. პოპულარული ფრონტები პოლიტიკური დაპირისპირების ავანგარდში მოექცა. პოპულარული ფრონტების შექმნის პირველადი მიზანი ეროვნული მასშტაბის საჯარო მოძრაობების შექმნა იყო, რომლებიც დაეხმარებოდა საბჭოთა კავშირის კომპარტიის რეფორმატორებს. თუმცა, ის, რაც წარმოიშვა, ეთნიკურ კუთვნილებაზე დამყარებული კვაზი-პოლიტიკური ორგანიზაციები იყო. დასაწყისში, ისინი ფოკუსირებული იყვნენ გარემოსდაცვით და ეკონომიკურ საკითხებზე, მაგრამ მალე მათ გამოიწვიეს ცენტრალური ხელისუფლების ლიდერები ისეთ სენსიტიურ საკითხებზეც კი, როგორიც არის პოლიტიკური ავტონომია და ენის უფლებები. პროგრესულად, მათი რიტორიკა თავდაპირველად დემოკრატიზაციას, ადამიანის უფლებებსა და აზრთა პლურალიზმს უჭერდა მხარს — ეროვნულ ინტერესებს აძლევდა უნივერსალურ სამოქალაქო უფლებებზე მეტ უპირატესობას.

სახელმწიფოზე და პარტიის სტრუქტურებზე დაპირისპირების ეფექტი

ჩამოყალიბებული დემოკრატიული ინსტიტუციებისა და პრაქტიკის არარსებობის გამო, საზოგადო დაპირისპირებაზე ჯეროვანი რეაგირება ვერ მოხერხდა და შესაძლებელი გახდა ახალი გახლეჩვა, რამაც ადგილობრივი ძალაუფლების სტრუქტურებშიც შეაღწია. ქუჩის მზარდმა ხმამ, გორბაჩოვის მიერ წარმოებული დემოკრატიზაციის რეფორმებთან კომბინაციაში (კონკურენტული არჩევნები, პარტიის ისტებლიშმენტის დასუსტება არჩეული საკანონმდებლო სტრუქტურების საპირისპიროდ) მზარდი დაძაბულობა გააჩინა ადგილობრივი ხელისუფლების ლიდერებში. არჩევნებმა დაბნეულობა შეიტანა ადგილობრივ აპარატში, ბზარი გაჩნდა პარტიულ დისციპლინაში და ბევრ შემთხვევაში, ამან ლიდერების წრეებსა და ახალ, ნაციონალისტ ოპოზიციას შორის ღალატი, დაპირისპირება და თანამშრომლობა გამოიწვია. ადგილობრივ ხელისუფლებას ხშირად ქუჩის დემონსტრაციების მასშტაბები და სიხშირეც კი თრგუნავდა და

ცდილობდნენ, საპროტესტო საქმიანობის მარეგულირებელი კანონები მიეღოთ.

ანტი-კოლონიალური საჯარო სენტიმენტებით რესპუბლიკების ლიდერები უფრო და უფრო მეტად იწვევდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. ეკონომიკური სუვერენიტეტი, ბუნებრივ რესურსებზე კონტროლი და რესპუბლიკების შიდა მიგრაციაც გაიზარდა. ჩვენ აქ ვხვდებით ისეთ ფენომენს, როგორიცაა „ნაციონალური კომუნიზმი“, რომელიც აცხადებს, რომ კომუნიზმი საუკეთესო იქნება, თუ ის მიჰყვება ეროვნულ გზას და გაატარებს ერის ინტერესებს სრულიად საბჭოთა კავშირის საზიანოდაც კი. ამ ამბიციებმა კულმინაციას მიაღწია რესპუბლიკებში საბჭოთა კავშირის ფედერალიზაციის გზით რეალური სუვერენიტეტის შესახებ მოთხოვნებში. თუმცა, ფედერალური კავშირის რესპუბლიკებზე უფრო დაბალი სტატუსის მქონე ქვეჯგუფები ძალიან საშიში იყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მზარდი ძალაუფლებისათვის. მათმა მოსახლეობამ, საბჭოთა რესპუბლიკებში ადრეული დაპირისპირების ჭრილში, დაიწყო მობილიზება რესპუბლიკის დისკრიმინაციის, ეკონომიკური გულგრილობისა და მათი მშობლიური რეგიონების ექსპლოატაციის გასაპროტესტებლად.

გორბაჩოვის სასოწარკვეთილი მცდელობები, დაერეგულირებინა სიტუაცია საბჭოთა კავშირის 1990 წლის ახალი ხელშეკრულებით, დასრულდა ფედერალური ქვესუბიექტების სტატუსზე მოთხოვნებით, ულტიმატუმებით, რესპუბლიკის შიდა საზღვრების ზუსტი განსაზღვრით, ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ინვესტიციების გადაწყვეტილებების მოთხოვნებით.

ეს კონფლიქტები წარმოიშვა ცენტრსა და კავშირის რესპუბლიკებს შორის, ასევე საბჭოთა რესპუბლიკებსა და ქვედა დონის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში კავშირის ცალკეულ რესპუბლიკებს შორისაც. საბჭოთა ეთნოფედერალიზმი, რომელიც შორს იყო გარდამავალი მექანიზმისგან, რომ მოეგვარებინა ნაციონალური კონფლიქტი, გახდა ადგილობრივი ელიტების მცდელობის იარაღი საკუთარი გეგმების განსახორციელებლად. იმ სტრუქტურებმა, რაზე დაყრდნობითაც თავის დროზე შეიქმნა საბჭოთა კავშირი, წამყვანი როლი შეასრულა მის ნგრევაში, ზოგ ადგილას კი – ძალადობრივ ნგრევაშიც.

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები

ზურაბ ბენდიანიშვილი

შესავალი

კავკასია გეოგრაფიულად, ეთნიკურად, კონფესიურად და კულტურულად საკმაოდ მრავალწახნაგოვანი რეგიონია. ის მდებარეობს ისტორიულ გზაჯვარედინზე, რომელიც ევროპასა და აზიას ერთმანეთთან აკავშირებს. აქ ერთადაა თავმოყრილი კულტურულ და რელიგიურ ცივილიზაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი.

კავკასია ყოველთვის ასრულებდა წამყვან როლს ევროპასა და აზიას შორის ურთიერთობებში. დიდი ხნის განმავლობაში რეგიონი იყო ან დაპირისპირებულ მხარეთა ბუფერული ზონა, ან მათი ნაწილი. სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, რეგიონი ისტორიულად მუდმივად ჩართული იყო საერთაშორისო პროცესებში. რუსული იმპერიის აღზევებისა და შემდეგ საბჭოთა კავშირის პერიოდში, კავკასია ერთიანი რუსული პოლიტიკური სივრცის ნაწილი გახდა და დამოუკიდებელი რეგიონალური მნიშვნელობა დაკარგა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასია იქცა სტრატეგიულ რეგიონად სხვადასხვა მსხვილმასშტაბიანი პროექტებისთვის, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს მსოფლიოს წამყვან, რეგიონალური მნიშვნელობის აქტორთა თანამშრომლობას. მნიშვნელოვანი სავაჭრო და სატრანსპორტო დერეფნები, ენერგორესურსების დიდი მარაგი და ამ მარაგების რუსეთის გვერდის ავლით ევროპაში ტრანსპორტირების შესაძლებლობა კავკასიის რეგიონს დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. სწორედ ამ ფაქტორებითაა განპირობებული დასავლეთის მაღალი ინტერესი სამხრეთ კავკასიის მიმართ.

სტრატეგიული რეგიონალური ფუნქციების გამო, სამხრეთ კავკასია იქცა ზესახელმწიფოების მეტოქეობის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ სივრცედ „ცივი ომის“ შემდგომ ეპოქაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ მრავალი პრობლემა წარმოშვა ამ რეგიონის სახელმწიფოებში – საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამ პრობლემათა დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის ტრანსფორმაციის მცდელობის შედეგია. საბჭოთა პოლიტიკური

წარსულიდან ყველაზე მძიმე მემკვიდრეობად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს დარჩათ კონფლიქტები აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბაღში.

ეს კონფლიქტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ურთულესი პრობლემა რეგიონის მთელი ისტორიის განმავლობაში. ამ კონფლიქტებს გააჩნიათ პოლიტიკური, ეთნიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და ტერიტორიული ხასიათი. ამავე დროს, ეს კონფლიქტები, რეგიონის უსაფრთხოების, სტაბილურობისა და რეგიონალური თანამშრომლობის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია.

კონფლიქტების მოკლე მიმოხილვა

კონფლიქტი მთიან ყარაბაღში

მე-20 საუკუნის დასაწყისში მთიანი ყარაბაღი ორჯერ გახდა სომხებისა და აზერბიჯანელების სისხლიანი დაპირისპირების მიზეზი, 1905-1907 და 1918-1920 წლებში. 1918 წელს რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერია დაიშალა და ამიერკავკასიაში სამმა სახელმწიფომ: საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა – დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ყარაბაღის სომხურმა მოსახლეობამ უარი განაცხადა, დამორჩილებოდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას და 1918 წლის 22 ივლისს შუშაში ყარაბაღის სომხების პირველმა ყრილობამ მთიანი ყარაბაღი დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულად გამოაცხადა. სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის დაპირისპირება აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც გაგრძელდა. საბოლოოდ, 1921 წლის 5 ივლისს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში დარჩა, ფართო ავტონომიური უფლებებით.

1980-იანი წლების ბოლოს, ე.წ. „პერესტროიკის“ პერიოდში, კონფლიქტი კვლავ აღმოცენდა, როგორც სახალხო დემონსტრაციების, ასევე პოლიტიკური ბრძოლის სახით, რამაც გამოიწვია ძალმომრეობის ესკალაცია. ტერიტორია, სადაც სომხები და აზარბაიჯანელები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, ორმხრივი ეთნიკური წმენდის არეალი გახდა. 1988 წლის თებერვალში ადგილობრივმა საბჭოებმა მიმართეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოებს, რათა მთიანი ყარაბაღი სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასულიყო. ეს თხოვნა ბათილად და

ძალადაკარგულად სცნო აზერბაიჯანისა და საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ. ამან გამოიწვია ძალმომრეობის აფეთქება ყარაბაღის მოსახლეობის ჯგუფებს შორის, რასაც მოჰყვა სუმგაითის ტრაგედია, სადაც სომხები ეთნიკური ძალადობის მსხვერპლი გახდნენ. სხვადასხვა მონაცემებით, რბევას ხელმძღვანელობდნენ სომხეთიდან დევნილი აზერბაიჯანელები. 1989 წლის 1 დეკემბერს სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სომხეთთან მიერთების შესახებ, რასაც აზერბაიჯანსა და სომხეთში ინტენსიური მანიფესტაციები და შეირაღებული შეტაკებები მოჰყვა.

1990-91 წწ. მიმდინარეობდა არაორგანიზებული პარტიზანული ომი, როგორც ყარაბაღსა და მის შემოგარენში, ასევე აზერბაიჯან-სომხეთის მთელ სასაზღვრო ტერიტორიაზე. ამ ფონზე ორივე მხარემ, განსაკუთრებით კი სომხეთმა, დაიწყო შეიარაღება. სულ მალე მძიმე შეიარაღებაც გამოჩნდა. 1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტჩის პერიოდს დაემთხვა სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუარესება და საბჭოთა კავშირის კოლაფსი, რაც იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობა აზერბაიჯანსა და სომხეთში სწრაფად სუსტდებოდა, ეს კი ორი ქვეყნის დამოუკიდებლობასთან ერთად, იწვევდა კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას. საქმე სრულმასშტაბიანი ომისაკენ მიდიოდა. მომდევნო ორ წელიწადში სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა მოახერხეს კონტროლის დამყარება მთიან ყარაბაღზე, ასევე აზერბაიჯანის დასავლეთ და ჩრდილოეთ ტერიტორიებზე, რასაც მოჰყვა ლტოლვილთა 800000-კაციანი ნაკადი.

ამ სამხედრო დაპირისპირების შედეგად, მსხვერპლის რაოდენობამ ორივე მხრიდან დაახლოებით 25 000 შეადგინა, მშვიდობიანი მოსახლეობის ჩათვლით.

1994 წელს გაფორმდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც დღემდე შენარჩუნებულია. აღსანიშნავია, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის არ დგანან სამშვიდობო ძალები. გამყოფი ხაზის გასწვრივ პერიოდულად ხდება ლოკალური სამხედრო შეტაკებები, რაც ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლით მთავრდება. საერთაშორისო მოლაპარაკებებზე, რომელსაც ეუთოს მინსკის ჯგუფი წარმართავს, რაიმე ხელშესახები პროგრესი

მიღწეული არ არის. ეუთოს მინსკის ჯგუფი 20 წელზე მეტია ფუნქციონირებს და მისი თანათავმჯდომარეები არიან აშშ, საფრანგეთი და რუსეთი.

კონფლიქტი აფხაზეთში

1918 წლის მარტში აფხაზმა ბოლშევიკებმა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და რუსეთთან შეერთება მოითხოვეს. აფხაზეთში საბჭოთა რუსეთიდან შევიდა კაზაკთა წითელი რაზმი. კაზაკებმა დაამარცხეს საქართველოს ჯარის ნაწილები და სოხუმი დაიკავეს. 1918 წლის მაისში საქართველოს სახალხო გვარდიამ გალისა და ოჩამჩირის რაიონებიდან სოხუმს შეუტია და აფხაზი ბოლშევიკები და მათ დასახმარებლად მოსული თურქეთის დესანტი დაამარცხა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა, აფხაზეთის საკითხი სისხლისღვრის გარეშე მოეგვარებინა. 1918 წლის ივნისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, აფხაზეთის ავტონომიური თვითმართველობის ფუნქცია ეკისრებოდა სახალხო საბჭოს. აფხაზეთის სახელმწიფოებრივ სტატუსს განსაზღვრავდა აფხაზეთის სახალხო ყრილობა. აფხაზი ბოლშევიკებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა 1918 წლის ივნისის შეთანხმება. სახალხო საბჭოს ლიდერებმა აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება გადაწყვიტეს. ამდენად, აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარება შეუძლებელი გახდა. საომარი მოქმედებები განახლდა. ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ 1918 წლის ივნის-ივლისში კაზაკთა წითელი რაზმი და აფხაზ ბოლშევიკთა მიერ მობილიზებული ძალები დაამარცხა, დაიკავა სოხუმი და გაგრა. 1919 წ. აირჩა აფხაზთა სახალხო საბჭო, რომელმაც ამავე წლის მარტში მიიღო აქტი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის შესახებ, რომელიც დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ კი აფხაზეთს ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლება მიანიჭა.

1921 წლის მარტში აფხაზეთი გასაბჭოვდა და იწოდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, როგორც საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაზე თავისი სურვილით ხელმომწერი მხარე. ამ სტატუსით ის ცნო საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა. აფხაზეთის სსრ-მ მიიღო ე.წ. ხელშეკრულებითი რესპუბლიკის სტატუსი და, ფაქტობრივად, შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. 1931 წელს საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების ყრილობის გადაწყვეტილებით, აფხაზეთი იქცა ავტონომიად საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში.

აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი მდგომარეობა დაფიქსირდა სსრ კავშირის 1936 წლის, საქართველოს სსრ 1937 წლისა და აფხაზეთის ასსრ 1937 წლის კონსტიტუციებში, შემდეგ კი სსრ კავშირის 1977 წლის, საქართველოს სსრ 1978 წლისა და აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციებში.

1980-იანი წლების ბოლოს საქართველოში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ამას, თავის მხრივ, მოჰყვა სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურება აფხაზეთში.

1989 წლის მარტში „აფხაზთა ფორუმმა“ შეადგინა პეტიცია, რომლითაც მოითხოვა აფხაზეთის რესპუბლიკის რეინსტიტუციონალიზაცია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკად, რაც საქართველოს შემადგენლობიდან გასვლას ნიშნავდა. პირველი შეიარაღებული შეტაკება ქართულ და აფხაზურ მოსახლეობის ერთ ნაწილს შორის 1989 წლის 16-17 ივლისს მოხდა სოხუმში. გავრცელებული მოსაზრებით, შეტაკებების გამომწვევი მიზეზი გახდა სოხუმის უნივერსიტეტის მისაღები გამოცდებისას მომხდარი ძალადობის ფაქტები. ამ ფაქტებისგან გამოწვეული სამოქალაქო მღელვარება სწრაფად გადაიზარდა შეიარაღებულ შეტაკებებში. შედეგად, დაიღუპა 16 და დაიჭრა 140-მდე მოქალაქე, ძირითადად – ეთნიკური ქართველი.

1990 წლის აგვისტოში, რეგიონის უმაღლესმა საბჭომ აფხაზეთი გამოაცხადა სრულუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკად, რითაც გამოეყო საქართველოს.

კონფლიქტის მთავარ კატალიზატორად იქცა 1991 წლის მარტის საყოველთაო საკავშირო რეფერენდუმი. საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიაზე ამ რეფერენდუმის ჩატარება აკრძალა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთმა მიიღო რეფერენდუმში მონაწილეობა და მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას. 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ აღადგინა 1925 წლის კონსტიტუცია, რომელიც მას განსაზღვრავდა როგორც დამოუკიდებელ, მაგრამ „სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან გაერთიანებულ რესპუბლიკას“. ამით მან პრაქტიკულად გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მაგრამ ღია დატოვა კარი საქართველოსთან ფედერაციული გაერთიანებისთვის. სიტუაცია თანდათან უკიდურესად გამწვავდა.

1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს შინაგანი ჯარი აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდა. ოფიციალურად ეს ოპერაცია სატრანსპორტო კომუნიკაციების დაცვას ითვალისწინებდა. თუმცა, ცხადი იყო, რომ საქართველოს მთავრობა, რომელიც სამხედრო გადატრიალების გზით მოვიდა ქვეყნის სათავეში, ამ გზით ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატიზმის განეიტრალებას ცდილობდა. ქართული სამხედრო შენაერთები რუსეთის

საზღვარზეც გამაგრდნენ. დაიწყო სამხედრო დაპირისპირება ქართულ შენაერთებსა და აფხაზურ ფორმირებებს შორის. აფხაზების მხარეს იბრძოდნენ ჩრდილოკავკასიელები, ძირითადად – ჩერქეზები და ჩეჩნები, რომლებიც შეუფერხებლად გადმოდიოდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის მხრიდან.

1992 წლის 3 სექტემბერს, მოსკოვში, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების დონეზე, აფხაზთა ლიდერის, ვლადისლავ არძინბას მონაწილეობით მიაღწიეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ხოლო 1993 წლის 27 ივლისს ქ. სოჭში დაიდო ახალი სამშვიდობო ხელშეკრულება საქართველოს ხელისუფლებასა და აფხაზურ მხარეს შორის რუსეთის ფედერაციის შუამავლობითა და გარანტიით.

თუმცა, ეს შეთანხმება, რუსეთის ინსპირირებით, მალევე დაირღვა და განახლდა ინტენსიური საბრძოლო მოქმედებები, რის შედეგადაც აფხაზურმა ფორმირებებმა ჩრდილოკავკასიელებისა და რუსეთის რეგულარული არმიის მხარდაჭერით, აიღეს აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი და მთლიანად კონტროლის ქვეშ მოაქციეს აფხაზეთის ტერიტორია. დაახლოებით 250 ათასმა ადამიანმა დატოვა აფხაზეთის ტერიტორია და დანარჩენ საქართველოს შეაფარა თავი. სამხედრო დაპირისპირების შედეგად მშვიდობიან მოსახლეობაში ათიათასამდე მსხვერპლი იყო, ასეულობით ადამიანი კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

1994 წლის 22 აგვისტოს დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ, რის შედეგადაც, რუსმა სამხედროებმა აფხაზეთში სამშვიდობო ძალების სტატუსი მიიღეს.

კონფლიქტი სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში

1917 წელს რუსეთის რევოლუციის შემდეგ, რუსმა კომუნისტებმა მოახერხეს საქართველოს ოსურ მოსახლეობაში პირველადი ორგანიზაციების – რევოლუციური კომიტეტების ჩამოყალიბება და საპროტესტო გამოსვლების ორგანიზება, რაც 1920 წელს აჯანყებაში და სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა.

1920 წლის 8 ივნისს აჯანყებულებმა ქალაქი ცხინვალი დაიკავეს და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ თავის ჯარები გაგზავნა ცხინვალში და აჯანყება ძალით ჩაახშო. ქართული გვარდიის სადამსჯელო ოპერაციის გამო, ბევრი ოსური ოჯახი იძულებული გახდა, გაქცეულიყო და ჩრდილოეთ ოსეთისთვის შეეფარებინა თავი. უგზოობისა და ცუდი კლიმატური პირობების გამო, გზაში მრავალი მოხუცი, ქალი და ბავშვი დაიღუპა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წლის 20 აპრილს, საქართველოს შემადგენლობაში ჩამოყალიბდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

სამხრეთ ოსეთის სტატუსის ფორმირებასთან დაკავშირებით, 1925-1927 წლებში განიხილებოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების იდეა, მათ შორის, ერთ-ერთ ვარიანტად, საქართველოს შემადგენლობაში.

საქართველოში ეროვნული მოძრაობის გაძლიერების პარალელურად, 1988 წლის ნოემბერში ცხინვალში ჩამოყალიბდა მოძრაობა „ადამონ-ნიხასი“, რომელმაც მიზნად დაისახა სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევა. ქართულ-ოსური კონფლიქტი გამწვავდა მას შემდეგ, რაც 1988 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ-მ მიიღო კანონი, რომელმაც განამტკიცა ქართული ენის პოზიციები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რასაც ცხინვალში საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. 1989 წლის 23 ნოემბერს რამდენიმე ათასი ქართველი დემონსტრანტი თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან გაემართა ცხინვალისკენ მიტინგის ჩასატარებლად. მათ ცხინვალის მისადგომებთან ოსმა მოსახლეობამ და რუსეთის შინაგანმა ჯარმა გზა გადაუღობა.

1989 წლის 10 ნოემბერს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის ამაღლების შესახებ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. სესიამ მოუწოდა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და სსრკ უზენაეს საბჭოს, რათა განეხილათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების საკითხი. სესიამ აგრეთვე, მიიღო გადაწყვეტილება „ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ“, რომლითაც ოსური ენა აღიარებულ იქნა სახელმწიფო ენად.

1989 წლის 16 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიის გადაწყვეტილებები.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნების შედეგად, ქვეყნის ხელისუფლებაში ნაციონალისტური ძალები მოვიდნენ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. ახალარჩეულმა უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 22 ნოემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ და, აქედან გამომდინარე, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ საერთოდ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მასთან ერთად გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო – კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები. გარდა ამისა, გაბათილდა და იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები. ამ კანონში აღინიშნებოდა, რომ სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ძალები ცდილობენ, საქართველოს ჩამოაცილონ მისი ისტორიული, გაუსხვისებელი ნაწილი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების მიზეზებად კი დასახელებული იყო შემდეგი არგუმენტები:

1. 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომია შეიქმნა მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნებისა და საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ;

2. ოს ხალხს აქვს საკუთარი სახელმწიფოებრიობა სსრკ-ს ტერიტორიაზე;

3. სამხრეთ ოსეთში საქართველოში მაცხოვრებელ ოსთა მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს.

იმავე დღეს საქართველოს უზენაესმა საბჭომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და მიიღო კანონი „საგანგებო წესების შესახებ“. შესაბამისი შესწორება შევიდა საქართველოს კონსტიტუციაშიც.

ე.წ. საკანონმდებლო ომი თბილისსა და ცხინვალს შორის თანდათან შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1991 წლის იანვრის დასაწყისში ზვიად გამსახურდიამ ცხინვალში წესრიგის დასამყარებლად პოლიციის ძალები შეიყვანა, მაგრამ ოსების მხრიდან შეიარაღებულ წინააღმდეგობას წააწყდა. იმავე პერიოდში ცხინვალი 10 ათასზე მეტმა ქართველმა დევნილმა დატოვა, ხოლო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ოსური სოფლებიდან მასობრივად განიდევნა ათასობით ოსი ეროვნების ადამიანი, რომლებიც ძირითადად ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდნენ.

1992 წლის 29 მაისს ცხინვალში ხელი მოეწერა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს.

1992 წლის 10 ივნისს დაბა ყაზბეგში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, ედუარდ შევარდნაძემ და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ახსარბეკ გალაზოვმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ოქმს მოაწერეს ხელი.

1992 წლის 24 ივნისს დაგომისში (სოჭი) ბორის ელცინსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ. ამ შეთანხმების საფუძველზე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამმხრივი: რუსეთის, ჩრდილო ოსეთის და საქართველოს სამშვიდობო ძალები ჩადგნენ და მუშაობა

დაიწყო შერეულმა ოთხმხრივმა საკონტროლო კომისიამ, სადაც მხარეებს წარმოადგენდნენ: თბილისი, ცხინვალი, ვლადიკავკაზი და მოსკოვი.

1993 წლის მარტიდან კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ოფიციალურად ჩაერთო ეუთო.

„ვარდების რევოლუციის“ შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში მოსული მიხეილ სააკაშვილის ხელშეწყობით, ცხინვალის მიმდებარე ქართულ სოფელ ქურთაში შერეული ოსურ-ქართული ადმინისტრაცია ჩამოყალიბდა, რომელსაც სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრი დიმიტრი სანაკოევი ხელმძღვანელობდა. სანაკოევის ადმინისტრაციის ჩამოყალიბებას კონფლიქტის ახალი ფაზა მოჰყვა, ხოლო რეგიონის ქართული და ოსური მოსახლეობა ერთმანეთისგან იზოლირებული აღმოჩნდა. განახლდა ლოკალური სამხედრო დაპირისპირებები. სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა 2008 წლის აგვისტოში, რაც საქართველო-რუსეთის 5-დღიან ომში გადაიზარდა. ამ ომის შედეგად რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა საკუთარი კონტროლის ქვეშ აიყვანეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიების ტერიტორიები. 26 აგვისტოს კი რუსეთმა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

2008 წლის აგვისტოს ომი

2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს მრავალწლიანი კონფლიქტი ღია სამხედრო კონფრონტაციაში გადაიზარდა.

სამხედრო კონფრონტაცია რუსეთმა საქართველოსთან 2008 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. ვითარება კოდორის ხეობის გარშემო აპრილიდან დაიძაბა. მოსკოვმა აფხაზეთში დამატებითი სამხედრო ძალებისა და მძიმე ტექნიკის შეყვანა დაიწყო. რუსულმა ავიაგამანადგურებელმა კი ქართული უპილოტო მზვერავი აპარატი ჩამოაგდო. ამას სარკინიგზო ჯარების შემოყვანა მოჰყვა, რომლებმაც სოხუმიდან ოჩამჩირემდე ლიანდაგის აღდგენის ინტენსიური სამუშაოები დაიწყეს.

ცხინვალის გარშემო სიტუაცია ივლისის ბოლოდან დაიძაბა. 2 აგვისტოს ქართული პოლიციის მანქანა ააფეთქეს. ამის შემდეგ ორმხრივი სროლები გახშირდა. ქართული სოფლები რეგულარულად იბომბებოდა ცხინვალის მხრიდან. ბევრი ადამიანი დაშავდა. 6 აგვისტოს სოფელ ავნევთან ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა.

სწორედ ამ დროს რუსეთმა, მასშტაბური სამხედრო წვრთნების შემდეგ, საქართველოს საზღვრებთან სამხედრო ნაწილების კონცენტრირება დაიწყო.

ცხადი იყო, რომ ომის მანქანა დაიძრა და სამხედრო კონფრონტაციის აცილება ვეღარ მოხერხდებოდა. აგვისტოს პირველ დღეებში სულ უფრო

ინტენსიურად ისროდნენ ქართული სოფლების მიმართულებით, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან. საპასუხოდ, 7 აგვისტოს ქართული ქვედანაყოფები ცხინვალში შევიდნენ. რუსეთი იძულებული გახდა, უკვე ღიად ჩართულიყო პროცესში. რუსულმა ავიაციამ ქართული პოზიციებისა და დასახლებული პუნქტების დაბომბვა დაიწყო, ცხინვალისკენ რუსული სახმელეთო ძალები დაიძრა. 11 აგვისტოს ქართულმა ჯარმა თბილისისკენ უკან დაიხია.

კონფლიქტი სარკოზი-მედვედევის შეთანხმების გაფორმებით დასრულდა, რომლის მიხედვით, რუსეთს თავისი სამხედრო შენაერთები საწყისი დისლოკაციის ადგილზე უნდა დაებრუნებინა. თუმცა, 26 აგვისტოს რუსეთმა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და თავისი სამხედროები ამ ორ რეგიონში ხანგრძლივი ვადით დატოვა.

აგვისტოს ომის შედეგად 300-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა[76]. საცხოვრებელი ადგილი 150 000-მა ადამიანმა დატოვა, მათგან 30 ათასი დევნილად რჩება, ხოლო ცხინვალის რაიონში ქართული სოფლები მთლიანად განადგურებულია.

კონფლიქტების მოგვარების ფორმატები

ფორმალური თვალსაზრისით, 2008 წ. აგვისტომდე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები წარმოადგენდა შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა ერთი მხრივ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, ხოლო მეორე მხრივ – სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლებები. თუმცა, ამ დაპირისპირებებში, თავიდანვე აქტიურად იყო ჩართული რუსეთი, როგორც კონფლიქტების ინსპირატორი და დაინტერესებული მხარე.

2008 წ. აგვისტოში, მას შემდეგ, რაც რუსეთი ღიად ჩაერთო სამხედრო კონფრონტაციაში საქართველოსთან, ამ კონფლიქტებმა თვალნათლივ განიცადა ერთგვარი ტრანსფორმაცია და მიიღო ქართულ-რუსული კონფლიქტის სახე. 2008 წლის შემდეგ რუსეთმა დაკარგა მშვიდობისმყოფელის სტატუსი, როდესაც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით ცნო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

[76] მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობის მითითება ამ ეტაპზე ვერ ხერხდება, რადგან სამხრეთ ოსეთის მხრიდან დაღუპულთა შესახებ სხვადასხვა მონაცემები ქვეყნდებოდა ომის დასრულებისას და შემდეგაც, როცა ერთი მხრივ, რუსეთის პროკურატურამ, მეორე მხრივ კი, სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის მთავრობამ გაავრცელეს განსხვავებული ინფორმაციები მსხვერპლის შესახებ.

რაც შეეხება სომხურ-აზერბაიჯანულ შეიარაღებულ დაპირისპირებას, ის აშკარად სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი იყო და ასეთად რჩება დღესაც (ერთმანეთს უპირისპირდება ორი სუვერენული სახელმწიფო), ხოლო მთიანი ყარაბაღი კი ფაქტობრივად განიხილება როგორც სადაო ტერიტორია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის.

ოფიციალური ბაქო არ განიხილავს მთიან ყარაბაღს, როგორც ცალკე მხარეს კონფლიქტში. ასეთად ის მხოლოდ სომხეთის რესპუბლიკას მოიაზრებს. ეს მაშინ, როცა 2008 წლის აგვისტომდე აფხაზური და ოსური მხარეები ოფიციალურად იყვნენ აღიარებული კონფლიქტის მხარეებად, როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ (ამაზე მეტყველებს 2008 წლის აგვისტომდე არსებული მოლაპარაკებათა ფორმატები, ასევე გაეროს, ეუთოსა და დსთ-ის ფარგლებში მიღებული დოკუმენტები).

მთიანი ყარაბაღის დე-ფაქტო ხელისუფლება დღემდე დაჟინებით მოითხოვს, რომ მთიანი ყარაბაღი ცნობილ იქნას კონფლიქტის ცალკე მხარედ და, შესაბამისად, სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი სამშვიდობო მოლაპარაკებებში.

სამხრეთ კავკასიის სამივე კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებათა პროცესები მიმდინარეობს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული საერთაშორისო ფორმატით.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემთხვევაში, მოქმედებს ეუთოს მინსკის ჯგუფის ფორმატი (OSCE MINSK GROUP). ამის პარალელურად, 2003 წლიდან მოყოლებული, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები და საგარეო საქმეთა მინისტრები დროდადრო მართავენ ორმხრივ შეხვედრებს ე.წ. „პრაღის პროცესის“ ფარგლებში.

რაც შეეხება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებს, 2008 წლის აგვისტომდე მოლაპარაკებათა პროცესები მიმდინარეობდა შემდეგი საერთაშორისო ფორმატებით:

- კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში – შერეული საკონტროლო კომისია (CKK/JCC), რომელიც 2008 წლის აგვისტომდე წარმოადგენდა კონფლიქტის დარეგულირების ერთადერთ მუდმივმოქმედ ფორმატს, ხოლო ეუთო (OSCE) გვევლინებოდა, როგორც პროცესის ფასილიტატორი;
- კონფლიქტი აფხაზეთში – 2008 წლის აგვისტომდე სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესის ძირითადი ფორმატი იყო გაეროს „ჟენევის პროცესი“. ქართული და აფხაზური მხარეების გარდა, მასში მონაწილეობდა რუსეთი (როგორც ხელშემწყობი მხარე), გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში, ასევე „მეგობართა ჯგუფი“ (დამკვირვებლის სტატუსით) და ეუთო (დამკვირვებლის სტატუსით).

2008 წლის ოქტომბერში საფუძველი ჩაეყარა სამშვიდობო მოლაპარაკებათა ახალ ფორმატს – ე.წ. „ჟენევის მოლაპარაკებებს“, სადაც წარმოდგენილი არიან საქართველო, რუსეთი, აშშ და ევროკავშირი. მოლაპარაკებები გაერო-სა და ეუთო-ს ფასილიტაციით მიმდინარეობს და მასში მონაწილეობენ აფხაზური და ოსური მხარის წარმომადგენლები, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დევნილი ხელისუფლებები.

სამშვიდობო ოპერაციები

2008 წლის აგვისტომდე აფხაზეთში დისლოცირებული იყო დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების კონტინგენტი. მხოლოდ რუსი სამხედროებით დაკომპლექტებული სამშვიდობო ძალები იქ იმყოფებოდნენ გაეროს ეგიდით და გააჩნდათ დსთ-ის მანდატი.

ქართულ-ოსური კონფლიქტის რეგიონში განლაგებული იყო შერეული სამშვიდობო ძალების კონტინგენტი (შედგებოდა ქართული, რუსული და ოსური ბატალიონებისგან), რომელიც იქ იმყოფებოდა რუსეთ-საქართველოს შეთანხმების საფუძველზე. შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული სარდლობა ექვემდებარებოდა შერეულ საკონტროლო კომისიას.

2008 წლის ოქტომბრიდან კონფლიქტის გამყოფი ხაზის გასწვრივ პატრულირება დაიწყო ევროკავშირის 200-მდე დამკვირვებელმა, რომელთა საქმიანობასაც კოორდინაციას უწევს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM). ევროკავშირის დამკვირვებლები, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებათა უარის გამო, ვერ ახერხებენ ამ ტერიტორიებზე შესვლას.

რაც შეეხება სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტს, ამ შემთხვევაში, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების კომპონენტი საერთოდ არ ფიგურირებს და არც არასდროს ფიგურირებდა.

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის შემთხვევაში, კონფლიქტების ძირითადი საფუძველი არის ტერიტორიის კონტროლის სურვილი ეთნიკური ნიშნით. თუმცა განსხვავებები მიდგომებში ამ მხრივაც არსებითია.

მთიანი ყარაბაღისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებს გააჩნიათ აშკარად გამოკვეთილი ირედენტისტული ხასიათი. კერძოდ, მთიანი ყარაბაღის სომხეთთან შეერთებისკენ ისწრაფვის, ხოლო სამხრეთ ოსეთის დღევანდელი საზოგადოების ერთ ნაწილს ჩრდილოეთ ოსეთთან და, შესაბამისად, რუსეთთან გაერთიანება სურს.

აფხაზეთში მსგავსი განწყობები არ შეინიშნება, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აქაც მთავარი მოთამაშეა სამხედრო კონტინგენტითა და ფინანსური ინტერვენციებით. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება არ განიხილავს

დამოუკიდებლობაზე უარის თქმის შესაძლებლობას, თუნდაც რუსეთთან ასოცირებული წევრობის გზით, რის შესახებაც საუბრები იყო.

კრიზისების დაძლევის გზების ძიებაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დასავლეთი ცდილობდა, სამხრეთ კავკასია განეხილა როგორც ერთიანი გეოსტრატეგიული რეგიონი, სადაც უსაფრთხოების პრობლემები სისტემური მიდგომით, გარკვეული სტანდარტების ფარგლებში უნდა მოგვარებულიყო. ეს პოლიტიკური პროცესების და მთლიანად რეგიონის მართვის შესაძლებლობებს იძლეოდა. ამ მიდგომების დამკვიდრების მცდელობა დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ ვერც ევროკავშირმა და ვერც აშშ-მ ვერ შეძლეს სამხრეთ კავკასიის მიყვანა „ერთგვაროვან სიტუაციამდე“.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან გასათვალისწინებელია სამხრეთ კავკასიის საკმაოდ მცირე რეგიონში სამი განსხვავებული, არამონათესავე ენისა და რელიგიის არსებობა. იდენტურობის განსხვავებულობებიდან გამომდინარე, რეგიონის ინტეგრაციის მაღალი დონის მიღწევა ძალზედ რთულია.

გარდა ამისა, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკური კულტურა საკმაოდ განსხვავებულია. სხვადასხვაა ამ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე და დემოკრატიის ხარისხი.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს ერთმანეთისგან განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია აქვთ აღებული, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის რეგიონული უსაფრთხოების ერთიანი და მყარი სისტემის ჩამოყალიბებას.

სომხეთი, რომელიც დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (ОДКБ) წევრია, მხარს უჭერს რუსეთის დიდი გავლენის შენარჩუნებას რეგიონში. სომხეთში განთავსებულ რუსულ სამხედრო ბაზას ერევანი საკუთარი უსაფრთხოების მთავარ გარანტად განიხილავს, გაცილებით მდიდარი აზერბაიჯანის მხრიდან სამხედრო აგრესიის შემთხვევაში.

ბაქოს მთავარი პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირე თურქეთია, რომელსაც რეგიონში გრძელვადიანი ინტერესები გააჩნია და საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორადაც ითვლება. აზერბაიჯანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ გზად სწორედ სამხედრო ოპერაციას განიხილავს და თავის სამხედრო ბიუჯეტს ყოველწლიურად ზრდის. ამავე დროს, აზერბაიჯანი ცდილობს ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნებას რუსეთთან.

საქართველო ევროპისკენ და ნატოს წევრობისკენ ისწრაფვის და გაწყვეტილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან 2008 წლის შემდეგ. ოფიციალური თბილისის დეკლარირებული პოლიტიკით,

კონფლიქტების მოგვარების გზა წარმატებული დემოკრატიული ქვეყნის შექმნასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაზე გადის.

ამასთან, აზერბაიჯანსა და საქართველოზე გამავალი სტრატეგიული ენერგოდერეფნების სახით, დასავლეთმა კავკასიის რეგიონში შექმნა „საკუთრება“, რომლის ხელყოფაც რუსეთის მხრიდან დასავლეთთან პირდაპირ კონფრონტაციას ნიშნავს. რუსეთის გვერდის ავლით, ენერგორესურსების ალტერნატიული გზების არსებობა სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის სტრატეგიული ინტერესების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

კავკასია რჩება მსოფლიოს მსხვილი პოლიტიკური აქტორების დაპირისპირების არენად და ამ პირობებში, რეგიონული უსაფრთხოების მყარი სისტემის ფორმირების რაიმე წარმატებულ მცდელობაზე საუბარი ძალზედ საეჭვოა.

2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ შექმნილმა ახალმა რეალობამ დღის წესრიგში დააყენა მნიშვნელოვანი ცვლილებების აუცილებლობა როგორც თვით სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მათ მიმართ გასატარებელ პოლიტიკაში.

ომის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ამგვარი ცვლილებები მოსალოდნელია როგორც რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოებთან, ისე მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით.

მაგრამ, რეალობა ასეთია, რომ თუ არ გაჩნდება რაიმე „გარღვევა“ კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით, რეგიონის ერთიანი უსაფრთხოების სისტემის შექმნა და უსაფრთხოების რეალური უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება. ამგვარი „გარღვევის“ მიღწევა რუსეთის პოლიტიკის ფუნდამენტური ცვლილებების გარეშე მოსალოდნელი არ არის.

ნდობის აღდგენის რესურსები

დსთ-ის მანდატი.

ქართულ-ოსური კონფლიქტის რეგიონში განლაგებული იყო შერეული სამშვიდობო ძალების კონტიგენტი (შედგებოდა ქართული, რუსული და ოსური ბატალიონებისგან), რომელიც იქ იმყოფებოდა რუსეთ-საქართველოს შეთანხმების საფუძველზე. შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული სარდლობა ექვემდებარებოდა შერეულ საკონტროლო კომისიას.

2008 წლის ოქტომბრიდან კონფლიქტის გამყოფი ხაზის გასწვრივ პატრულირება დაიწყო ევროკავშირის 200-მდე დამკვირვებელმა, რომელთა საქმიანობასაც კოორდინაციას უწევს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM). ევროკავშირის დამკვირვებლები,

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებათა უარის გამო, ვერ ახერხებენ ამ ტერიტორიებზე შესვლას.

რაც შეეხება სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტს, ამ შემთხვევაში, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების კომპონენტი საერთოდ არ ფიგურირებს და არც არასდროს ფიგურირებდა.

* * *

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის შემთხვევაში, კონფლიქტების ძირითადი საფუძველია ტერიტორიის კონტროლის სურვილი ეთნიკური ნიშნით. თუმცა განსხვავებები მიდგომებში ამ მხრივაც არსებითია.

მთიანი ყარაბაღისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებს გააჩნიათ აშკარად გამოკვეთილი ირედენტისტული ხასიათი. კერძოდ, მთიანი ყარაბაღის სომხეთთან შეერთებისკენ ისწრაფვის, ხოლო სამხრეთ ოსეთის დღევანდელი საზოგადოების ერთ ნაწილს ჩრდილოეთ ოსეთთან და, შესაბამისად, რუსეთთან გაერთიანება სურს.

აფხაზეთში მსგავსი განწყობები არ შეინიშნება, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აქაც მთავარი მოთამაშეა სამხედრო კონტინგენტითა და ფინანსური ინტერვენციებით. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება არ განიხილავს დამოუკიდებლობაზე უარის თქმის შესაძლებლობას, თუნდაც რუსეთთან ასოცირებული წევრობის გზით, რის შესახებაც საუბრები იყო.

კრიზისების დაძლევის გზების ძიებაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დასავლეთი ცდილობდა, სამხრეთ კავკასია განეხილა როგორც ერთიანი გეოსტრატეგიული რეგიონი, სადაც უსაფრთხოების პრობლემები სისტემური მიდგომით, გარკვეული სტანდარტების ფარგლებში უნდა მოგვარებულიყო. ეს პოლიტიკური პროცესების და მთლიანად რეგიონის მართვის შესაძლებლობებს იძლეოდა. ამ მიდგომების დამკვიდრების მცდელობა დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ ვერც ევროკავშირმა და ვერც აშშ-მ ვერ შეძლეს სამხრეთ კავკასიის მიყვანა „ერთგვაროვან სიტუაციამდე“.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან გასათვალისწინებელია სამხრეთ კავკასიის საკმაოდ მცირე რეგიონში სამი განსხვავებული, არამონათესავე ენისა და რელიგიის არსებობა. იდენტურობის განსხვავებულობებიდან გამომდინარე, რეგიონის ინტეგრაციის მაღალი დონის მიღწევა ძალზე რთულია.

გარდა ამისა, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკური კულტურა საკმაოდ განსხვავებულია. სხვადასხვაა ამ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე და დემოკრატიის ხარისხი.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს ერთმანეთისგან განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია აქვთ აღებული, რაც პრაქტიკულად

შეუძლებელს ხდის რეგიონული უსაფრთხოების ერთიანი და მყარი სისტემის ჩამოყალიბებას.

სომხეთი, რომელიც დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (ОДКБ) წევრია, მხარს უჭერს რუსეთის დიდი გავლენის შენარჩუნებას რეგიონში. სომხეთში განთავსებულ რუსულ სამხედრო ბაზას ერევანი საკუთარი უსაფრთხოების მთავარ გარანტად განიხილავს, გაცილებით მდიდარი აზერბაიჯანის მხრიდან სამხედრო აგრესიის შემთხვევაში.

ბაქოს მთავარი პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირე თურქეთია, რომელსაც რეგიონში გრძელვადიანი ინტერესები გააჩნია და საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორადაც ითვლება. აზერბაიჯანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ გზად სწორედ სამხედრო ოპერაციას განიხილავს და თავის სამხედრო ბიუჯეტს ყოველწლიურად ზრდის. ამავე დროს, აზერბაიჯანი ცდილობს ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნებას რუსეთთან.

საქართველო ევროპისკენ და ნატოს წევრობისკენ ისწრაფვის და გაწყვეტილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან 2008 წლის შემდეგ. ოფიციალური თბილისის დეკლარირებული პოლიტიკით, კონფლიქტების მოგვარების გზა წარმატებული დემოკრატიული ქვეყნის შექმნასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაზე გადის.

ამასთან, აზერბაიჯანსა და საქართველოზე გამავალი სტრატეგიული ენერგოდერეფნების სახით, დასავლეთმა კავკასიის რეგიონში შექმნა „საკუთრება“, რომლის ხელყოფაც რუსეთის მხრიდან დასავლეთთან პირდაპირ კონფრონტაციას ნიშნავს. რუსეთის გვერდის ავლით, ენერგორესურსების ალტერნატიული გზების არსებობა სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის სტრატეგიული ინტერესების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

კავკასია რჩება მსოფლიოს მსხვილი პოლიტიკური აქტორების დაპირისპირების არენად და ამ პირობებში, რეგიონული უსაფრთხოების მყარი სისტემის ფორმირების რაიმე წარმატებულ მცდელობაზე საუბარი ძალზე საეჭვოა.

2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ შექმნილმა ახალმა რეალობამ დღის წესრიგში დააყენა მნიშვნელოვანი ცვლილებების აუცილებლობა როგორც თვით სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მათ მიმართ გასატარებელ პოლიტიკაში.

ომის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ამგვარი ცვლილებები მოსალოდნელია როგორც რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოებთან, ისე მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით.

მაგრამ, რეალობა ასეთია, რომ თუ არ გაჩნდება რაიმე „გარღვევა“ კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით, რეგიონის ერთიანი უსაფრთხოების სისტემის შექმნა და უსაფრთხოების რეალური უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებით შექმნილი ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატები, საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევით მიმდინარე მოლაპარაკებები სასურველ შედეგს ვერ იძლევა. ხოლო სამშვიდობო პროცესი სამივე კონფლიქტის შემთხვევაში ფაქტობრივად ჩიხშია შესული. ახლო მომავალში ამ კონფლიქტების პოლიტიკურ ჭრილში გადაჭრის პერსპექტივა არ ჩანს. კონფლიქტით გახლეჩილ საზოგადოებებს შორის ღრმავდება ანტაგონიზმი და კიდევ უფრო ართულებს კონფლიქტის მოგვარების მრავალსაფეხურიან პროცესს.

ასეთ პირობებში, განსაკუთრებული როლი ეკისრება სამოქალაქო საზოგადოებას და სახალხო დიპლომატიას.

რა თქმა უნდა, სამოქალაქო საზოგადოებას არ ხელეწიფება პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა, მაგრამ მას შეუძლია, ნიადაგი მოამზადოს პოლიტიკური პროცესებისათვის და ხელი შეუწყოს მათ ეფექტიანად განვითარებას. სახალხო დიპლომატია განსაკუთრებულ დატვირთვას მაშინ იძენს, როცა კონფლიქტი გაყინულია და ოფიციალურ მხარეებს შორის კონტაქტები მოშლილია, არ არის გახსნილი ოფიციალური არხები ინფორმაციის გაცვლისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტებში ძირითადი პასუხისმგებლობა ოფიციალურ მხარეებს ეკისრებათ, სახალხო დიპლომატია განიხილება, როგორც ერთ-ერთი გადამწყვეტი მექანიზმი კონფლიქტის მოგვარებისთვის. არაფორმალური დიალოგის მეშვეობით შესაძლებელია მრავალი სოციალური და ჰუმანიტარული საკითხის განხილვა და მოგვარება, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება, გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის პროცესის ხელშეწყობა.

ამავე დროს, არაფორმალური ურთიერთობების პირობებში, შესაძლებელია ისეთი გადაწყვეტილებების მოსინჯვა, რომლებმაც შესაძლოა, საბოლოო ჯამში, საქმე კონფლიქტის მოგვარებამდე მიიყვანოს.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სექტორი ვერ იქნება განხილული საკუთარი საზოგადოებისაგან განცალკევებულად ჩამოყალიბებულ სოციუმად. სამოქალაქო დიალოგის და სახალხო დიპლომატიის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოებებში არსებულ განწყობებსა და კონფლიქტის მეორე მხარესთან კონტაქტების მზაობაზე. რაც უფრო ძლიერია ანტაგონიზმი კონფლიქტის მხარეების საზოგადოებებს შორის, მით უფრო ნაკლებია შანსი სახალხო დიპლომატიის ეფექტურობისა.

სამხრეთ კავკასიის შემთხვევაში, ანტაგონიზმი განსაკუთრებით ძლიერია აზერბაიჯანულ და სომხურ საზოგადოებებს შორის.

კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ჰორიზონტალური ურთიერთობების განვითარება, უპირველეს ყოვლისა, მხარეთა პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. პოლიტიკური ნების გარეშე შეუძლებელია, სახალხო დიპლომატიამ დადებითი შედეგი გამოიღოს, რადგან, დემოკრატიული სისტემების დეფიციტის პირობებში, პოლიტიკურ ლიდერს ადვილად შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს სამოქალაქო დიალოგის პროცესზე ან საერთოდ ჩაშალოს ის. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იქით, რომ მხარეთა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, რომელიც თავად ვერ ახერხებს პოზიტიური როლის თამაშს კონფლიქტის მოგვარების პროცესში, ხელი შეუწყოს ან არ შეუშალოს მაინც სამოქალაქო დიალოგს. აუცილებელია, რომ სამოქალაქო საზოგადოება დაცული იყოს არასასურველი პოლიტიკური ზეწოლისაგან. ხშირ შემთხვევაში, სახალხო დიპლომატიის პროცესში მონაწილეობა მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული. რუსეთის პოლიტიკური გავლენის სივრცეში მყოფი აფხაზი და ოსი სამოქალაქო აქტივისტები ასეთი მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან. ანალოგიური სიტუაციაა აზერბაიჯანში, სადაც ბოლო წლების განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების შევიწროებისა და დევნის ტენდენცია ფიქსირდება. ოფიციალურ დონეზე მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას აქვს გამოქვეყნებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების სტრატეგია – „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“, რომელშიც გადამწყვეტი როლი სწორედ სამოქალაქო საზოგადოებას ეკისრება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სამხრეთ კავკასიაში სამშვიდობო დიალოგის სხვადასხვა ფორმატში რამდენიმე ასეული სამოქალაქო აქტივისტია ჩართული, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების პროცესში.

მთლიანობაში, სამხრეთ კავკასიაში სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსი, ააშენოს ნდობის ხიდები და ხელი შეუწყოს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც კონფლიქტების სრულმასშტაბიან, პოლიტიკურ დარეგულირებას შეუწყობს ხელს. ამ რესურსების ეფექტურად გამოყენებისათვის ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერაა აუცილებელი.

მთიანი ყარაბაღი დღეს

ჟანა კრიკოროვი

21 წელი გავიდა ერთი მხრივ, სომხეთსა და მთიან ყარაბაღს, მეორე მხრივ კი აზერბაიჯანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერიდან. საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს ყარაბაღის მიერ 1991 წელს გამოცხადებულ დამოუკიდებლობას. ამიტომ ის იმყოფება პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში. თუმცა, არაღიარებული რესპუბლიკა ცხოვრობს და ვითარდება, უმკლავდება ობიექტურ სიძნელეებს საზღვრის გასწვრივ მუდმივი სამხედრო დაძაბულობის მდგომარეობაში.

ეკონომიკური მდგომარეობა

მთიან ყარაბაღში ყველაზე სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის სექტორებია:

სამთო მრეწველობა: ოქროსა და სპილენძის მოპოვება (დრმბონსკის გაერთიანების წლიური შენატანი შეადგენს მთიანი ყარაბაღის ბიუჯეტის 20-25%). რესპუბლიკის მიწა მდიდარია სხვადასხვა მეტალის მადნით – რკინა, ცინკი, ტყვია, სპილენძი, ოქრო, პირიტი და სხვ. წარსულში ამ ინდუსტრიაში გარკვეული დაღმასვლა გამოწვეული იყო დრმბონსკის მაღაროებში ოქროს მოპოვების მასშტაბის შემცირებით. თუმცა, მოსალოდნელია, რომ 2016 წლიდან მთიანი ყარაბაღის ეკონომიკაში სამთო მრწეველობის წილი გაიზარდოს. კაშენსკის (ცაჰკაშენკი) სპილენძის საბადო მარტაკერტის რეგიონში, როგორც ექსპერტები აცხადებენ, საკუთარი რეზერვებით უზრუნველყოფს მრავალწლიან ფართომასშტაბიან წარმოებას, რაც ამ სფეროში ყველაზე იმედისმომცემი პროგნოზია. ახალი სპილენძ-პორფირის საბადო ხაჩენში ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს.

ენერგეტიკა: ყველაზე დიდი, სარსანგის ჰიდროელექტროსადგური მდინარე ტერტერზე, მისი 9 უფრო მცირე ჰიდროელექტროსადგურით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამუშავდა. ის წელიწადში 700 მილიონ კილოვატ ელექტროენერგიას აწარმოებს, რაც მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის მოთხოვნას ორჯერ აღემატება. ენერგეტიკა პრიორიტეტული და სტრატეგიული ინდუსტრიაა. ექსპერტთა აზრით, მთიანი ყარაბაღის ჭარბი წყლის რესურსების ეფექტური გამოყენება, განსაკუთრებით კი მთის მდინარეების რესურები, დაეხმარება ყარაბაღს, გახდეს ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ექსპორტიორი.

კვების მრეწველობა: ხილისა და ბოსტნეულის წარმოება, რძისა და ხორცის პროდუქტები. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სტრატეგიული პროგრამა ხორციელდება; სახელმწიფო ფერმერებს სთავაზობს

შეღავათიან სესხებს; ინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები: მოხდა ასობით სათიბი კომბაინისა და ტრაქტორის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა აღჭურვილობის იმპორტი; შეიქმნა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სოფლის მეურნეობის დანადგარებისა და ტრაქტორების სადგურები.

სურსათზე ზოგადად გაზრდილი ფასების მიუხედავად, ზოგიერთ ძირითად პროდუქტზე, განსაკუთრებით – პურსა და ფქვილზე, ფასები არ გაზრდილა ადგილობრივი ნედლეულის მნიშვნელოვანი რეზერვის არსებობის გამო. უფრო მეტიც, აღებული ხორბლის გარკვეული ნაწილი სომხეთშიც გაიტანეს.

სოციალური პროგრამები: ბევრ ქვეყანაში ფინანსურ კრიზისს თან ახლავს სოციალური პროგრამების შემცირებაც. ასეთი რამ მთიან ყარაბაღში არ მომხდარა, პირიქით – სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო დამატებითი სახსრები მიმდინარე სოციალური პროგრამების დასახმარებლად. განსაკუთრებით ეხმარებიან ქონების შეძენის წახალისების პროგრამას. სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ადამიანებისათვის (ლტოლვილები, შშმ პირები, გარდაცვლილ სამხედრო პირთა ოჯახის წევრები, მრავალშვილიანი ოჯახები) შეიქმნა სახლების მშენებლობის ან აღდგენის პროგრამა. არსებობს ბევრი დახმარება და ახალი სუბსიდიების სქემები მოსახლეობის ამ კატეგორიისთვის: სახელმწიფო უზრუნველყოფს ფინანსურ დახმარებას შეღავათიანი სესხით, ეხმარება გირაოთი დატვირთული სესხის გადახდაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ასევე ახდენს სესხის პროცენტების სუბსიდირებას.

2015 წლის 1 იანვრისთვის, დიდი სამამულო ომის ვეტერანებისათვის ყოველთვიური დახმარება 40 %-ით გაიზარდა. გაიზარდა ასევე ომში დაღუპული მებრძოლების ოჯახის წევრთა დახმარების თანხაც.

ტურიზმი: ბოლო 5 წლის განმავლობაში მთიან ყარაბაღში ტურისტების რაოდენობა ათჯერ გაიზარდა. შესაბამისად, ტურისტული ინფრასტრუქტურა ვითარდება: სასტუმროები, გზები, რეკრეაციული ზონები შენდება, ხდება ისტორიული და კულტურული ძეგლების აღდგენა.

2015 წელს მთიანი ყარაბაღის მთლიანმა შიდა პროდუქტმა 9%-იან ზრდას მიაღწია. ყარაბაღის ბიუჯეტი ივსება საკუთარი რესურსებით და ასევე სომხეთის რესპუბლიკიდან მიღებული სესხებით. 2014 წელს შიდა ინვესტიციების წილი ბიუჯეტში თითქმის 10%-ით გაიზარდა და კვლავ მთელი ბიუჯეტის 45%-ს შეადგენს.

შიდა პოლიტიკური სიტუაცია

მთიან ყარაბაღში კვლავ საომარი მდგომარეობაა. ნებისმიერი სხვა ქვეყანა მსგავს სიტუაციაში თავს შეიკავებდა მთავრობის დემოკრატიული

ფორმირებისაგან, მაგრამ მთიან ყარაბაღში, მას შემდეგ, რაც 1991 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა, ყარაბაღელებმა დაიწყეს სამხედრო დიქტატურის ნეიტრალიზაციის პროცესი. მიიღეს გადაწყვეტილება საარჩევნო სისტემის შემოღების შესახებ. ბოლო 20 წელზე მეტია, მთიან ყარაბაღს უკვე მესამედ არჩეული პრეზიდენტი ჰყავს და წელს მეხუთე პარლამენტი (ეროვნული ყრილობა) აირჩიეს.

არჩევნები

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ოფიციალური საერთაშორისო ორგანიზაცია არ აღიარებს მთიან ყარაბაღში ჩატარებულ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს. თუმცა, ყარაბაღისთვის არჩევნები ქვეყნის მშენებლობის უპირველესი მექანიზმია, რათა მოხდეს მთავრობის დემოკრატიული ფორმირება.

სხვა ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნისგან განსხვავებით, ყარაბაღი მკაცრად იცავს ძალაუფლების ცვლილების შესახებ კანონს. ამ მხრივ, თანმიმდევრობა დაცულია, მაგრამ პოლიტიკური და არა – მემკვიდრეობითი ან კლანური გაგებით. ყარაბაღის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე უკვე მესამე პრეზიდენტი და მეექვსე პარლამენტი აირჩიეს.

ბოლო საპარლამენტო არჩევნებმა (2015 წლის 3 მაისი) ფუნდამენტური წვლილი შეიტანა დემოკრატიის განვითარებაში. ჯერ ერთი, დაფიქსირდა ამომრჩევლების მაღალი აქტივობა (72%), მეორე – პირველად გახდნენ ოპოზიციური პარტიების კანდიდატები პარლამენტის წევრები და მესამე – არჩევნებზე იყვნენ საერთაშორისო დამკვირვებლთა საკმაოდ წარმომადგენლობითი ჯგუფები, მათ შორის რუსეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, ესტონეთიდან, ისრაელიდან და ასევე ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფი და ევროპარლამენტის წარმომადგენლები.

მთლიანად 110 საერთაშორისო დამკვირვებელი აკვირდებოდა არჩევნებს. მათი განცხადებით, „არჩევნები ჩატარდა დემოკრატიული კონკურენციის პირობებში და საერთაშორისო სამართლის საბაზისო პრინციპებისა და მოთხოვნების შესაბამისად“. ამის გათვალისწინებით, ლუქსემბურგიდან ევროპარლამენტის წევრმა ფრანკ ენგელმა შეშფოთებაც კი გამოხატა, რომ საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს მთიან ყარაბაღში ჩატარებულ არჩევნებს. მან ასევე დასძინა: „ჩვენ გვჯერა, რომ, პირიქით, უნდა წავახალისოთ ადამიანების სურვილი, დაიცვან დემოკრატიული პრინციპები და კანონის უზენაესობა“.

სამოქალაქო საზოგადოება

სხვა ბევრი ქვეყნის მსგავსად, იურიდიულად დარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების 15-20% რეალურად ფუნქციონირებს. ახალგაზრდული ორგანიზაციები ყველაზე აქტიურია; მათი საქმიანობის მიზანია, გააცოცხლონ ეროვნული ტრადიციები, აამაღლონ ახალგაზრდების განათლების დონე, უფრო მეტად ჩაერთონ რესპუბლიკის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში.

სამშვიდობო ორგანიზაციები ასრულებენ განსაკუთრებულ როლს მესამე სექტორში, მაგრამ ბოლო დროს სამშვიდობო პროგრამების შემცირება შეინიშნება, ძირითადად – ზოგადი გეოპოლიტიკური მდგომარეობისა (საქმიანობის ვექტორმა გადაინაცვლა უკრაინასა და ყირიმში) და ოფიციალური ბაქოს კატეგორიული პოზიციის გამო.

უფლებადაცვითი ორგანიზაციების აქტივობა ძალიან დაბალია, სავარაუდოდ – იმიტომ, რომ ომბუდსმენის ოფისი საკმაოდ აქტიურად მუშაობს.თუმცა, ვერ უარვყოფთ, რომ მოსახლეობას ძალიან მწირი იურიდიული ცოდნა აქვს; დაბალია მათი ცნობიერება საკუთარი უფლებების შესახებაც.

ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ამჟამინდელი ხელისუფლების ოპოზიციაშია. ისინი ახორციელებენ აქტიურ შიდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას. მაგალითად, ორგანიზაცია „ევროპული ღირებულებების“ ერთ-ერთი ლიდერი აქტიურადაა ჩართული ახლად შექმნილი პოლიტიკური პარტიის – „ეროვნული აღორძინება“ – საქმიანობებში და პარლამენტშიც აირჩიეს.

ზოგადად, ნაადრევია მტკიცება, რომ სამოქალაქო სექტორი შეიქმნა და უნარი შესწევს, გავლენა მოახდინოს ყარაბაღის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე.

ასევე, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ისიც, რომ ყარაბაღელი ხალხი, ძირითადად, მაინც მთავრობაზეა ფოკუსირებული და არა – საზოგადოებაზე; იციან, რომ სამოქალაქო სექტორს არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. ამდენად, ეროვნული ყრილობის ბოლო არჩევნებმა აჩვენა, რომ ხალხი ენდობა ხელისუფლებას. 47%-მა მხარი დაუჭირა პარტიას „თავისუფალი სამშობლო“, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს.

საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების საკითხები

რა თქმა უნდა, ყარაბაღ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მოგვარება საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია. ეუთოს მინსკის ჯგუფის ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებები უკვე 21 წელია, გრძელდება. ამ დროის განმავლობაში კონფლიქტის მოგვარების რამდენიმე მოდელი შემოგვთავაზეს,

რომელიც არც ერთ ან რომელიმე მხარეს არ აწყობს. ამჟამად, მადრიდის პრინციპის სახელით ცნობილი დოკუმენტი დევს მოლაპარაკების მაგიდაზე. ინფორმაციის ღია წყაროების მიხედვით, სომხეთი მზადაა, კონფლიქტის მოგვარება ამ დოკუმენტის მიხედვით განიხილოს, მაგრამ ამის წინააღმდეგია აზერბაიჯანი. მთიან ყარაბაღს საერთაშორისო დონეზე აქვს კონფლიქტის მხარის სტატუსი 1997 წლიდან, მაგრამ პირდაპირ არ მონაწილეობს მოლაპარაკებებში. თუმცა, ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეობით გამართული შეხვედრები რეგულარულად იმართება სტეპანაკერტში უმაღლეს დონეზე, სადაც გამუდმებით კეთდება განცხადებები, რომ მადრიდის პრინციპები მიუღებელია.

ცეცხლის შეწყვეტის წლებში რეგულარულად ირღვეოდა შეთანხმება. საზღვრის გასწვრივ დღესაც გრძელდება საომარი შეტაკებები სხვადასხვა მასშტაბით. წლების განმავლობაში, სნაიპერებისა და საბოტაჟის მსხვერპლი გახდა რამდენიმე ასეული ადამიანი ორივე მხარეს. სომხური მხარის ყველა მცდელობა და ინიციატივა – გაიყვანონ სნაიპერები და შემჭიდროვდეს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი, უარყოფილია აზერბაიჯანის მიერ.

თუმცა, ოფიციალური სტეპანაკერტის განცხადებით, მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს, ვინაიდან დღეს ეს ერთადერთი შესაძლებლობაა, რათა თავიდან ავირიდოთ ფართომასშტაბიანი ომის განახლება. ამავე დროს, მთიანი ყარაბაღის საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებს მოთხოვნას, ყარაბაღი დაუბრუნდეს მოლაპარაკების მაგიდას, რადგან კონფლიქტის მოგვარების ნებისმიერი გეგმა ყარაბაღის თანხმობის გარეშე ვერ განხორციელდება.

უსაფრთხოების საკითხებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მთიანი ყარაბაღის მოსახლეობა, 2010 წლის კვლევის მიხედვით (ბრიტანული ოგანიზაცია „International Alert”), სამხედრო უსაფრთხოებას არ თვლის უსაფრთხოების პრიორიტეტად, ვინაიდან ისინი დიდ ნდობას უცხადებენ მთიანი ყარაბაღის შეიარაღებულ ძალებს. ჯანმრთელობისა და განათლების საკითხები ყველაზე მნიშვნელოვანია ხალხისთვის. საგანმანათლებლო სისტემის რეფორმებით დაინგრა ძველი სისტემა და ახლის ფორმირება ისევ გრძელდება, რაც საშუალო და უმაღლესი განათლების დონეს სერიოზულად ამცირებს. ომის შემდგომმა მდგომარეობამ და ნგრევამ, ბევრი კვალიფიციური ექიმის ქვეყნიდან გასვლამ ჯანდაცვის სისტემაში დაღმასვლა გამოიწვია. თუმცა, ბოლოდროინდელი სახელმწიფო პროგრამების მიზანია, გაუმჯობესდეს სერვისების დონე ამ სფეროებში და მივიღეთ გარკვეული პოზიტიური დინამიკა: აშენდა ახალი თანამედროვე საავადმყოფო; სომხეთიდან და დიასპორიდან კვალიფიციურ ექიმებს შესთავაზეს მუდმივი და დროებითი სამუშაო კონტრაქტები.

კულტურა

კულტურა, ალბათ, ერთ-ერთი იმ იშვიათ სფეროთაგანია მთიან ყარაბაღში, რომელიც შეფერხების გარეშე ვითარდება, ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი ჩართულობითა და საერთაშორისო ფორმატის ღონისძიებებით. არსებობს რამდენიმე პროფესიული სამუსიკო და ცეკვის ანსამბლი, თეატრის დასები, რომლებიც ხშირად მიდიან გასტროლებზე საზღვარგარეთ. არის ათობით საბავშვო ხელოვნების სახლი და კოლეჯები, სამოყვარულო ანსამბლები და თეატრის დასები. მუზეუმები და ხელოვნების გალერეები განახლდა და ახლებიც გაიხსნა. კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი ადამიანები ყარაბაღში არა მხოლოდ სომხეთიდან, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან კონცერტის გასამართად, მოქანდაკეების ვორკშოპების ჩასატარებლად, გამოფენისა და თეატრალური ფესტივალების გასამართად.

რამდენიმე სიტყვა დემოგრაფიაზე

რა თქმა უნდა, არაღიარებული ქვეყნის ცხოვრებას უარყოფითი მხარეები აქვს; იზოლაციის პირობებში ქვეყნის განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა დღეს ინფორმაციის უზარმაზარ სივრცეს წარმოადგენს მსოფლიო საზღვრებისა და ბარიერების გარეშე. ეს საშუალებას აძლევს ყარაბაღს, დროს აუწყოს ფეხი. პროფესიონალი სოციოლოგები შეძლებენ თქვან, რეგიონის კეთილდღეობა დემოგრაფიაზე ახდენს თუ არა გავლენას, მაგრამ ბოლო 10 წლის განმავლობაში მთიან ყარაბაღში შობადობის დადებითი დინამიკაა. ათი წლის წინ აქ შობადობა წელიწადში 2000 ბავშვზე ცოტა მეტი იყო, დღეს კი წელიწადში თითქმის 3000 ბავშვი იბადება. მოსახლეობის ზრდის ტემპით ეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველაზე კარგი მაჩვენებელია.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ხელახალი გააზრება: დინამიკა, წარმოდგენები და ტრანსფორმაციის პერსპექტივები

ანონიმი ავტორი

მთიან ყარაბაღში კონფლიქტის ბოლო ფაზა 1987 წელს დაიწყო. ყარაბაღი პატარა რეგიონია: 4,4 კვ. კილომეტრის ფართობით, თითქმის 140 000 მცხოვრებით. კონფლიქტი დაიწყო აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ტერიტორიის გამო, რომელიც ძირითადად ეთნიკური სომხებით იყო დასახლებული და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დავა გადაიზარდა ორ მეზობელ ქვეყანას შორის ფართომასშტაბიან ომში. შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაახლოებით 25 000-დან 30 000-მდე ადამიანი დაიღუპა. აზერბაიჯანმა 250 000 ეთნიკურად აზერბაიჯანელი ლტოლვილი მიიღო, რომლებიც სომხეთიდან გამოდევნეს 1987-89 წლებში; მისი ტერიტორიის 14 პროცენტი ოკუპირებულია და 778 500 აზერბაიჯანელი დევნილად იქცა ყარაბაღიდან და მიმდებარე რეგიონებიდან. დევნილების უმრავლესობა მთიანი ყარაბაღის მიმდებარე ტერიტორიებიდანაა, რომლებიც აზერბაიჯანმა კონფლიქტის შედეგად დაკარგა.

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტი მთიან ყარაბაღში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივია ეუთოს წევრ ქვეყნებს შორის და სამხრეთ კავკასიისა და მოსაზღვრე რეგიონების უსაფრთხოებას სერიოზულ პრობლემას უქმნის. კონფლიქტი, ასევე, ხელს უშლის რეგიონის სრულ და ინკლუზიურ განვითარებას, აფერხებს რეგიონალურ ურთიერთობებს. გარე ძალებმა, რომლებიც რეგიონში მოქმედებენ, მოახერხეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოეცათ, მაგრამ ვერ მოახერხეს, მოეზიდათ საჭირო ნება და რესურსები, რათა მომხდარიყო მდგრადი და ორმხივად მისაღები სამშვიდობო შეთანხმების დადება.

კონფლიქტის დინამიკა

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა, რომელსაც ევრაზიაში მომხდარი თითქმის ყველა კონფლიქტის ნიშანი ახასიათებს, გაზარდა სირთულის დონე. უმეტესად სომხებით დასახლებული მთიანი ყარაბაღის ანკლავი აზერბაიჯანში ეფუძნებოდა სამხედრო, პოლიტიკურ და ფინანსურ დახმარებას სომხეთიდან, რომელიც ასევე კონფლიქტის მხარე გახდა. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს რამდენიმე რეზოლუცია აღიარებს ყარაბაღს, როგორც აზერბაიჯანის ნაწილს და არც ერთ ქვეყანას (მათ შორის არც სომხეთს) არ უღიარებია ყარაბაღის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა,

სეპარატისტული რეგიონის იზოლაციამ, არაღიარების საერთაშორისო პოლიტიკამ მთიანი ყარაბაღი მთლიანად სომხეთზე დამოკიდებული გახადა და გაართულა აზერბაიჯანთან პირდაპირი კავშირები ბოლო 20 წლის განმავლობაში. ამდენად, მთიან ყარაბაღში კონფლიქტი სახელმწიფოებს შორის აშკარად გამოხატული კონფლიქტია, რომელმაც დიდი გავლენა იქონია სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობაზე.

სომხეთის მიერ რეგიონის სამხედრო ოკუპაცია გამორიცხავს მთიანი ყარაბაღის ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის მათი სურვილისამებრ სამშვიდობო პროცესში ჩართულობას. ამის უფლება წართმეული აქვს რეგიონის ეთნიკურ აზერბაიჯანელ მოსახლეობას. ამ დროს ოფიციალური აზერბაიჯანი ხშირად იყენებს მზარდ სამხედრო რიტორიკას, რაც კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენის რესურსებს ბლოკავს. მთიან ყარაბაღში ხანგრძლივი მშვიდობა ვერ მიიღწევა, თუ ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა რეგიონში არ დაბრუნდება და სომეხ თემთან მათი ჰარმონიული თანაცხოვრება არ იქნება უზრუნველყოფილი. უფრო მეტიც, ორ ერს შორის ნდობის აღდგენა საჭიროა როგორც სომხებისთვის, ასევე აზერბაიჯანელებისთვის, რათა თავიდან აიცილონ ნებისმიერი მტრობა, დამცირება და პროვოკაციული რიტორიკა.

რუსეთი კვლავ წარმოდგენილია სამხრედო ძალით სომხეთში. აზერბაიჯანში იციან, რომ ქვეყანა რუსეთთან პირდაპირ სამხედრო კონფრონტაციას ვერ მოიგებს, მიუხედავად მოსკოვის ამჟამინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებისა. სამხედრო კონფრონტაციის ნაცვლად, ბაქო ნიადაგს სინჯავს უფრო შეზღუდული ჩართულობით, კონტაქტებითა და დიპლომატიური მანევრირებით ისეთ მოთამაშეებთან, როგორიცაა ევროკავშირი, აშშ და თურქეთი. ეს სტრატეგია ცხადყოფს აზერბაიჯანის ბერკეტს ყველა ჩართულ მხარესთან ერთად და უჩვენებს მის უნარს, თავი აარიდოს ვალდებულებას ნებისმიერ ცალკეულ ქვეყანასთან. „თურქეთის ეკონომიკურ და უსაფრთხოების ინტერესებს ყველაზე მეტად სჭირდება რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა. როგორც დიდი მეზობელი ქვეყანა, თურქეთი სომხეთზე და აზერბაიჯანზე ზეწოლის რეჟიმშია, რათა მათ მიაღწიონ კომპრომისს. ის ასევე უზრუნველყოფს ეკონომიკურ და უსაფრთხოების მოტივებს, რომ გაძლიერდეს რეგიონალური თანამშრომლობა. თუ მშვიდობის ერთგული დარჩება, თურქეთს შეუძლია, მთიან ყარაბაღში სამშვიდობო პროცესებს სწორი მიმართულება მისცეს და გახდეს რეგიონში სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების საყრდენი“.

20 წლის წინ, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, აზერბაიჯანის ტერიტორიიდან სომხეთის ჯარების გაყვანა, დევნილების დაბრუნება და მთიან ყარაბაღში მშვიდობისმყოფელთა

განთავსება ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მხარეებმა ნაკლებად გამოხატეს სურვილი, შანსები გამოეყენებინათ ან სამშვიდობო პროცესში საჭირო წარმატებისათვის პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიეღოთ. განახლებული ბრძოლების პერსპექტივას ამჯერად შესაძლოა, რეგიონალური მასშტაბი ჰქონდეს და რუსეთი და თურქეთიც კი ჩაითრიოს, ასევე ირანის ჩართულობაც გაცილებით უფრო რეალურია, ვიდრე 1994 წელს. როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკები, აზერბაიჯანი (რომელსაც ცალი თვალი ყარაბაღზე უჭირავს და მეორეთი აკვირდება უკრაინაში მიმდინარე ომს) ცდილობს, გამონახოს ახალი გზები რუსეთის ზეწოლისგან თავის დასაცავად. აზერბაიჯანი უფრო მეტად გრძნობს, რომ მოსკოვის ინტერესი ყარაბაღის 26 წლიანი კონფლიქტის მოგვარებაში[77] უფრო ახლოს დგას სომხეთთან, სადაც რუსეთს უკვე ჩაყენებული ჰყავს ჯარი.

კრემლის მხრიდან აღმოსავლეთ უკრაინაში პრორუსული ძალების დახმარება და ყირიმის ანექსიის შემდეგ კონფლიქტში მონაწილეობა, ბაქოს ართმევს იმედს, რომ მოსკოვი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში პოზიტიურ როლს შეასრულებს. აზერბაიჯანულ გაზეთის Yeni Musavat-ის განცხადებით ბაქოში მდებარე ატლას კვლევითი ცენტრი აზერბაიჯანს ურჩევს, მოემზადოს და 2015 წლის ივნისის ევროპული თამაშების დასრულების შემდეგ, სომხეთის მიერ კონტროლირებად რაიონებში მცირემასშტაბიანი შეჭრა განახორციელოს. ამ შემთხვევაში, აზერბაიჯანს შეუძლია, დარტყმა მიაყენოს ყარაბაღის სამხედრო ძალებს აგდამისა და ფუზულის ქალაქებში ისე, რომ არ დაესხას მთიანი ყარაბაღის მთავარ ქალაქს სტეპანაკერტ/ხანკენდის. ამის მიზანი შეიძლება იყოს აზერბაიჯანის ბერკეტის გაუმჯობესება ეუთოს მინსკის ჯგუფის მოლაპარაკებების დროს, რაც აიძულებს სომხეთს, ეტაპობრივად დატოვოს ტერიტორია.

მნიშვნელოვანი ურთიერთწარმოდგენები და ადამიანური დინამიკა

ყარაბაღის ტერიტორიაზე სომხური და აზერბაიჯანული ეთნოსის ისტორიულ არსებობას ორივე მხარე იყენებდა ტერიტორიაზე საკუთარი უფლებების დასამტკიცებლად. ადრეული დროიდან, ბავშვებს სკოლაში და ოჯახში ასწავლიან საკუთარი ერისა და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან თარიღებსა და მოვლენებს. ეს ქმნის ერების წარმოდგენას საკუთარ წარსულზე და მომავალზე რადიკალური და ურთიერთგამომრიცხავი მეთოდებით. უფრო მეტიც, აღნიშნულ ტერიტორიაზე უფლებების დემონსტრირება ისტორიულად უფრო წინ წავიდა, ვიდრე პოლიტიკური ან

[77] http://www.eurasianet.org/node/69321

ეკონომიკური თვალსაზრისით, რამაც ძალიან მცირე შანსი დაუტოვა ინტერესების ინოვაციურ შეფასებებს.

სომხები და აზერბაიჯანელები ერთმანეთისგან სრულ იზოლაციაში ცხოვრობენ. სხვა ქვეყნებში მცირე ჯგუფების იშვიათი შეხვედრების გარდა, სომხეთის, მთიანი ყარაბაღისა და აზერბაიჯანის საზოგადოებებს არანაირი რეგულარული კავშირი არა აქვთ. კოფნლიქტის დროს სომხები და აზერბაიჯანელები დაუბრუნდნენ საკუთარ ერებს, მიატოვეს მულტიეთნიკური საზოგადოებები, რომელიც მათ ჰქონდათ შექმნილი და დღეს აბსოლუტურად წარმოუდგენელია მათი გამგზავრება მეორე მხარეს. მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე არ დარჩენილა არც ერთი აზერბაიჯანელი, რის გამოც ყარაბაღის საზოგადოება მონოეთნიკური გახადა. სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი სწორედ დიალოგის შენარჩუნება და სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ინფორმაციის გაცვლის საშუალების მიცემაა. ამ შეხვედრების ძირითადი თემებია ქალთა საკითხები, ახალგაზრდული შეხვედრები და მედია, ასევე მედიაცია, სემინარები, კონფერენციები, ვიზიტები და ფაქტების დამდგენი მისიები. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შეხვედრების გავლენა პრობლემის საბოლოოდ მოგვარებაზე საკმაოდ შემცირდა და შეზღუდულია სამშვიდობო პროცესის საიდუმლო, დაღმავალი ბუნებით, ასეთი აქტივობები მაინც ძალიან მნიშვნელოვანია და ცხადყოფს მეორე მხარესთან ურთიერთობის ნორმალიზების შესაძლებლობას, რაც მაგალითია უფრო ფართო საზოგადოებისთვის.

პოლიტიკური დინამიკა

ამჟამინდელი მდგომარეობა – „არა ომი, არა მშვიდობა“ მიღწეულია ადგილობრივი და გარე აქტორების მიერ, რომლის მიზანია მისგან სარგებლის გამოტანა. როგორც ოზკანი აცხადებს, „სიტუაციაზე მუშაობის ნაცვლად, ელიტამ თავი აარიდა კონსენსუსისა და კომპრომისის საკითხს, რათა მაქსიმალურად გაეზარდათ საკუთარი კონტროლი სიტუაციაზე, მაშინ როცა გარე აქტორებმა კონფლიქტი ნახეს გაყინული და ამ სახით ის მინიმალურ საფრთხეს წარმოადგენს მათი ინტერესებისთვის“.

კონფლიქტის დინამიკის პორტრეტის შექმნისას სტრუქტურა წარმოჩინდა, როგორც გაყინული. კონფლიქტის ყველა მხარემ და საერთაშორისო მედიატორებმა ეს სტატუსი აღიქვეს, როგორც სტატუს კვო და იგნორირება გაუკეთეს ცეცხლის განუახლებლობის შეთანხმების სიმყიფეს, ისევე, როგორც კონფლიქტური სტრუქტურის დინამიურ ბუნებას. ყველაზე უკეთეს სიტუაციაში, ამ კონფლიქტის ერთადერთი გაყინული ასპექტი სამშვიდობო პროცესია და ისიც კი რადიკალურად იცვლება.

რეგიონში ნდობა ძალიან მცირეა. ორ საზოგადოებას შორის ბზარი იზრდება, რადგან თაობები, ვისაც საბჭოთა პერიოდში მშვიდობიანი თანაცხოვრება ახსოვთ, ბერდებიან და მათ ცვლიან ისინი, რომლებიც ერთმანეთის მიმართ სიძულვილისა და უნდობლობის ატმოსფეროში გაიზარდნენ.

წარმოდგენები და სტატუს კვოს კვანძი

ქვეყანა ერთდროულად ვერ იქნება ომისა და მშვიდობის მდგომარეობაში. პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე რამდენიმე გაყინული კონფლიქტის გავრცელება ექვემდებარება მარტივ კატეგორიზაციას. თუ ავიღებთ საქართველო-აფხაზეთის ან საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტს, მაგალითად, ინტერნეტში სწრაფად იპოვით ინფორმაციას 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიან ომზე, რომელიც დასრულდა 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით. მიუხედავად ამისა, კავკასიის კვლევისა და რესურსების ცენტრის (CRRC) კავკასიის ბარომეტრის (CB) 2013 წლის კვლევაში ნათქვამია, რომ თითქმის არც ერთი ქართველი არ ფიქრობს, რომ კონფლიქტი აფხაზეთში მოგვარებულია. ამის საპირისპიროდ, სომხების და აზერბაიჯანელების აზრით, აფხაზეთში კონფლიქტი მოგვარდა (27% და 13% შესაბამისად), მაშინ, როცა განსხვავებული წარმოდგენა აქვთ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიულ კონფლიქტზე – აზერბაიჯანის მოსახლეობის 38% თვლის, რომ ეს საკითხი ქვეყნისთვის ყველაზე დიდი პრობლემაა. აქედან გამომდინარე, ჩნდება ვარაუდი, რომ კონფლიქტი უფრო წარმოდგენებშია, ვიდრე რეალურ სამხედრო დაპირისპირებაში.

ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, სომხების უმრავლესობისთვის ნდობის მშენებლობაზე ორიენტირებული სხვადასხვა აქტივობები უპირველესად ახდენს ახალი კონფლიქტის პრევენციას და სტატუს კვოს ლეგიტიმაციას, მაშინ როცა აზერბაიჯანელთა უმრავლესობა სომხებთან დიალოგსა და ნდობის აღდგენას ეჭვის თვალით უყურებს. მათ ეშინიათ, რომ საკითხის პოლიტიკურად მოუგვარებლობის შემთხვევაში, ასეთმა აქტივობებმა შესაძლოა, დაასუსტოს აზერბაიჯანის პოზიცია და გააძლიეროს და დაკანონდეს სტატუს კვო.

კონფლიქტის მხარეთა ინტერესში არ შედის სტატუს კვოს შენარჩუნება. სტატუს კვომ, ისევე როგორც კონფლიქტის სწრაფმა მოგვარებამ – მშვიდობიანი თუ საომარი გზით – უნდა გადაწყვიტოს მთიანი ყარაბაღის საბოლოო სტატუსი, რომელიც მინიმუმ ერთი მხარისთვის მაინც მიუღებელი იქნება, მაგრამ უფრო რეალურად მიუღებელი იქნება ორივე მხარისთვის. ამიტომ პოლიტიკური მიზეზებით, ეკონომიკური და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერების

ინტერესებშია, ოფიციალურად თუ არ ითანამშრომლებენ, მაშინ სამოქალაქო საზოგადოებას, ინტელექტუალებს, ხელოვანებს და სხვებს არ შეუქმნან ბარიერები შეხვედრების დროს. ასევე მათთვის (პოლიტიკოსებისთვის) მნიშვნელოვანია, არ შეაფერხონ სამოქალაქო საზოგადოების პროგრესი, რომელიც მზადაა იმუშაოს სტერეოტიპების დანგრევაზე და კონფლიქტის მოგვარებიდან ორივე მხარისთვის სარგებლის პოვნაზე.

თანამშრომლობა გაზრდის ურთიერთნდობას, საშუალებას მისცემს მედიასა და ინტელიგენციას, ჰქონდეთ კავშირები, რაც დაანგრევს უარყოფით სტერეოტიპებს ერთმანეთზე და საფრთხის დონესაც შეამცირებს. შედეგად, მთავრობები მიიღებენ სარგებელს სიტუაციის განვითარებისთვის და სტრუქტურულ საკითხებზე მოლაპარაკებებისათვის – საკითხებზე, რომელიც ეხება მთიანი ყარაბაღის გარშემო ოკუპირებული ტერიტორიების აზერბაიჯანისათვის დაბრუნებას და ასევე დევნილების დაბრუნებას. ამ გზით წერტილი დაესმება ოფიციალური მოლაპარაკებების პროცესის მუდმივ კრახს.

რამდენად ეხება უკრაინის კრიზისი მთიან ყარაბაღს

უკრაინის კონფლიქტი აღრმავებს უიმედობის განცდას. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ ძირი გამოუთხარა იმ პრინციპებს, რაზეც აზერბაიჯანი და სომხეთი შეთანხმდნენ, რომ ნებისმიერი საკითხის მოგვარებას შეძლებდნენ (*ძალის გამოუყენებლობა და ტერიტორიული მთლიანობა).* უკრაინის კონფლიქტი ახალისებს აზერბაიჯანს, რომ მასაც შეუძლია სცადოს დაკარგული ტერიტორიის აგრესიული მეთოდით დაბრუნება, მხოლოდ შეზღუდული საერთაშორისო დაპირისპირების ფონზე.

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ როცა მოისმინა ევროკავშირისა და აშშ-ის მძლავრი მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, ხმა მისცა რუსეთის წინააღმდეგ გაეროს გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე კრემლის მიერ ყირიმის დაპყრობის საკითხს. აზერბაიჯანს იმედი ჰქონდა, რომ ამ ხმის მიცემით დასავლეთს შეახსენებდა 1993 წლის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ ოთხ რეზოლუციას, რომელიც ჯერ კიდევ შესასრულებელია. თუმცა, ამჟამად ბევრი აზერბაიჯანელი იმედგაცრუებულია ევროკავშირ/აშშ-ს სანქციების არაადეკვატური ეფექტით და აფასებს მას, როგორც დასავლეთის კიდევ ერთ უუნაროობას, უზრუნველყოს ტერიტორიული ერთიანობის პრინციპის დაცვა, რომელსაც ვითომ მათი მთავრობები შეუცვლელად იცავენ.

რუსეთის მიერ ყირიმის დაპყრობა ასევე ასუსტებს *თვითგამორკვევის უფლებას,* რაზეც აზერბაიჯანი და სომხეთი უკვე შეთანხმდა, რომ კონფლიქტის ნებისმიერი გზით მოგვარების ერთ-ერთი საფუძველი უნდა

გახდეს. რუსეთის მიერ ყირიმის 16 მარტის რეფერენდუმით აშკარა მანიპულაციამ მთელ იდეას შეუქმნა პრობლემა, რომ მსგავსი არჩევნები შესაძლოა, თვითგამორკვევის აქტად იქნას გამოყენებული; რეგიონში სხვა კრიზისების მიუხედავად, ოფიციალურმა ვაშინგტონმა და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების ხელისუფლებებმა არ უნდა დაივიწყონ ყარაბაღი, თუ მათი აზრით, იმდენივე შესაძლებლობა ექნებათ, გავლენა მოახდინონ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაზე, რამდენიც მათ დღეს აქვთ უკრაინაში.

მოლოდინი სამშვიდობო პროცესში ევროკავშირის მეტ ჩართულობაზე: აზერბაიჯანის პერსპექტივა

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის როლი და უნარი გაიზარდა და გაძლიერდა ბოლო წლების განმავლობაში, ინსტიტუტი კვლავ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, განსაკუთრებით – მოუგვარებელ რეგიონალურ კონფლიქტებთან მიმართებაში. ევროკავშირმა გააძლიერა მისი როლი საქართველოში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების გარშემო, ხოლო მთიან ყარაბაღში ისევ გულგრილი რჩება. ის მეტად ფოკუსირებულია ორმიმართულებიან დიპლომატიაზე, ნდობისა და მშვიდობის მშენებლობის ინიციატივების ჩართვით, ასევე დევნილების ფინანსურ მხარდაჭერაზე. ევროკავშირის ნეიტრალიტეტი მნიშვნელოვნად დაიმსხვრა, პირველ რიგში მოლდავეთისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აშკარა მხარდაჭერით, ადგილზე უფრო ჩართულობითა და ასევე აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ბუნდოვანი პოზიციით.

ამჟამად ორმაგი დიპლომატია ოფიციალური ბაქოსთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აზრი დიდად არ განსხვავდება ხელისუფლების პოზიციისგან. ორმხრივ ინიციატივებს ეჭვით უყურებენ, ძირითადად ორივე ქვეყანაში მედიაზე მთავრობის კონტროლის და დამოუკიდებელი სამოქალაქო აქტივობის შეზღუდვის გამო. ეს პრობლემა კი საშუალებას არ იძლევა, წარიმართოს ჯეროვანი დისკუსია მეორე მიმართულების ინიციატივების როლზე და გლობალური სამშვიდობო ძალისხმევის მხარდაჭერის მნიშვნელობაზე. სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლის გამო, სომხეთსა და აზერბაიჯანშიც დომინანტური და ოფიციალურად მხარდაჭერილი დისკურსები აძლიერებენ ეთნიკურ დაპირისპირებას და არა მშვიდობის მშენებლობას. პირველ მიმართულებაზე მოლაპარაკე მხარეებს შორის დაშორება იმდენად დიდია, რომ მეორე მიმართულებაც, სავარაუდოდ, ვერანაირ გასაოცარ შედეგებს ვერ მოიტანს.

თითქმის არანაირი შეთანხმება არ არსებობს დაპირისპირების რომელიმე საკითხზე: ყარაბაღის სტატუსი, ტერიტორიების დაბრუნება, დევნილები, ლტოლვილები და უსაფრთხოების გარანტიები. ოფიციალურ ბაქოს სურს და სჭირდება პირველი ტრეკის დიპლომატია, სადაც მოლაპარაკებებში ევროკავშირის ჩართულობამ შესაძლოა კონფლიქტის მოგვარებას ხელი შეუწყოს. ეს ჩართულობა უნდა ემსახურებოდეს ევროკავშირის ინტერესებსაც რამდენიმე მიმართულებით. პირველ რიგში, ევროკავშირის სურვილია, ბუნებრივი გაზის რესურსების დივერსიფიცირება და რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება, რომელიც ევროკავშირის გაზის მეოთხედი რესურსის მიმწოდებელია. რეგიონში ნებისმიერი აქტიური კონფლიქტი საფრთხეს შეუქმნის ევროკავშირის ენერგეტიკულ ინტერესებს. მეორეც, ევროკავშირმა უკვე გააცნობიერა, რომ რუსეთი აქტიური საფრთხეა რეგიონალური მშვიდობისათვის და სამშვიდობო მოლაპარაკებებში არასანდო პარტნიორია. 2008 წლის ნოემბრის შემდეგ, რუსეთმა მოსკოვს, ბაქოსა და ერევანს შორის სამმხრივი შეხვედრები წაახალისა, მაგრამ 2012 წლის იანვარში ეს პროცესი შეწყდა. ევროკავშირს შეუძლია ამით ისარგებლოს და ქვეყნებს დაეხმაროს, გამოეთიშონ რუსეთის გავლენას, სადაც მოსკოვის რამდენიმე რეგიონალური ინიციატივის წყალობით ექცევიან (ევრაზიის კავშირი და საბაჟო კავშირი). გამომდინარე იქიდან, რომ 2008 წლის შემდეგ აშშ ამცირებს თავის ჩართულობას კონფლიქტების მოგვარებაში, ევროკავშირი საუკეთესოა დასავლეთის ჩართულობის ჩასანაცვლებლად.

მესამე, აღმოსავლეთ პარტნიორობა ცდილობს, ხელი შეუწყოს მრავალმხრივ ურთიერთობას პარტნიორ ქვეყნებთან. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში მისი ორი პარტნიორი ქვეყანაა ჩართული და სტატუს ქვოს მდგომარეობის გაგრძელება საფრთხეს უქმნის ამ მიზნის განხორციელებასა და სანდოობას. ევროკავშირის მეტი ჩართულობა გაზრდის მრავალმხრივი თანამშრომლობის ეფექტურობას და გააუმჯობესებს ევროკავშირის იმიჯს საზოგადოებაში, რითაც შესაძლებელი გახდება უფრო მტკიცედ გაგრძელდეს დემოკრატიული განვითარება. აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა გახდება ევროკავშირის პოლიტიკის საფუძველი და მისი საშუალებით ევროკავშირს აზერბაიჯანისგან და სომხეთისგან უფრო მეტის მოთხოვნის საშუალება ექნება კონფლიქტის მოგვარებაში მეტი ჩართულობისთვის. ევროკავშირის მთიან ყარაბაღში ჩართულობის დაბალი ხარისხი გამოწვეულია იმით, რომ ის დე ფაქტო წარმოდგენილია საფრანგეთით, რომელიც მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეა 1997 წლიდან.

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მეტი ჩართულობა და ასოცირების ხელშეკრულების შიგნით არსებული ბერკეტები

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი ევროკავშირის არაოფიციალური წარმომადგენელია მინსკის ჯგუფის მოლაპარაკებებში, ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს მჭიდროდ არ უმუშავია პარიზთან, რათა ჩამოეყალიბებინა ევროკავშირის უფრო მკაფიო პოზიცია კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ამდენად, მინსკის ჯგუფის ფუნქციონირება რომ გაიზარდოს, აუცილებელი არაა ახალი ფორმატის ძიება. უმჯობესია, მოხდეს ამჟამინდელი ვარიანტების გადამუშავება. ერთი მხრივ, სპეციალურმა წარმომადგენელმა და ფრანგმა თანათავმჯდომარემ, აზერბაიჯანსა და სომხეთში ევროკავშირის დელეგაციების წარმომადგენლებთან ერთად, შესაძლოა, იპოვონ სამუშაო ჩარჩო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისას ევროკავშირის როლის გაუმჯობესებისათვის. დელეგაციის ხელმძღვანელები, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები და სპეციალური წარმომადგენლები შესაძლოა, შეხვდნენ ყოველ თვე და მერე წარუდგინონ შედეგები ევროკავშირის ინსტიტუტებს. მეორე მხრივ, სპეციალური წარმომადგენელი შესაძლოა, არაოფიციალურად ან დამკვირვებლის სტატუსით დაესწროს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების შეხვედრებს. ეს ფორმატის მცირედ შეცვლას ნიშნავს: 3 თანათავმჯდომარე + 1 სპეციალური წარმომადგენელი. ეს მოითხოვს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მანდატის გაფართოებას და გაგრძელებასაც.

სამწუხაროდ, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჩართულობის შესახებ დისკუსიები ხშირად სრულდება აზერბაიჯანის კრიტიკით 2007 წლის ინციდენტის გამო, როდესაც აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკრიტიკა მაშინდელი სპეციალური წარმომადგენელი მთიან ყარაბაღში მისი არასანქცირებული ვიზიტის გამო. მას შემდეგ ევროკავშირის ოფიციალური პირები ამ ინციდენტს იხსენებენ, როგორც აზერბაიჯანის წინააღმდეგობას – სპეციალური წარმომადგენელი ჩაერთოს პროცესში. აზერბაიჯანის მოთხოვნაა, რომ სპეციალურმა წარმომადგენელმა ხელი შეუწყოს ხალხებს შორის დიალოგს მთიან ყარაბაღში; სხვა შემთხვევაში, მთიანი ყარაბაღის დე-ფაქტო ხელისუფლებები მსგავს ვიზიტებს აღიქვამენ, როგორც მათ აღიარებას და საერთაშორისო მხარდაჭერას. ამ ხალხებს შორის მოლაპარაკებების რეალიზაცია დამახასიათებელია სამშვიდობო პროცესის დასკვნით ეტაპზე, მაგრამ ახლაც მნიშვნელოვანია – შემცირებული დაძაბულობისა და ნდობის აღდგენის პროცესებიდან გამომდინარე. თუმცა მთიანი ყარაბღის სომხური მოსახლეობა ახდენს მთელი ტერიტორიის სახელით საუბრის მონოპოლიზაციას და არ იღებს აზერბაიჯანულ თემს, როგორც მთიანი

ყარაბაღის ნაწილს. ამდენად, თუ სპეციალურ წარმომადგენელს სურს პროცესის მოგვარებაში შეიტანოს წვლილი, მან უნდა დაიწყოს აზერბაიჯენელებსა და სომხებს შორის კონტაქტის ხელშეწყობით.

ევროკავშირს, გარდა ამისა, შეუძლია მოახდინოს ეურონესტის ფარგლებში დიალოგის სტიმულირება, რათა გაზარდოს აზერბაიჯანსა და სომხებს შორის ორმხრივი კონტაქტები საპარლამენტო ფორმატში. ევროკომისიამ, აღმოსავლეთ პარტნიორებისა და სხვა მექანიზმების საშუალებით, შესაძლოა გაზარდოს მისი როლი. ევროპარლამენტმა კონფლიქტის თაობაზე მიიღო რეზოლუციები, რომელიც მეტ ჩართულობას გულისხმობს. ერთ-ერთი რეზოლუციით „სამხრეთ კავკასიაზე ევროკავშირის სტრატეგიის საჭიროებაზე“ (2010 წლის 20 მაისი) ევროპარლამენტი აცხადებს, რომ „გაყინული კონფლიქტები აფერხებს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ასევე – აფერხებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ პარტნიორობის სრულ განვითარებას მაშინ, როცა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება ევროკავშირის სამეზობლოში სტაბილურობისთვის აუცილებელია“. იგივე რეზოლუცია მოუწოდებს სომხეთის შეიარაღებულ ძალებს, გამოვიდნენ მთიანი ყარაბაღის მიმდებარედ აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

ევროკავშირს შეუძლია, გააძლიეროს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ჩართულობა მისი ინსტრუმენტების გამოყენებით. ამდენად, ევროკავშირს შეუძლია, სარგებელი მიიღოს სამიზნე ქვეყნების ქმედების საპასუხოდ ან შეამციროს და შეწყვიტოს ეს სარგებელი. ასევე, მნიშვნელოვანია, როგორ გამოიყენებს ევროკავშირი მის გავლენას კონფლიქტის მოგვარებაზე, პირდაპირ თუ ირიბად. პირდაპირი გავლენა გულისხმობს ევროკავშირის, როგორც საგარეო პოლიტიკის აქტორის ქმედებას, როგორიცაა დიპლომატიური აქტივიზმი; ირიბი გავლენა კი შესაძლებელია წევრი ქვეყნების პერსპექტივიდან, რომლებსაც თავად აქვთ სეპარატისტული კონფლიქტები. ევროკავშირის შეთავაზებაა ერთიანი ვალუტა და უვიზო რეჟიმი, რითაც ტერიტორიული კონფლიქტები ნაკლებად რელევანტური გახდება დაზარალებული მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში. დღემდე, ევროკავშირი კონფლიქტების მოგვარებაში ირიბად მოქმედებდა; მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, აზერბაიჯანმა და სომხეთმა ხელი მოაწერონ ასოცირების ხელშეკრულებას და მიიღონ მეტი სარგებელი ევროკავშირიდან, კონფლიქტის სრულად მოგვარებამდე ვერც ერთი ქვეყანა რეალურ სარგებელს ვერ მიიღებს.

ასოცირების ხელშეკრულებები და, უფრო ზოგადად კი, აღმოსავლეთ პარტნიორობა მხარს უჭერს მრავალმხრივ და რეგიონალურ თანამშრომლობას, რომელიც სამხრეთ კავკასიაში ამჟამად არ მუშაობს.

დამატებითი არგუმენტი არის ის, რომ ბალკანეთში, მაგალითად, წევრობის პერსპექტივის შეთავაზება უფრო იძულებითი იყო, რადგან რეგიონი გეოგრაფიულად ევროკავშირის წევრი ქვეყნებით იყო შემოსაზღვრული. ამის გამო ვიზა და სავაჭრო რეჟიმები დაუყოვნებლივ მოახდენდნენ გავლენას. სამხრეთ კავკასიას კი ესაზღვრება ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები და ევროპის ბაზართან არაენერგეტიკულ სექტორში ვაჭრობის შანსები ძალიან მცირეა. ამდენად, აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ასოცირების ხელშეკრულებებისათვის რეალური სარგებლების მისაცემად, ევროკავშირმა უნდა გააძლიეროს მთიან ყარაბაღში მისი პოლიტიკის ეფექტურობა კონფლიქტის მოგვარების ახალი ლექსიკონის შექმნით, ასოცირების ხელშეკრულების სახით.

აზერბაიჯანთან და სომხეთთან ასოცირების ხელშეკრულებებზე დისკუსიები დაიწყო 2010 წლის ივლისში. 28-დან 24 მოლაპარაკება წარმატებულად დასრულდა სომხეთთან, ხოლო 13 – აზერბაიჯანთან. ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად უნდა მოხდეს მათი ევროპარლამენტის და ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული პარლამენტების მიერ რატიფიცირება.

გამამხნევებელია 2013 წლის მარტის ბოლოსთვის მიღებული ევროპარლამენტის რეზოლუციები, რომლებიც შეიცავდა საბჭოსთვის, ევროკომისიისა და ევროპის საგარეო სამოქმედო სერვისის მიმართ რეკომენდაციებს აზერბაიჯანთან და სომხეთთან ასოცირების ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებების შესახებ. ტექსტი უკავშირდება ნდობის აღდგენისთვის საჭირო ზომებს, ითვალისწინებს რა რეკომენდაციას, რომ სპეციალურ წარმომადგენელს შეუძლია და ვალდებულია, წარმართოს ხალხებს შორის შეხვედრები. ის ეხმაურება მადრიდის პრინციპებს – დასრულდეს ოკუპაცია და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყველა საქმიანობა. მოუწოდებს სომხეთს, ბოლო მოუღოს ნებისმიერ სამშენებლო და განსახლების პროექტებს, რომლის მიზანი ოკუპირებულ ტერიტორიებზე სომხური მოსახლეობის რაოდენობის ზრდაა, უზრუნველყოს ზუსტი მონაცემების მოწოდება მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ და დაუყოვნებლივ გადადგას ნაბიჯები კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის. მადრიდის პრინციპები არის საბაზისო პრინციპების ყველაზე ბოლო განმეორება, რომელიც პირველად ეუთოს მინსკის ჯგუფმა შესთავაზა სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს 2007 წელს და მერე გადაიხედა 2009 წელს. შეთანხმება შედგა მხოლოდ 14-დან 6 პრინციპზე და გასაჯაროვდა. ესენია: მთიანი ყარაბაღის გარშემო არსებული ოკუპირებული ტერიტორიების აზერბაიჯანისთვის დაბრუნება; მთიან ყარაბაღს მიენიჭოს შუალედური სტატუსი და მოხდეს უსაფრთხოებისა და თვითმმართველობის გარანტირება; დევნილებისა და

ლტოლვილების უფლებები – დაბრუნდნენ წარმოშობის ადგილზე; გაიხსნას სომხეთსა და მთიან ყარაბაღს შორის კორიდორი; კანონიერად გამოხატული ნებით მოხდეს მთიანი ყარაბაღის მომავალი სტატუსის განმარტება; საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიები, მათ შორის სამშვიდობო ოპერაცია.

ევროკავშირმა ადრეულ ეტაპზე გაუშვა შანსი ასეთი პროგრესისთვის, როცა 2006 წელს ორივე ქვეყანამ ხელი მოაწერა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას, რომელიც უფრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ტრანსფორმაციას გულისხმობდა, ვიდრე მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარებას; ეს მაშინ, როცა აზერბაიჯანის სამოქმედო გეგმა მოიცავს: „პატივი სცეს და მხარი დაუჭიროს ერთმანეთის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და ხელშეუხებლობას და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს“. როგორც პირველადი პრიორიტეტი, სომხეთის სამოქმედო გეგმაში კონფლიქტის მოგვარება პრიორიტეტების სიაში მხოლოდ მეშვიდე ადგილს იკავებს და იცავს ადამიანების თვითგამორკვევის უფლების პრინციპებს. ევროკავშირის ბერკეტით, სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა არ შეიცავს განცხადებებს და მოთხოვნებს კონფლიქტური მხარეების მიმართ.

აზერბაიჯანთან და სომხეთთან ასოცირების ხელშეკრულებები უნდა დაიდოს ორივე მხარის მიერ კონფლიქტის მოგვარების სერიოზული ვალდებულების აღების პირობით. ტერიტორიული ხელშეუხებლობის პრინციპი ორივე შეთანხმების ტექსტში უნდა შევიდეს, ისევე როგორც მადრიდის პრინციპები, რომელიც დაკავშირებული იქნება შედეგების მოლოდინთან. ამგვარად, ევროკავშირს შეუძლია, თავიდან აირიდოს აზერბაიჯანის კრიტიკა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები იყენებენ ორმაგ სტანდარტებს აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. უფრო მეტიც, შეთანხმებებში უნდა შევიდეს ევროკავშირის ვალდებულება, რომ ის დაიკავებს გარანტორის პოზიციას მეორე ფაზაში (მთიანი ყარაბაღის სტატუსის მოლაპარაკებებში), თუ მხარეები მიაღწევენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას.

ამის შემდეგ, ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭომ ევროკავშირის ინსტიტუტებს მოსთხოვა, ეუთოსთან მჭიდრო კონსულტაციებით, მოეწოდებინა მთიანი ყარაბაღის პოსტკონფლიქტური სცენარები ევროკავშირის მომავალი ჩართულობისთვის. შეთანხმებები, კონფლიქტის მოგვარებისა და პოსტკონფლიქტური სიტუაციის დარეგულირების ვალდებულების გათვალისწინებით, ორივე ქვეყანას დამოკიდებულს გახდის კონფლიქტის მორიგების სისტემაზე – „უფრო მეტი შედეგი და ფინანსური დახმარება“. გარანტიებიც ძალიან საჭირო იქნება, განსაკუთრებით – მთიანი

ყარაბაღის სომეხი მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის, რასაც სომხეთი ხშირად ახსენებს.

ევროკავშირი წარსულში ეფექტურად იყენებდა პირობითობის პრინციპს შედეგების მისაღწევად, განსაკუთრებით – მაკედონიის სამხედრო ძალებისა და ეთნიკური ალბანელების ეროვნულ-განმათავისუფლებელ არმიას შორის კონფლიქტის დროს. ოჰრიდის სამშვიდობო შეთანხმების განხორციელება მაკედონიის ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობა იყო.

ევროკავშირს, საკუთარი წარმატებების საფუძველზე, ასევე, შეუძლია, სამოქალაქო მისიის გაგზავნის ვალდებულება აიღოს ყარაბაღის პოსტკონფლიქტურ ზონაში, როდესაც პოლიტიკური შეთანხმება მიღწეული იქნება. ევროკავშირის ამჟამინდელი ჩაურთველობა შეუძლებელს ხდის საუბარს სხვა ვალდებულებებზე, კერძოდ, ადამიანის უფლებების საკითხებზე.

ერევნის შეხედულებით, ევროკავშირის ფინანსური რესურსები უნდა მოხმარდეს ქვეყნის მოსკოვზე დამოკიდებულების შემცირებას. ბაქოს შეხედულებით კი ერევანი ამას ევროკავშირზე ზეწოლისთვის იყენებს.

ხედვები და რეკომენდაციები ტრანსფორმაციისთვის

რიგის სამიტის წინა თვეებში, ძირითადი დებატები მიმდინარეობდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ასოცირების შეთანხმებებზე მოლაპარაკებების შესახებ, მაგრამ მაისის სამიტზე არც ერთი ხელშეკრულების ხელმოწერას არ ელოდნენ. ევროკავშირის დილემაა, რამდენად სერიოზულად უნდა აღიქვას რუსეთის გავლენა სომხეთზე, ვინაიდან სომხეთი საბაჟო კავშირის წევრი გახდა და მოსკოვს სურს, ეს ქვეყანა მხოლოდ ევრაზიის კავშირის პროექტში იხილოს. ამდენად, ევროკავშირს არ უნდა სომხეთი იმედგაცრუებული დარჩეს, რაც აუცილებლად ნიშნავს იმას, რომ ერევანს ვერ მოსთხოვენ აიღოს აშკარა ვალდებლებები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისას. მეორე მხრივ, თუ ბაქოს შეშფოთება რეალური აღმოჩნდა, ევროკავშირ-აზერბაიჯანის ურთიერთობა შეჩერდება, ასოცირების ხელშეკრულების მოლაპარაკებები უფრო გართულდება და უნაყოფო იქნება. შეთანხმებები მოიცავს ვალდებულებებს ადამიანის უფლებების, გამოხატვის თავისუფლების დაცვაზე და დემოკრატიულ განვითარებაზე – ამ ყველაფერზე ყარაბაღის საკითხში წინსვლის არარსებობა დიდ გავლენას იქონიებს. ექსპერტების ანალიზით, არსებობს მთიანი ყარაბაღის კოფნლიქტის მოგვარებაში ევროკავშირის მზარდი ჩართულობის აუცილებლობა.

ეუთოს მინსკის ჯგუფის პროცესში უნდა მოხდეს ევროკავშირის როლის ინსტიტუციონალიზაცია; უნდა გაიზარდოს ევროკავშირის სპეციალური

წარმომადგენლის მანდატი და ვადა, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ხაზგასმით; ევროკავშირის უწყებებთან უნდა გაღრმავდეს თანამშრომლობა;

ასოცირების ხელშეკრულებაში უნდა შემჭიდროვდეს კონფლიქტის მოგვარების ვალდებულება გონივრულ ვადებში, ამჟამინდელ და პოსტკონფლიქტურ პერიოდში, ტერიტორიული მთლიანობისა და მადრიდის პრინციპების გაცნობიერებით, როგორც ორივე ტექსტის ამოსავალი წერტილი. შეთანხმებების საშუალებით, პრინციპის – „მეტი უფრო მეტისთვის“ – გამოყენებით ევროკავშირს შეუძლია, შექმნას ერთჯერადი და მრავალმხრივი კონფლიქტის მოგვარების მექანიზმის ჩარჩო, ორივე (ერთბილიკიანი და ორბილიკიანი) დიპლომატიის გამოყენებით.

ევროკავშირმა სერიოზულად უნდა მიიღოს არჩევანი – ასოცირების ხელშეკრულებას დაამატოს მეტი ინსტრუმენტები და მოუწოდოს პარტნიორ ქვეყნებს, კონფლიქტის მოგვარებაში გამოიყენონ არსებული საუკეთესო გამოცდილება. ამგვარად, ევროკავშირი გაამარტივებს გზას უფრო მეტად ჩართული მიდგომისკენ, რომელიც, თავის მხრივ, მიგვიყვანს გაზრდილ ინსტიტუციონალურ ჩართულობასთან რეგიონალური პრობლემების მოგვარებაში, რაც მოიცავს უსაფრთხოებისა და მდგრადი მშვიდობის გამოწვევების მოგვარებასაც.

მთიანი ყარაბაღის სტატუსის სწრაფ მოგვარებაზე ოპტიმიზმი ნაადრევია. არ არსებობს ამ კონფლიქტის მოკლევადიანი მოგვარების შანსი. ხანგრძლივვადიანი მშვიდობისათვის აუცილებელი წინაპირობებია ხანგრძლივვადიანი ზომები, როგორიცაა – დემოკრატიზაცია, თურქეთ-სომხეთის შერიგება, რეგიონალური ეკონომიკა, უსაფრთხოება და შესაძლო პოლიტიკური ინტეგრაცია, ცენტრალური კავკასიური იდენტობის გაძლიერება. მას შემდეგ, რაც თურქეთ-სომხეთის შერიგების კომისიამ, როგორც ინიციატივამ, წვლილი შეიტანა შერიგების პროცესში, სომხეთისა და თურქეთის ხელისუფლებებმა ნელ-ნელა დაიწყეს თანამშრომლობისა და შერიგების სარგებლის გააზრება. თუ დახმარებისთვის ჯერ მზად არ არიან, ისინი პირად საუბრებში მაინც მზადყოფნას აცხადებენ, არ შეაფერხონ სამოქალაქო დიალოგი. თუ აზერბაიჯანი და სომხეთი მტრებიდან პარტნიორებად იქცევიან, რუსეთის საფრთხე მნიშვნელოვნად შემცირდება; თურქეთთან და სომხეთის მიერ მიტაცებულ აზერბაიჯანის დაკარგულ ავტონომიურ რეგიონთან, ნახჩევანთან, სახმელეთო კავშირი აღდგება; აზერბაიჯანი გახდება თურქეთისა და ცენტრალური აზიის ხიდი და მისი რეგიონალური როლი გაიზრდება; ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივები უფრო რეალური გახდება.

დღემდე ყველა, ისინიც კი, ვინც აცნობიერებს რეგიონალური ინტეგრაციის აუცილებლობას, კონფლიქტის მოგვარებას განიხილავდა,

როგორც კავკასიაში მშვიდობისა და თანამშრომლობის პრე-რეკვიზიტს. აუცილებელია, შეიცვალოს მიდგომა და რეგიონალურ ინტეგრაციას მივუდგეთ, როგორც მოგვარების საშუალებას. თუ მაღალი დონის რეგიონალური ინტეგრაცია მოხერხდა, მთიანი ყარაბაღის სტატუსის საკითხი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი გახდება. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მდგრადი მოგვარების მისაღწევად ფორმალურ დიპლომატიურ არხებს სჭირდებათ, შეივსონ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, სტრატეგიული მცდელობით გარდაქმნან კონფლიქტის დისკურსი და დათმონ ნაციონალიზმი, სიძულვილი და გამყოფი სტერეოტიპები.

სასურველი საერთაშორისო გარემოს საპირისპიროდ, სომხურ და აზერბაიჯანულ საზოგადოებაშიც ადგილობრივი მოვლენები კვლავ რჩება კონფლიქტის მოგვარების სერიოზულ ბარიერად. რამდენიმე არგუმენტის საპირისპიროდ, პრობლემის წყარო არ არის ზოგადად საზოგადოება და მათი მოუმზადებლობა მშვიდობისადმი. უფრო მეტად პრობლემა მომდინარეობს პოლიტიკური ელიტიდან, როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციური წრეებისგან. ისინი აძლიერებენ საზოგადოებაში შიშს და შეშფოთებას პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად, რათა მოლაპარაკების მაგიდასთან უფრო მეტი კოზირი მოიპოვონ მათი ძალაუფლების სეგმენტების, როგორც პოლიტიკური პაიკების გამოყენებით. მოსახლეობის მაქსიმალური მოლოდინის უკვდავსაყოფად, ლიდერები კიდევ უფრო მეტ ჩიხში შედიან. ისინი საკუთარი რადიკალური რიტორიკის მძევლები ხდებიან და შედეგად – უფრო მეტად უუნარონი – ადგილობრივ და საერთაშორისო ზეწოლას შეეწინააღმდეგონ.

უახლოესი მომავლის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მოიპოვოს საზოგადოებრივი მხარდაჭერა სამშვიდობო პროცესის ამ ეტაპზე – შეათანხმონ დოკუმენტი საბაზისო პრინციპებზე – აუხსნან საკუთარ საზოგადოებას, რომ ეს პრინციპები თავისთავად არ წარმოადგენს საბოლოო სამშვიდობო შეთანხმებას, არამედ პირველი ნაბიჯია მოლაპარაკებების პროცესში, რომელშიც მთიანი ყარაბაღის საბოლოო სტატუსი წინასწარ განსაზღვრული არაა.

წინასწარგანზრახული არასწორი წარმოდგენებისა და საზოგადოებრივი დისკუსიების ნაკლებობის გამო, მთავარი პრინციპები ფართოდ განიხილება, როგორც აზერბაიჯანიდან მთიანი ყარაბაღის გამოყოფის ლეგიტიმიზაციის შეთქმულება. ეს მაშინ, როცა ბევრ სომეხს სჯერა, რომ ეს პრინციპები გამოიწვევს მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის შემადგენლობაში დაბრუნებას რეგიონში მცხოვრები ხალხის ნების საწინააღმდეგოდ. ამ წარმოდგენების შედეგად, სამშვიდობო პროცესში დინამიზმი და მთავარ პრინციპებზე გარდაუვალი შეთანხმების შესახებ საუბარი ფართო საზოგადოებაში სათანადო გამოხმაურებას ვერ პოულობს. ამის საპირისპიროდ, მათ ეჭვის

თვალით უყურებენ და იზრდება საფრთხის განცდა. სამშვიდობო პროცესის შესახებ საერთაშორისო და ადგილობრივი წარმოდგენების ერთმანეთთან დაკავშირების გარეშე სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებისთვის შეუძლებელი იქნება საბაზისო პრინციპებზე შეთანხმების ხელმოწერა.

გარდაუვალია, რომ საერთაშორისო მედიატორებმა გააგრძელონ ინტენსიური მუშაობა სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებების წასახალისებლად, შეთანხმდნენ საბაზისო პრინციპების შესახებ დოკუმენტის ჩარჩოზე, რომელიც საფუძველს შექმნის შემდეგი სამშვიდობო შეთანხმებისათვის.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებებმა ჩართონ თავიანთი მოსახლეობა გულწრფელ დებატებში არსებული სიტუაციის შესახებ მოლაპარაკების მაგიდასთან. მათვე უნდა მიიღონ ზომები ხალხის წასახალისებლად, რომ მშვიდობიანი და ეტაპობრივი ცვლილებებიდან მიღებული შედეგი გაცილებით უკეთესია, ვიდრე სტატუს კვოს ნებისმიერი დადებითი ასპექტი. ფართო საზოგადოების ცნობიერება ამ საკითხებზე და არჩევანი და მათი ქვეტექსტები შეასუსტებს გაურკვევლობის შეგრძნებას ორივე მხარეს, რაც შესაბამისად ხელ-ფეხს გაუსნის დიპლომატებს და წაახალისებს მათ, დაიწყონ დისკუსიები და გადადგან ეფექტური ნაბიჯები.

თავი 3

ადამიანის უფლებები, როგორც ნდობისა და მშვიდობის აღდგენის ელემენტი

ადამიანის უფლებები, როგორც მშვიდობის მშენებლობის ელემენტი და რესურსი

ალეკო ცქიტიშვილი, ნინო ტლაშაძე

გადაადგილების თავისუფლება სამხრეთ კავკასიაში

ანა მელიქიანი, არტაკ კირაკოსიანი, სომხეთი

აფხაზეთის მოქალაქეების გადაადგილების თავისუფლების დარღვევა

ასიდა ლომია, აფხაზეთი

განათლების უფლება

ენვერ ჯულიმანი

ადამიანის უფლებები, როგორც მშვიდობის მშენებლობის ელემენტი და რესურსი

ალეკო ცქიტიშვილი, ნინო ტლაშაძე

ევროპის უახლესი ისტორია გვიჩვენებს, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში ეთნოკონფლიქტები და შეიარაღებული დაპირისპირებები საბჭოთა კავშირისა და ე. წ. ვარშავის ბლოკის დაშლას მოჰყვა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შედეგად წარმოქმნილი დამოუკიდებელი ქვეყნების დიდ ნაწილს წლების განმავლობაში კვლავ კომუნისტური პარტიის ყოფილი ნომენკლატურა მართავდა, რომელიც ერთი მხრივ, ინერციით ინარჩუნებდა კავშირს ყოფილ მეტროპოლიასთან – რუსეთთან, მეორე მხრივ კი ვერ უმკლავდებოდა იმავე რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან ინსპირირებულ პრობლემებს, მათ შორის – ეთნოკონფლიქტებს.

ამდენად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებზე როცა ვსაუბრობთ (მათ შორის – ეთნოკონფლიქტებზე, ეთნიკურ წმენდაზე, ქსენოფობიაზე და ა.შ.) აუცილებლად გასათვალისწინებელია გეოპოლიტიკური და ისტორიული კონტექსტი, რათა ობიექტურად გავაანალიზოთ ახლო წარსული, მოვახერხოთ სწორი ორიენტირება დროსა და სივრცეში.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების შემდგომ, როცა საქართველომ დაკარგა იურისდიქცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, ამ არაღიარებულ რესპუბლიკებში პერმანენტულად ახლდებოდა შეიარაღებული დაპირისპირებები, რასაც ზოგჯერ ლოკალური, ზოგჯერ კი მასშტაბური ხასიათი ჰქონდა. პარალელურად, საქართველოს ხელისუფლება დიდწილად მიმართავდა მილიტარისტულ რიტორიკას და უპირატესობას ანიჭებდა „იარაღის ძალით დაკარგული ტერიტორიების იარაღის ძალითვე დაბრუნების“ იდეას, რის გამოც კიდევ უფრო ღრმავდებოდა უფსკრული ხალხებს შორის და ნაბიჯები არ იდგმებოდა მშვიდობის მშენებლობისა და ნდობის აღდგენის მიმართულებით.

2008 წლის შეიარაღებულმა კონფლიქტმა რუსეთსა და საქართველოს შორის კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება, როცა რუსეთმა ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამ პერიოდიდან კვლავ გაიხსნა წლების განმავლობაში მოშუშებული იარები, ხალხებს შორის გამძაფრდა უნდობლობა და სიძულვილი, გაჩნდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ტალღა. რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს მავთულხლართებისა და თხრილების გავლება მხარეთა შორის

შეუთანხმებელ „საზღვრებზე“, რის შედეგადაც მრავალი ოჯახი აღმოჩნდა არაღიარებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე.

დღესდღეობით აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არაღიარებული რესპუბლიკებია, რის გამოც მათ ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ბევრი პრობლემა აქვთ. არაღიარების პირობებში, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ არიან მიერთებული ადამიანის უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ამდენად, ადგილობრივი მოსახლეობა ფუნდამენტური უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევის რისკის ქვეშ ცხოვრობს. მსგავს სიტუაციაში ადგილობრივ ხელისუფლებებს აქვს დიდი პასუხისმგებლობა, დაიცვან მოქალაქეთა უფლებები. აფხაზ და ოს ხალხს თავიანთი უფლებების დასაცავად აქვთ მწირი რესურსი – მათ უნდა მიმართონ ადგილობრივ სამართალდამცველ ორგანოებს და სასამართლოებს, რომლებიც ხშირად თავად არიან უფლებადამრღვევები, კორუმპირებული და მარგინალური მმართველობის პირობებში. მათ ასევე შეუძლიათ, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებს, ოღონდაც – საქართველოს გავლით. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ უფლებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოქალაქეები ძალიან იშვიათად, ფაქტობრივად – არ სარგებლობენ[78].

ადამიანის უფლებები უნივერსალური ღირებულებაა ყველა ადამიანისთვის და რაღა თქმა უნდა, მათთვისაც, ვინც ყველაზე „ნაცრისფერ ზონაში“ ცხოვრობს. ამავე დროს, სწორედ ადამიანი და მისი უფლებები შეიძლება იყოს ქართველი, აფხაზი და ოსი სამოქალაქო აქტივისტების ერთობლივი ზრუნვის, ერთობლივ ძალისხმევათა ობიექტი. ადამიანის უფლებების დაცვა არ არის პოლიტიკური საქმიანობა და ხშირად ისე ხდება, რომ ამ უნივერსალური ღირებულებების დამკვიდრებისათვის ბრძოლისას უფლებადამცველ ორგანიზაციებს თუ სამოქალაქო აქტივისტებს დაპირისპირება უწევთ ხელისუფლებასთან ანდა საზოგადოებაში გაბატონებულ სტერეოტიპებთან[79]. ამ თვალსაზრისით, ადამიანის უფლებების

[78] ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია 2009 წელს ქართული სასამართლოს მიერ გათავისუფლებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების - კაზიევის, ლალიევისა და ელოევის უგზო-უკვლოდ გაუჩინარება, რის შემდეგაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განაცხადით მიმართა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს საქართველოს წინააღმდეგ, რადგან ვერც შინაგან საქმეთა და ვერც იუსტიციის სამინისტროებიდან ვერაფერი შეიტყო გაუჩინარებული მოქალაქეების ასავალ-დასავალის შესახებ. ვრცლად, იხ.: http://www.media.ge/ge/portal/news/27031/

[79] საინტერესო შემთხვევაა 2014 წელს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომლის შემუშავებას,

დაცვა საერთო მიზანიც შეიძლება იყოს და ამ მიზნის მისაღწევად ქართველი, აფხაზი და ოსი უფლებადამცველების გაერთიანებაც შესაძლებელია, თუნდაც კონკრეტული სამოქალაქო მოძრაობების, კოალიციების, ქსელებისა თუ კამპანიების გზით.

უფლებადამცველთა ერთობლივი ძალისხმევა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია არაღიარებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, სადაც ბოლო 25 წლის განმავლობაში, რამდენიმე შეიარაღებული კონფლიქტისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გამო, ადგილობრივი მაცხოვრებლები, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, სხვადასხვა სახის უფლებადარღვევათა მსხვერპლი ხდებიან. მათი უფლებების დაცვაში გადამწყვეტი სიტყვა აფხაზ და ოს უფლებადამცველებს ეთქმით, რომლებიც უნდა იყვნენ ძალიან აქტიურნი და გაბედულნი მსხვერპლთა უფლებების დაცვის დროს. ამავდროულად, შესაძლებელია, რომ ისინი არ იყვნენ მარტონი ამ ბრძოლაში და მოხდეს აფხაზი, ოსი და ქართველი უფლებადამცველების კონსოლიდაცია საერთო სამოქალაქო მშვიდობის დამყარებისა თუ ხალხებს შორის ნდობის აღდგენის პროცესში.

ამ თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის უფლებადამცველებს თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება აქვთ. კერძოდ, 2009 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის (საქართველო) ინიციატივით, შეიქმნა უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელი, რომელიც აერთიანებს 30-მდე საზოგადოებრივ ორგანიზაციას საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან და მოწოდებულია, ამ ქვეყნებში ხელი შეუწყოს უფლებადამცველთა საქმიანობას, დაიცვას ისინი სხვადასხვა სახის ზეწოლისაგან. ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია კი არის ამ სამი ქვეყნის ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობა სხვადასხვა აქტუალურ და პრობლემურ თემაზე. სავსებით შესაძლებელია ამ გამოცდილების გაღრმავება იმგვარად, რომ სამხრეთ კავკასიის უფლებადამცველთა ერთობლივ საქმიანობაში აქტიურად ჩაერთონ აფხაზი და ოსი უფლებადამცველები, ისევე, როგორც უფლებადამცველები მთიანი ყარაბაღიდან.

პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

ტოტალიტარული საბჭოთა სისტემიდან დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის წინააღმდეგობრივი პერიოდი საქართველომ მეტ-ნაკლებად გაიარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მთელ რიგ პრობლემებს, რის გამოც ჯერ კიდევ ფერხდება ამ ქვეყნის ინტეგრაცია თანამედროვე ევროპის

ინიცირებასა და ადვოკატირებას მძაფრი წინააღმდეგობა შეხვდა ნაციონალისტებისა და რადიკალურად განწყობილი სასულიერო პირების მხრიდან.

სახელმწიფოთა მშვიდობიან ოჯახში. ადამიანის უფლებების დაცვა, მიუკერძოებელი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება, ქვეყნის გამჭვირვალე მმართველობის უზრუნველყოფა, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ჩამოყალიბება, ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება, ეკოლოგიაზე ზრუნვა – ყველა ეს და ასევე სხვა მსგავსი საკითხები კვლავ აქტუალურია ქართული სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვითარება კიდევ უფრო რთულია, რასაც ზედ ერთვის მძიმე კრიმინოგენული ვითარება, უპერსპექტივობის განცდა და სიღარიბე. პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში აფხაზი და ოსი მოქალაქეების მონაწილეობის დონე კიდევ უფრო დაბალია.

2014 წლის დასაწყისში აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოებამ შეშფოთებით მიიღო ინფორმაცია, რომ რუსეთის ნავთობმომპოვებელი კომპანიები გეგმავენ შავი ზღვის შელფიდან ნავთობის მოპოვებას. აფხაზეთის მოქალაქეები წინააღმდეგნი არიან შავი ზღვის ეკოლოგიაში ასეთი უხეში ჩარევის და სოციალურ ქსელებში გამოხატავენ უკმაყოფილებას, რომ მსგავსი სერიოზული საკითხები საზოგადოების უკითხავად, ყოველგვარი საჯარო განხილვის გარეშე წყდება. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის შელფიდან ნავთობის მოპოვების იდეამ ქართველი გარემოსდამცველებიც შეაშფოთა, მაგრამ მათ არ მიუწვდებათ ხელი, პირდაპირი ზემოქმედება მოახდინონ სოხუმში მიმდინარე მოვლენებზე. საერთო წუხილის მიუხედავად, ქართველი და აფხაზი გარემოსდამცველების კომუნიკაცია არ არსებობს.

ცალკე შეიძლება ვისაუბროთ პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის უფლებაზე, არჩევითი ორგანოების მუშაობაში მათ ჩართულობაზე. გენდერული ბალანსი არჩევით ორგანოებში დემოკრატიის ერთ-ერთი ინდიკატორია. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, საქართველოს პარლამენტში ქალებმა დაიკავეს მანდატების სრული რაოდენობის 12 %, რაც წინა პარლამენტთან შედარებით უკეთესი მაჩვენებელია, მაგრამ საკმაოდ შორსაა გენდერული თანასწორობის საერთაშორისო სტანდარტისგან. რეგიონებში ქალთა წარმომადგენლობა კიდევ უფრო დაბალია. ასეთივე მძიმე სურათია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. თუმცა, ცალკე აღნიშვნის ღირსია და მისასალმებელია აფხაზ და ოს უფლებადამცველთა შორის ქალების აქტიურობა.

ზოგადად, მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალებს განსაკუთრებული როლი აკისრიათ და კარგი იქნება, თუკი სამშვიდობო დიალოგში მეტი ქალი მიიღებს მონაწილეობას. შეიძლება ითქვას, ეს თემა ერთნაირად აქტუალურია ქართველი, აფხაზი და ოსი უფლებადამცველებისთვის და ამ მიმართულებით, თუკი თანამშრომლობა შედგება, შესაძლებელია ერთობლივი მოქმედებების დაგეგმვაც.

საკუთრების უფლება

აქტიური ბორდერიზაციის პროცესი უხეშად არღვევს კონფლიქტისპირა სოფლების მოსახლეობის საკუთრების უფლებებს, განსაკუთრებით – საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ დაკარგა წვდომა საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე. ეს ნაკვეთები ადგილობრივი გლეხების შემოსავლის ძირითადი წყარო იყო. რამდენიმე ადგილობრივმა მოსახლემ ნაკვეთებთან ერთად დაკარგა სახლი, როდესაც ეს სახლები, ე.წ. სასაზღვრო მავთულხლართების გავლების შემდეგ, სამხრეთ ოსეთის მხარეს აღმოჩნდა. ერთ შემთხვევაში, რუსმა სამხედროებმა სასაზღვრო ხაზი დამწვარ სახლზე და ნაკვეთზე გაავლეს. ადგილობრივი მოსახლეობა ვეღარ გადის საძოვრებზეც – შესაბამისად საქონელსაც ვეღარ უვლის და შემოსავლის ბოლო წყაროსაც კარგავს. ამ სიტუაციამ შეიძლება, გამოიწვიოს ჰუმანიტარული კატასტროფა რეგიონში.

ცალკე თემაა 1990-იანი წლებისა და 2008 წლის საომარი მოქმედებების შემდეგ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დარჩენილი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის სახლები და საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. მათი დიდი ნაწილი დანგრეული, დამწვარი და მოუვლელია. არის ცალკეული შემთხვევები, როცა აფხაზები ან ოსები დევნილობაში მყოფ ქართველ მეზობლებს სიტყვიერად უთანხმდებიან, რომ მათი სახლებით და ნაკვეთებით ისარგებლებენ და ამავე დროს უპატრონებენ მათ, ვიდრე ისინი თავის საცხოვრებელ ადგილს არ დაუბრუნდებიან. მსგავსი მაგალითები დადებით შეფასებას იმსახურებს. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის სახლები განადგურებულია. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის პერიოდში სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებში საომარ მოქმედებებში მონაწილე პირებმა ცეცხლი წაუკიდეს, შემდეგ კი ბულდოზერებით და ტრაქტორებით დაანგრიეს სახლები. განსაკუთრებით იმ ქართველების ქონება გაანადგურეს, რომლებზეც ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ისინი რაღაც ფორმით 90-იან წლებში წარმოქმნილ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობდნენ.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ რამდენჯერმე გააჟღერა ქართველების ყოფილი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების ნაციონალიზაციის იდეა. პარალელურად, საქართველოში დაიწყო პროექტი „ჩემი სახლი“, რომლის თანახმად, აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეებს სახელმწიფომ მისცა შესაძლებლობა, სატელიტური თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოების მიხედვით, სახელმწიფო რეესტრში გაეტარებინათ და დაემტკიცებინათ თავიანთი სახლ-კარი აფხაზეთში.

მეორე მხრივ, საქართველოში დაირღვა ეთნიკურად ოსი მოქალაქეების საკუთრების უფლებები. 1990-იანი წლებისა და 2008 წლის შეიარაღებული

კონფლიქტის შემდეგ ბევრი ეთნიკურად ოსი ოჯახი იძულებული გახდა, გაქცეულიყო საქართველოდან და მიეტოვებინა სახლ-კარი. 90-იან წლებში, რადიკალური ნაციონალიზმის აღზევების პირობებში, ეთნიკურად ოს მოქალაქეებს არაფორმალური ჯგუფები აიძულებდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლები და წასულიყვნენ საქართველოდან. მხოლოდ მცირე მათგანმა მოასწრო სახლების გაყიდვა. დანარჩენების ქონება კი სხვადასხვა არაფორმალური ჯგუფების წევრებმა მიისაკუთრეს ან სახელმწიფო ბალანსზე გადავიდა.

საქართველოს პარლამენტმა აღიარა ეთნიკურად ოსი მოქალაქეების დარღვეული უფლებები და 2006 წლის დეკემბერში მიიღო კანონი „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“. კანონის მიზანია, 1990-1992 წლებში სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული ფიზიკური პირების ქონებრივი რესტიტუცია, ადეკვატური უძრავი ქონებით უზრუნველყოფა ან ქონებრივი ზიანის კომპენსაცია[80]. თუმცა, ამ ნაბიჯის მიუხედავად, ეთნიკურ უმცირესობათა დამცველები აცხადებენ, რომ კანონის იმპლემენტაცია რეალობაში არ ხდება და დაზარალებულ მოქალაქეთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილმა მოახერხა წართმეული ქონების დაბრუნება და განკარგვა.

1990-იან წლებში, საკუთრების უფლებების დარღვევების გარდა, საქართველოს დედაქალაქ თბილისსა და რეგიონებში ხშირი იყო ეთნიკურად არაქართველი, მათ შორის – ოსი მოქალაქეების სამსახურებიდან განთავისუფლების ფაქტები. თანამდებობებზე დანიშვნისას ეთნიკურ ფაქტორს ითვალისწინებენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი ხელისუფლებები, რაც დისკრიმინაციის კლასიკური მაგალითია.

დაზარალებული მოქალაქეების უფლებების დაცვა და მათი დახმარება მნიშვნელოვანი პროცესია სამოქალაქო მშვიდობის დასამკვიდრებლად. ამ პროცესში ქართველ, აფხაზ და ოს უფლებადამცველებს აქტიური მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც ერთობლივი ძალისხმევით, ისე ცალ-ცალკე. მსგავსი სერიოზული პრობლემების წამოწევა, მათ გარშემო საჯარო დისკუსიების უზრუნველყოფა და გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება ხალხებს შორის ნდობის აღდგენასაც შეუწყობს ხელს.

[80] http://www.civil.ge/geo/article.php?id=14551

გადაადგილებისა და ჯანდაცვის უფლება

უფრო და უფრო პრობლემური ხდება გამყოფი ხაზის გასწვრივ მოქალაქეთა გადაადგილება. გალის და ახალგორის რაიონების ქართულ მოსახლეობას მოეთხოვებათ აფხაზური და ოსური პასპორტების ქონა და საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა, რათა საზღვრის გადაკვეთა შეძლონ, მოინახულონ ნათესავები ან ივაჭრონ და შემდგომ დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილას.

არის შემთხვევები, როცა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან აფხაზი და ოსი მოქალაქეებიც ცდილობენ ზუგდიდში, გორში, თბილისში ან საქართველოს სხვა ქალაქებში ჩასვლას, ძირითადად – ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, ან კომერციული მიზნებით. თავის მხრივ, მათგან საქართველოს ხელისუფლება მოითხოვს, თან ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქის პასპორტი, რათა სახელმწიფომ შეძლოს მათი სამედიცინო მომსახურების გაწევა საქართველოს მოქალაქეებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა სადაზღვევო პროგრამების საშუალებით.

რუსი სამხედროები პრობლემებს უქმნიან გალის და ახალგორის რაიონის ეთნიკურად ქართველ მოქალაქეებს, როდესაც ისინი გამყოფი ხაზის მეორე მხარეს სამედიცინო დახმარებისათვის ცდილობენ გადმოსვლას. ზოგჯერ მათ არ შეუძლიათ საზღვრის გადალახვა აფხაზური ან ოსური პასპორტის არქონის გამო, ან საზღვრის გადაკვეთას ცდილობენ რუსი სამხედროებისთვის არასამუშაო დროს; შედეგად, პაციენტებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ და ზოგჯერ ლეტალურადაც მთავრდება. 2012-15 წლებში რამდენიმე ადამიანი დაიღუპა სამედიცინო დახმარების ძიებაში – მათ შორის იყო ორსული ქალბატონი, რომელიც უარის გამო გამშვებ პუნქტთან ახლოს გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ახლო წარსულში ზუგდიდის კატასტროფის ცენტრის ბრიგადები თავისუფლად ახერხებდნენ გალის რაიონში შესვლას და პაციენტების საზღვარზე გადმოყვანას; ბოლო ორი წელია, ესეც აიკრძალა. სამხრეთ ოსეთიდან პაციენტების გადმოყვანა კი მხოლოდ წითელი ჯვრის დახმარებით ხდება.

სამხრეთ ოსეთთან მოსაზღვრე შიდა ქართლის რეგიონის სოფლები უკვე წლებია, სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემის წინაშე დგანან. სათავე ნაგებობა ცხინვალის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობა სააკაშვილის ხელისუფლებას სთხოვდა, შიდა ქართლის სოფლების წყლით მომარაგების სანაცვლოდ, ახალგორის რაიონის გაზიფიცირებას, რაზეც ექსპრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებამ უარი განაცხადა. ახალმა მთავრობამ უკვე თავად შესთავაზა ცხინვალის ხელისუფლებას ახალგორის გაზიფიცირება და პლუს სუბსიდირება, ოღონდ სანაცვლოდ შიდა ქართლის სოფლებში სასმელი და

სარწყავი წყალი გაეშვათ. ამჯერად უკვე ცხინვალი წავიდა უარზე. საქართველოს მხარე ითხოვს, რომ აქაური მუშები თუნდაც 3 საათით შეუშვან წყლის სათავე შენობასთან, რათა გაწმინდონ და წყალი წამოვიდეს, მაგრამ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ამაზეც უარზეა.

მსგავსი ჰუმანიტარული საკითხები ხშირად ადამიანების ელემენტარული საცხოვრებელი პირობების დაკმაყოფილებას ეხება, მაგრამ მხარეთა შორის არსებული უნდობლობის უფსკრული და სიძულვილი ხელს უშლის ამ საკითხების ხალხის სასარგებლოდ გადაჭრას. ამავე დროს, ასეთი საკითხების განხილვის პროცესში ნაკლებადაა ჩართული სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც თუნდაც საინფორმაციო და ადვოკატირების კამპანიების გზით, შეუძლია სწორი ორიენტირები მისცეს პოლიტიკოსებს.

განათლების უფლება

ქართველი უფლებადამცველები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც ნდობის აღდგენისა და შერიგების მიმართულებით მუშაობენ, წუხან, რომ ეთნიკურად ოს ახალგაზრდებს არ შეუძლიათ მშობლიური ენის სწავლა. ადრე საქართველოში იყო ოსური სკოლები, მაგრამ დაიხურა. ახლა სამოქალაქო საზოგადოება ითხოვს საკვირაო სკოლების გახსნას მაინც, მაგრამ ხელისუფლებას პოზიტიური გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია ამ მიმართულებით.

ახალგორის რაიონში რამდენიმე ქართული საშუალო სკოლაა, სადაც ადგილობრივი ქართველი ბავშვები სწავლობენ; იქ მუშაობენ ქართველი მასწავლებლები და სახელმძღვანელოებიც საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ არის გამოცემული. ცხინვალის ადგილობრივი განათლების სამინისტრო გეგმავს ისტორიის სახელმძღვანელოს შეცვლას ცხინვალში გამოცემული და ქართულად ნათარგმნი ახალი წიგნით.

გაცილებით რთული სიტუაციაა გალში. ადგილობრივი ეთნიკური ქართველი ბავშვები განათლებას ვერ იღებენ მშობლიურ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის კანონები და კონსტიტუცია პირდაპირ ავალდებულებს ხელისუფლებას ეთნიკური უმცირესობებისათვის განათლება უზრუნველყოს მშობლიურ ენაზე. ვინაიდან აფხაზეთის ხელისუფლება ამ უფლებას არღვევს, გალის ქართული ოჯახები შვილებს ზუგდიდის რაიონის სოფლებში აგზავნიან ქართულ ენაზე განათლების მისაღებად. საზღვრის გადაკვეთისას ბავშვები ბევრ პრობლემებს აწყდებიან – შეირაღებული რუსი სამხედროები სკოლის მოსწავლეებს ხშირად აკავებენ და რამდენიმე საათით აჩერებენ გამშვებ პუნქტში. ანალოგიური სიტუაციაა პერევის ახლოს მდებარე სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებში.

პატიმრების პრობლემა

ეთნიკურად ოსი პატიმრები იმყოფებიან ქართულ ციხეებში, ხოლო ქართველი პატიმრები – ცხინვალის ციხეებში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებებმა გარკვეულ შეთანხმებებს მიაღწიეს და გაცვალეს რამდენიმე პატიმარი. თუმცა, ეს პრობლემა საბოლოოდ მაინც არ მოგვარებულა, რადგან მხარეები კვლავ და კვლავ აყენებენ იმ პატიმრების გაცვლის საკითხს, რომლებიც პერიოდულად ხვდებიან საპატიმროებში. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2014 წლიდან კონფლიქტისპირა სოფლების მიმდებარე ტერიტორიიდან გახშირდა რუსი სამხედროების მიერ მშვიდობიანი მოქალაქეების დაკავებისა და ცხინვალის ციხეში გადაყვანის ფაქტები. წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდგომ, საქართველოს მოქალაქეებს ახდევინებენ ჯარიმას „სახელმწიფო საზღვრის დარღვევის გამო“ და ათავისუფლებენ.

2014 წლის 15 აპრილს რუსმა სამხედროებმა ქართული ტელევიზიის – TV3-ის გადამღები ჯგუფის 3 წევრი დააკავეს და ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანეს. ოსურმა მხარემ ჟურნალისტების დაკავების მიზეზად საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა დაასახელა. ჟურნალისტები მეორე დღეს გაათავისუფლეს. ამ პროცესში ჩართული იყო ევროკავშირის მისია.

ადამიანის უფლებების ასეთ უხეშ დარღვევებზე სამხრეთ ოსეთის უფლებადამცველებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური რეაგირება, რითაც ხელს შეუწყობენ სამოქალაქო მშვიდობის დამკვიდრებას. უფლებადამცველების მონაწილეობა ჰუმანიტარულ და სამშვიდობო პროცესებში მნიშვნელოვნად გაზრდის მათ ავტორიტეტს საზოგადოებაში.

ადამიანის უფლებების დაცვაზე მუშაობა კიდევ უფრო ეფექტური იქნება, თუკი უფლებადამცველები პოლიტიკაზე მაღლა დადგებიან და ორიენტირებული იქნებიან ადამიანზე. ხშირად აფხაზ, ოს და ქართველ უფლებადამცველებს შორის კომუნიკაცია პოლიტიკური მიზეზების გამო ვერ ხერხდება. მიუხედავად იმისა, რომ ერთობლივი შეხვედრებისას პოლიტიკური თემების განხილვას ერიდებიან, უფლებადამცველები, განსაკუთრებით კი ის თაობა, ვისაც 1990-იან წლების კონფლიქტი ახსოვს, ერთმანეთისგან ვერ მიჯნავს პოლიტიკას და ადამიანის უფლებებს. ამდენად, ადამიანის უფლებები, როგორც **მშვიდობის მშენებლობის ელემენტი და რესურსი**, ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, გამოუყენებელია. სამწუხაროა, რომ კომუნიკაცია ვერ მყარდება ინტერნეტ-სივრცეშიც, იმ დროს, როცა არსებობს თუნდაც სოციალური ქსელები, როგორც კომუნიკაციისა და ერთობლივი მოქმედებების კარგი ინსტრუმენტი.

გადაადგილების თავისუფლება სამხრეთ კავკასიაში

ანა მელიქიანი, არტაკ კირაკოსიანი, სომხეთი

შესავალი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნგრევის შემდეგ მის ყოფილ ტერიტორიაზე რამდენიმე შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო. ეს კონფლიქტები საბჭოთა პოლიტიკის („დაყოფე და იბატონე“) შედეგი იყო. მოხდა საზღვრების გადახედვა და ტერიტორიების ეთნიკური პროფილის შეცვლა. სამხრეთ კავკასიამ გაიარა სამი შეიარაღებული კონფლიქტი, რომელთაგან ჯერ არც ერთი არ მოგვარებულა. ეს კონფლიქტები „გაყინულად“ ითვლება, რადგან მდგრადი სამშვიდობო შეთანხმება ისევ არ არსებობს. საქართველოს ორი რეგიონი – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი გამოეყო ქვეყანას. სამხრეთ კავკასიის მესამე კონფლიქტური რეგიონი მთიანი ყარაბაღია, რომელმაც დამოუკიდებლობა აზერბაიჯანისგან მოიპოვა. სამივე რეგიონში ცენტრალურმა ხელისუფლებამ ტერიტორიებზე კონტროლი დაკარგა, რეგიონებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და სცადეს, სახელმწიფოს შენება დაეწყოთ.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გარდა, 1990-იანი წლების დასაწყისიდან სამივე რეგიონში ირღვევა ადამიანის უფლებები, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემაა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა. სამხრეთ კავკასიაში თავისუფალი გადაადგილების უფლება დაერღვა როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე უცხოელებს. თანაც, გადაადგილების უფლების შეზღუდვა მხოლოდ მოგზაურობას არ უშლის ხელს. პარალელურად ირღვევა სხვა უფლებებიც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ფერხდება ხალხებს შორის კონტაქტი, შერიგება და ადამიანების ჩართულობა მიმდინარე პროცესებში. მშვიდობის მშენებლობასა და შერიგების მცდელობებს ფასილიტაციას უწევენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ პროცესში ისინი მთელ რიგ პრობლემებს აწყდებიან.

მაშინ, როცა მთიანი ყარაბაღისა და აზერბაიჯანის საზღვარზე არანაირი გადაადგილება არ ხდება, აფხაზებსა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას საშუალება ეძლევა, საქართველოს საზღვარი გადაკვეთონ (არაღიარებული ტერიტორიები მას სახელმწიფო საზღვარს უწოდებენ, ხოლო საქართველო ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს – ABL). თუმცა, ამ საზღვრის გადაკვეთისას ოსებსა და აფხაზებს გარკვეული პრობლემების გადალახვა უწევთ.

აღნიშნული სტატია ეხება სამხრეთ კავკასიის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გადაადგილების უფლებით სარგელობას, იმ პრობლემებსა და ბარიერებს, რასაც ისინი ან უცხოელი სტუმრები აწყდებიან რეგიონში სტუმრობისას და იმას, თუ რა გავლენას ახდენს ეს ბარიერები მშვიდობის მშენებლობასა და შერიგების მცდელობებზე.

აფხაზეთი

აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზ და ქართულ შეიარაღებულ ძალებს შორის 1992 წლის აგვისტოში დაიწყო და 13 თვე გაგრძელდა. 13000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ათასობით დაიჭრა და 200 000-ზე მეტი ადამიანი საკუთარი სახლიდან დევნილი გახდა. დღემდე მათ უმრავლესობას სახლში დაბრუნების საშუალება არ მისცემია. რამდენჯერმე მოხდა სიტუაციის ესკალაცია, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო – 1998 წ. და 2008 წ. თითოეული ინციდენტის შემდეგ, გალის რაიონის მოსახლეობა, რომლის უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ, იძულებული გახდა, სახლები მიეტოვებინა.

2008 წლის აგვისტოში კონფლიქტის ბოლო ესკალაცია მოხდა, რასაც სამხრეთ ოსეთში რუსეთ-საქართველოს ომი მოჰყვა. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. მხოლოდ მცირერიცხოვანმა ქვეყნებმა მიბაძეს რუსეთის მაგალითს. არც საქართველო და არც სხვა ქვეყნები არ აღიარებენ ამ რეგიონების დამოუკიდებლობას. საქართველო ოფიციალურად განიხილავს მათ, როგორც რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს.

აფხაზეთი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და მხოლოდ ორი სახმელეთო საზღვარი აქვს: რუსეთთან და საქართველოსთან. აფხაზეთში არ ხორციელდება საჰაერო მიმოსვლა. შედეგად, მხოლოდ ორი გზა არსებობს იქ ჩასვლის: რუსეთიდან ან საქართველოდან სასაზღვრო გამშვები პუნქტების გავლით ან მოსკოვი-სოხუმის სარკინიგზო კავშირით. ფსოუს გამშვები პუნქტი რუსეთის საზღვარზე მდებარეობს და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ აფხაზეთში შესვლის ოფიციალურ პუნქტად ითვლება. ფსოუს გამშვები პუნქტის თანამშრომლები რუსი და აფხაზი სამართალდამცველები არიან.

ამავე დროს, ზუგდიდის რაიონის გამშვებ პუნქტს უმეტესად აფხაზეთში მცხოვრები ქართველები იყენებენ. ისინი, ძირითადად, გალის რაიონში მცხოვრებნი არიან, რომლებიც ინარჩუნებენ საქართველოსთან კავშირს, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთისას

დაჯარიმებისა და დაპატიმრების რისკის მიუხედავად; ამ დროს, შესაძლოა, ისინი რამდენიმე დღით დააკავონ ან პატიმრობაც შეუფარდონ.

აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას აქვს აფხაზური და რუსული პასპორტები. ისინი უარს ამბობენ, აიღონ საქართველოს მიერ გამოცემული საიდენტიფიკაციო დოკუმენტები. აფხაზეთის კანონის შესაბამისად, აფხაზებს ორმაგი მოქალაქეობის უფლება არ აქვთ, გარდა რუსეთის მოქალაქეობისა. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზურ დოკუმენტებს არ აღიარებს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა, აფხაზები იღებენ რუსულ პასპორტებს, რათა საზღვარგარეთ გამგზავრება შეძლონ. ამავე დროს, ისინი რუსეთში აკრედიტებულ საელჩოებში იმავე პროცედურებს გადიან, როგორც რუსეთის სხვა მოქალაქეები. აფხაზეთში რეგისტრირებული აფხაზები ვერ სარგებლობენ რუსეთში უფასო სამედიცინო დახმარებით. ვინაიდან მათ არც ქართული პასპორტები აქვთ, ასევე ვერ სარგებლობენ სამედიცინო დახმარებით საქართველოში. ამდენად, მათი უმრავლესობა იძულებულია ისარგებლოს დაბალი დონის ადგილობრივი სამედიცინო მომსახურებით ან გადაიხადოს მომსახურების გადასახადი რუსეთში.

განსხვავებულ სიტუაციაში არიან გალისა და ახალგორის რაიონების ქართველი მოქალაქეები, რომლებიც დამატებით პრობლემებს აწყდებიან. ზოგი მათგანი მერყეობს, რომ აირჩიოს რომელიმე მხარის მოქალაქეობა. ერთი მხრივ, მათ არ უნდათ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა და მეორე მხრივ, ცხოვრობენ რა აფხაზეთში, სჭირდებათ აფხაზური პირადობის მოწმობა, რადგან, თუ არ ექნებათ აფხაზური პასპორტი, ისინი მოქალაქეობის არმქონედ ჩაითვლებიან აფხაზური კანონის შესაბამისად. და მაინც, ეთნიკური ქართველების ნაწილი ფლობს ქართულ პასპორტს, მაგრამ მალავს რუსი სამხედროებისგან, რომლებიც ამოწმებენ მათ საბუთებს გამშვებ პუნქტზე, ვინაიდან არ არსებობს საქართველოსა და აფხაზეთს შორის ორმაგი მოქალაქეობის შესახებ შეთანხმება. ასეთ სიტუაციაში ძალიან რთულია, გადაკვეთო ადმინისტრაციული საზღვარი. ისინიც კი, ვისაც აქვს აფხაზური პასპორტი, დროდადრო სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან.

2013 წლის მაისში, აფხაზეთის ოპოზიციის მოთხოვნით, გალის მოსახლეობაზე აფხაზური პასპორტების გაცემა შეწყდა. ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ პასპორტები გაიცემოდა პროცედურების დარღვევით, რადგან ამ ადამიანებს ქართული პასპორტებიც ჰქონდათ, რომელსაც მალავდნენ. აფხაზეთის მოქალაქეობის შესახებ კანონის შესაბამისად, აფხაზეთში დაბრუნებულმა დევნილმა უნდა გაიაროს აფხაზეთის მოქალაქეობის აღდგენის პროცედურა და დათმოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, რაც აფხაზეთში დაბრუნებამდე ჰქონდა. ადგილობრივ ხელისუფლებას ეშინია, რომ აფხაზეთში აფხაზების უმრავლესობას

დაკარგავს, თუ პასპორტებს შეუზღუდავად დაურიგებენ ქართველებს. აღსანიშნავია, რომ სულ მცირე 25000-მა ეთნიკურმა ქართველმა აიღო აფხაზური პასპორტი. შედეგად აფხაზეთის ხელისუფლება თავს იკავებს აფხაზური პასპორტები მისცეს ეთნიკურ ქართველებს. აფხაზეთში კომპაქტურად მცხოვრები ქართველების ფაქტორი ხშირად გამოიყენება პოლიტიკურ მოლაპარაკებებში, მათ შორის ის განიხილება, როგორც ქართველების მზარდი გავლენა და აფხაზეთის ხელისუფლების რეალური საფრთხე.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობისა და პასპორტების მიღების ხელშესაშლელად საქართველომ მათ სტატუს ნეიტრალური პირადობის მოწმობები შესთავაზა. 2011 წლის ივლისში საქართველომ შემოიტანა და შესთავაზა სტატუს ნეიტრალური სამოგზაურო დოკუმენტები ნებისმიერ „ადამიანს, რომელიც კანონიერად ცხოვრობს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში და არ არის საქართველოს მოქალაქე“. აშშ-მ და დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანამ გამოაცხადა, რომ ისინი მიიღებდნენ ამ დოკუმენტებს მოქალაქეთა მოგზაურობის ხელის შეწყობის მიზნით. ეს ინიციატივა აქტიურად გააკრიტიკა რუსეთმა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ. მათი რწმენით, ამ პირადობის მოწმობების გაცემით საქართველოს მიზანი იყო მათი მოქალაქეებისათვის ქართული დე-ფაქტო პასპორტების თავზე მოხვევა, რაც შესაბამის რეგიონებში მდგომარეობაზეც მოახდენდა გავლენას. აღნიშნული მოწმობები ვერ გახდა პოპულარული არაღიარებულ რეგონებში, რადგან მხოლოდ რამდენიმე ათეულმა მოქალაქემ აიღო ის.

დოკუმენტების საკითხის გარდა, არ არსებობს საკმარისი გადასასვლელი პუნქტები, განსაკუთრებით – საქართველოს საზღვარზე. ამის გამო გალის რაიონის მოსახლეობა ხანდახან ცდილობს, ადმინისტრაციული საზღვარი შემოვლითი გზებით გადაკვეთოს, რითაც დაპატიმრებისა და ჯარიმის საფრთხეში იგდებენ თავს. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე გადასვლაც გართულდა. აფხაზეთის ხელისუფლებასთან ერთად საზღვრის კონტროლი რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმაც დაიწყეს.

2013 წლის მაისში აფხაზეთის ხელისუფლებამ გახსნა 5 ახალი გამშვები პუნქტი, მდინარე ენგურის ძირითადი გამშვები პუნქტის გარდა. 4 მათგანი ფეხით მოსიარულეებისთვის არის განკუთვნილი, ერთი კი მანქანით გადაადგილებისათვის. მხოლოდ აფხაზური პირადობის მოწმობისა და პასპორტის ან საბჭოთა პასპორტის ან ე. წ. ფორმა 9-ის მქონე გალის რაიონის მოსახლეობას შეუძლია გაიაროს გამშვები პუნქტი. ვისაც ეს დოკუმენტები

არ აქვს, ვერ სარგებლობენ აღნიშნული უფლებით და უკიდურესად იზოლირებულად გრძნობენ თავს.

2008 წლის შემდეგ, გადაადგილების უფლების მხრივ, კიდევ უფრო გართულდა სიტუაცია. უკანასკნელ პერიოდამდე ნებისმიერ უცხოელ მოქალაქეს რუსეთსა და აფხაზეთს შორის არსებული საზღვრის გადალახვისას პასპორტში ურტყამდნენ ბეჭედს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველომ გაამკაცრა თავისი კანონმდებლობა ამ მიმართულებით და მიიღო კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ 2008 წლის 23 ოქტომბერს. სხვა საკითხებთან ერთად, კანონი არეგულირებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე შესვლას გარკვეული გამშვები პუნქტებიდან და კრძალავდა იქ მოხვედრას სხვა პუნქტებიდან, დამრღვევზე სისხლის სამართლის პასუხისმგელობის დაკისრების ჩათვლით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი ჩანაწერი, კერძოდ 322-ე მუხლი (*ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დარღვევა*), საქართველოს ხელისუფლების მიერ არაღიარებული რომელიმე გამშვები პუნქტის გავლით მისი საზღვრის გადაკვეთა ითვალისწინებს 4 წლამდე პატიმრობას. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველო რუსეთსა და აფხაზეთს შორის არსებულ საზღვარს ოფიციალურად ჩაკეტილად მიიჩნევს და ამ საზღვარზე მდებარე გამშვები პუნქტის გავლა უკვე უპირობოდ კანონდარღვევაა, თუ საქართველოს მხრიდან ამაზე რაიმე განსაკუთრებული ნებართვა არ არსებობს. იმისათვის, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს, ის, ვინც აფხაზეთში აღნიშნული გზის გავლით ჩადის, იძულებულია, საქართველოში გამგზავრებამდე პასპორტი გამოცვალოს. ვისაც ამ კანონის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა, საქართველოში სასამართლოს წინაშე წარდგა. ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლით, პირი, რომელმაც არ იცოდა ან არ შეიძლებოდა სცოდნოდა ადგილობრივი კანონმდელობის შესახებ, არ დაისჯება აღნიშნული კანონის მიხედვით. საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ ადამიანების უმრავლესობას წარმოადგენდნენ მეზღვაურები, რომელთა გემები სოხუმის პორტში თავშესაფარს ითხოვდნენ ფორსმაჟორულ სიტუაციაში, ან სომხები და რუსები, ვინც საკუთარი ნათესავები მოინახულეს აფხაზეთში, ან ეწვივნენ აფხაზეთს ზაფხულში დასასვენებლად.

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონმა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხითაც შექმნა პრობლემები. გარდა ამისა, აღნიშნული კანონის გამო საქართველო გააკრიტიკა საერთაშორისო საზოგადოებამ, რადგან ის

უარყოფითად მოქმედებდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მათ ჩართულობაზე.

ვენეციის კომისიამ კანონის შეფასებისას განაცხადა, რომ საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ წარმოშობს ისეთ პრობლემებს, რომლებიც უნდა მოაგვაროს საქართველოს ხელისუფლებამ, რათა აღნიშნული კანონი შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართალს. კომისიის შეშფოთება ძირითადად ეხებოდა აფაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვიზიტის გამო სავარაუდო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას, რაც არღვევდა გადაადგილების თავისუფლებას. ამდენად, ხაზგასმული იყო, რომ კანონის მე-4 მუხლი, რომელიც არეგულირებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩასვლას, უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართალს. ამიტომ, 2013 წელს საქართველომ კანონში შესატანი ცვლილებები წარმოადგინა, რომელიც ძირითადად მე-2 მუხლს ეხებოდა; ასევე შესაბამისი ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ კოდექსებში. ამ ცვლილებების მიხედვით, პირს, რომელიც პირველად დაარღვევს ოკუპირებელ ტერიტორიებზე ჩასვლის წესებს, დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამის უზრუნველსაყოფად, ახალი მუხლი (199-1 მუხლი – ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესების დარღვევა) დაემატა ადმინისტრაციულ კოდექსს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, *უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი დაჯარიმდება 400 ლარით, თუ ის ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დარღვევით შევა.* მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით, პირის მიერ კანონის განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, ან თუ კანონს ადამიანთა ჯგუფი დაარღვევს, ან გამოიყენებს ძალადობას, დაემუქრება ძალადობით, აღნიშნული ქმედებები დაისჯება პატიმრობით 3-დან 5 წლამდე. მართალია, ვენეციის კომისია მიესალმა ამ ცვლილებებს, მაგრან ისიც აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის მოთხოვნების ნებისმიერი ფორმით დარღვევა დეკრიმინალიზებული იქნებოდა.

ამავე დროს, ვინაიდან 2012 წლიდან რუსულმა მხარემ აიღო საკუთარ თავზე აფხაზეთის საზღვრის კონტროლი, მოგზაურებს პასპორტებში ბეჭედს აღარ ურტყამენ. მათ სთხოვენ ადგილზე რეგისტრაციის გავლას, თუ სურთ აფხაზეთში სამ დღეზე მეტ ხანს დარჩნენ. ამ გზით რუსები აფხაზეთის ხელისუფლებასთან ერთად ცდილობენ დაუპირისპირდნენ საქართველოს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და მოიზიდონ უფრო მეტი ვიზიტორი.

ბოლო პერიოდში აფხაზეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ გეგმავენ საქართველოსთან არსებულ საზღვარზე რამდენიმე გამშვები პუნქტის დახურვას, რაც გალის რაიონის მოსახლეობის მდგომარეობას გაართულებს. აღნიშნული განცხადება ცხადყოფს, რომ შერიგების მცდელობა კრახს განიცდის. ეს კი უარყოფითად იმოქმედებს აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მდგომარეობაზე, ვინაიდან შეფერხდება ხალხებს შორის კონტაქტი.

სამხრეთ ოსეთი

სამხრეთ ოსეთი საქართველოდან გამოყოფისა და დამოუკიდებლობისათვის 1991-1992 წლიდან იბრძოდა. საბრძოლო ოპერაციები შეწყდა მას შემდეგ, რაც რუსეთის შუამავლობით გაფორმდა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება. შედეგად რუსი მშვიდობისმყოფელები განთავსდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. მას შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ვერ ახორციელებს აღნიშნულ ტერიტორიაზე საკუთარ იურისდიქციას. ძალადობის ახალი ტალღა აგორდა 2008 წლის აგვისტოში, რაც რუსეთ-საქართველოს 5 დღიანი ომით დასრულდა. საბოლოოდ, რუსეთმა აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, საქართველომ კი გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან.

სამხრეთ ოსეთის ტერიტორია ერთიანად ესაზღვრება რუსეთსა და საქართველოს. სამხრეთ ოსეთში ხმელეთით შესვლა შეიძლება რუსეთიდან ნიჟნი ზარამაგ-რუკის გამშვები პუნქტით. თუმცა, საქართველო აღნიშნულ პუნქტს უკანონოდ თვლის. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც მისი გავლით ხვდება სამხრეთ ოსეთში და ამის დამადასტურებელი ბეჭედი აქვს პასპორტში, მან შესაძლოა, საქართველოში კანონის წინაშე აგოს პასუხი. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რომელსაც ქართველები ცხინვალის რეგიონს ეძახიან, მოხვედრა მხოლოდ გორის რაიონიდან შეიძლება.

სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმრავლესობას აქვს რუსეთის პასპორტი. ისინი მას მოგზაურობის დროს იყენებენ და ასევე სარგებლობენ რუსეთში სხვადასხვა სერვისით. თუმცა, ოსებიც აწყდებიან გარკვეულ პრობლემებს ისევე, როგორც აფხაზები. ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ეზღუდებათ თავისუფალი გადაადგილების უფლება საზღვრის გადაკვეთისას. ისინი, ვინც საქართველოში ჩასვლას ცდილობენ, არიან გარკვეული რისკის ქვეშ, დაჭარიმდნენ ან ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე დააკავონ.

რისკების ასაცილებლად და პრობლემების მოსაგვარებლად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას უწევს მძიმე არჩევანის გაკეთება მოქალაქეობის თვალსაზრისით. ამ დროს მათ უნდა გაითვალისწინონ

გადაადგილების თავისუფლების მხრივ არსებული პრობლემები, ასევე სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებზე ხელმისაწვდომობა. ზემოთ ხსენებული შეზღუდვები და ბარიერები ასევე ხელს უწყობს არაღიარებული რეგიონების მოსახლეობის უნდობლობას ქართული მხარის მიერ ოსებისთვის გამოჩენილი ნებისმიერი ინიციატივის მიმართ.

მთიანი ყარაბაღი

მთიანი ყარაბაღის ეთნიკური სომეხი მოსახლეობა აზერბაიჯანისგან დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა 1988-1994 წლებში, რის შედეგადაც ათასობით ადამიანი დაიღუპა და ასიათასობით დევნილი გახდა. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ყარაბაღის აზერბაიჯანელ მოსახლეობას მოუწია რეგიონიდან წასვლა და ჯერ კიდევ არ მისცემია უკან დაბრუნების საშუალება. მას შემდეგ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება სისტემატურად ირღვევა და დროდადრო ორივე მხარის მსხვერპლითაც მთავრდება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონფლიქტიც გაყინულად ითვლება, ხანდახან თითქმის ყოველდღიურად ახლდება ცეცხლი საზღვარზე.

მთიანი ყარაბაღი ხმელეთით შემოსაზღვრული ტერიტორიაა და მხოლოდ სომხეთს და აზერბაიჯანს ესაზღვრება. არ არსებობს საჰაერო მიმოსვლა. ყარაბაღში ჩასვლის და იქიდან წამოსვლის ერთადერთი გზა სომხეთში გამგზავრებაა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისაგან განსხვავებით, სადაც მოქალაქეები ინარჩუნებენ კონტაქტს ქართველებთან და კვეთენ საქართველოსთან საზღვარს, ყარაბაღსა და აზერბაიჯანს შორის არ ხდება არანაირი გადაადგილება საზღვარზე. ყარაბაღისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები, ძირითადად, მხოლოდ სამშვიდობო პროექტების ფარგლებში ხვდებიან ნეიტრალურ ტერიტორიაზე – თბილისში, სტამბულში ან სხვაგან.

იმისათვის, რომ შეძლონ მოგზაურობა, ყარაბაღელები იღებენ სომხეთის რესპუბლიკის პასპორტებს. ამ შემთხვევაში, ისინი ახერხებენ თავისუფლად მოგზაურობას, იღებენ სხვადასხვა ქვეყნის ვიზებს, მათ შორის უვიზოდ მიმოდიან იმ ქვეყნებში, ვისთანაც ეს რეჟიმი აქვს სომხეთს. ერთადერთი ქვეყანა, სადაც სომხური პასპორტის მქონე ადამიანები, ან სომხური წარმოშობის, სომხური გვარის მქონე ადამიანები ვერ ახერხებენ შესვლას ან შესვლის მერე დეპორტირებას ექვემდებარებიან, ეს არის აზერბაიჯანი. ერთ შემთხვევაში, 2013 წლის აგვისტოში ეთნიკურმა რუსმა ჟურნალისტმა სომხური გვარით ვერ შეძლო ბაქოში შესვლა, როგორც მისი გვარის გამო არასასურველმა ადამიანმა. მას ურჩიეს გვარის შეცვლა, რათა მომავალში შესულიყო აზერბაიჯანში.

მეორე შემთხვევისას, 2011 წელს, ეთნიკურმა აზერბაიჯანელმა ყარაბაღიდან ვერ შეძლო აზერბაიჯანში შესვლა, რადგან ის მანამდე სომხეთში იყო ნამყოფი. 2014 წლის მაისში თურქი სპორტსმენი ზაფერ ნოუანი, რომელიც 2014 წელს ევროპის ჭიდაობის ჩემპიონატში მონაწილეობას აპირებდა, დეპორტირებული იყო ბაქოდან, რადგან სომხურის მსგავსი გვარი ჰქონდა. უშედეგოდ დასრულდა მისი ყველანაირი მცდელობა, დაემტკიცებინა, რომ მისი გვარი სომხური არ იყო. აზერბაიჯანის აღნიშნული პოლიტიკა ხელს არ უწყობს შერიგების პროცესს და უარყოფითად აისახება სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ნდობის აღდგენის მცდელობაზე.

გარდა ამისა, ყარაბაღში ნამყოფი უცხოელები აზერბაიჯანიდან დეპორტირების რისკის ქვეშ აღმოჩნდებიან იქ ჩასვლის შემთხვევაში. ყარაბაღში შესვლისას უცხოელი პირველად სომხეთში უნდა ჩავიდეს და მხოლოდ შემდეგ აიღოს ყარაბაღში ჩასასვლელად ვიზა ან ისარგებლოს უვიზო რეჟიმით. საბოლოოდ კი იქ ხმელეთიდან მოხვდება. იმ შემთხვევებში, როცა ყარაბაღში ჩასვლისათვის ვიზაა საჭირო, ის უცხოელის პასპორტში განთავსდება. ამის მერე აღნიშნული პიროვნება თუ აზერბაიჯანში გამგზავრებას გადაწყვეტს, მას სერიოზული პრობლემები შეექმნება. ამ რისკების შესამცირებლად, უცხოელების უმრავლესობა ამჯობინებს, პირველად აზერბაიჯანში ჩავიდეს და მხოლოდ შემდეგ სომხეთსა და ყარაბაღში. ის, ვისაც ორი უცხოური პასპორტი აქვს, უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება – მათ შეუძლიათ, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა პასპორტი გამოიყენონ.

ყარაბაღში უცხოელების სტუმრობის ხელშესაშლელად, აზერბაიჯანმა გაამკაცრა მიდგომა და მოქალაქეები გააფრთხილა ყარაბაღში ვიზიტისათვის სავარაუდო დეპორტაციის შესახებ. აზერბაიჯანის ხელისუფლების განცხადებით, ყარაბაღში ნებისმიერი ადამიანის ვიზიტი, რომელიც აზერბაიჯანის ხელისუფლებას ოფიციალურად არ მოსთხოვს ვიზას ან ოფიციალურ დასტურს, განიხილება, როგორც სავიზო და საიმიგრაციო პოლიტიკის დარღვევა. ვინც აღნიშნულ ტერიტორიებზე შევა, აეკრძალებათ აზერბაიჯანში შესვლა და მოხვდებიან შავ სიაში.

2013 წლის აგვისტოში აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა 335-კაციანი „შავი სია“, რომელშიც შედიოდნენ პოლიტიკოსები და ცნობილი ადამიანები 41 ქვეყნიდან, ვინც ყარაბაღს 2005 წლის შემდეგ ეწვია და აზერბაიჯანში პერსონა ნონ გრატად გამოცხადდნენ. ყველა, ვინც ყარაბაღში ჩავა, განსაკუთრებით მაღალი რანგის მოხელეები, ამ სიაში აღმოჩნდება. ერთადერთი გზა, რათა ამოშალონ პიროვნება აღნიშნული სიიდან, არის ბოდიშის მოხდა და პირობის დადება, რომ აღარასოდეს ჩავა ყარაბაღში.

აზერბაიჯანი ცდილობს, აიძულოს უცხოელები, მიმართონ მათ ხელისუფლებას ყარაბაღში ვიზიტისათვის ნებართვის ასაღებად. თუ ისინი აღნიშნულ ნებართვას მიიღებენ, აზერბაიჯანში მომავალში პრობლემები აღარ შეექმნებათ. ამავე დროს, აზერბაიჯანის ხელისუფლება აცხადებს, რომ ისინი ყარაბაღის ტერიტორიაზე კონტროლს ვერ ახორციელებენ.

2011 წელს, გადაადგილების თავისუფლების გასაუმჯობესებლად, მთიანი ყარაბაღის ხელისუფლებამ სომხეთთან საჰაერო მიმოსვლის აღდგენა გადაწყვიტა, ვინაიდან ყარაბაღში მხოლოდ სახმელეთო მიმოსვლა ხორციელდება და სტეპანაკერტიდან ერევნამდე მგზავრობას 5-6 საათი სჭირდება. ყარაბაღის ტერიტორიაზე არსებული ერთადერთი აეროპორტი სტეპანაკერტის მახლობლად მდებარეობს.

2014 წელს მთიანი ყარაბაღის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ აეროპორტი მზად იყო ფუნქციონირებისათვის. თუმცა, აზერბაიჯანის ხელისუფლება დაემუქრა მათ თვითმფრინავების ჩამოგდებით, თუ მათი საჰაერო სივრცე დაირღვეოდა, მიუხედავად იმისა, სამოქალაქო ავიაციის სტატუსი ექნებოდა მას თუ სამხედრო. დღემდე ყარაბაღში საჰაერო მიმოსვლა შეუძლებელია.

მილიტარისტული რიტორიკა ქმნის ისეთ სიტუაციას, როდესაც ნდობის აღდგენა და შერიგების მცდელობა მყიფეა. ხალხებს შორის კონტაქტები კი მნიშვნელოვნად სუსტდება ბოლო წლებში.

გადაადგილება სამხრეთ კავკასიაში

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არ არსებობს დიპლომატიური თანამშრომლობა. სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების ფარგლებში არარეგულარული შეხვედრებისა და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის გარდა, ამ ორ ქვეყანას შორის არანაირი მიმოსვლა არ ხდება. ყველაზე ხშირად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ერთმანეთს ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ძირითადად, თბილისში ხვდებიან.

საქართველოს სომხეთთან და აზერბაიჯანთან კარგი ურთიერთობა აქვს. თუმცა, მაშინ, როცა ყარაბაღის მოსახლეობისთვის ან ყარაბაღის სტუმრებისათვის საქართველოში ჩასვლა პრობლემას არ წარმოადგენს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოქალაქეებს, ვინც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის მხრიდან არის შესული, საქართველოში სტუმრობისას პრობლემები ექმნებათ.

როგორც ვხედავთ, რეგიონში გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება და ხელს უშლის ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას. არსებული ბარიერები

ხელს უშლის კონფლიქტურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენას და აფერხებს ხალხებს შორის კონტაქტს. ასეთ ვითარებაში ძალიან რთულია სამშვიდობო პროექტებისა და შერიგებაზე გამიზნული ინიციატივების განხორციელება, საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენა კი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშაა.

აფხაზეთის მოქალაქეების გადაადგილების თავისუფლების დარღვევა

ასიდა ლომია, აფხაზეთი

როდესაც პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში ნდობის ან მშვიდობის აღდგენაზე ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რატომ სჭირდება ასეთი ხანგრძლივი დრო ნდობის აღდგენას და რა არის ამის მიზეზი.

დემოკრატიისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესები ხშირად ადამიანების ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვით ფერხდება.

ამ სტატიაში მინდა, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო აფხაზეთის მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილების უფლების დარღვევაზე, მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად. სამწუხაროდ, აფხაზეთის მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების უფლება მუდმივად ირღვევა 1995 წლიდან, რაც თბილისის ზეწოლის შედეგად აფხაზური სამგზავრო დოკუმენტები მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში არავალიდური გახდა. ეს ნიშნავს, რომ ავადმყოფი ადამიანებიც, რომლებსაც სხვა ქვეყანაში სამედიცინო დახმარების მიღება სჭირდებათ, ვერ ახერხებენ გამგზავრებას. ასევე, აფხაზ სტუდენტებს არ შეუძლიათ, განათლება საზღვარგარეთ მიიღონ. ფუნდამენტური უფლებების დარღვევა ხელს არ უწყობს ნდობის აღდგენას ხალხებსა და ერებს შორის, რომლებიც ერთმანეთს შეიარაღებულ კონფლიქტში დაუპირისპირდნენ.

ადამიანის უფლებები დაცულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და საერთაშორისო კონვენციებით. მას სახელმწიფოების დიდი ნაწილი აღიარებს და საკუთარ კონსტიტუციას მის მიხედვით ქმნის. თუმცა, რეალობა მსოფლიოში ძალიან შორსაა იმისგან, რაც საყოველთაო დეკლარაციაში წერია. დღემდე საერთაშორისო კონვენციები და

დეკლარაციები მხოლოდ ცივილიზებულ ერებში მოქმედებს. ისინი აშკარად ირღვევა აფხაზეთში და მხოლოდ ორმაგ სტანდარტებს ემსახურება.

2002 წლამდე აფხაზეთის მოქალაქეებს, როცა მათ ჯერ ისევ საბჭოთა პასპორტები ჰქონდათ და რუსეთ-აფხაზეთის საზღვარს კვეთდნენ მდინარე ფსოუზე, მიეცათ მოქალაქეობის არმქონე პირის საიმიგრაციო ფორმა. აფხაზეთის მოქალაქეებს უწევდათ რუსეთში ჩასვლა, როგორც მოქალაქეობის არმქონე პირებს, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ აფხაზეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ვინაიდან არ იყო აღიარებული სხვა ქვეყნების მიერ, აფხაზეთი იმყოფებოდა ბლოკადაში და ეკისრებოდა სანქციები როგორც დსთ-ს წევრი ქვეყნების მხრიდან, ასევე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდანაც. სანქციების დროს 16-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცებს არ შეეძლოთ რუსეთში შესვლა. ამ პერიოდში აფხაზ ქალებს მოუწიათ ბლოკადის მთელი სიმძიმის გადატანა. სამწუხაროდ, საერთაშორისო საზოგადოება ამით დიდად არ შეწუხებულა.

გადაადგილების თავისუფლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური უფლებაა. პრინციპში, ის არის ადამიანის სხვა საბაზისო უფლებების ფუნდამენტი, როგორიცაა განათლების, ჯანდაცვისა და სიცოცხლის უფლება. ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში, აფხაზი მოქალაქეების ეს უფლება ირღვევა და ამას ყურადღებას არ აქცევს საერთაშორისო საზოგადოება. ამასობაში, სხვა არაღიარებული თუ გაურკვეველი სტატუსის მქონე ქვეყნების მოქალაქეები გადაადგილების უფლებით სარგებლობენ. ჩვენს შემთხვევაში, აფხაზეთის მოქალაქეები ვართ მსოფლიო იზოლაციაში და შეგვიძლია მხოლოდ რუსეთში და იმ რამდენიმე ქვეყანაში ჩასვლა, სადაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარეს.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის მოქალაქეებმა უარი თქვეს ქართული პასპორტების მიღებაზე მაშინაც კი, როცა სამოგზაურო იურიდიული დოკუმენტები არ ჰქონდათ. თბილისის იდეა – „ნეიტრალური პასპორტები“ შეეთავაზებინათ აფხაზებისათვის, თავიდანვე განწირული იყო. ქართული დოკუმენტების აფხაზ მოქალაქეებზე თავსმოხვევა, მას შემდეგ, რაც აფხაზეთმა გამოიარა 1992 წლის 14 აგვისტოდან, უაზრობა იყო და თუ ვინმეს მცირე წარმოდგენა მაინც აქვს აფხაზი საზოგადოების განწყობაზე, ამას ძალიან ადვილად მიხვდებოდა. როგორც ერთი აფხაზი ანალიტიკოსი 2012 წლის მაისში აღნიშნავდა, საქართველოს აღმოსავლეთ სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების პროგრესის ბოლო (2011 წ) ანგარიშში[81] დელიკატურად, მაგრამ საკმაოდ ნათლად მინიშნებულია, რომ

81

http://eeas.europa.eu/enp/pdf/docs/2012_enp_pack/progress_report_georgia_en.pdf

ევროკავშირისა და აშშ-ის მიდგომები კონფლიქტურ რეგიონებში ჩართულობის შესახებ განსხვავდება. ანგარიშში წარმოდგენილ რეკომენდაციებში ხაზგასმულია, რომ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისათვის გადაადგილების ერთადერთი საშუალება ვერ გახდებოდა, რადგან ის მათი უმრავლესობისათვის მიუღებელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ანგარიშში საქართველოს ურჩევენ, გადახედოს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონს, ვინაიდან ის აფერხებს დეიზოლაციის პროცესს. დღეს ნეიტრალური პასპორტების იდეა აღიქმება როგორც ყველაზე მცდარი და არარელევანტური კონფლიქტის მოგვარებისთვის. ე.წ. ნეიტრალურ პასპორტებს აქვთ ქართული სახელმწიფო კოდი GEO (საქართველო). ეს ნიშნავს, რომ ამ დოკუმენტის მფლობელთა საკონსულო უზრუნველყოფას ახდენს საქართველო. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ნეიტრალური პასპორტის ქონა გამორიცხავს აფხაზეთის მოქალაქეობას, რაც თავისთავად აბსურდია და, ამდენად, მიუღებელი.

გაეროს მისია აფხაზეთში მონიტორინგს როცა ახორციელებდა, უფლებადამცველმა გაეროს მიმართა თხოვნით, მიეცათ მისთვის ნეიტრალური საერთაშორისო მგზავრობის დოკუმენტი (იგივე, რაც, მაგალითად, აქვთ კოსოვოში ან აღმოსავლეთ ტიმორში). ქართული მხარე, ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, ამის წინააღმდეგ წავიდა, რის შედეგადაც გაეროს ხელმძღვანელობამ არ დააკმაყოფილა აფხაზების თხოვნა. რეალურად, ნაწილობრივ აღიარებულ კოსოვოში და თითქმის არაღიარებულ ჩრდილოეთ კვიპროსში არ არსებობს არანაირი შეზღუდვები. არავინ აპროტესტებს მოლდაველების მოგზაურობას რუმინული პასპორტებით ან მათზე ამ პასპორტების მინიჭებას; არც ჩრდილოეთ ირლანდიის მოქალაქეებს ექმნებათ პრობლემები, როცა ირლანდიის რესპუბლიკის პასპორტებს იღებენ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების მიმართ კი ხორციელდება აშკარა დისკრიმინაცია. ამ ყველაფრის შემდეგ, ერთადერთი ჰუმანიტარული პრინციპი ისაა, რომ ცივილიზებული მოსახლეობა არ დაზარალდეს გადაუჭრელი და მოუგვარებელი კონფლიქტის შედეგებით. ხალხს უნდა შეეძლოს თავისუფლად ცხოვრება და განვითარება, ვიდრე კონფლიქტები მოგვარდება.

ელცინის მმართველობის პერიოდში, მას შემდეგ, რაც პირველი ჩეჩნური ომი დაიწყო, რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთაზე მკაცრი შეზღუდვები დააწესა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 16-დან 60 წლამდე მამაკაცებს არ შეეძლოთ აფხაზეთიდან რუსეთის ფედერაციაში

გამგზავრება, სხვებს კი მხოლოდ ხანგრძლივი გასაუბრებისა და ჩხრეკის შემდეგ შეეძლოთ საზღვრის გადაკვეთა. ეს სასაზღვრო რეჟიმი რამდენიმე წელს გაგრძელდა და აფხაზებში მწარე მოგონებები დატოვა. დღეს, როდესაც აფხაზები ბლოკადას ახსენებენ, პირველ რიგში რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე არსებული რეჟიმის პირველ წლებს გულისხმობენ. არც საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციას და არც გაეროს მისიას, რომელიც იმ დროს აფხაზეთში იმყოფებოდა, აღნიშნული საკითხი არც ერთ დონეზე არ დაუყენებია. შესაძლოა, ეს იმით აიხსნას, რომ საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დიდი წვლილი შეიტანა აღნიშნულ ბლოკადაში და თავის სასიკეთოდ გამოიყენა შექმნილი სიტუაცია. მისი მოთხოვნა – სანქციები დაეკისრებინათ აფხაზებისთვის, შეუფერხებლად ხორციელდებოდა საერთაშორისო საზოგადოების მიერ. დსთ-ის სანქციები აფხაზეთის მიმართ არღვევდა მოქალაქეების უფლებას, აფერხებდა ეკონომიკას და ქვეყნის განვითარების სასიცოცხლო ფაქტორებს. სარეაბილიტაციო პროგრამების, ჰუმანიტარული დახმარებისა და აღიარებული პასპორტების არარსებობამ და ყველაზე მნიშვნელოვანმა – აფხაზი ხალხის უფლებებისა და ინტერესების უგულვებელყოფამ ძალზე უარყოფითი გავლენა იქონია ერის, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ სიჯანსაღეზე.

2002-2003 წწ. აფხაზეთის მოქალაქეების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღებამ გადაჭრა რუსეთში აფხაზი მოქალაქეების გაურკვეველი სტატუსის პრობლემა. თუმცა, თავისუფალი გადაადგილების პრობლემა ისევ გადაუჭრელია და მოქალაქეებს კვლავ პრობლემები აქვთ. ყველაზე აუტანელი ისაა, რომ მათ არ ეძლევათ სხვა ქვეყანაში გამგზავრების უფლება. აფხაზებისათვის ჯერ კიდევ პრობლემაა, აიღონ რუსეთში საზღვარგარეთის პასპორტები. უმრავლეს შემთხვევაში, შეუძლებელია უცხოეთის ვიზის აღება. ვიზის პრობლემა ყველაზე მოუგვარებელ საკითხად რჩება, ისევე, როგორც აფხაზეთის ხელისუფლების მიერ 2010 წელს გამოცემული აფხაზური პასპორტების აღიარებაც.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც უცხო ქვეყნის საკონსულოები რუსული პასპორტის აფხაზი მფლობელის დოკუმენტებს არ იღებენ, ხშირად არის ის, რომ რუსეთის პასპორტები აფხაზ მოქალაქეებზე გაცემულია აფხაზეთში არსებულ რუსეთის ფედერაციის საელჩოში. ევროპული საკონსულო მომსახურება მოითხოვს არა მარტო რუსულ პასპორტებს, არამედ რუსეთის შიდა პასპორტს რუსეთის ფედერაციაში საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან ერთად. ეს მოთხოვნა სხვა არაფერია, თუ არა დისკრიმინაცია, რადგან აფხაზებს არა აქვთ რუსეთის შიდა პასპორტები. მეორე მხრივ, ეს აიძულებს აფხაზებს, მოიპოვონ შიდა რუსული

პასპორტები რუსეთის ფედერაციაში საცხოვრებელი რეგისტრაციით. პოლონეთის საკონსულომ მოსკოვში, ასევე ბალტიის ქვეყნების საკონსულოებმა, მოითხოვეს მოსკოვში მუშაობის დამადასტურებელი ცნობები. ვიზა რომ არ გასცენ, ამისთვის სხვადასხვა მიზეზს იგონებენ, მათ შორის ყველაზე აბსურდულსაც – ვიზის ასაღებად მიმართონ თბილისში არსებულ საკონსულოს. ევროპის ქვეყნების საელჩოებისა და საკონსულოების წარმომადგენლები უფრო შორს მიდიან, არღვევენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებს და მოქმედებენ საქართველოს პოლიტიკური ლიდერების მიზნების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სრულ საერთაშორისო იზოლაციას.

ევროპის ქვეყნებში შესვლაზე უარი გავლენას ახდენს აფხაზ სტუდენტებზეც, ვინც მიიღო ნებართვა, ამ ქვეყნების უნივერსიტეტებში გაეგრძელებინათ სწავლა. კერძოდ, ბოლო პერიოდში სტუდენტებს არ მიეცათ იტალიაში გამგზავრების საშუალება; სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც გეგმავენ სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებსა და მრგვალი მაგიდის დისკუსიებში მონაწილეობას ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე ვერ ახერხებენ ხშირად ვიზის აღებას. მაგალითად, 2014 წლის სექტემბერში, აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა (მათ შორის იყო ორგანიზაცია „აფხაზი დედები მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისათვის“), უარი მიიღეს 2014 წლის ადამიანური განზომილების საიმპლემენტაციო შეხვედრაში მონაწილეობაზე. ვიზები ვერ მიიღეს ბავშვთა ცეკვის ანსამბლებმა და სპორტულმა გუნდებმაც. ისინი კი, ვინც როგორღაც მოახერხა ვიზის აღება, დიდი ალბათობით საერთაშორისო სკანდალში გაეხვევიან შესაბამის ქვეყანაში საქართველოს საელჩოს ჩარევის შედეგად. ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ სამედიცინო დახმარებას საჭიროებენ, ასევე ზარალდებიან ამგვარი პოლიტიკით. იყო შემთხვევები, როცა ადამიანები გარდაიცვალნენ, რადგან ვერ შეძლეს ევროკავშირის ქვეყნებში გამგზავრება სამკურნალოდ, რაც ადამიანის უფლებების უხეში და ცინიკური დარღვევაა. ეს ასევე არღვევს საყოველთაო დეკლარაციის მუხლებს და ადამიანის უფლებების შესახებ ყველა კონვენციას და ეწინააღმდეგება ჰუმანურობისა და მორალის უნივერსალურ პრინციპებს 21-ე საუკუნეში.

ბოლო წლებში ევროპულმა ინსტიტუტებმა სცადეს, მიუხედავად აფხაზეთის დამოუკიდებლობისადმი მათი პოზიციისა, გამოენახათ გზა, დახმარებოდნენ სამოქალაქო საზოგადოებას აფხაზეთში პოლიტიკური შეზღუდვების გვერდის ავლით. ისინი ფინანსურად დაეხმარნენ აფხაზურ სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომლებიც ადამიანის უფლებების,

სამოქალაქო განათლებისა და მშვიდობის მშენებლობის სფეროში მოღვაწეობდნენ. აღნიშნული პროექტები ევროკომისიის სტაბილურობის ინსტრუმენტის ფარგლებში ინიციატივის ეგიდით ხორციელდებოდა. ეს იყო ევროპული ჩართულობის ნაწილი.

თუმცა, 2014 წელს, განსაკუთრებით ბოლო თვეებში, ცხადი გახდა, რომ ევროპის ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს მუშაობა ჩართულობის სტრატეგიის წინააღმდეგ და გაამკაცრეს აფხაზეთის მოქალაქეებზე ვიზების გაცემა. რამდენჯერმე ზედიზედ უარი მივიღეთ ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზაზე. ევროპელები აკრიტიკებენ საქართველოს კანონს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც იწვევს აფხაზეთის იზოლაციას, მაგრამ ბოლო ტენდენციები ცხადყოფს, რომ ევროპა თავად მისდევს ამ დესტრუქციულ კანონს, რომელიც ხელს უშლის ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას და კომუნიკაციას. „ასეთი დისკრიმინაციული კანონი იზოლაციაში აქცევს აფხაზ ხალხს დანარჩენი მსოფლიოსაგან და არღვევს ღირსეული ცხოვრებისა და განვითარების უფლებას. კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს და აუარესებს ჰუმანიტარულ მდგომარეობას, იწვევს გაჭირვებას“ – აღნიშნული იყო დოკუმენტში „ვენეციის კომისიის მოსაზრება საქართველოს კანონზე ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ (სტრასბურგი, 2009 წ.).

„საერთაშორისო სამართლის მიხედვით არანაირი კანონიერი პრობლემები არ უნდა შეექმნას ასეთ ლეგიტიმურ უცხოურ პასპორტებს. მიუხედავად ამ კანონებისა, ევროკავშირი ამართლებს ვიზების არგაცემას იმით, რომ პასპორტები გაცემულია აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის საელჩოს მიერ. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში, რომლის დამოუკიდებლობაც ევროკავშირს არ უცნია, არ აქვს მნიშვნელობა სად იღებს პიროვნება რუსეთის პასპორტს, ის მაინც რჩება რუსეთის მოქალაქედ ყველა შესაბამისი უფლებით, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული უფლებები დარღვეულია.“

აფხაზური მხარისთვის აბსოლუტურად მიუღებელია, იმოგზაურონ ევროპის ქვეყნებში, თუ რუსეთის პასპორტში არ იქნება ჩარტყმული მათი, როგორც აფხაზეთის მოქალაქის ვიზა; ამის ნაცვლად იღებენ ქაღალდის ნაგლეჯს, როგორც ვიზას, სადაც ვიზიტის დღეებიც მკაცრად შეზღუდულია და ემთხვევა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ-აფხაზური შეხვედრის პერიოდს. სავარაუდოდ, ორმხრივი შეხვედრების კონტექსტის მიღმა (ამ შემთხვევაში, ამ უკანასკნელის ინიცირება მოახდინა ევროსაბჭომ ნდობის აღდგენის მიზნით), აფხაზეთის მოქალაქეებზე ვიზები საერთოდ არ გაიცემა. აფხაზმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ბევრჯერ გამოთქვეს აღშფოთება ამის შესახებ: „ეს კიდევ ახალი სტანდარტია, როცა საერთაშორისო საზოგადოება თვალს ხუჭავს იმ ფაქტზე, რომ აფხაზეთის

მოქალაქეთა უფლებები ირღვევა აშკარა პოლიტიკური მოტივებით. ამავე დროს, ადამიანის უფლებების შესახებ დეკლარაცია გარკვევით აცხადებს, რომ სადაც არ უნდა იყოს ადამიანი, რა პოლიტიკური სისტემაც არ უნდა არსებობდეს ქვეყანაში, ამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს აქვს აღნიშნული უფლებები. სამწუხაროდ, აფხაზეთის მოქალაქეებთან მიმართებაში აღნიშნული დებულებები რეალობას არ შეესაბამება“.

როგორც ჩანს, აფხაზეთის იზოლაციის პოლიტიკა, ადამიანის უფლებების ყველა თანამდევი დარღვევით, წლებით უკან გვხევს. ევროპის ქვეყნების საელჩოები უფრო ხშირად გვირჩევენ, ვიზის ასაღებად საქართველოს დედაქალაქში არსებულ მათ საელჩოს მივმართოთ. იმ ფაქტის შემდეგ, რაც 1992-93 წწ. საქართველოს მიერ დაწყებული ომის შემდეგ აფხაზეთი დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა და საქართველოსთან კონფლიქტი ჯერ კიდევ არ მოგვარებულა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო უარს ამბობს, ხელი მოაწეროს საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულებას, ევროპელების რჩევა – ვიზისთვის მივმართოთ საქართველოში არსებულ მათ საელჩოებს, დაცინვაა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავარი მეკავშირეც კი – აშშ, უფრო კონსტრუქციული და მოქნილია აფხაზეთის მოქალაქეების მიმართ, რომლებსაც რუსული პასპორტები აქვთ. აშშ-ის პოლიტიკოსებმა რამდენჯერმე განაცხადეს, რომ მათი ქვეყანა ღიაა აფხაზეთის მოქალაქეებისთვის, რომელთაც სურთ შეერთებულ შტატებში ჩასვლა და სწავლა მათ უნივერსიტეტებში.

აშშ-ის მიდგომა აფხაზეთის იზოლაციის უარყოფით შეფასებასთან უფრო თანმიმდევრულია, მაშინ როცა ევროპის მიდგომა ეწინააღმდეგება ადრინდელ შეფასებებსა და გეგმებს.

ასეთი ტენდენციები ხელს უშლის ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების განვითარებასა და გავრცელებას, რადგან მათში ადამიანის უფლებები მთავარი ფაქტორი უნდა იყოს. უფრო მეტიც, ევროპის ქვეყნების გამკაცრებული პოზიცია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და გადაადგილების თავისუფლების, განათლებისა და სხვა უფლებების სისტემური დარღვევის საფუძველს ქმნის. ამ ყველაფერს მივყავართ აფხაზეთის უფრო მეტ იზოლაციამდე. გასულ წლებში ამ იზოლაციამ აშკარად აჩვენა, რომ უფრო გააღვივა კონფლიქტი საქართველოსთან, ვინაიდან აფხაზეთის მოქალაქეები მათი ხანგრძლივი იზოლაციის მიზეზად სწორედ საქართველოს პოლიტიკას თვლიან. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებული სიტუაცია იწვევს უსამართლობას, რითაც ადამიანები ზარალდებიან, განსაკუთრებით კი – აქტიური ახალგაზრდები, რომლებსაც სურთ აფხაზეთის დემოკრატიული

განვითარება საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების შესაბამისად. კითხვა კი რჩება – ვინ სარგებლობს თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვით? ცხადია, რომ აღნიშნული შეზღუდვები საზოგადოების სტაგნაციის შეუქცევად პროცესს იწვევს, საზოგადოებას კვებავს ანტიევროპული განწყობით და უფრო მეტად აშორებს აფხაზეთის მოსახლეობას თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან. უკვე დროა, გადაიხედოს ეს მიდგომა და მიიღონ უფრო პრაგმატული გადაწყვეტილება, რომელიც დაეფუძნება ადამიანის უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს, ასევე პატივს სცემს ადამიანის სიცოცხლესა და ღირსებას, მიუხედავად ზედმეტად სენსიტიური ვითარებისა.

განათლების უფლება

ენვერ ჯულიმანი

პირველ რიგში, განათლება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დაცული იყოს ყველა ბავშვის უფლება – ჰქონდეს თანაბარი წვდომა განათლებაზე, მიუხედავად მისი წარმომავლობისა, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნისა და უნარებისა. უფლებებზე დამყარებული განათლება ეფუძნება უნივერსალურ ჰუმანიტარულ ღირებულებებს, სოციალურ სამართლიანობას და უსაფრთხო და კარგად აღჭურვილი სკოლის ქონის უფლებას.

ყველა პოსტკონფლიქტურ ქვეყანაში არსებობს კარგი განათლების საჭიროება, სადაც საბაზისო საგანმანათლებლო თემები განკუთვნილია არა ზოგადი ცოდნის ასამაღლებლად, არამედ მათი მზაობის ხელშეწყობისათვის, ჩაერთონ ინდივიდუალურად და ჯგუფურად თავიანთი საზოგადოებების აღმშენებლობაში ორმხრივი გაგებისა და ნდობის მშენებლობის დროს. ამ მიდგომების ილუსტრირებას შემდეგი მაგალითები ახდენს:

პოსტკონფლიქტურ ტერიტორიებზე განათლება ითხოვს განსაკუთრებულ პედაგოგიკურ მიდგომას.

ა) განათლება უნდა ემყარებოდეს ჰუმანისტურ პერსპექტივას, რომელიც ხელს უწყობს უნივერსალურ ღირებულებებს, როგორიცაა - თავისუფლება, ურთიერთპატივისცემა და პასუხისმგებლობა და რომლის მიზანია განავითაროს მთლიანად ადამიანი. ასეთი განათლების ქვაკუთხედი არის

იდეა, რომ ყველა მონაწილე თანასწორად ღირსეულია და რომ პიროვნული განსხვავებები და საჭიროებები მხოლოდ მხედველობაში უნდა მივიღოთ და პატივი ვცეთ. შედეგად, თითოეული მონაწილის პიროვნება და იდენტობა დაფასებულია და მისი საჭიროებები და ინტერესები განათლების პროცესის დროს მხედველობაში იქნება მიღებული. მასწავლებლები არიან პირველები თანასწორებს შორის და მოქმედებენ როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზატორები, კონსულები და ფასილიტატორები.

გ) ჰუმანისტური განათლება მჭიდროდ არის დაკავშირებული მონაწილეობის, დიალოგისა და გაძლიერების პედაგოგიკასთან. ის ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემას და მრავალმხრივ კომუნიკაციას ლექციების დროს ცოდნის მწირი გადაცემის ნაცვლად; თუმცა, ის სრულიად არ უგულვებელყოფს ლექციებს, როდესაც საჭიროა საბაზისო ცოდნის შეძენა. ნამდვილი სწავლება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ხდება ინფორმაციის, ცოდნისა და უნარების გაცვლა, ყველა მონაწილის გამოცდილებას ისმენენ და მათ წვლილიც შეაქვთ განხილული პრობლემის სრულად გაგებაში. ინტერაქტიულ სწავლებაზე ფოკუსირებით, ჰუმანისტური პედაგოგიკა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ სწავლება არის სოციალური პროცესი, რომელშიც სხვადასხვა აზრები თავისუფლად გამოითქმის და ისმინება ყველას მიერ. ახალი ცოდნა, ღირებულებები, დამოკიდებულებები და პასუხისმგებლობები ვითარდება ინტერაქციითა და თანამშრომლობით. ეს ნიშნავს, რომ სწავლება აუცილებლად გამოხატავს იმ კონტექსტს, რაშიც ის მოხდა და ორიენტირებულია შინაარსის შეცვლაზე.
შედეგად, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მონაწილე პარალელურად მოქმედებს, როგორც პიროვნება და ასევე - როგორც სასწავლო ჯგუფის წევრი, როგორც მისი სოციუმის წარომადგენელი პროგრამის მიღმა, რომელსაც საშუალება ეძლევა, გამოხატოს საკუთარი მრავალმხრივი გამოცდილება, გაუზიაროს სხვა მონაწილეებს აზრი და იმუშაოს მათთან ურთიერთშეთანხმების მისაღწევად.
განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს მოტივაციას და ჩართულობას.

გ) ვინაიდან გამოცდილებები, ძირითადად, ინდივიდუალურია, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს, რომ გაზიარებული სწავლება შედეგად მოიტანს თითოეული მონაწილის პერსპექტივების პატივისცემას. ამ მხრივ, აქტიური მოსმენა, ემპათია, დიალოგი, მულტი-პერსპექტიულობა და ურთიერთპატივისცემა წახალისებულია, რაც საშუალებას აძლევს მონაწილეებს, ისწავლონ ერთმანეთისგან და გააძლიერონ გაზიარებული ცოდნის მიღების შანსები. მონაწილის მიერ მოთხრობილი საკუთარი გამოცდილება როცა გაზიარებულია და ჯგუფის მიერ სწორად არის აღქმული, უფრო ადვილი იქნება მისთვის საკუთარი გამოცდილება ახალი

პერსპექტივით დაინახოს, რაც შემოტანილია აქტიური ჯგუფური სწავლების პროცესში.

დ) თუ განათლების პროცესი დაეფუძნება მონაწილეობის პედაგოგიკას, დიალოგსა და გაძლიერებას, ის ეფექტური იქნება. მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეები მიხვდნენ აღნიშნული პროცესის პლუსებსა და ბარიერებს და დაინახონ, რამდენად რელევანტურია ის მათი მომავალი ცხოვრებისთვის. შედეგად, საგანმანათლებლო პროცესი უნდა იყოს ფესვგადგმული მონაწილის რეალურ ცხოვრებაში, ასევე უნდა იყოს მათ მომავალზე ორიენტირებული. მან უნდა მისცეს შესაძლებლობები თითოეულ მათგანს, მიიღონ უფრო ღრმა ხედვა საკუთარ ყოველდღიურ გამოცდილებებზე, დაგეგმონ ცვლილება და ჩაერთონ სოციალურ საქმიანობაში საკუთარი გეგმების შესაბამისად.

ე) ასეთი განათლება უნდა იყოს „საზღვრების გარეშე“ ისე, რომ მან საშუალება მისცეს მონაწილეებს, „გადალახონ გარკვეული ჯგუფებისათვის, რელიგიის ან ეროვნებისათვის დაწესებული საზღვრები“. ასევე მიღწეულ უნდა იქნას გაგების რეგიონალური დონე. მშვიდობის მშენებლობის პროცესი იწყება საზღვრებიდან, ვინაიდან ჩვენ უნდა გავიგოთ, რა ფუნქცია აქვთ მათ კონკრეტულ კონფლიქტში, მაგრამ აუცილებლად უნდა ვეცადოთ ამ საზღვრების გადალახვას პიროვნული აზრების, გაგების და გამოცდილების გაზიარების საშუალებით, რაც მიგვიყვანს დიალოგამდე და შესაძლებლობას მოგვცემს, ერთმანეთს გავუზიაროთ ხედვები და საქმიანობა.

ვ) უფრო მეტიც, ასეთმა განათლებამ შესაძლოა, წვლილი შეიტანოს პიროვნული განვითარებისა და იდენტობის ფორმირების შეგრძნების გაძლიერებით, განსაკუთრებით - სამშვიდობო პროგრამებში მონაწილე სტუდენტებს შორის. განათლება გულისხმობს, მოამზადოს ახალგაზრდები ექსკლუზიურად მათი ხვალინდელი ქმედებისთვის. ახალგაზრდები დღეს არ სწავლობენ იმისთვის, რომ ხვალ გახდნენ კომპეტენტურები. მათ უნდათ განათლების შედეგების გამოყენება აწმყოშიც და მომავალშიც.

ზ) ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით - დომინირებული ან უმრავლესობის წარმომადგენლები, საკთარ პიროვნულ და სოციალურ იდენტობებს ავითარებენ ისე, რომ არ აქცევენ ყურადღებას, რას ნიშნავს უმცირესობის წევრი, მათ შორის: ლტოლვილი, დევნილი, ომის ვეტერანი, ძალადობის მსხვერპლი ან ძალადობის მოწმე. მონაწილეობასა და დიალოგზე დაფუძნებული განათლება ითხოვს, რომ მსმენელებმა და ტრენერებმა დაინახონ, გაიგონ, ხაზი გაუსვან და გაითვალისწინონ სხვისი შეხედულება ცოდნის გაზიარების პროცესში.

თ) მონაწილეობასა და დიალოგზე დაფუძნებულ განათლებას ასევე წვლილი შეაქვს მეორე მხარის „დეკოლექტივიზაციასა და რეჰუმანიზაციაში“. ეს ნიშნავს, რომ მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, გაიაზრონ საკუთარი

სტერეოტიპები და ცრურწმენები, ასევე - მათ ჯგუფზე შექმნილი დომინანტური გამონათქვამები; გაიაზრონ საკუთარი წარსული, ასევე - ომების როლი ამ თქმულებების შექმნაში. სასწავლო პროცესმა უნდა შექმნას საშუალება მონაწილეებისათვის, განიხილონ, დაამსხვრიონ და რეკონსტრუქცია გაუკეთონ დომინანტურ თქმულებებს, პირადი ამბების მოყოლით და კითხვების დასმით, მაგალითად: „ვის ვეკუთვნი მე?“ „რისი მჯერა?“ „როგორ აღვიქვავ მე ამ კონფლიქტს/ფაქტს?“ „ჩემეული აღქმა როგორ და ვის მიერ შეიქმნა?“ „დაბალანსებულია ჩემი წარმოდგენა?“ „ნამდვილია?“ „რითი განსხვავდება ჩემი სიმართლე მეორე მხარის სიმართლისგან?“ „რატომ უნდა მოვუსმინო მეორე მხარეს?“ და ა.შ.

ტერმინების მნიშვნელობა, როგორიცაა: მისაღებობა, ერთიანობა, თანაარსებობა, სიართლე, სამართლიანობა, დანაშაული, მიტევება და ნდობა, ხშირად გაივლის ცვლილებებს კონფლიქტებისა და ომების კონტექსტში. მშვიდობის მშენებლობის პროცესის დასაწყებად მნიშვნელოვანია, ზუსტად განსაზღვრო და გაიგო ეს ცვლილებები, განსაკუთრებით - სიძულვილის ენასთან დაკავშირებით ომამდე, ომის დროს და მის მერე. ეს მოიცავს ისეთი ტერმინების მნიშნველობასა და გამოყენებას, როგორიცაა: მტერი, მსხვერპლი, მოღალატეები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროცესის მონაწილემ სიძულვილის ენის, შიშის და ძალადობის ახალ გრამატიკაში, ახალ სახეებად და ენად ტრანსფორმაციაში წვლილი უნდა შეიტანოს. ახალი ენა უნდა შეიქმნას დიალოგის საშუალებით, რომელშიც მონაწილეები განიხილავენ და თავიდან აშენებენ საკუთარ ძველ წარმოდგენებს ისე, რომ მოხდეს სიძულვილის ენის ინტერაქტიული და სათანამშრომლო ენაში გადაყვანა. ახალი ენის მიზანია, განმარტოს და არ გაასამართლოს, მოახდინოს რეჰუმანიზაცია, მითებისა და სტერეოტიპების გაძლიერების სანაცვლოდ.

დაბოლოს, ასეთ ენას აქვს უნარი, წარმართოს დიალოგი ხალხებს შორის და არა მხოლოდ ჯგუფის, რელიგიებისა და ერის წევრებს შორის. ახალი ენა უნდა გახდეს საგანმანათლებლო პროგრამის ბირთვი და ყველა მასწავლებლის ინსტრუმენტი.

თავი 4

სამოქალაქო საზოგადოების, ახალგაზრდობის და ჟურნალისტების როლი ნდობის აღდგენასა და მშვიდობის მშენებლობაში

პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობა პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში

ანონიმი ავტორი[82]

მშვიდობის მშენებლობაში სამოქალაქო საზოგადოების როლი და გავლენა

ირინა იანოვსკაია

სამშვიდობო ჟურნალისტიკა – პირობები, მიზნები, შეზღუდვები და შესაძლებლობები, გამოცდილებები და სხვა

ჯეიკ ლინჩი

ახალგაზრდები მშვიდობის მშენებლობაში

გოგა აფციაური

[82] გამოცემა არ ამჟღავნებს ავტორის ვინაობას, მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობა პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში

ანონიმი ავტორი[83]

პოსტკონფლიქტურ პერიოდში ხალხის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობის მახასიათებლებს ვიდრე შევეხებით, ამ ჩართულობის ფუნდამენტური ბუნება უნდა განვიხილოთ.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კონსტიტუციებში გათვალისწინებულია ისეთი თავისუფლებები, როგორიცაა: მონაწილეობა საზოგადოებისა და მთავრობის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მთავრობის მართვაში, არჩევა და შესაძლებლობა, რომ იყო არჩეული, ასოცირება პოლიტიკური პარტიების, პროფესიული კავშირებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ჩამოყალიბებით. ამ უფლების მოქალაქეებზე გავრცელებისას არანაირი დისკრიმინაცია არ ხდება. ეს მიჩნეულია, როგორც საფუძველი ხალხის მონაწილეობისა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში პოსტკონფლიქტურ პერიოდში. სირთულეები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტის გამოწვევებიდან, უნდა დარეგულირდეს ამ ფუნდამენტური პრინციპის ფარგლებში.

პოსტკონფლიქტურ ქვეყნებსა და რეგიონებში საზოგადოების ჩართულობას პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ახასიათებს საკმაო რაოდენობის სპეციფიკური პრობლემები, რასაც მუდმივი ყურადღება ესაჭიროება. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სომხეთ-აზერბაიჯანს შორის კონფლიქტისა (მთიან ყარაბაღში) და რეგიონში არსებული სხვა კონფლიქტების პროპაგანდის შედეგად, მოხდა საზოგადოებების მტკივნეული და ღრმა დაყოფა; ამ საზოგადოებათა ჩართულობა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში კვლავ პრობლემად რჩება. უნდა ვიპოვოთ რამდენიმე პასუხი ამ საკითხთან დაკავშირებით.

მნიშვნელობა

მმართველობაში ხალხის თანაბარი წარმომადგენლობა, მათ შორის ძლიერი და ფუნქციური დემოკრატიული ინსტიტუციების შექმნა, მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ამის გარანტირება უზრუნველყოფს ახალი კონფლიქტების წარმოშობის თავიდან აცილებას. არც ერთი ჯგუფი არ წამოჭრის ახალ პრობლემებს იმ პრეტექსტის ქვეშ, რომ მათ არ ჰყავთ წარმომადგენლობა. მეორეც, ჩართულობის გარანტია მნიშვნელოვან

[83] გამოცემა არ ამჟღავნებს ავტორის ვინაობას, მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

როლს ასრულებს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

თავდაპირველი ჩართულობის უზრუნველყოფა

კონფლიქტის შემდეგ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მიჩნეული იყო, როგორც კონფლიქტის რეგიონი, მმართველობის სტრუქტურა უნდა განისაზღვროს და მოქალაქეთა ჩართულობის ფონდები უნდა შეიქმნას, როგორც საწყისი ინიციატივა საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. შემდეგ, კანონიერი პოლიტიკური ინსტიტუტები და ჩართულობა უნდა იყოს წახალისებული პოლიტიკური ინსტიტუტების კონსოლიდაციისათვის და უშუალოდ ჩართულობის პროცესი უნდა დაიწყოს ბოლო სტადიაზე.

ამგვარი მმართველობის სტრუქტურა და ჩართულობის საფუძვლები უნდა განხორციელდეს რამდენიმე სამართლებრივ მომენტზე დაყრდნობით:

ა) საკონსტიტუციო რეფორმები ან საკონსტიტუციო პროცესი, რომლის განსახორციელებლად საჭიროა ეროვნული დიალოგების დაწყება და მოქალაქეთა პოზიციების შევსება ქვეყნის, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე. ახალი კონსტიტუციის მომზადებაში განსაკუთრებული მიდგომა უნდა ჩანდეს ეროვნული იდენტობის გამოვლენის მიმართ; მოქალაქეობის კრიტერიუმები, მოსახლეობის სამეტყველო ენის სტატუსი და ა.შ. უნდა იყოს გათვალისწინებული ისე, რომ ყველა კმაყოფილი დარჩეს. მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო დიალოგი დასრულდება და ახალი დოკუმენტი მზად იქნება, მისი მიღების და, ზოგადად, საკონსტიტუციო პროცესის მხარდაჭერა უნდა გაგრძელდეს.

კონსტიტუციის შესაქმნელად ჩამოყალიბდება საკონსტიტუციო ჯგუფი, რომელშიც შევა პოსტკონფლიქტურ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხის წარმომადგენელი; ამ ჯგუფს დაეკისრება დოკუმენტის მომზადება. უნდა განისაზღვროს კონკრეტული დრო ანუ 6 თვე და კონსტიტუციის მიღების მეთოდი, მაგალითად – რეფერენდუმის გზით. საკონსტიტუციო ჯგუფში უნდა იყვნენ ჩართულები იურისტები, უმჯობესია – უცხოელი სამართლის ექსპერტები. მას შემდეგ, რაც ეს ნაბიჯები გადაიდგმება, საჭიროა კონსტიტუციის მომზადების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და მისი თავდაპირველი ვერსიის წარდგენა ხალხისთვის. უნდა მოხდეს საჯარო საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება. ეს პროცესი უნდა იყოს მუდმივად ღია საზოგადოებისათვის, მედიისა და სოციალური ქსელის მეშვეობით. სასურველია, თუკი პოსტკონფლიქტურ ტერიტორიაზე არსებულ ყველაზე პოპულარულ არხზე იარსებებს პროგრამა (სხვადასხვა ენებზე), სადაც თავდაპირველი ვერსიის თითოეული დებულება განიხილება. ყველა სამუშაო

ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ პროცესი წარმატებით დასრულდეს და საბოლოო ჯამში მოხდეს კონსტიტუციის მიღება. კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ის პროგრამები, რომლებიც განკუთვნილი იყო დისკუსიებისთვის ან სოციალური ქსელის ინსტრუმენტები, შეიძლება შენარჩუნდეს.

ბ) აღმასრულებელი ძალა კონსტიტუციის მიღებამდე (გარდამავალ პერიოდში)

ვიდრე კონსტიტუციას მიიღებენ, უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები მმართველობის ჩამოსაყალიბებლად და სათანადო ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ეს ნაბიჯები მოიცავს ინსტიტუციური მოთხოვნილებების იდენტიფიცირებას მთავარი სამთავრობო მოვალეობების სტრუქტურირებისათვის, შესაბამისი სამინისტროებისა და დამოუკიდებელი სააგენტოების შექმნას და ამ უწყებების მოვალეობების ზუსტ ახსნას; მუდმივი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფას ინსტიტუციური განვითარებისათვის საჯარო სექტორში; საჯარო მომსახურების სიდიდისა და სტრუქტურის განსაზღვრას; გამჭვირვალე კონკურსების ორგანიზებას იმ ადამიანების შესარჩევად, ვისაც სურვილი აქვს, იმუშაოს საჯარო მოხელედ და მათთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარებას; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამჭვირვალე რეკრუტირების, წახალისების და გათავისუფლების სისტემის შექმნას. ამ პროცესს შესაძლოა, ერქვას სამოქალაქო სერვისის რეფორმა, რომელიც დასრულდება ახალი სამოქალაქო მოხელეების დასაქმებით ქვეყნისა და რეგიონალურ დონეზე.

მნიშვნელოვანია ისეთი ხალხის მოზიდვა რეფორმის განხორციელების პროცესში, ვისაც შეუძლია მატერიალური შემოსავლის გენერირება. ამის გასაკეთებლად საჭიროა რესურსების განსაზღვრა. უნდა შეიქმნას მუშა და ეფექტური სისტემა შემოსავლების გენერირებისათვის სამოქალაქო სამსახურებში, რადგან ფინანსური სტაბილურობა და ხალხის კეთილდღეობის განმტკიცება ამ ეტაპზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მოგება და წყაროები შესაძლოა არსებობდნენ, მაგრამ ეს სისტემა საჭიროა მათი სწორი ადმინისტრირებისა და გავრცელებისათვის. მნიშვნელოვანია ადამიანების პროფესიონალიზმის ამაღლება მოგების მოსატანად, მათ შორის უნდა მოხდეს საბანკო, საბაჟო, საგადასახადო და სხვა ფინანსური სერვისების ფორმირება და სხვადასხვა გეგმების განხორციელება ამ მიზნებისათვის; ბიუჯეტის გადაწყვეტის უნარების სწავლება და ინდივიდუალური დაფინანსება უნდა განიხილებოდეს, როგორც ცალკეული სამიზნეები. ამასთან, უნდა განისაზღვრონ პიროვნებები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ აღმასრულებელი მმართველობის ტრენინგებში; აღმასრულებელი ძალა და პერსონალი უნდა იყოს ინფორმირებული მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ მართვის პრინციპებზე; დიასპორის წევრები, რომლებიც

ცხოვრობენ საზღვარგარეთ და არიან მაღალკვალიფიციურები, უნდა წახალისდნენ, რომ უკან დაბრუნდნენ. სამოქალაქო მოხელეები, რომლებიც დაინიშნებიან ტესტირების საფუძველზე, მონაწილეობას მიიღებენ მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ტრენინგებში; მომზადდება ეთიკური სტანდარტები და სამუშაო კოდექსი, რათა ხელი შეეწყოს სამოქალაქო მოხელეების მომსახურების მაღალ დონეს. ერთ-ერთი საკითხი, რაც უნდა მოგვარდეს, არის აღმასრულებელი ფრთის ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარება. მაგალითად, შენობების აგება, ბიბლიოთეკების გახსნა, საინფორმაციო სისტემების შექმნა, საოფისე მოწყობილობის შეძენა და ა.შ. ბიუჯეტში ყოველივე ამისათვის ცალკე ხარჯები უნდა იყოს გათვალისწინებული.

გ) ძალაუფლების მქონე საკანონმდებლო მმართველობა კონსტიტუციის მიღებამდე (გარდამავალ პეროდში)

ამ ქვესათაურში სიტყვა „ძალაუფლება“ შემთხვევით არ გვიხსენებია. ჩვენ გვწამს, რომ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ რეგიონში არსებული საზოგადოებების მართვა უნდა ხდებოდეს არა ძლიერი მმართველი ორგანოს მიერ, არამედ უფრო დიდი ძალაუფლების მქონე და ძლიერი საკანონმდებლო მმართველობით. აღმასრულებელი ორგანოს მთავარი წარმომადგენლები, მაგალითად – მინისტრები, კომიტეტის თავმჯდომარეები და ა.შ. დანიშნულები არიან იმ პარტიათა კოალიციიდან ან პარტიებიდან, რომლებმაც გაიმარჯვეს საპარლამენტო არჩევნებში. ამ მახასიათებლების გათვალისწინებით განისაზღვრება საკანონმდებლო ფრთის როლი და მანდატი ეროვნული და ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და შემდგომ მათ ამოქმედებაში. განისაზღვრება წესები კანონის მიღებისა და ამოქმედებისათვის; ეროვნულ პოლიტიკასა და ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებში გაძლიერდება საკანონმდებლო მხარის გავლენა.

თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, დავის წარმოშობა სხვადასხვა სამთავრობო მხარეს შორის საკმაოდ რეალურია და უნდა განისაზღვროს მექანიზმი მათ გადასაწყვეტად. ეს პროცესი უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო მმართველობის მიერ, მაგრამ ყველა მხარის ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, შეიძლება შეიქმნას დავის გადაჭრის საბჭო დამოუკიდებელი ექსპერტებისა და გავლენიანი პირებისაგან. ერთ-ერთი მთავარი ელემენტი ამ მიმართულებით ჩართულობაში არის მოქალაქეთა და არამოქალაქეთა წვდომა საკანონმდებლო მმართველობასთან. ეს გულისხმობს იმას, რომ საკანონმდებლო მმართველობის ფორმირებისათვის, არჩევნებში მონაწილეობის მიღებასთან ერთად, ყველას უნდა ჰქონდეს უფლება, პირდაპირ მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციული მხარის შეხვედრებსა და დისკუსიებში სხვადასხვა საკანონმდებლო

პროექტებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მათ უნდა შეეძლოთ სათანადო შენიშვნების გაკეთება და ამონაწერების მიღება აღნიშნულ შეხვედრებზე. ამჟამად არსებობს კანონები, რომლებიც არეგულირებენ ამ საკითხს იმ ქვეყნებში, რომლებიც კონფლიქტის მხარეს წარმოადგენს. მაგალითად, კანონმდებლობაში ნორმატიულ-სამართლებრივ აქტზე არის ინსტრუქციები, რომლებიც ეხება საჯარო დისკუსიებს თითოეულ ახალ საკანონმდებლო პროექტზე, ან არის დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს მოქალაქეთა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას მას შემდეგ, რაც შეაგროვებენ საჭირო რაოდენობის ხელმოწერებს.

ჩვენ გვწამს, რომ პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებს უნდა ჰქონდეთ სათანადო უფლებები ზემოხსენებული მიმართულებით. ამ უფლებათა აღიარება უზრუნველყოფს გარკვეული სირთულეების თავიდან აცილებას, ჯგუფური აქტივობების, ინტერესების მხედველობაში მიღებას, კონკრეტული საადვოკატო პირობების შექმნას, საკანონმდებლო ორგანოებსა და ხალხს შორის კომუნიკაციის ჩამოყალიბებას მათი წარმომადგენლობით. საკანონმდებლო ორგანოები და მასში მომუშავე პერსონალი უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი ტრენინგებითა და მხარდაჭერით. უნდა შემუშავდეს ეთიკისა და სამუშაო კოდექსი და ჩამოყალიბდეს ფიზიკური ინფრასტრუქტურა. აუცილებლად უნდა ტარდებოდეს რეგულარული გაცვლითი შეხვედრები და პროგრამები დემოკრატიული ქვეყნების პარლამენტებთან, რათა გაძლიერდეს საკანონმდებლო დამოუკიდებლობა და დემოკრატიული პრინციპები.

დ) ადგილობრივი მენეჯმენტი კონსტიტუციის მიღებამდე (გარდამავალ პერიოდში):

პოსტკონფლიქტურ პერიოდში საზოგადოებების ჩართულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმითაა ორგანიზებული ადგილობრივი მმართველობა და რა დონეზეა ის. პირველი საკითხი ადგილობრივი მმართველობის ფორმირებაში არის სამართლებრივი საფუძვლის ჩამოყალიბება. სამართლებრივი საფუძველი, ადგილობრივი წარმომადგენლობისა და ჩართულობის მეთოდები უნდა შემუშავდეს ადგილობრივი მმართველი სტრუქტურებისთვის. ჩვენი აზრით, ადგილობრივი წარმომადგენლობისა და ჩართულობის ახალი ფორმა, ისევე, როგორც ადგილობრივი მმართველობისა, უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი გზით, რომ შეესაბამებოდეს ადგილობრივ კანონს, ტრადიციებსა და საზოგადოებას; ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებს უნდა მიეცეთ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობათა ფართო სპექტრი; უნდა არსებობდეს არაპირდაპირი კონტროლის მექანიზმები ეროვნულ ბიუჯეტზე, ან ნებისმიერ შემთხვევაში მათი საკუთარი ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს.

კიდევ ერთი ელემენტი, რომლის მხედველობაში მიღებაც აუცილებელია ადგილობრივი მმართველობის ფორმირებისას, არის დეცენტრალიზაცია. დეცენტრალიზაციის განხორციელება მოიცავს პოლიტიკური და ორგანიზაციული სტრუქტურების გადახედვას. უნდა განისაზღვროს დეცენტრალიზაციის ფორმა და ზომა. ეს პროცესი უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ, ფინანსურ და პოლიტიკურ სფეროებზე. სამოქალაქო ხელისუფლების არსებობა არის ერთადერთი სწორი გზა და მისი გავრცელება უნდა იყოს უზრუნველყოფილი. დეცენტრალიზაცია განიხილავს ურთიერთობათა ჩამოყალიბებას ეროვნულ და ადგილობრივ მმართველ ინსტიტუტებთან, ასევე – ორმხრივი კომუნიკაციის პროცესს. ეფექტური ადგილობრივი მმართველობისათვის განხორციელდება ინსტიტუციონალიზაცია. ამისათვის უნდა განისაზღვროს ძალაუფლების მასშტაბი ადგილობრივ დონეზე და შედეგად, განისაზღვროს ინსტიტუციონალური განვითარებისათვის საჭირო პირობები. ერთმნიშვნელოვნად უნდა მოხდეს ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურების ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფა. აუცილებელია ზედამხედველობა იმისა, თუ რომელ დონეზე ხდება ადგილობრივი მმართველობის განხორციელება. საწყის ეტაპზე ამის რეალიზება შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფის მიერ ან სპეციალურად შექმნილი ორგანოებით.

ადგილობრივი მმართველობის ფორმირებისას არ უნდა დავივიწყოთ ტრადიციული წარმომადგენლობა. ამის უზრუნველსაყოფად უნდა განისაზღვროს ტრადიციული სათემო სტრუქტურები. მათ შეუძლიათ დახმარების გაწევა მმართველობისთვის, ასევე ჩართულობის უზრუნველყოფა. არსებობს საჭიროება ტრადიციული სტრუქტურების გაერთიანებისა ადგილობრივ მმართველ სტრუქტურებთან, რომლებიც უნდა ჩამოყალიბდეს.

ჩართულობის უზრუნველყოფის საშუალებები

არჩევნები

არჩევნები მიჩნეულია, როგორც ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება ნებისმიერ პერიოდში, განსაკუთრებით – პოსტკონფლიქტურ დროში. არჩევნების ორგანიზება უნდა მოხდეს რამდენიმე ეტაპად. პირველ რიგში, უნდა მოხდეს არჩევნების სწორად დაგეგმვა და ჩატარება. უნდა განისაზღვროს არჩევნების დრო, მიზნები და განრიგი. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია დამოუკიდებელი ეროვნული საარჩევნო კომისიის შექმნა. საარჩევნო კომისია როცა შეიქმნება,

დაინტერესებულ პირთა წარმომადგენლობა საზოგადოებაში უნდა იყოს უზრუნველყოფილი და კომისიის წევრების არჩევა უნდა მოხდეს პარიტეტული პრინციპით.

ეს კომისია არ ექვემდებარება არც ერთ ზემდგომ ორგანოს. სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში, მისი ზედამხედველობა ხორციელდება სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლების აღიარებით. კომისიამ აუცილებლად უნდა გასცეს ამომრჩეველთა ყველა ძველი სია, ჩაატაროს სრულიად ახალი აღწერა და ამ აღწერის შედეგად შეადგინოს იმ ადამიანთა სია, ვისაც ხმის მიცემა შეუძლია. ამომრჩეველთა ახალი სიის შექმნასთან ერთად, უნდა განისაზღვროს მათი რეგისტრაციის წესი და დაიწყოს პროცედურის განხორციელება. საარჩევნო კომისიის სხვა მოვალეობებში შედის შესაფერისი პროცედურებისა და რეგულაციების მომზადება და გამოქვეყნება. ეს რეგულაციები უნდა მოიცავდეს კანდიდატებისა და საარჩევნო ყუთების უსაფრთხოებას. უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხო და სამართლიანი წინასაარჩევნო კამპანია ყველა კანდიდატისთვის. ასევე მნიშვნელოვანი საკითხებია არჩევნების ჩასატარებლად ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა (საარჩევნო ყუთები, საარჩევნო უბნები, ბეჭდები და ა.შ) და არჩევნების მეთოდისა და მექანიზმის მუდმივი ხელშეწყობა. არჩევნებთან დაკავშირებული ყველა საკითხი წარმოდგენილი უნდა იყოს დროებითი ხასიათის იურიდიულ დოკუმენტებში; ამ ეტაპზე ცალკე საარჩევნო კოდექსის მიღების საჭიროება არ არსებობს.

მეორე საკითხია არჩევნებზე დაკვირვება. საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო მისიებს შორის უნდა მოხდეს შეთანხმება და საარჩევნო კომისიაც დაინტერესებული უნდა იყოს ადგილობრივი და საერთაშორისო საარჩევნო მონიტორინგით. კომისიას უნდა ჰყავდეს თავისი თანამშრომლები დაკვირვებისათვის. მესამე საკითხს წარმოადგენს მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა საარჩევნო პროცესში. უნდა მოხდეს საარჩევნო განრიგის ფართოდ გავრცელება, მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა, საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება, ამომრჩეველთა ინფორმირებისათვის კამპანიების ორგანიზება. ამასთან, არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშესაწყობად, უნდა განაწილდეს საარჩევნო განრიგი, გავრცელდეს ინფორმაცია საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით და ჩატარდეს საინფორმაციო კამპანიები ამომრჩეველთათვის. თაღლითობისა და არასათანადო მიდგომის თავიდან ასაცილებლად, კენჭისყრის შედეგები უნდა იყოს საზოგადოების განუწყვეტელი ყურადღების ქვეშ.

ინსტიტუციები

არჩევნების გარდა, საზოგადოების სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის ინსტრუმენტებს წარმოადგენს პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო საზოგადოებები და მედია. წარმოგიდგენთ ჩვენს მოკლე შენიშვნებს ზემოხსენებულ ინსტიტუციებთან დაკავშირებით. პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ პოლიტიკური პარტიის სისტემის ფორმატი. ჩვენი შემოთავაზებიდან გამომდინარე, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს არა მაჟორიტარულ ფორმატში, არამედ უმეტესად პარტიების სიების მიხედვით, პოლიტიკური პარტიის სისტემა უნდა იყოს ფრთხილად და ნათლად ფორმირებული ყველა მხარისათვის. ამის გასაკეთებლად საჭიროა პოლიტიკური პარტიების სუფთა იურიდიული სტატუსის, დაცვისა და ძირითადი დებულებების შექმნა. ადგილობრივი და რეგიონალური წარმომადგენლობის კრიტერიუმი უნდა იყოს ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი პოლიტიკური პარტიის დასაარსებლად. მთლიანი აქტივობა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ სისტემის მრავალი პარტიით ჩამოყალიბება და კომპეტენტური გარემო იყოს წახალისებული. პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია უნდა ტარდებოდეს გამარტივებული ფორმით.

საწყის ეტაპზე პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია უნდა ხდებოდეს საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა, პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი სხვა დოკუმენტაცია, ზემოხსენებულ დებულებებთან ერთად, ნათლად უნდა განმარტავდეს, რომ არავინ უნდა იყოს იძულებული, გახდეს რომელიმე პარტიის წევრი. დემოკრატიის ხელშეწყობის მიზნებისადმი ლოიალურობიდან გამომდინარე, პოლიტიკურ აქტივობებს დაცვა და მხარდაჭერა სჭირდება. საწყის ეტაპზე, პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ უფლება, 100%-ით დაფინანსდნენ ქვეყნისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამასთან, პოლიტიკური პარტიებისათვის უნდა შეიქმნას სანდო პირობები, რათა დამყარდეს ურთიერთობა სხვა ქვეყნის ლეგიტიმურ პოლიტიკურ პარტიებთან. უნდა მოხდეს იმ პოტენციური პირების იდენტიფიკაცია, ვისაც სურს პოლიტიკაში ჩართვა და მათ უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.

პოლიტიკური პარტიების განვითარებისთვის უნდა ჩატარდეს სემინარები და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები (რეკლამირება, ანალიტიკური საკითხები, დემოკრატია პარტიის მაღალი თანამდებობის პირებისთვის, კარგი მმართველობა და მეტყველების უნარი, მედიასთან ურთიერთობა, ფანდრაიზინგი, ამომრჩეველთა ჩართულობა, საარჩევნო კამპანიის სტრატეგია და სხვა). დაცული უნდა იყოს ქალთა წარმომადგენლობა არჩევნებსა და პოლიტიკური პარტიების მმართველ პოზიციებზე. სამოქალაქო საზოგადოება

მოითხოვს ცივილური, თანამედროვე, დემოკრატიული, საერო, სამართლებრივი და ტოლერანტული სოციალური სისტემის ჩამოყალიბებას, ფორმირებასა და ჰარმონიულ განვითარებას. გარდა იმისა, რომ საზოგადოება ეყრდნობა ეროვნულ-მორალურ ღირებულებებს, დღეს ის განიხილება, როგორც უნივერსალური, გლობალური კონცეფცია ტრადიციულ ჩარჩოებთან თანხვედრაში. ამ გაგებით, ეროვნული დიპლომატია არის ძალიან მნიშვნელოვანი როგორც ერებს, ასევე ეთნოსებსა და იმ ხალხებს შორის, ვინც საერთო საზოგადოების მშენებლობაშია ჩართული, ასევე – იმ საზოგადოებებში, რომელთაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი სისტემა აქვთ.

სახალხო დიპლომატია ასევე შეფასებულია, როგორც აუცილებლობა და კომპონენტი დიპლომატიური აქტივობისა. ამდენად, ეროვნული დიპლომატიის აღორძინებამ შეიძლება, დადებითი გავლენა მოახდინოს ამ და სხვა პრობლემების გადაწყვეტაზე, ასევე სხვადასხვა საზოგადოებებს შორის შეუწყნარებლობასა და გაუგებრობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებებს, თემებსა და რიგით ადამიანებს სერიოზული მომზადება სჭირდებათ ამისთვის. დიპლომატია არ არის რაღაც უჩვეულო. ის ყოველთვის არსებობს სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუციების, საოჯახო, სანათესაო, საზოგადოების სხვადასხვა ფენის, ყოველდღიური ბიზნეს შეხვედრებისა და სოციალურ-ეკონომიკური აქტივობების დონეზე. მარტივად რომ ვთქვათ, როდესაც ის გამოხატულია ისეთ კონკრეტულ კონტექსტში, როგორიცაა ეროვნული დიპლომატია, პროცესები უნდა რეგულირდებოდეს მკაცრი, მაგრამ ეფექტური ზომებით, კონკრეტული სარგებლის შენარჩუნებისა და შესაძლო მიზნების რეალიზაციის მიმართულებით.

ცხადია, პროცესების დაბალანსებული და ადეკვატური მართვა მნიშვნელოვანია საჯარო დიპლომატიისთვის. ამის გარეშე შეუძლებელია სასურველი შედეგის მიღწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან შეიძლება უარყოფითი გავლენაც კი მოახდინოს. შესაფერისი ბალანსის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია მოქალაქეთა პოლიტიკური, მორალური და ფსიქოლოგიური მომზადება.

ამ დროისათვის, ყველა დადებითად არ აფასებს სომეხი და აზერბაიჯანელი ინტელექტუალების ერთობლივ ვიზიტებს ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში. თუმცა, იმისათვის, რომ სამოქალაქო საზოგადოება გაძლიერდეს და სრულად გამყარდეს, შეიძლება ასეთი ქმედების განხორციელება: არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებმა უნდა მიაღწიონ ურთიერთთანამშრომლობას გავლენიან ხალხთან, რომელთაც აქვთ ძლიერი როლი საზოგადოებაში და საჭიროებენ მათი მომსახურებიდან სარგებელს.

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში დიდ როლს უნდა ასრულებდეს შიდასახელმწიფოებრივი ენერგია, მისი მოთხოვნები და სურვილები. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პოლიტიკურთან შედარებით, გაცილებით დიდი წვლილი უნდა შეიტანოს აზერბაიჯანელი ხალხის აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. მთავრობას ამ სფეროში უნდა ჰქონდეს თავისი როლი დაბალანსებული პოლიტიკის პრინციპით. ძველი სტერეოტიპების დასამსხვრევად, საჭიროა მთავრობისა და ოპოზიციის სერვისების გამოყენება. ამ საქმეში, უმეტესწილად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასმედიას და სატელევიზიო გადაცემებს.

მშვიდობის მშენებლობის პროცესში, სამოქალაქო საზოგადოებების მიერ უნდა განხორციელდეს შვიდი ძირითადი ფუნქცია:

- მოქალაქეების დაცვა ყველა სახის ძალადობისგან;
- უფლებათა დარღვევის მონიტორინგის წარმოება და სამშვიდობო ხელშეკრულებების განხორციელება;
- საჯარო პროპაგანდა მშვიდობისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით;
- სამშვიდობო და დემოკრატიული ღირებულებების გასაჯაროება, ისევე, როგორც მარგინალური ჯგუფების პიროვნულობის განვითარება;
- შიდა ჯგუფური სოციალური ურთიერთობების (სოლიდარობა) შექმნა, საპირისპირო ჯგუფის ადამიანების ერთად შეკრებით;
- ნებისმიერი მონაწილისათვის დიალოგის ხელშეწყობა (გამარტივება) ადგილობრივ და საქვეყნო დონეზე;
- მშვიდობის შექმნა – რაც გულისხმობს ზედა 6 პუნქტის შესასრულებლად ნიადაგის შექმნას;

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებების როლი მნიშვნელოვანია მშვიდობის მშენებლობის პროცესში, პრობლემები მაინც არსებობს. უმთავრესი მიზეზი ამ პრობლემისა არის მთავრობის უნდობლობა, სუსტი კავშირი სამოქალაქო საზოგადოებებსა და მთავრობებს შორის, ისევე როგორც ფინანსური პრობლემები. უნდა შეიქმნას მშვიდობის მოგვარებაზე ორიენტირებული ქსელი, რომელიც განამტკიცებს სამოქალაქო საზოგადოებების როლს მშვიდობის მშენებლობაში. ეს სამუშაო ჯგუფი უნდა მოიცავდეს სამოქალაქო საზოგადოებებს, მედიის წარმომადგენლებს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორებს.

სამოქალაქო საზოგადოებების გარდა, მედია მოქმედებს ასევე, როგორც ვოჩდოგი (მოდარაჯე ნაგაზი). პოსტკონფლიქტურ პერიოდში ზოგადი ჩართულობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი არის ვოჩდოგის პრინციპის ერთგული ორგანიზაციების შექმნა, რათა მოხდეს ადგილობრივი ინსტიტუციების მონიტორინგი საჯარო და კერძო სექტორში. პირველ რიგში,

კონფლიქტის გათვალისწინებით, ადგილობრივი ვოჩდოგი ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად საკანონმდებლო დებულებები უნდა შეიქმნას და გამოიყოს ადეკვატური წყაროები სადამკვირვებლო მექანიზმებისთვის. ადგილობრივი გამჭვირვალე მონიტორინგის არსებობა საჯარო და კერძო სექტორში უნდა წახალისდეს. ვოჩდოგის ტიპის ორგანიზაციამ ზემოხსენებული მიზნები რომ განახორციელოს, უნდა დაარსდეს პროფესიონალური, საერთაშორისო საინფორმაციო ორგანიზაცია. სამთავრობო მასმედია უნდა გაუქმდეს და შეიქმნას საჯარო ტელევიზია და საინფორმაციო ორგანო, რომელიც გაავრცელებს ფაქტობრივ ინფორმაციას. უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ჭორებისა და სხვადასხვა პრობლემების თავიდან აცილება. უნდა დაარსდეს ფართო საინფორმაციო სამაუწყებლო სისტემა; გადაწყვეტილებები და წესები სიტყვის თავისუფლებასა და თავისუფალ მედიაზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი. რეგულარულად უნდა ვრცელდებოდეს ახალი ინფორმაცია სამშვიდობო პროცესისა და სხვა პრობლემური საკითხების ირგვლივ. ადგილობრივ მედიას უნდა ჰქონდეს მხარდაჭერა და ასევე წახალისდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქსელის შექმნა.

მედიას შუამავლის ფუნქცია აქვს დიალოგის წარმოებაში, შესაბამისად, ინფორმაციის გადაცემა უნდა განმტკიცდეს. სფეროს გაუმჯობესების მიზნით საჭიროა სხვა ნაბიჯების გადადგმაც: მედიაპროფესიონალების ჩართულობა და მათთვის ახალი ტრენინგების ჩატარება, საზღვარგარეთ მყოფი პროფესიონალი ჟურნალისტების წახალისება, რათა დაბრუნდნენ უკან; ჟურნალისტიკის სკოლების დაარსება, სხვა ადგილებიდან ჟურნალისტების ჩართვა; უზრუნველყოფა იმისა, რომ მედიაპროგრამები ფართოდ აშუქებდნენ ადგილობრივ საკითხებს, დამოუკიდებელი გაზეთებისა და სატელევიზიო-რადიო არხების რეგულარული შექმნის უზრუნველყოფა, ახალი პროფესიული ეთიკის კოდექსის შემოღება, ჟურნალისტებისგან და მედიის წარმომადგენლებისაგან კარგი მაგალითებისა და მედიის როლის წარმოჩენა, ადგილობრივი ჟურნალისტური ასოციაციების ჩამოყალიბება, ჟურნალისტური თავისუფლების ხელშეწყობა მდგრადი პრინციპებით. გაზეთებს არ დასჭირდებათ ნებართვები, მაგრამ ტელევიზიები და რადიოები მიიღებენ ლიცენზიებს გამარტივებული ფორმით. სამაუწყებლო კონტენტი ზედამხედველობის ქვეშ რომ იყოს, კერძოდ, წარმატებით დასრულდეს სამშვიდობო პროცესი, უნდა დაარსდეს დროებითი სპეციალური ორგანო. მედიასთან დაკავშირებით ჩამოთვლილი საკითხები ასევე უნდა შეეხოს ბლოგერებსა და სოციალური ქსელის აქტივისტებს; იმდენად, რამდენადაც სამშვიდობო პროცესის სწორი მიმართულებით განხორციელებისათვის არსებობს ძალიან დიდი საფრთხე, საჭირო იქნება ცალკე განცხადებები და

განმარტებები ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. თუმცა, ნებისმიერი სახის ჩარევა ან ცენზურა ინტერნეტში, მიუღებელია.

დასკვნა

ნათლად უნდა განვმარტოთ ერთი რამ: სამშვიდობო პროცესის წარმატებულად დასრულებისათვის საზოგადოებების ჩართულობის უზრუნველყოფა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში წარმოადგენს აუცილებელ ნაბიჯს. ამ ქმედების განხორციელება მოიცავს სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტს, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, დაწყებული ეკონომიკიდან, კულტურით დამთავრებული. მტკივნეული და გრძელვადიანი კონფლიქტების შემდეგ, სამშვიდობო პროცესი ყოველთვის სარისკოა. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია რისკის მინიმუმამდე დაყვანა. ამის მისაღწევად საჭიროა, რომ საზოგადოების ყველა ფენა იყოს ჩართული საჯარო ცხოვრებაში. ამ მიზნებისთვის უნდა შეიქმნას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურები, დაიწყოს საკონსტიტუციო პროცესი და წარმატებით გაგრძელდეს, მოხდეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ორგანიზება და შეიქმნას ძლიერი ინსტიტუტები, რომლებიც შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს.

მშვიდობის მშენებლობაში სამოქალაქო საზოგადოების როლი და გავლენა

ირინა იანოვსკაია

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში სამშვიდობო პროცესში სამოქალაქო საზოგადოების როლისა და გავლენის შესაფასებლად, უნდა გავიაზროთ ის პირობები, სადაც სამოქალაქო საზოგადოება თავდაპირველად განვითარდა და ისიც, თუ რა მდგომარეობაა დღეს.

სამხრეთ ოსეთის სამოქალაქო საზოგადოება ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოსთან ომის პირობებში ვითარდებოდა.

სამოქალაქო საზოგადოება ნიშნავს სახელმწიფოსთან ინტერაქციაში მყოფ საზოგადოებას ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური ურთიერთობით. სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი მახასიათებლებია: საზოგადოების წევრებს შორის ფართო კავშირები, საკუთრებაზე დაფუძნებული საზოგადოების მაღალი მატერიალური უსაფრთხოება, ანგარიშვალდებულება

და სახელმწიფო ძალაუფლების დეცენტრალიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება, საზოგადოების წევრთა ერთიანობა მათი საერთო კულტურისა და ერთიანი კუთვნილების გააზრებით.

ზემოთ ჩამოთვლილმა მახასიათებლებმა, უკანასკნელის გამოკლებით, ვერ მიაღწიეს განვითარების სათანადო დონეს საქართველოსთან მუდმივი ომის პირობებში, რის ფონზეც ფორმირდებოდა სამხრეთ ოსეთში სამოქალაქო საზოგადოება.

თუ გავითვალისწინებთ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის წლებს, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ელემენტები და მექანიმზები უკვე თავს იჩენდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შევძლებთ იმის მტკიცებას, რომ სამოქალაქო საზოგადოება სათანადოდ განვითარდა. მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყანა ფართო სამოქალაქო საზოგადოებრივი ინიციატივითა და ხალხის ნებით შეიქმნა, როდესაც სამხრეთ ოსეთის ხალხმა მოითხოვა ქვეყნის დამოუკიდებლობა და იმდროინდელ საბჭოთა ნომენკლატურას წინ აღუდგა.

2011-2012 წლების პოლიტიკურმა კრიზისმა აჩვენა, რომ ქვეყანაში 20 წლის მერეც არ ამოწურულა სამოქალაქო საზოგადოების უნარი – აჩვენოს ინიციატივა და თვითორგანიზება. აღნიშნული ფაქტი დაამტკიცა ცხინვალში მასობრივმა სამოქალაქო აქტივობებმა ბოლო – 2011 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

სამოქალაქო საზოგადოების პროტესტის მიზეზი იყო საშინელი მდგომარეობიდან გამოსვლის სურვილი, რადგან, რუსეთის ფედერაციიდან უზარმაზარი ფინანსური დახმარების მიუხედავად, არ აღდგენილა არანაირი ინფრასტრუქტურა, სოციალური და კულტურული ინსტიტუტები, საცხოვრებელი ფართები, რომლებიც 2008 წლის ომის დროს დაინგრა და დაიწვა. მასობრივი პროტესტის მეორე მიზეზი მთავრობის ოპონენტთა უფლებების დარღვევა იყო. პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ალა ჯიოევამ, რომელიც იმ დროს პრეზიდენტს ღიად დაუპირისპირდა, შეძლო მნიშვნელოვანი საპროტესტო ძალის მობილიზება. სხვა მოვლენების ქრონოლოგიური მოყოლა დიდ დროს წაიღებს. ამიტომ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 2011 წლის 10 დეკემბერს საზოგადოებრივ შეხვედრაზე, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი გადადგა. მნიშვნელოვანია, რომ სამხრეთ ოსეთის ხალხი, მისი ხელისუფლება და ლიდერები, ძველიც და ახალიც, აცხადებდა ღია სამოქალაქო დამოკიდებულებას და ინტერესს რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის განვითარებისთვის.

უფრო მეტიც, 2011-2012 წლების მოვლენებმა გამოიწვია მმართველი ელიტის მენეჯმენტის მეთოდების გადაფასება და ცვლილებები, რამაც აიძულა მმართველი სისტემა, გადაედგა ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯი უფრო დაბალანსებული მოდელისკენ, რომელიც ითვალისწინებს სხვა პოლიტიკური ძალების ინტერესებსაც და გამორიცხავს ოპონენტების წინააღმდეგ ნებისმიერ

სამხედრო ზეწოლას. კომპრომისების პრაქტიკა ჩვევად იქცევა და საზოგადოებაში პოლიტიკურ სტაბილურობაზე დადებით გავლენას ახდენს.

დღეს, დემოკრატიული განვითარების პირობებში, ქვეყანაში არსებობს რეალური ოპოზიცია. მაგალითად, RGA-Alliance.com -თან ექსკლუზიურ ინტერვიუში ალან ჯუსოევმა, პოლიტიკური პარტიის – „შენი არჩევანი ოსეთი“ ლიდერმა, განაცხადა ქვეყანაში არსებულ ოპოზიციაზე და სამოქალაქო ჩართულობაზე: „ჩვენ არ გვყავს ოპოზიცია, რომელიც მოგვიწოდებს საქართველოში დაბრუნებას, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ სამხრეთ ოსეთმა შესაძლოა, დაიწყოს და უნდა დაიწყოს აქტიური დიალოგი ევროპასთან და აშშ-სთან, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ. ყველას სჯერა, რომ სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთს უნდა შეუერთდეს რუსეთის ფედერაციის ფარგლებში. უკიდურესი პოლიტიზაციის მიუხედავად, საზოგადოება კვლავ აქტიურად განიხილავს ქალაქებისა და რაიონების განახლებას, საუბრობს ბევრს დედაქალაქის არქიტექტურული იერსახის შენარჩუნებაზე და, ასევე იმაზე, რა არის პრიორიტეტი და რა – მეორეხარისხოვანი. პრეზიდენტით წარმოდგენილი ძალა ხშირად ხვდება სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებს. რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო შეთანხმებებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სამხრეთ ოსეთის საზოგადოებისათვის. ჩნდება ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მაგალითად, ბოლო დროს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, შექმნან საზოგადოებრივი ორგანიზაცია მათი ინტერესების უფრო ეფექტური დაცვისთვის“.

ამ მოსაზრებას ბევრი იზიარებს. ბევრი სენსიტიური საკითხი აღარ წყდება სამოქალაქო საზოგადოების აზრის გათვალისწინების გარეშე. მაგალითად, ადრეული გეგმების მიუხედავად, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებების დონეზე შეთანხმებით, საზოგადოების მოთხოვნით, სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობა დაიწყება ისტორიულ ადგილზე. ასევე, საზოგადოებრივი პროტესტის შემდეგ, გაუქმდა ცხინვალში მდიდრული ცათამბჯენების მშენებლობის იდეა. ასეთი მაგალითი უამრავია.

სამხრეთ ოსეთის 2014 წლის 8 ივნისის მე-6 საპარლამენტო არჩევნები ითვლება შემოწმებისა და ბალანსის სისტემის ფორმირების ეტაპად, ასევე – ძალების გადანაწილების პრინციპის რეალურ განხორციელებად, რაც მანამდე ხშირად ირღვეოდა. თავისი მიზანი შეასრულა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ქვემდებარე საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობამ, რომელმაც გააუქმა წარსული გადაწყვეტილების ნაწილი, რამაც პარლამენტის გარკვეული უფლებამოსილება აღმასრულებულ ხელისუფლებაში გადაიტანა.

სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება უკვე შეუქცევადია. ახლგაზრდების პოლიტიკური კულტურა იზრდება. ნელა, მაგრამ მაინც, ახალგაზრდები ერთვებიან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში.

ჩნდება დამოუკიდებელი ვებრესურსები და საზოგადოების გარკვეულ სეგმენტებზე გავლენას ახდენს.

დამოუკიდებელი ინტერნეტ-რესურსების შექმნამ, სოციალურ ქსელებში მრავალი სოციალური დიალოგის პლატფორმის საქმიანობამ, რაც ახალგაზრდა და შუახნის თაობაში საკმაოდ პოპულარულია, შექმნა საშუალება, რომ საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა გამოხატოს საკუთარი აზრი და შეხედულებები სხვადასხვა პოლიტიკურ მოვლენაზე.

გრძელვადიანი მიზნები, როგორიცაა – საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის დანერგვა, მნიშვნელოვან ეტაპს მოიტანს სამოქალაქო საზოგადოების სრული ფორმირების პროცესში. ამ მოთხოვნებს საზოგადოება უფრო ხშირად აყენებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამას დრო სჭირდება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გარე საფრთხეების არარსებობის შემთხვევაში, ეს პროცესი მიიღებდა სისტემურ და პროგრესულ ხასიათს და საკუთარ მანიფესტაციას მხოლოდ არჩევნების დროს არ მოახდენდა.

უფრო მეტიც, არის საჭიროება, რომ რეალურად იარსებოს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და პარტიებმა, რომლებიც დაიცავენ საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესებს. დღეს იუსტიციის სამინისტროში მხოლოდ 137 ორგანიზაციაა დარეგისტრირებული, მათ შორის – 15 პოლიტიკური პარტია. სხვათა შორის, პარტიის სწრაფი შექმნა კიდევ ერთი ნიშანი იყო მოსახლეობის უფრო აქტიური საზოგადოებრივი მანიფესტაციის.

უნდა აღინიშნოს არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, როგორც თანამედროვე საზოგადოების შიდა ნაწილის. ეს თავისუფალი ასოციაციები დააარსეს მოქალაქეებმა. მათი მთავარი როლი სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების დონის გაზრდა, ადამიანის უფლებების დაცვა და საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარების, ჰუმანიტარული პროგრამების უზრუნველყოფაა. ისინი გამოხატავენ ჩვეულებრივი მოქალაქეების ინტერესებს და აძლევენ მათ საშუალებას, თვითონ გამოაცხადონ საკუთარი ინიციატივები. ამ ორგანიზაციების საქმიანობა, როგორც წესი, უფრო მობილური, მოქნილი და ხშირად ცვლილებებზე ორიენტირებულია.

ამიტომაც არასამთავრობო სექტორის განვითარება ნებისმიერი საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. თუმცა, დღეს სამხრეთ ოსეთში არ არსებობს სრულყოფილი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მოაგვარებს არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობას, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. მესამე სექტორის სამხრეთ ოსეთში ფორმირება დაიწყო 1990-იანი წლების შუა ხანებში, როცა საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს საქართველო-ოსეთის კონფლიქტის

ზონებში ჩამოსვლა და პირველი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბება. უფრო მეტიც, იმავე საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოუყვეს გრანტები ამ ორგანიზაციებს. პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია სამხრეთ ოსეთში მუშაობდა დევნილებთან და მათი პროექტის ფარგლებში, ამ კატეგორიის მოსახლეობას სოციალურ დახმარებას სთავაზობდა, აწყობდნენ სემინარებს, მრგვალ მაგიდებს და ა. შ.

სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა იმ დროს დაკავებული იყო ეკონომიკური გადარჩენით და რესპუბლიკის აღიარებით და ვერ მოახერხა ყველა სფეროში მუშაობა. ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა აიღეს პასუხისმგებლობა იმ სექტორებზე, რასაც მთავრობა არ აქცევდა ყურადღებას. არასამთავრობო ორგანიზაციები, ძირითადად, საქმიანობდნენ ცხინვალში – სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში, მაშინ, როცა სამხრეთ ოსეთის სხვა რაიონებში ეს სექტორი თითქმის არ განვითარებულა, იშვიათი გამონაკლისის გარდა. მას მერე მდგომარეობა არც გამოსწორებულა.

რესპუბლიკის ლიდერები კიდევ განიხილავენ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი სახელმწიფო დახმარების კონცეფციას“, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოამზადეს.

ფაქტობრივად, ცხადი ხდება, რომ სამხრეთ ოსეთში არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებასთან არ თანამშრომლობენ, რაც სოციალური პროექტების ეფექტურობას ამცირებს. სამხრეთ ოსეთში არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებს უცხოელი დონორები და ფონდები აფინანსებენ. მხოლოდ რამდენიმე მათგანი იღებს ფინანსურ დახმარებას რუსული ფონდებიდან.

სამხრეთ ოსეთში არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ვისაც უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, აცხადებს, რომ ბოლო დროს მათი საქმიანობა კერძო ბიზნესში გადაიზარდა.

სახელმწიფო ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ეფექტური დიალოგითა და მათი თანამშრომლობით შესაძლებელი იქნებოდა სამხრეთ ოსეთში ბევრი პრობლემის მოგვარება.

მშვიდობის მშენებლობაზე საუბრისას, შეიძლება ,ვინმემ მხოლოდ ეთნიკური კონფლიქტები განიხილოს, მაგრამ კონფლიქტი შესაძლოა, გამოწვეული იყოს მორალური და ეთიკური პრობლემებით, სოციალური სტრატიფიკაციით, რელიგიური დაპირისპირებით.

ასევე, არსებობს ოჯახური კონფლიქტი, გენდერული ურთიერთობები და კონფლიქტი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის, ოჯახური ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა და სხვა. თუ ჩვენ ვისაუბრებთ მშვიდობის ხელშეწყობაზე რესპუბლიკის შიგნით, ადამიანის უფლებების პატივისცემა პირველ ადგილზე უნდა იდგეს.

სამოქალაქო საზოგადოების როლი გამოკვეთილია ხალხებს შორის თანამშრომლობაში, პატიმრებისა და დაკავებულების გაცვლის შესახებ მოლაპარაკებებში, ან კრიზისული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცვლის ფასილიტაციის შემთხვევაში. ასეთ დროს სამოქალაქო საზოგაოდების როლი გამოიხატება ხელისუფლების წარმომადგენლებთან (როგორიცაა – საგარეო საქმეთა სამინისტრო) შესაბამის თანამშრომლობაში, იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფო სტრუქტურებს აკლიათ მუშაობის ეფექტური მეთოდები ან ინსტრუმენტები გავლენის მოსახდენად.

პრაქტიკული გამოსავლების ძებნა ყოველთვის იყო ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა. მაგალითად, ჩვენი ორგანიზაცია ახორციელებდა პროექტს „ცხინვალის სადისკუსიო კლუბი“ (2001 წ.) და მოაწყო ქართულ-ოსური შეხვედრები ცხინვალის ოფისში. ერთ-ერთ შეხვედრაზე ორივე მხრიდან მონაწილეობდნენ იურისტები და უფლებადამცველი აქტივისტები. ისინი განიხილავდნენ რესტიტუციის პრობლემას, რომლის შესახებაც კანონი საქართველოში იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო იმ დროს. სამხრეთ ოსეთიდან დევნილი ეთნიკური ქართველების დაბრუნება და შესაბამისად, დევნილი ოსების საქართველოში დაბრუნება შესაძლოა, გამხდარიყო ხალხებს შორის ნდობის აღდგენისკენ გადადგმული ნაბიჯი.

ცნობილია, რომ მასმედია ქმნის საზოგადოებრივ შეხედულებებს, რამაც შესაძლოა, პოზიტიური როლი შეასრულოს კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე პროცესებში, მაგრამ ასევე, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს და ხელი შეუწყოს ეთნიკური შუღლის გაღვივებას. უფრო ხშირად, როდესაც არასწორი ინფორმაცია ვრცელდება, ჟურნალისტები ეყრდნობიან ე.წ. არაოფიციალურ წყაროებს. აღსანიშნავია, რომ ქართველ კოლეგებს შორის არიან პასუხისმგებლიანი ჟურნალისტები, რომლებიც ყოველთვის ამოწმებენ ფაქტებს ოს კოლეგებთან და მხოლოდ ამის შემდეგ აქვეყნებენ მასალას. მაგრამ ასეთები ძალიან ცოტანი არიან.

ჩვენ გადავწყვიტეთ, თავიდან აგვერიდებინა არაოფიციალური წყაროებისთვის მიმართვა და შევქმენით ქართველი და ოსი ჟურნალისტების სწრაფი რეაგირების ჯგუფი 2003 წელს პროექტის – „ჟურნალისტების დახმარება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში“ – ფარგლებში. პროექტის მთავარი იდეა იყო გარანტირებულად სწორი ინფორმაციის გავრცელება და ერთობლივი მასალების მომზადება კონფლიქტის ზონიდან ოსი და ქართველი ჟურნალისტის მონაწილეობით. ტექნიკურად, გორელ ჟურნალისტს შეეძლო, 30 წუთში ჩამოსულიყო 30 კმ-ში მდებარე სამშვიდობო ზონაში. უფრო მეტიც, ჩვენ მხარს გვიჭერდა სამშვიდობო ძალების სარდალი, რომელიც შეგვპირდა, რომ ჟურნალისტებისთვის სპეციალურ წარმომადგენელს დანიშნავდა. იგეგმებოდა გაზეთის გამოცემა და შორეულ პერსპექტივაში ახალი ამბების სააგენტოს შექმნა და ვიდეომასალების

გამოშვება.

სამწუხაროდ, პროექტის ფარგლებში მოხერხდა მხოლოდ სამი ტრენინგის გამართვა IWPR-ის თბილისის ოფისში და ერთი სამუშაო შეხვედრის გამართვა ცხინვალში. 2004 წელს, საქართველოს მხრიდან ვითარების მორიგი შეიარაღებული ესკალაციისას, სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და პრესის კომიტეტის წარმომადგენელმა გადაწყვიტა, რომ ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობა არასწორი იყო (იმ დროს პრაქტიკულად არ არსებობდა დამოუკიდებელი ჟურნალისტი) და ჩვენ მოგვიწია პროექტის შეწყვეტა.

დღეს საერთაშორისო ექსპერტები გვიზიარებენ საკუთარ გამოცდილებას სამშვიდობო პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, განსაკუთრებით – ქალების ჩართულობის მექანიზმების განვითარების შესახებ. ისინი რეკომენდაციას გვაძლევენ, ყურადღება გავამახვილოთ ხალხზე, გავცვალოთ ინფორმაცია კრიზისულ სიტუაციებზე, დავამყაროთ შიდადისციპლინური ურთიერთობები, შევქმნათ ქსელები; რა თქმა უნდა, სამოქალაქო სექტორი ვერ დაისახავს დიდ მიზნებს, მაგრამ მცირე ნაბიჯებით ემოციები შეიძლება, უკან მოვიტოვოთ.

მომხდარის დასავიწყებლად ემოციებისგან გაქცევა სათქმელად ადვილია, მაგრამ გასაკეთებლად ძნელი. არადა, როგორია რეალური ცხოვრება, როგორ უნდა იცხოვრო ახლო მეგობრებისა და ნათესავების დაკარგვის ტკივილით?! ბევრ ადამიანს ეს ჯერ კიდევ არ დავიწყებია. მე მჯერა, რომ ეს სერიოზული პრობლემაა. კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას არ მიუღია ადეკვატური რეაბილიტაცია. ცხადია, რომ მშვიდობის მშენებლობის პროცესში ჩართვა ქვეყნის შიგნით და გარეთ რამდენიმე გადატანილი ტრაგედიის შემდეგ ძალიან რთულია.

2014 წელს, ქართველ კოლეგებთან ერთად განვახორციელეთ პროექტი იმ მოქალაქეების უკეთესი ჯანდაცვის სერვისის უზრუნველსაყოფად, რომლებიც საომარი მოვლენების დროს დაზარალდნენ, მაგრამ ეს რთული და ხანგრძლივი სამუშაოა – ერთი და ორი წელი საკმარისი არაა.

თემურ ცხოვრებოვი ყოფილი მებრძოლია, რომელიც მშვიდობის პერსპექტივას მშვიდობის მშენებლობის პროექტებში ხედავს. „იარაღიანი კაციდან გადავიქეცი ადამიანად, რომელიც კალმით და სიტყვით იბრძვის“, – ამბობს ის.

1998 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ქართულ-ოსურ შერეულ ოჯახებს ყოფილ საბჭოთა კავშირში შერეული ოჯახებიდან ყველაზე მაღალი პროცენტი ჰქონდა. ჩვენ უკვე დიდი ხანია, გვინდა, გამოვცეთ წიგნი „ხსოვნა“. ჩვენი იდეაა, ვისაუბროთ პოზიტიურ გამოცდილებაზე, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი ბებია-ბაბუები ერთად ქართულ-ოსურ კონფლიქტამდე. არსებობს ადამიანური იუმორისტული ისტორიები. ხალხი ერთმანეთს რთულ მომენტში ეხმარებოდა და შეეძლოთ ერთად ცხოვრება: იყო

ერთობლივი ქორწილები, ნათლავდნენ ერთმანეთის ბავშვებს და უამრავი სხვა მსგავსი. პირველი ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდეგ დაბადებული და გაზრდილი ახალი თაობები გულში ერთმანეთის მიმართ მტრის ხატს ატარებენ. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით ამ წიგნის დასაბეჭდად ფინანსების მოპოვება.

2010-2011 წწ. განვახორციელეთ პროექტი „ქართველი და ოსი ქალების მშვიდობის მშენებლობის უნარების განვითარება“. პროექტის ფარგლებში შევქმენით სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ერთნიკური ქართველი ქალების ჯგუფი და ასევე ოსი ქალბატონების ჯგუფი შერეული ოჯახებიდან. პროექტის ბოლოს ამ ქალბატონებმა გააჟღერეს მრავალი იდეა მომავალი საქმიანობისთვის. იმედი გვაქვს, მოვიპოვებთ დაფინანსებას და ამ ქალებს ექნებათ საშუალება, რომ წვლილი შეიტანონ სამხრეთ ოსეთის საზოგადოების განვითარებაში.

სამხრეთ ოსეთში არ იღებენ დონორებს, რომლებიც გამზადებული პროგრამებით ჩამოდიან, რადგან ვისაც ნამდვილად უნდა სამხრეთ ოსეთში მუშაობა, როგორც წესი, განიხილავს იდეებს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მათთან ათანხმებს. კარგი იქნება, თუ დონორები არ შეწყვეტენ სამშვიდობო პროექტების დაფინანსებას, რადგან ისინი ხანგრძლივი უნდა იყოს, სულ მცირე – სამწლიანი მაინც. მშვიდობის მშენებლობა ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც მუდმივი განვითარება სჭირდება და ის არ უნდა შეწყდეს.

ალან ჯუსოევის განცხადებით, ისეთი პროექტების განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებდა ქართულ-ოსური მხარის ერთობლივი ჩართულობით ორი – ქართული და ოსური სკოლისთვის ერთი შენობის აშენებას, არაფერი შედეგი არ მოუტანია, გარდა დონორისთვის გაგზავნილი ანგარიშისა: „ნებისმიერი სამშვიდობო პროექტის პრიორიტეტი უნდა იყოს არა საქართველოში სამხრეთ ოსეთის ინტეგრაცია და ღირებულების სხვა სისტემის თავზე მოხვევა, არამედ სამხრეთ ოსეთის სამოქალაქო საზოგადოების განვითარება მისი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით და არა – დონორთა ინტერესების ან უკვე არსებული სხვა პროგრამების მიხედვით. ჩემთვის, როგორც სამხრეთ ოსეთის რიგითი მოქალაქისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რას მეძახიან მე, ჩემს ქალაქს და ჩემს ქვეყანას. ამას ჰქვია ურთიერთპატივისცემა და მშვიდობის მშენებლობის საფუძველი, მაგრამ თუ ქართველი კოლეგები ამას არ აკეთებენ, მაშინ არა აქვს აზრი მათთან მშვიდობის მშენებლობაზე საუბარს“.

სამხრეთ ოსეთიდან ექსპერტ ალან პარასტაევის განცხადებით, „სამხრეთ ოსეთში მშვიდობის მშენებლობა რეალურად არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ოსური არასამთავრობოებისა და საერთაშორისო დონორების ერთობლივ პროექტებს. მათი მონაწილეობა

მხოლოდ დროებითია და გრძელდება პროექტის დასრულებამდე (სემინარების, კონფერენციების და ა.შ. სახით). სამხრეთ ოსეთში ვირტუალურად არანაირი სამშვიდობო მისია არ არსებობს. ჩვენი ორგანიზაცია – სამხრეთ ოსეთის ბიზნეს მრჩეველთა ცენტრი – კავკასიის ბიზნესისა და განვითარების ქსელის (CBDN) წევრია (International Alert არის ამ ქსელის ლიდერი) და არ არის აქტიურად ჩართული სამშვიდობო ინიციატივებში. თუმცა, ბოლო წლებში ცენტრმა განახორციელა პროექტები, რომლის მიზანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. ჩვენი კვლევით დავასკვენით, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც საზღვრებს მიღმა, ასევე ცალკე სამხრეთ ოსეთში მოქმედი ბიზნესი, მშვიდობის მშენებლობის მძლავრი ფაქტორია, რადგან მცირე და საშუალო მეწარმეები ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული სტაბილურობით.

ჩვენი გამოცდილება და არსებული კავშირები სამხრეთ კავკასიაში მოქმედ ბიზნეს საზოგადოებებთან შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის, რუსეთსა და საქართველოს შორის გაწყვეტილი სავაჭრო ურთიერთობების აღსადგენად. ბიზნეს კავშირების თუნდაც მცირე დახმარებაც კი საზღვარზე მდებარე შერეულ ქართულ-ოსურ დასახლებებში ხელს შეუწყობს მშვიდობის მშენებლობის პროცესებს და ხელს შეუშლის ურთიერთობების ბოლომდე გაწყვეტას“.

ასევე, აუცილებელია, დაზუსტდეს (ჩვენთვის მაინც), ქართულ მხარესთან არაფორმალური ურთიერთობის პირობებში, მოთხოვნა, თუ ეს მოთხოვნა საერთოდ არსებობს. 2008 წლამდე უამრავი შეხვედრა იმართებოდა კონფლიქტის ორივე მხარის წარმომადგენლებს შორის, ხელი მოეწერა მიმართვებს მშვიდობის მოთხოვნით, მაგრამ ამან მაინც ვერ შეძლო აგვისტოს მოვლენების შეჩერება. დღეს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმრავლესობა მხოლოდ საუბრობს სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს კარგ მეზობლურ ურთიერთობებზე, მხოლოდ – თანაბარი უფლებებით, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა პოლიტიკური საკითხი განიხილება ფორმალური მოლაპარაკებების ფორმატში სახელმწიფო დონეზე, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები კი შესაძლოა, ჩაერთონ საერთაშორისო მოლაპარაკებებში და საგარეო პოლიტიკაში.

არ მინდა პესიმისტი ვიყო, მაგრამ დასკვნა ასეთია:

სამხრეთ ოსეთის არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი, როგორც სამხრეთ ოსეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ქართულ არასამთავრობოებთან ერთად, მონაწილეობას იღებენ სამშვიდობო მოლაპარაკებებში საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდის ქვეშ, მაგრამ არ არსებობს მშვიდობის აშენების ხელშესახები შედეგები. ძირითადად, ეს იმითაა გამოწვეული, რომ ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას არ შეუძლია პოლიტიკოსებისა და ქართული ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე

გავლენის მოხდენა. ყოველ შემთხვევაში, ამის საპირისპირო არგუმენტი არ მომისმენია. საქართველოს რომ დროულად მიეღო კანონი ქართულ-ოსური კონფლიქტის მსხვერპლთა რესტიტუციაზე და რეაბილიტაციაზე, შესაძლებელი იქნებოდა ქართულ-ოსური ურთიერთობების დროული მოგვარება.

საქართველო თავს გვაჩვენებს, როგორც განვითარებული დემოკრატიული ქვეყანა, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიუტოვებია ორმაგი სტანდარტები. არ გაუქმებულა საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც უკრძალავს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემოსვლას. თუმცა, ეს კანონი საკმაოდ შერბილდა.

დაკარგული ადამიანების პრობლემა ისევ რჩება. პატიმრების გაცვლასთან დაკავშირებით, საქართველოსთვის მიუღებელია პრინციპი „ყველა ყველაზე“ და უამრავია ასეთი მაგალითი. ტერმინოლოგიის პრობლემაც ისევ საკამათოა. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ძალიან არ მოსწონს, როცა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები იყენებენ ტერმინს „ცხინვალის რეგიონი“ და ა.შ.

დიმიტრი სანაკოევის ე.წ. დროებითი ადმინისტრაციის საქმიანობა და მის მიერ სხვადასხვა პროექტების განხორციელება ასევე აძლიერებს უნდობლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამშვიდობო პროცესების დინამიკა, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით, დამოკიდებულია ქართული სამოქალაქო სექტორის უნარზე – შეარბილონ ორმხრივ ურთიერთობებში უარყოფითი ფაქტორები.

ნდობის აღდგენის პროცესზე პირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლია ხელშეკრულებას სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს მხრიდან ცეცხლის გამოუყენებლობის შესახებ, რომელსაც ხელი ორივე მხარემ უნდა მოაწეროს. ის ფაქტი, რომ საქართველო, ბოლო 6 წელზე მეტია, უარს ამბობს ხელი მოაწეროს ამ დოკუმენტს, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას არწმუნებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს სურვილი, გააუქმოს შურისძიების გეგმა, აფერხებს მშვიდობის მშენებლობის პროცესს და ორმხრივი ნდობის აშენების მცდელობას.

სამშვიდობო ჟურნალისტიკა – პირობები, მიზნები, შეზღუდვები და შესაძლებლობები, გამოცდილებები და სხვა

ჯეიკ ლინჩი

სამშვიდობო ჟურნალისტიკა – ეს ნიშნავს, რომ რედაქტორები და ჟურნალისტები იღებენ გადაწყვეტილებებს, რა გააშუქონ და როგორ გააშუქონ. ეს კი საზოგადოებისათვის ქმნის შესაძლებლობას, რათა გაიაზრონ და არაძალადობრივი გამოხმაურება ჰქონდეთ კონფლიქტის მიმართ.

თუკი მკითხველსა და მაყურებელს აქვს მსგავსი შესაძლებლობის ფუფუნება, მაგრამ მაინც ომს ამჯობინებენ მშვიდობას, აქ უკვე ჟურნალისტიკა, თავისი საშუალებებით, ვერაფერს გახდება. მეორე მხრივ, არ არსებობს თანმხვედრი ძალისხმევა ძალადობრივი რეაქციების სამართლიანი მოსმენის უზრუნველსაყოფად, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იშვიათად იბრძვიან საინფორმაციო დღის წესრიგში მოსახვედრად. რატომ?

გაშუქება ნიშნავს არჩევას. „ჩვენ მხოლოდ ფაქტებს ვაშუქებთ“ – ამბობენ ჟურნალისტები, თუმცა „ფაქტები“ პრაქტიკულად უსასრულო ზომის კატეგორიას წარმოადგენს. დღესაც კი, მედიასაშუალებების სიმრავლის პირობებში, უნდა მოხდეს ამ კატეგორიის შემცირება ისე, რომ საინფორმაციოში მისი ჩატევა მოხერხდეს. ჟურნალისტი არის მესაჭე, მიმართულების განმსაზღვრელი, რომელიც რეალობის ზოგიერთ ასპექტს აძლევს გამოაშკარავების და საზოგადოების თვალში მოხვედრის საშუალებას და, ამავდროულად, დანარჩენ ამბებს სიბნელეში ტოვებს. ეს არ წარმოადგენს შემთხვევით პროცესს. პატარ-პატარა ამბების გამოტოვება ყოველთვის ხდება.

საინფორმაციო საშუალებები, ზოგადად, უპირატესობას ანიჭებს ოფიციალურ წყაროებს, ვიდრე ხალხიდან წამოსულს. შემთხვევები ურჩევნიათ პროცესებს და ორმხრივი ბრძოლა უზენაესობისათვის, როგორც კონფლიქტის ძირითადი მოდელი.

ამგვარი უპირატესობების მინიჭებამ, მიდრეკილებებმა ფესვი გაიდგა ინდუსტრიის ჩვეულებებში მას შემდეგ, რაც დაიწყო ჟურნალისტიკის გაყიდვა, როგორც მასობრივი წარმოების პროდუქტისა სამომხმარებლო საზოგადოებაში. შესაბამისად, ის აღმოჩნდა ისეთი გამოწვევის წინაშე, როგორიცაა – წარმოაჩინო საკუთარი თავი ჭრილში – „ყველაფერი ყველასთვის“, გქონდეს უნარი, იყო ბაზარზე ყველა პოტენციური მკითხველისთვის, მსმენელისა და მაყურებლისთვის, რომელთაც აქვთ ნებისმიერი ან არანაირი სახის პოლიტიკური შეხედულება.

თანამდებობის პირების ციტირება – კატეგორია, რომლის სათავეშიც დგას საკუთარი ქვეყნის ლიდერი, არის არჩევანი და არა უპირატესობის მინიჭება. თუმცა, ეს ხდება საკუთარ თავშივე მოაზრებული ალიბით – ჩვენი ბრალი არ

არის, რომ ეს პიროვნება გახდა მთავრობის ლიდერი, იგი უბრალოდ არის. ინდექსირებას, ან ჟურნალისტიკის ნაცნობ ჩვევას – შეზღუდოს დებატების სივრცე მთავრობასა და ოფიციალურ ოპოზიციას შორის განსხვავებებზე (ანუ „ელიტარული უთანხმოება“), აქვს იგივე ეფექტი, რაც არჩევანის ფაქტებად შენიღბვას.

რას იტყვით შემთხვევებსა და პროცესებზე? ახალი ამბავი, დავუშვათ, სიკვდილისა და ნგრევის შესახებ დეტალები, რაც გამოიწვია ბომბმა, კამათს მიღმა რჩება. მოწყობილობა, უდავოდ გამოვიდა მწყობრიდან. არსებობს კარგად ნაცადი ფიგურები, რომლებიც ზრუნავენ დაზარალებულებზე სანდო წყაროებიდან, როგორებიცაა საავადმყოფოები და პოლიცია. ავტომატურად საკამათო ხდება ის საკითხი, თუ რატომ გააკეთეს ეს გამნაღმველებმა, რა პროცესებმა გამოიწვია ეს ფაქტი, რა იყო მათი პრობლემა ან მოტივაცია.

რაც შეეხება დუალიზმს, როდესაც მე BBC-ს ჟურნალისტი ვიყავი, ჩვენ ყველას გააზრებული გვქონდა, რომ წარმატებული კარიერა ეყრდნობოდა შემდეგ ფორმულას: „ერთი მხრივ... მეორე მხრივ... საბოლოოდ, მხოლოდ დრო გვეტყვის“. უნდა დაგეცვა ბალანსი, მოგესმინა ორივე მხარისთვის და ამგვარად აარიდებდი თავს საჩივრებს ცალმხრივობისა და მიკერძოებულობის შესახებ.

ომის ჟურნალისტიკა და მისი ანტიდოტი

არსებობს სიღრმისეული მიზეზები, თუ რატომ არის დომინანტური ესა თუ ის კონვენციები ჟურნალისტიკაში, მაგრამ საჯარო დებატებისთვის შექმნილი ჩარჩო კონფლიქტის საკითხებთან დაკავშირებით, ზოგადად არის ძალადობრივი გამოხმაურებების მხარეს. ასეთ შემთხვევაში, ის იმსახურებს განსაზღვრებას „ომის ჟურნალისტიკა“.

როგორ მოხდა ეს? პირველ რიგში, ავიღოთ დუალიზმი. თუკი დავიწყებთ ფიქრს, რომ კონფლიქტი – ეს არის „თოკის გაქაჩვა“ (tug-of-war) ორ დიდ მოწინააღმდეგეს შორის, მაშინ ნებისმიერი სახის ცვლილება მათ ურთიერთობაში, ნებისმიერი ძვრა აღმოჩნდება მხოლოდ ერთი ღერძის ირგვლივ. როგორც თოკის გაქაჩვის დროს, როდესაც ერთი მხარე ერთი მეტრით დაწინაურდება, მეორე მხარე ერთი მეტრით აგებს, შესაბამისად ნებისმიერი სიახლე, ასეთი ჩანაფიქრის კონფლიქტში, დაუყოვნებლივ საჭიროებს ნულოვანი თამაშის (zero-sum game) პრინციპით შეფასებას. მას მოაქვს წინასწარგამზადებული სტიმული, რათა გაიღო ძალისხმევა გამარჯვებისთვის ან გაამწვავო. ადამიანები, რომლებიც ჩართულნი არიან კონფლიქტში, საუბრობენ „მკაცრად“ და ხშირად იქცევიან „მკაცრად“, რადგან ისინი თამაშობენ იმ ბრბოსთვის, რომელიც მედიამ შექმნა.

პოლიტიკური ძალადობის ქმედებები რომ ამოვიღოთ კონტექსტიდან, შეგვრჩება მხოლოდ მომავალი ძალადობა, როგორც შესაძლო გამოხმაურება. სწორედ ამიტომაც არის ასეთი ცოტა ახალი ამბავი სამშვიდობო ინიციატივებზე – თუკი გამომწვევი მიზეზები არ ჩანს, მაშინ არც არაფერია გამოსასწორებელი. მხოლოდ ასეთი ფორმის გაშუქებისას მიეცემა აზრი ტერორიზმის ჩვენებას, რადგანაც ის შესაძლოა, გახდეს ომის წარმოების მიზეზი. და თუკი დაუცდით, როდის გააშუქებენ რაიმეს გამომწვევ მიზეზებსა თუ სამშვიდობო ინიციატივებს, სანამ ეს პოლიტიკური ლიდერებისათვის სასურველი დისკუსიის საგანი არ გახდება, შეიძლება ლოდინი დიდხანს მოგიწიოთ.

მშვიდობასთან დაკავშირებული მღელვარება, როგორც წესი, დაბალი საფეხურიდან იწყება. უფრო მეტიც, მთავრობის ხელში არის ბერკეტი, რომელიც სხვას არავის გააჩნია – სამხედრო ძალების გამოყენების კანონიერი უფლება.

სამშვიდობო ჟურნალისტიკა კი არსებობს, როგორც გამოსასწორებელი სტრატეგია და მცდელობა, შეავსოს ახალი ამბების კონვენცია, რათა მისცეს შანსი მშვიდობას.

<u>სამშვიდობო ჟურნალისტიკა</u>

- იძიებს კონფლიქტის ფორმირების ფონსა და შინაარსს, წარმოაჩენს რა მიზეზებს და ვარიანტებს ყველა მხრიდან (არა მხოლოდ ორი მხარისას);
- აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევს ყველა დაპირისპირებულ მხარეს, ყველა დონეზე;
- სთავაზობს კრეატიულ იდეებს კონფლიქტის გადაჭრის, განვითარების, მშვიდობის წარმოებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის;
- ააშკარავებს ტყუილებს, ფარულ მცდელობებსა და დამნაშავეებს ყველა მხარეს და ამჟღავნებს ყველა მხარის ხალხების ჩადენილ დანაშაულებს და მიყენებულ ტანჯვას;
- ყურადღებას აქცევს სამშვიდობო ისტორიებსა და ომისშემდგომ განვითარებას.

რეალობა და მისი ასახვა

სამშვიდობო ჟურნალისტიკა უფრო რეალისტურია იმ გაგებით, რომ ის ერთგულია უკვე არსებული რეალობის მიმართ, დამოუკიდებლად ჩვენი ცოდნისა და წარმოდგენისა მის შესახებ. ძალადობის გაშუქება მისი ფონისა და კონტექსტის გარეშე, არის მისი არასწორი წარმოდგენა, რადგან ყველა კონფლიქტი, საწყისში არის ურთიერთობა მხარეებისა, რომლებიც აყენებენ და მისდევენ შეუთავსებელ მიზნებს. ნებისმიერი მათი დისკუსიის გამოტოვება იწვევს ამბის დამახინჯებას.

ამავდროულად, სამშვიდობო ჟურნალისტიკა აცნობიერებს, რომ არ არსებობს ერთი სწორი ვერსია იმ რეალობისა, რაზეც ყველა შეთანხმდება. ჩვენ გარესამყაროს აღვიქვამთ მესიჯებისა და ხატების გზით, მათ შორის – ახალი ამბების მიერ მოწოდებულს, შემდეგ კი – მათი კოდებად დანაწილებით, რომელთაც ვავითარებთ ცხოვრების მანძილზე და გვაქვს გონებაში. ასახვის არც ერთი ქმედება არ არის სრულყოფილი, ვიდრე ის არ იქნება მიღებული ან გაშიფრული. გაშიფვრა არის ის, რასაც ავტომატურად ხშირად ვაკეთებთ, რამდენადაც ყველაფერი, რასაც ვკითხულობთ, გვესმის და ვხედავთ, არის ძალიან ნაცნობი. პროპაგანდა სწორედ ამას ეფუძნება – აზრის ჩამოყალიბებას, რომ სადამ ჰუსეინი არის „ცუდი კაცი“, ან „მასობრივი განადგურების იარაღები“, როგორც „საფრთხე“, ეს კი ქმნის პრიზმას, რომელშიც განიხილება ყველა მომდევნო თუ წინა რეალობა.

ჟურნალისტიკა ხშირად მარტივი ნადავლია მსგავსი ძალისხმევისა, რადგან ზოგადად ის არ გვიბიძგებს, რომ გავლენა ვიქონიეთ მათ არჩევანზე, ზემოხსენებული მიზეზების გამო. ცნობილი ამერიკელი წამყვანი უოლტერ ქრონკიტი, CBS-ის საღამოს საინფორმაციო გამოშვებას ასრულებდა წინადადებით: that's the way it is – „და აი, ასეა ყველაფერი“. საინტერესოა, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი, მაგრამ როგორც წესი, ახალი ამბების გამოშვებები ასეთი საკითხებით არ ინტერესდებიან.

კომუნიკაციის სტუდენტები მიხვდებიან, რომ ბოლო რამდენიმე აბზაცი მოკლე ვერსიაა მიღების თეორიისა. ამ შესავლის წერისას, უარი ვთქვი აკადემიურ წყაროებზე. დიახ, მეგობრებო, კლიშეები სიმართლეა, მედიამკვლევარები ხშირად არიან შავებში ჩაცმული (რასაც მათ წინააღმდეგ არ გამოვიყენებთ) და მრავალმარცვლიან სიტყვებს საუზმეზე მიირთმევენ (ეს შეიძლება გამოვიყენოთ). თუმცა ღირს ერთი ცნობილი აფორიზმის ციტირება, რომელიც ერთ ჭკვიან და განსაკუთრებულ მკვლევარს, გაი ტაჩმენს (Gaye Tuchman) ეკუთვნის: „ასახვითი კონვენციების მიღება, როგორც ფაქტობრივისა, რეალობას მანიპულაციებისგან დაუცველს ხდის“.

ასე რომ, სამშვიდობო ჟურნალისტიკა სიმართლის მხარესაა, ისე, როგორც ნებისმიერი უნდა იყოს. რაღა თქმა უნდა, რეპორტიორებმა იმდენად სწორად უნდა გააშუქონ ფაქტები, როგორც შეუძლიათ, მაგრამ უნდა დაისვას კითხვა: როგორ გადააწყდნენ ისინი ამ კონკრეტულ ფაქტებს და პირიქით, ფაქტები როგორ მივიდნენ ჟურნალისტებამდე. თუკი მუდმივად ერთი და იგივე ფაქტებია ან ერთმანეთის მსგავსი, მაშინ უნდა შემუშავდეს პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდება მნიშვნელოვანი ამბების ან მნიშვნელოვანი ამბის ნაწილების მოძიება. ასევე, რეპორტიორი უნდა ეცადოს, რომ შეგვიშვას ჩვენ, დანარჩენები, ამ პროცესში. სამშვიდობო ჟურნალისტიკას აქვს უამრავი რეპლიკა და მინიშნება, რათა გვიბიძგოს და მოგვამზადოს საიმისოდ, რომ

ჩვენ მიერ წაკითხულის გაანალიზება შევძლოთ, ავხსნათ სხვადასხვა მნიშვნელობები, აღმოვაჩინოთ პროპაგანდა და ა.შ.

ნამდვილად შეუძლიათ ჟურნალისტებს ამის კეთება ან აკეთებენ ამას? ბოლო დროს მკვლევრებმა დაიწყეს დღეს არსებული სამშვიდობო ჟურნალისტიკის ოდენობის გაზომვა. სავარაუდოდ, არ არსებობს ისეთი ჟურნალისტური მასალა, რომელიც ამჟღავნებს ზემოხსენებულ ხუთივე მახასიათებელს, თან, იმავდროულად, თავს არიდებს საშიშ ენას, იარლიყების მიკერებას და ა.შ. თუმცა განსხვავებები არსებობს და ისინი გაზომეს. საკმაოდ დიდი დოზითაა სამშვიდობო ჟურნალისტიკა გაზეთში, რომელშიც მე ვმუშაობდი – *Independent,* ლონდონის გამოცემა.

დაბოლოს – რა თქმა უნდა, არსებობს დამოუკიდებელი მასობრივი მედია, რომელიც შენდება ინტერნეტ პლატფორმაზე, ისეთ ტრადიციებზე დაყრდნობით, როგორიც წარმოიშვა ალტერნატიული გაზეთებისა და საზოგადოებრივი რადიოსადგურების მიერ.

ახალგაზრდები მშვიდობის მშენებლობაში

გოგა აფციაური

სტამბოლის ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელშიც ქართული და ოსური სამოქალაქო საზოგადოების წევრები მონაწილეობდნენ, ცხინვალიდან ერთი ახალგაზრდა გოგონა იყო ჩამოსული. შეხვედრის დროს აქტიურობით არ გამოირჩეოდა. ჩვენი დისკუსია არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის პერსპექტივას ეხებოდა. გოგონა ჩვენს საუბრებს ყურადღებით ისმენდა. განსაკუთრებით საქართველოდან ჩასულ მონაწილეებს გვათვალიერებდა. ჩვენი გამოსვლების დროს თვალებს ჭუტავდა და ისე გვაკვირდებოდა. ვერ ვხვდებოდი, ეს თვალების მოჭუტვა უკიდურესი სიძულვილის გამოხატულება იყო თუ ინტერესის. რამდენიმე დღეში გოგონა შედარებით გაიხსნა. საღამოობით არაფორმალურ შეხვედრებს ვმართავდით და სამუშაო ჯგუფის წევრები ერთმანეთს სხვადასხვა ამბებს ვუყვებოდით. ასეთ გარემოში ადამიანები უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს. შეხვედრის დასასრულს ამ გოგონას ინტერვიუსთვის მივმართე. ჯერ მთხოვა, დიქტოფონი არ ჩამერთო და საკუთარ შთაბეჭდილებას ჩაწერის გარეშე გამიზიარებდა. ამ წინადადებაზე დავთანხმდი. მან თქვა, რომ ასეთ შეხვედრაზე პირველად იყო, ქართველებიც პირველად ნახა და დარწმუნდა, რომ თურმე ჩვენ კაციჭამიები არ ვყოფილვართ. ამის შემდეგ აუდიოჩამწერის

წინ მითხრა: კონფლიქტების მოგვარების საქმეში დიალოგს ალტერნატივა არ გააჩნია და საზოგადოების წარმომადგენლებმა სწორედ დიალოგით უნდა მიაღწიონ ნდობის აღდგენასო.

ამ გოგონას სიტყვები ხშირად მახსენდება. რატომ ეგონა ქართველები კაციჭამიები და სისხლისმსმელები? პრინციპში, პასუხის მოძებნა არც გამჭირვებია. იზოლირებულ საზოგადოებაში, სადაც პროპაგანდა გამუდმებით მტრის ხატს ქმნის, ადამიანს შეიძლება, ასეთი წარმოდგენა ადვილად გაუჩნდეს. პროპაგანდა ქმნის სტერეოტიპებს და მერე საზოგადოებაც ამ სტერეოტიპებით ცხოვრობს. კანიბალი ქართველების მითიც რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობის პროპაგანდამ შექმნა. თუმცა, სტერეოტიპების შექმნაში მათ არც ქართული პროპაგანდა ჩამორჩებოდა.

ამ საინფორმაციო ომში სულ უფრო მეტი ადამიანის გონება ირეცხებოდა და ბინძურდებოდა. დღესაც ქართული მედიით ხშირად მოისმენთ სტერეოტიპებს გამტაცებელი, კრიმინალი, ზარმაცი და მარიონეტი ოსების შესახებ. ოსური მედია კი ქართველების სისასტიკეზე, ფაშიზმზე, „სააკაშიზმზე“ და კიდევ ათას „იზმზე“ წერს. პროპაგანდით მოწამლული საზოგადოების ყველაზე ემოციური და მგრძნობიარე ნაწილი ახალგაზრდებია. ახალგაზრდები იშვიათად მონაწილეობენ სამშვიდობო პროცესებში. ეს სფერო თითქოს მონოპოლიზებული აქვთ ერთსა და იმავე არასამთავრობო ორგანიზაციებს და შეხვედრებზეც ერთი და იგივე სახეები ჩანან. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც. არიან ორგანიზაციები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სამოქალაქო დიალოგის ფორმატში ჩართული ახალგაზრდები უფრო მეტ შედეგს მოიტანენ. ბოლოს და ბოლოს იმ სტერეოტიპებს მაინც დაამსხვრევენ, რაც იზოლირებულ საზოგადოებებში ჩნდება. თუმცა, სტერეოტიპების დამსხვრევა მარტო პირისპირ შეხვედრებით შეუძლებელია. ამისათვის აუცილებელია განათლება, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის გადამზადება სამოქალაქო განათლების მიმართულებით.

მახსენდება ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის პროექტი, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები – ადამიანის უფლებათა ცენტრი და „მრავალეროვანი საქართველო“ აფხაზ, ოს, სომეხ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად კავკასიაში ახორციელებს. წინასწარ შერჩეულ ჯგუფებს, რომლებიც ჟურნალისტებისგან, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან და სტუდენტებისგან შედგებოდა, უტარდებოდათ ტრენინგები ადამიანის უფლებებზე, სამშვიდობო პროცესებზე, კულტურათა შორის ურთიერთობებზე, ტოლერანტობაზე და ა. შ. პროექტის იდეაა, რომ ამ ახალგაზრდებმა მომავალში მოლაპარაკების მაგიდასთან ადგილი დაიკავონ და ახლა დაწყებული სწორი განათლების მიღებით შემდგომში ჩატეხილი ხიდების მშენებლობას ჩაეყაროს საფუძველი.

ტოლერანტობა ვახსენე. შეიძლება ვინმე შემეკამათოს – კავკასიაში ტოლერანტობას რა სწავლა უნდა, ეს ხომ ისედაც ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარიო? არადა, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ტოლერანტულები რომ ვყოფილიყავით, ამდენი კონფლიქტი გვექნებოდა კავკასიაში? ტოლერანტობა უფრო სუფრის სადღეგრძელოებში შემოგვრჩა, რაც რეალურად ულტრანაციონალისტურმა იდეებმა ჩაანაცვლა, რისთვისაც განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობა და, ზოგადად, განსხვავებული აზრის მიუღებლობა იყო მთავარი. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ისევ მრავლად არიან ნაციონალისტური და მილიტარისტული იდეების მიმდევრები და მათ თუ პროპაგანდაც ზურგს უმაგრებს, ახალგაზრდების გადაბირება უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენს. ახალგაზრდები ამ იდეებს პატრიოტიზმის მუხტით უერთდებიან და ხშირად, ალბათ, ვერც არჩევენ, რა არის რეალურად პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი. ამიტომ, რაც შეიძლება მეტი უნდა ველაპარაკოთ და ვასწავლოთ ტოლერანტობა, განსხვავებული ცნობიერების ადამიანების დაფასება.

მახსენდება კიდევ ერთი პროექტი – ბათუმში „კავკასიურმა სახლმა“ კონფლიქტების საზაფხულო საერთაშორისო უნივერსიტეტი მოაწყო. მოწვეული იყვნენ ახალგაზრდები ევროპის ქვეყნებიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, მოლდოვადან, დნესტრისპირეთიდან და საქართველოდან. მათთან ერთი კვირის განმავლობაში საერთაშორისო დონის კონფლიქტოლოგები მუშაობდნენ. გაიარეს მსოფლიოში არსებული კონფლიქტების ისტორია, განვითარება და მათი მოგვარების გზებზე დღეს არსებული ვითარება – დაწყებული ჩრდილოეთ ირლანდიიდან, დამთავრებული კვიპროსის კონფლიქტით. ახალგაზრდებს წარმოდგენა შეექმნათ იმ დაპირისპირებებზე, რომლებიც არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარდა. აქედან გამომდინარე, ისინი ადარებდნენ მათ რეგიონებში არსებულ კონფლიქტებს და მსჯელობდნენ მოგვარების გზებზე. თუ, მაგალითად, გადავხედავთ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს და მათ საქართველოში არსებულ კონფლიქტებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ დინამიკა ჩვენთან უფრო შესამჩნევია, ქართველი, აფხაზი და ოსი სამოქალაქო აქტივისტები უფრო ინტენსიურად თანამშრომლობენ, ვიდრე ეს აზერბაიჯანის და სომხეთის შემთხვევაში ხდება.

ჩვენ, ქართული საზოგადოების წარმომადგენლებმა, ხშირად უნდა დავსვათ კითხვა – რა ვიცით ჩვენი კონფლიქტების შესახებ? თუ ამ კითხვით გამოკითხვასაც ჩავატარებთ, ვნახავთ, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ბევრი არაფერი იცის არც აფხაზეთის და არც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შესახებ. ამას ვარაუდის დონეზე არ ვამბობ. ერთ-ერთი რეპორტაჟის მომზადებისას ასეთი გამოკითხვა მართლაც ჩავატარე და აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდები კონფლიქტების მიმართ ინტერესს კარგავენ და მხოლოდ

ოჯახის წევრებისგან და ახლობლებისგან იციან, რა ხდებოდა 90-იანი წლების საქართველოში. შესაბამისად, მათი წარმოდგენები უფრო მითებით და ლეგენდებით არის გაჯერებული. ამიტომ ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ როგორც საკუთარი, ისე სხვა კონფლიქტების შესწავლას, რათა ახალგაზრდებს სწორი წარმოდგენა შეექმნათ, მიეცეთ შედარების საშუალება და ამ კონფლიქტების მოგვარების გზებზეც დაიწყონ ფიქრი. გარდა ამისა, ქართველი, აფხაზი და ოსი ახალგაზრდებისთვის ერთობლივი ტრენინგების, დისტანციური სწავლების და სხვა კონფლიქტების ზონებში ერთობლივი ტურების პრაქტიკაც უნდა დაინერგოს.

2014 წლის ზაფხულში, 17 დღის განმავლობაში, ქართველმა და ოსმა სტუდენტებმა ავტობუსით ერთად იმოგზაურეს თურქეთში, საბერძნეთში, მაკედონიაში, სერბეთსა და კოსოვოში, სადაც ადგილობრივ სტუდენტებს, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებს შეხვდნენ. მათ ისაუბრეს კონფლიქტების მოგვარების პრობლემებზე. გადაიღეს ფილმი. ფილმშიც ეს ამბებია მოთხრობილი. პროექტის კოორდინატორი, ორგანიზაცია მეგობრობის ხიდის – „ქართლოსის“ – წარმომადგენელი გიორგი სტეფნაძე ამბობს, რომ ქართველმა და ოსმა ახალგაზრდებმა ამ მოგზაურობისას ერთმანეთი უკეთ გაიცნეს და ევროპაში არსებული კონფლიქტების შესახებ მეტი ინფორმაცია მიიღეს.

მოგზაურობიდან დაბრუნებულმა პროექტის მონაწილეებმა თანატოლებს შთაბეჭდილებები გაუზიარეს. მოეწყო დისკუსიაც ქართულ-ოსური ურთიერთობებისა და ოს ახალგაზრდებში არსებული განწყობების შესახებ. პროექტის მონაწილე მანო სვანიძე ამბობს, რომ ოს თანატოლებთან ბევრი საერთო აღმოაჩინა, მეგობრები შეიძინა და ბევრი სტერეოტიპიც დაამსხვრია.

„ერთ გოგოსთან ერთად მუსიკა ჩავწერე. სულიერი მეგობრები აღმოვაჩინე. ეს ყველაფერი პროექტშივე მთავრდება ხოლმე, მაგრამ ახლა ამდენი თვე გავიდა და ისევ მიხარია ამ ადამიანებთან კომუნიკაცია. ახალ წელს ერთად შეხვედრა გვინდოდა ჩეხეთში, მაგრამ არ გამოგვივიდა, ფული არ გვქონდა, მაგრამ ერთად ყოფნა რომ გვინდოდა, ეს უკვე რამდენს ნიშნავს!“ – ამბობს მანო სვანიძე.

ქართველი სტუდენტები ამბობენ, რომ ოს ახალგაზრდებთან ურთიერთობა პროექტში არ დასრულებულა და ინტერნეტით დღემდე აგრძელებენ მეგობრობას. პროექტის მონაწილე ნინო სამხარაძის თქმით, კონკრეტულ მონაწილეებთან ურთიერთობა იმდენად გაღრმავდა, რომ უკვე ერთმანეთს ეპატიჟებიან და სხვადასხვა აქტივობას გეგმავენ.

„გამოვყოფდი ერთ-ერთ მონაწილე გოგონას, რომელიც ახლა რუსეთში სწავლობს. მასთან მუდმივად გვაქვს მიმოწერა. ძალიან დიდი სურვილი აქვს,

რომ ჩამოვიდეს ჩვენთან, ერთხელ სცადა კიდეც, მაგრამ დაბრკოლება შეხვდა იქაური ხელისუფლების მხრიდან და შეეშინდა ამ ნაბიჯის გადადგმის“, – გვითხრა ნინო სამხარაძემ.

ცოტა ხნის წინ ვენაში ეუთოს მიერ მოწყობილ კონფერენციაზე ვიმყოფებოდი, სადაც კონფლიქტის ზონებში ჟურნალისტების უსაფრთხოებასა და საზოგადოებაზე პროპაგანდის გავლენის შესახებ ვმსჯელობდით. რუსეთ-უკრაინის კრიზისის ფონზე ამ ქვეყნების ჟურნალისტები ურთიერთბრალდებებით გამოდიოდნენ. ამ კონფერენციის მსვლელობისას მივხვდი, რომ ომის პირობებში ჟურნალისტები ვერ იცავენ მიუკერძოებლობას და საინფორმაციო ომში ერთვებიან. საინფორმაციო ომი კი პროპაგანდაა და აქ უკვე აღარ რჩება ადგილი პროფესიონალური ჟურნალისტიკისთვის. ზოგიერთ ჩემს ახალგაზრდა კოლეგას მიაჩნია, რომ პროპაგანდას პროპაგანდითვე უნდა ებრძოლო, მაგრამ გრძელვადიან შედეგზე არავინ ფიქრობს. სტერეოტიპები და მტრის ხატი ხომ საზოგადოებას აგრესიულს ხდის და ეს აგრესია, ადრე თუ გვიან, ისევ ქვეყნის შიგნით ხდება საშიში.

დღეს მსოფლიო თანამეგობრობა ფიქრობს, რა დაუპირისპიროს პროპაგანდას, რომელსაც დიდი ფინანსური რესურსი აქვს. ამ დიდი სიძულვილის მანქანის ღრიალში იკარგება ნამდვილი პროფესიონალური ჟურნალისტიკის ხმა. გამოსავლის მოძებნაზე ცოტას ვლაპარაკობთ. არადა, ყველამ ისედაც ვიცით, რომ პირველ ტყვიას ჯარისკაცი არ ისვრის. პირველ ტყვიას პროპაგანდა უშვებს საინფორმაციო ლულიდან. სამშვიდობო ჟურნალისტიკა – ეს არ არის ცალკე მიმართულება მედიაში, ეს არის კეთილსინდისიერი, სამართლიანი და მაღალპროფესიონალური ჟურნალისტიკა.

საქართველოში ევროკავშირმა და ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტმა უკვე დაიწყეს იმ ჟურნალისტების მხარდაჭერა, ვინც მშვიდობაზე და სამშვიდობო პროცესებზე წერენ. შარშან გამოცხადებულ კონკურსში ქართველების გარდა აფხაზი და ოსი ჟურნალისტებიც მონაწილეობდნენ. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვთანამშრომლობთ და ვცდილობთ, სიძულვილის ენა დავძლიოთ. მართალია, ჯერჯერობით ცოტანი ვართ, მაგრამ თუ საერთაშორისო მხარდაჭერა უფრო გაძლიერდება, ჩვენც გავმრავლდებით და ამით იქნებ ასე გაძლიერებული პროპაგანდის გავლენაც შევამციროთ. ამ საქმეში კი განსაკუთრებულია ახალგაზრდა ჟურნალისტების როლი, რომლებსაც გადამზადება სჭირდებათ. რამდენიმე წლის წინ აფხაზ და ოს კოლეგებთან ერთად კვიპროსში ვიმყოფებოდი. მათთან ერთად ვსწავლობდი იქაური კონფლიქტის თავისებურებებს. ჟურნალისტების ნაწილი ცხინვალში, სოხუმში და თბილისში ვთანხმდებით, რომ სიძულვილის ენით არ უნდა ვწეროთ და სტერეოტიპების დამკვიდრებას არ

უნდა შევუწყოთ ხელი, მაგრამ ყველა ჩვენს კოლეგას ეს ჯერჯერობით არ ესმის.

ყველა პრობლემის გასაღები განათლებაშია. კონფლიქტების მოგვარების გზებსაც განათლებული ახალგაზრდები იპოვიან. ეს სტატია ქუთაისის მე-14 სკოლის მოსწავლის, ლუიზა კაცაძის სიტყვებით მინდა დავამთავრო, რომელმაც მშვიდობის თემაზე გამოცხადებულ ესსეების კონკურსში გაიმარჯვა. ლუიზა წერს: „ჩემთვის მშვიდობა ბავშვის გულწრფელი ღიმილია. აი, როგორი ღიმილი, იცით? გულიდან წამოსული, მთელი გრძნობა და ემოცია რომ არის ჩაქსოვილი, ისეთი. ჩემთვის მშვიდობა ბედნიერი მოხუცია, შვილიშვილების მზერით გახარებული, ბედნიერი მოხუცი... ჩემთვის მშვიდობა ოჯახია, აი, ისეთი ოჯახი, ყველას უსიტყვოდ რომ ესმის ერთმანეთის... ყველა გაიძახის – „მსოფლიოში მშვიდობა ძალიან გვინდა“, მაგრამ სინამდვილეში, ალბათ, ძალიან ცოტას თუ უფიქრია, ჩვენ თავად რომ ვქმნით ჩვენს მშვიდობას... დიახ, ყველას შეუძლია შექმნას მშვიდობა, პატარ-პატარა ბედნიერებებით... და მაინც... რა ფართო ცნებაა მშვიდობა და რა პატარა შინაარსი აქვს ზოგიერთისთვის“.

თავი 5

შერიგების მცდელობები

რატომ ვუხდი ბოდიშს აფხაზ ხალხს – არჩევანი საქართველოსთვის: ქართული შოვინიზმი თუ აფხაზეთი?

უჩა ნანუაშვილი, კამპანია „ბოდიშის“ ინიციატორი საქართველოში

დიალოგი – არასათანადოდ შეფასებული ინსტრუმენტი მშვიდობის მშენებლობაში

სტეინარ ბრინი, ნანსენის მშვიდობისა და დიალოგის ცენტრი

გარდამავალი მართლმსაჯულება და შერიგება ბოსნია-ჰერცოგოვინაში

როლანდ კოსტიჩი, ჰიუგო ვალენტინის ცენტრი, უპსალას უნივერსიტეტი

რატომ ვუხდი ბოდიშს აფხაზ ხალხს – არჩევანი საქართველოსთვის: ქართული შოვინიზმი თუ აფხაზეთი?

უჩა ნანუაშვილი, კამპანია „ბოდიშის“ ინიციატორი საქართველოში

კამპანია „ბოდიში“ 2007 წლის მარტში დაიწყო. ბოდიშის თქმა არ არის ადვილი, ხშირად – არც მისი მიღება.

კამპანია „ბოდიშით“ ჩვენ ვცდილობთ, შეიცვალოს ქართველ და აფხაზ ხალხს შორის ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ურთიერთობის ფორმები. კამპანია „ბოდიში“ თავისი არსით აპოლიტიკური, ომის საწინააღმდეგო მოძრაობაა, რადგან მიგვაჩნია, რომ მშვიდობიან დიალოგს ალტერნატივა არა აქვს.

„ბოდიშის“ მთავარი მიზანი ქართველ და აფხაზ ხალხს შორის ნდობის აღდგენა და საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევაა. ჩვენ გვინდა, ყველა დავაფიქროთ ომის საშინელებასა და იმ შეცდომებზე, რომელიც დავუშვით.

როდესაც წყალში კენჭს ჩააგდებ, წრე თავისით იკვრება. ვფიქრობთ, ერთი ასეთი კენჭის როლს „ბოდიშის კამპანიაც“ შეასრულებს“.

ამ სიტყვებით იხსნება კამპანია „ბოდიშის“ ვებ-გვერდი www.apsni.org. ამ თემაზე ბევრი დაიწერა, ბევრი ითქვა, ძირითადად მაინც ინტერნეტ–სივრცეში და საჯარო დისკუსიებში, რადგან წამყვანი მედია (მათ შორის ზოგიერთი ე. წ. დამოუკიდებელი) სისტემატიურად ბლოკავდა ამ თემაზე ინფორმაციის გავრცელებას. მოწინააღმდეგენი კი არათუ კამპანიას, არამედ ამ თემაზე დისკუსიის იდეასაც კი გამოუჩნდნენ. და მაინც, რატომ ვუხდი ბოდიშს აფხაზ ხალხს? მინდა, ეს თემა ცოტა გავშალო, რათა ერთად დავფიქრდეთ იმ შეცდომებზე, რამაც მოგვიყვანა იმ მდგომარეობამდე. ეს შეცდომები ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ გაგვისიგრძეგანებია და კვლავინდებურად ვაგრძელებთ მითების სამყაროში ცხოვრებას. ქართველები – ქართული მითების, აფხაზებიც – ასევე საკუთარი მითების სამყაროში.

არარსებული დიალოგი

დღეს ქართველი ხალხი მოკლებულია შესაძლებლობას, პირდაპირ დაელაპარაკოს აფხაზ ხალხს და პირიქით.

მრავალი წელია, ხელისუფლებაში თუ მის გარეთ არსებული დესტრუქციული ძალები შეგნებულად ატყუებენ ქართულ საზოგადოებას და მიზანმიმართულად არიდებენ თავს პირდაპირ დიალოგს. მოლაპარაკებების პროცესი ხელოვნურადაა ჩაშლილი. ხალხს წლების განმავლობაში უნერგავდნენ და ახლაც უნერგავენ აზრს, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკებები ჩიხშია შესული, კონფლიქტის გადაჭრის ერთადერთი გზა კი ომია. და ეს

ხდება მაშინ, როცა სამშვიდობო მოლაპარაკებები, პრაქტიკულად, არც დაწყებულა. წლების განმავლობაში მსგავს პოლიტიკას აწარმოებდა შევარდნაძე, ხოლო ვარდების რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით 2005 წლიდან – სააკაშვილი. იგივე აზრს უტრირებას უკეთებდა თითქმის ყველა წამყვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალა საქართველოში.

სამწუხაროდ, პოლიტიკოსები მათთვის მინდობილ საქმეს ცუდად ან საერთოდ ვერ აკეთებენ. სწორედ მათი ცუდი მუშაობის შედეგია სიტუაციის უკიდურესი დაძაბვა, საზოგადოება კი, ისევე როგორც წლების წინ, ამ შეცდომებზე საკუთარი სიცოცხლისა და სისხლის ფასად აგებს პასუხს. ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ უნდა გახდეს ჩვენი ხალხი პოლიტიკოსთა ბინძური თამაშების მსხვერპლი?

ქართველი და აფხაზი ხალხების დაკვეთა არის მხოლოდ მშვიდობა და დიალოგი. რატომ არ შეუძლიათ ეს გაითავისონ იმ ძალებმა, ვინც საკუთარ თავს მათი ნების გამომხატველად მიიჩნევს? გარეგნულად, ამას ყველა აღიარებს, მაგრამ რა ხდება სინამდვილეში?

ვის დაკვეთას ასრულებენ პოლიტიკოსები?

პოლიტიკოსები ვალდებულნი არიან, ხალხის დაკვეთა შეასრულონ და ყველაფერი გააკეთონ, რათა ხალხს შესთავაზონ გამოსავალი – გამოსავალი, რომელიც ჩიხიდან გამოგვიყვანს ყველას და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას ახალ ფაზაში გადაიყვანს. სამწუხაროდ, პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი ყველა მხრიდან ნაკლებად გამოხატავს მოსახლეობის ინტერესებს. თუმცა, მათ მითვისებული აქვთ საკუთარი ხალხის და ქვეყნის სახელით საუბრის უფლება. ხალხის აზრი, როგორც ყოველთვის, იგნორირებულია. ხალხისთვის არავის უკითხავს უნდოდათ თუ არა ომის დაწყება აფხაზეთში 17 წლის წინ. იმ ბანდებს კი, რომლებიც აფხაზეთს, მანამდე კი რამდენჯერმე სამეგრელოს შეესივნენ, ერქვათ საქართველოს შენაერთები და მოქმედებდნენ საქართველოს სახელმწიფოს სახელით. საქართველოს სახელმწიფოს სახელით ხდებოდა არაერთი ინციდენტის პროვოცირება.

საინფორმაციო ვაკუუმი და მედია კონფლიქტის გაღვივებაში

დღეს ჩვენ – ქართველებმა და აფხაზებმა გაცილებით მეტი ვიცით, რა ხდება შორეულ ქვეყნებსა და კონტინენტებზე, ვიდრე ერთმანეთის შესახებ. უკვე წლებია, მიმდინარეობს საინფორმაციო ომი ქართველი და აფხაზი ხალხების წინააღმდეგ. მოსახლეობას მაქსიმალურად გაფილტრული ინფორმაცია მიეწოდება, უმეტეს შემთხვევაში – მხოლოდ დეზინფორმაცია. ყოველდღიურად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხდება დაუსრულებელი ტყუილების ტირაჟირება, მიმდინარეობს მტრის ხატის

შექმნა და ამას დასასრული არ უჩანს. ხალხი კი, რომელსაც არ გააჩნია ინფორმაციის მიღების ალტერნატიული წყარო, სამწუხაროდ, ამ დეზინფორმაციას იჯერებს. მხოლოდ ერთეულებმა იციან, რომ ტელეეკრანზე გასული სიუჟეტების უმრავლესობა ან საერთოდ მოგონილია, ან მასში მხოლოდ ნაწილია სიმართლე. სასურველია, მოსახლეობა დაფიქრდეს, სანამ კონფლიქტური ზონიდან მოსმენილ ინფორმაციას დაიჯერებს. ჩვენ მხოლოდ მცირე რაოდენობის ინფორმაციის გადამოწმება შევძელით, თუმცა ეს საკმარისია, დავრწმუნდეთ, რომ ხელისუფლება წარმატებით ახდენს მცდარი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, ინფორმაციით მანიპულირებას, არ ერიდება ფაქტების დამახინჯებას და დეზინფორმაციის გავრცელებას, რაც ბუნებრივად აისახება კონფლიქტის ესკალაციაზე. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ე. წ. ჟურნალისტები, რომლებიც ზოგჯერ არაკვალიფიციურობის გამო ავრცელებენ არაობიექტურ ინფორმაციას, ზოგჯერ კი სრულიად მიზანმიმართულად აყალბებენ სინამდვილეს და ხალხს ხელისუფლების მიერ დაკვეთილი დეზინფორმაციით კვებავენ.

დღეს მთელი ქართულ-აფხაზური პოლიტიკა აწყობილია ურთიერთბრალდებებზე, რომელსაც ხელისუფლება განსაკუთრებით არჩევნების წინ პიარისთვის მიმართავს, ხშირად კი მნიშვნელოვანი მოვლენების გადაფარვის მიზნით. გავიხსენოთ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ხურჩის ინციდენტის ინსპირირება. საგულისხმოა, რომ ამაში საქართველოს ხელისუფლებას არ ეკუთვნის საავტორო უფლება. გასული წლის თებერვალში სომხეთის ხელისუფლებამ იგივე მეთოდი გამოიყენა არჩევნების ფალსიფიკაციის გადაფარვის მიზნით – ყარაბაღის მოსაზღვრე რაიონებში ინტენსიური სროლები მიმდინარეობდა.

სახეზეა კონფრონტაცია, რის შედეგადაც, როგორც ყოველთვის, სწორედ მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებები ირღვევა. მტრის ხატი კიდევ უფრო ძლიერდება, როცა უბრალო, ჩვეულებრივ კრინიმალურ ამბავს, თუკი ის მოხდა კონფლიქტის ზონაში, ენიჭება მსგავსი კლასიფიკაცია – „აფხაზმა კრიმინალებმა“, „აფხაზმა ბანდიტურმა დაჯგუფებამ“, „ოსმა სეპარატისტებმა“ და ა. შ. ჩვენთვის ცნობილია ფაქტებიც, როცა ტელეკამერების წინ მოგონილი, გარკვეული ფრაზის გაჟღერების სანაცვლოდ რა ანაზღაურება მიიღეს რესპონდენტებმა. ანდა როგორ ხდება წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონის სოფლებში გადაღებული კადრების გასაღება გალის რაიონის სოფლების კადრებად.

ალბათ, დადგა დრო, ეჭვის თვალით შევხედოთ იმ ყველა ფაქტს და შეფასებას, რაც კი მოსმენილი გვაქვს ბოლო წლებში. გამოვიჩინოთ ურთიერთპატივისცემა და ყურადღება ერთმანეთის მიმართ. კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს აქვთ უფლება, განვითარდნენ და იცხოვრონ მშვიდობიანად. ახსოვს ვინმეს ეს ხალხი? გვახსოვს ის

ათეულათასობით ადამიანი, რომელიც ყოველდღიურად ცხოვრობს ამ ატმოსფეროში?

ვინ არიან აფხაზები ქართველებისთვის?

საკითხავია, რამდენად იჩენს ქართული საზოგადოება საკმარის ყურადღებას და პატივისცემას აფხაზი ერის მიმართ? ვართ თუ არა ჩვენ გულწრფელნი, როდესაც ვამბობთ, ვიცხოვროთ აფხაზებთან ერთად, როცა ელემენტარულ ურთიერთგაგებაზე წასვლა გვიჭირს. თუ ჩვენთვის აფხაზი ჩრდილოეთიდან მოსული სტუმარია, რომელიც „ჩვენს წმინდა მიწაზე ცხოვრობს და მადლობელნი უნდა იყოს, რომ საერთოდ ცოცხალია და ჩვენს ჰაერს სუნთქავს“. და რომ აფხაზურ ენაზე ბიბლიის თარგმნა ბევრისთვის, თურმე, დაუშვებელია. და რომ აფხაზი ქართველია და სინამდვილეში არავითარი აფხაზი არ არსებობს. იქნებ, როგორმე გავარკვიოთ, ვინ გადაწვა ომის დროს სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო არქივი და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი? ვაღიაროთ, რა გავაკეთეთ აფხაზური ენის, აფხაზური კულტურის გადასარჩენად. რამდენი ლარი დავხარჯეთ ამისთვის? რა გავაკეთეთ კონფლიქტის მოსაგვარებლად? რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის ბიუჯეტია მილიარდ ოთხას ოთხმოცდათოთხმეტი მილიონია, კონფლიქტების მოგვარების დარგში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა კი მხოლოდ 610 000 ლარი (დაახლოებით იგივე იყო სხვა წლებში)? რას ვაკეთებთ, რომ აფხაზეთი იყოს აფხაზური და აფხაზური ენა განვითარდეს?

კონსტიტუციით, აფხაზური ენა სახელმწიფო ენადაა გამოცხადებული აფხაზეთის ტერიტორიაზე. მაგრამ ამ 18 წელიწადში რამდენი წიგნი დაიბეჭდა აფხაზურად თბილისში? იქნებ ჩვენც ჩვენი წვლილი შეგვაქვს აფხაზეთის რუსიფიკაციაში?

რატომ იყურებიან აფხაზები რუსეთისკენ?

კიდევ უფრო შორს აღარ წავალთ, მკითხველისთვის ისედაც გასაგებია, როგორ მუშაობდა საბჭოთა კავშირი და მოგვიანებით რუსეთის ფედერაცია კონფლიქტების გაღვივებისთვის. როგორ მუშაობს იგი დღეს და ვინ ეხმარება მისი სცენარების ამუშავებას ადგილობრივ დონეზე. ამაზე საზოგადოებას ნელ–ნელა უკვე გაცილებით სწორი წარმოდგენა უყალიბდება.

ჯერ კიდევ სრულად არ შეფასებულა საბჭოთა კგბ-ს როლი როგორც ამ პროცესებში, ისე ეროვნულ მოძრაობაში, შეიარაღებულ გადატრიალებაში. რატომ დაიღუპნენ საეჭვო ვითარებაში ის ლიდერები, რომლებიც დიალოგს და პრობლემის მოგვარებას უწყობდნენ ხელს და ვითარდებოდნენ ის ძალები, რომლებიც კიდევ უფრო ართულებდნენ ისედაც რთულ და დაძაბულ

მდგომარეობას? მრავალ კითხვაზე პასუხი კვლავ არ არის. უახლესი ისტორია კი საერთოდ არ შეფასებულა. ლუსტრაციის კანონზე მიმდინარე ყველა პროცესი საეჭვოდ გაიყინა, ალბათ – არცთუ ისე შემთხვევით.

იქნებ, ღირს, დავფიქრდეთ, რატომ არიან აფხაზები მზად, რუსეთს სთხოვონ დახმარება – იმ რუსეთს, რომელსაც არაერთხელ სასტიკად ეომა მეცხრამეტე საუკუნეში და რომელმაც აფხაზების დიდი ნაწილი გადაასახლა, ნაწილი კი საერთოდ გაანადგურა. დღეს რუსეთის მხრიდან მე-19 საუკუნეში აფხაზების გენოციდზე არავინ საუბრობს. რატომ? როდესაც ვსაუბრობთ დეპორტირებული მაჰმადიანი მესხების უკან დაბრუნებაზე, აღარ გვახსოვს აფხაზი მუჰაჯირები? თუ საზოგადოება და ხელისუფლება ამბობს, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია, მაშინ რატომ არ ვართ თანმიმდევრულები? საქართველოში ვინმეს ახსოვს აფხაზების გენოციდი, რომელიც ყოველწლიურად 31 მაისს აღინიშნება? თუ ეს მართლა სულერთია ჩვენთვის?

აფხაზი მუჰაჯირების და ქართველი დევნილების დაბრუნება აფხაზეთში

ქართველებს და აფხაზებს საუკუნეების განმავლობაში გვქონდა ურთიერთობა. დღეს ჩვენ აფხაზებს არ ვუტოვებთ სხვა გზას, გარდა რუსეთისა. მუჰაჯირების შთამომავლები კვლავ დევნილობაში არიან. ახსოვს ისინი ვინმეს ქართულ საზოგადოებაში? ქართველ პოლიტიკოსებს? რომელ პარტიას ან საზოგადოებრივ ჯგუფს ახსოვს? აღარაფერს ვამბობ თანამდებობის პირებზე ან სახელმწიფო ორგანოებზე. უნდათ მათი პრობლემები გაიგონ და თუნდაც საუბარი დავიწყოთ მათ დაბრუნებაზე? ვართ მზად ამისათვის? ვართ მზად თუნდაც ქართველი დევნილების დაბრუნებისთვის? გვინდა ეს ნამდვილად, თუ ესეც მხოლოდ პოლიტიკური თამაშების და პიარის კომპონენტებია, რომელიც მაშინ წამოიწევს წინ, როცა სადღაც ვიღაცას დასჭირდება? 90–იანი წლების ბოლოს ბევრი გალელი დაბრუნდა უკან აფხაზეთში. ეს ტალღა იმდენად დიდი იყო, რომ საქართველოს ხელისუფლებას რეალურად შეეშინდა ამ პროცესის, რადგან ხელიდან ეცლებოდა ამ პრობლემის მართვის ბერკეტები და დაბრუნების პროცესი კვლავ გაიყინა. იქნებ დღესაც გვირჩევნია, დევნილები ასე გვყავდეს, არჩევნების წინ ხომ ასე ადვილია დაიმედებით და დაპირებებით მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მოპოვება დევნილ ელექტორატში. ახსოვს ვინმეს, თუნდაც ბოდიში მოუხადოს დევნილებს იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მათი დაცვა?! პირიქით, სწორედ ხელისუფლებამ წლების განმავლობაში დამამცირებელ მდგომარეობაში ჩააყენა ათიათასობით ადამიანი. როდის მოუხდის ბოდიშს ქართული სახელმწიფო აფხაზებს და ქართველ დევნილებს?

მუშაობა ქართველი დევნილებისა და აფხაზი მუჰაჯირების დაბრუნებაზე აფხაზეთში პარალელურად უნდა დაიწყოს. აფხაზების პროცენტული რაოდენობა უნდა გაიზარდოს. დევნილები უნდა დაბრუნდნენ. სხვანაირად აფხაზეთი ევროპისკენ გახედვას ვერ შეძლებს. ესეც რეალობაა ოცდამეერთე საუკუნეში.

რამდენი აფხაზური სიტყვა ვიცით?

ახსოვს ვინმეს თბილისში, ვინ არიან აფხაზები, რამდენმა კაცმა იცის თუნდაც ერთი აფხაზური სიტყვა. სიტყვა „ჰათამზაათ“ („ბოდიში“) ძალიან ბევრი ქართველისთვის ერთადერთი ნაცნობი სიტყვაა. გვინდა, მართლა დავალაგოთ ურთიერთობები აფხაზებთან? ვხედავთ რამეში ჩვენს ბრალს, რაც მოხდა და რაც ხდება? თუ ამაში ყველაფერში სეპარატისტები და რუსი ოკუპანტები არიან დამნაშავე? გასაგებია, რუსეთი ვინც არის და რაც სურს. გვინდა, გავიგოთ, რა ინტერესები აქვთ აფხაზებს, რას ფიქრობენ, რა აწუხებთ და რა აღელვებთ? იქნებ რაღაცაში მართლები არიან? იქნებ შევხედოთ აფხაზების თვალით პროცესებს? მაგრამ არა! ასეთ პოლიტიკას ხომ ჩიხში შეჰყავს დიდი ფარსი, რასაც რუსული სცენარი ჰქვია. ამ ფარსის განხორციელებაში საქართველოს ყველა ხელისუფლება მონაწილეობდა ზოგჯერ შეგნებულად, ზოგჯერ შეუგნებლად. ეს პოლიტიკა დიდი ხანია მუშაობს ჩვენს ქვეყანაში, მუშაობს ქართველების და აფხაზების წინააღმდეგ. მუშაობს მთავარი მოქმედი პირებით, ხილული და უხილავი „გმირებით“. ვინ იდგა ან ვინ დგას რეალურად ამ ადამიანების უკან? რომელი დაწესებულება? მათი დიდი ნაწილი კომფორტულად გრძნობს თავს და არც საკუთარ ნამოქმედარზე ფიქრი აწუხებს.

27 სექტემბერი – სოხუმის დაცემის დღე ქართველებისთვის, სოხუმის განთავისუფლების დღე აფხაზებისთვის

ვეკითხებით რომელიმე დედას, უნდა თუ არა კვლავ მმათამკვლელ ომში გაგზავნოს შვილი? ომში, რომელსაც არ ეყოლება გამარჯვებული, და დამარცხებულნი ვიქნებით ყველა. ომი, რომელიც აფხაზებისთვის იქნება საბოლოო განადგურების ტოლფასი, ქართული სახელმწიფოსთვის კი საბოლოო კრახი. ვიცით თუ არა, რომ 1992-1993 წლების ომში აფხაზების დაახლოებით 5 პროცენტი დაიღუპა? და თუ იგივე კიდევ განმეორდა, ომში გაიმარჯვებს მხოლოდ სხვა, ვინც მოვა და დასახლდება აფხაზთა და ქართველთა ნასახლარებზე. ბევრმა აფხაზურმა ოჯახმა დაკარგა ოჯახის წევრი ომში და მათ სურათს ნახავთ აფხაზეთში ყველა ოჯახში. ვინ არიან ეს ადამიანები საქართველოსთვის? ქართველებისთვის? მტერი? ორივე მხარეს საკუთარი გმირი და მტერი ჰყავს. რას იზამდა აფხაზების ადგილას

ქართველების უმრავლესობა, მათ სახლში რომ შეიარაღებული ბანდები შევარდნილიყვნენ? აიღებდა იარაღს თუ არა? ვიყოთ გულწრფელნი და გავიგოთ ერთმანეთის. 27 სექტემბერი აფხაზებისთვის სოხუმის განთავისუფლების დღეა, ქართველებისთვის – სოხუმის დაცემის. ამ მენტალიტეტით იზრდებიან ბავშვები ორივე მხარეს. ჭრილობები კი ჯერ კიდევ ღიაა და მოუშუშებელი. საკითხავია, მართლა გვინდა გავუგოთ აფხაზებს? შეიძლება თუ არა ოდესმე ეს დღე აღინიშნოს ერთნაირად?

მილიტარისტული ისტერია

ტელევიზიები ბოლო წლებში წალეკა ომის პროპაგანდამ, ომისადმი მოწოდებამ. იხარჯება ათასობით ლარი პროპაგანდისტულ კლიპებში, „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“ – აფხაზების გარეშე, თითქოს ცარიელ სოხუმში ჩასვლაზე დასასწრებად ერთმანეთს ეცილებიან „პატრიოტი“ მომღერლები (რა თქმა უნდა, პრეზიდენტის გამოსვლის გარეშე ხომ სიმღერაც არ იქნება?!). 50000–ლარიანი უგემოვნო მილიტარისტული ისტერია ფსოუს წყალზე. გვახსოვს ასევე თავდაცვის სამინისტროს დაფინანსებით ფაშისტური პროპაგანდა ტელეკომპანია „საქართველოს“ ეთერით – 2008 წლის ზაფხულში ჰიტლერის ციტატებით გაჯერებული გადაცემები *(„ერთხელ და საბოლოოდ უნდა შევიგნოთ, რომ დაკარგულ ტერიტორიებს ვერასდროს დავიბრუნებთ ვერც ფორმალობად ქცეული ლოცვით და ვერც ერთა ლიგის იმედით, არამედ მხოლოდ იარაღის ძალით. ჰიტლერი, 1932“)*...[84] და ეს ყველაფერი ჩვენს მიერ გადახდილი გადასახადებიდან ფინანსდებოდა.

რაც დავიჭირეთ ხელში ამ მილიტარისტული პოლიტიკით, ეს ყველასთვის ცხადია და აღარ გავაგრძელებ. სამწუხაროდ, შეცდომებზე სწავლა არ გვინდა. კვლავ იგივე წყალში შევდივართ. ხელისუფლება იგივე პოლიტიკას აგრძელებს. საზოგადოების უდიდეს ნაწილსაც იგივე განწყობები აქვს. მას უნდა იგივე, ოღონდ უკვე სხვა ლიდერის, სხვა პოლიტიკური გუნდის მეშვეობით.

ვის უნდა ომი?

ომისკენ მოუწოდებს ის, ვინც არ იცის, რა არის ომი და ვერ გეტყვის, ვის უნდა ვეომოთ და რატომ. რატომ უნდა დავუჯეროთ და ავყვეთ პროვოკაციაზე სხვა ძალას, რომელიც ქართველებსაც და აფხაზებსაც ადრეც გვამარაგებდა იარაღით, რათა ჩვენ ერთმანეთი დაგვეხოცა. და ახლაც უხვად გვამარაგებენ იარაღით დღესაც. მთავარია, ჩვენ ერთმანეთი დავხოცოთ.

[84] ეს სამარცხვინო ვიდეოკლიპი იხ. ლინკზე: http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=333&lang=Geo

დამატებით მილიარდობით მოგებაც განაღდებულია იარაღის ვაჭრობით, რის ცდუნებასაც ვერც რუსი და ვერც ქართველი ხელისუფალნი ვერ უძლებენ.

ჩვენ შეგვაჩვიეს ტელეეკრანებიდან სიცრუის მოსმენას ერთმანეთის შესახებ, ჩვენ შეგვაჩვიეს, რომ უნდა ვცხოვრობდეთ მუდმივი დაძაბულობის, შიშის და ტერორის ქვეშ. ჩვენ შეგვაჩვიეს ტერორისტულ აქტებს და სპექტაკლებს კონფლიქტის ზონაში. ჩვენ შეგვაჩვიეს მდგომარეობას, რომელიც არც ომია და არც მშვიდობა.

რას ნიშნავს დავიბრუნებთ აფხაზეთს? დავიბრუნოთ ტერიტორია თუ ხალხი?

და საერთოდ რას ნიშნავს, კარგად გაპიარებული ლოზუნგი – „დავიბრუნებთ აფხაზეთს“? დავიბრუნებთ აფხაზეთის მიწას, თუ აფხაზ ხალხს, მათთან ურთიერთობებს? ღირს თუ არა საერთოდ სისხლისა და სიკვდილის ქვეყანაში დაბრუნება? რა უნდა ქართულ საზოგადოებას? რევანში თუ ნორმალური ურთიერთობა აფხაზ ხალხთან?

სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ომი ცხინვალში არ ყოფილა მხოლოდ პოლიტიკური ელიტების ომი. საზოგადოებისა და პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი მხარს უჭერდა მას. ომის საწინააღმდეგო გამოსვლებს არანაირი მხარდაჭერა არ ჰქონია თვით სამოქალაქო საზოგადოებაშიც კი. სამწუხაროა ისიც, რომ 2008 წლის ივლისში ქართულ არასამთავრობოთა დიდმა ნაწილმა ომის საწინააღმდეგო განცხადებაზე ხელის მოწერას თავი აარიდა.

და დროა, კიდევ ერთხელ დავუსვათ ჩვენ საკუთარ თავს კითხვა: რა გვინდა ჩვენ აფხაზეთში – ომი თუ მშვიდობა? თუ ომი – გასაგებია, ვინ ვიქნებით ომის შემდეგ. და თუ მშვიდობა, მაშინ იქნებ გვეფიქრა ერთმანეთზე, გვეფიქრა მომავალზე.

„არ არსებობს გზა მშვიდობისკენ. მშვიდობა თვითონაა გზა“.

ბოდიში

ხომ არ აჯობებდა, ერთმანეთისთვის მართლა მოგვებოდიშებინა და მიგვეტევებინა წარსულის შეცოდებანი და შეცდომები? ხომ არ სჯობს, ყურადღებით მოვეკიდოთ ერთმანეთის ტკივილებს, გავუგოთ ერთმანეთს და ვთქვათ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ჩვენ, ქართველები, არ დავუშვებთ ომს აფხაზებთან. ასევე, ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა ვიტყვით, რომ როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს, არასდროს მოვთხოვთ ჩვენს ხელისუფლებას გამოიყენოს სამხედრო ძალა, რათა ჩვენ დაგვაბრუნონ აფხაზეთში. რომ ჩვენ დავუშვით შეცდომა, როცა ვერ აღვკვეთეთ ომის დაწყება წლების წინ. და ვერ დავიცავით ვერც ქართველი და ვერც აფხაზი ხალხი.

ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს დამარცხება, ღალატი და ჩვენ თუ გვინდა სიკეთე აფხაზი ხალხისთვის, არასდროს ვუსურვებთ მათ მარცხს. ჩვენ ქართველი და

აფხაზი ერი აუცილებლად გავიმარჯვებთ და რომელიმე ჩვენთაგანის გამარჯვება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნიშნავდეს რომელიმე ჩვენთაგანის დამარცხებას.

რატომაა ასე ძნელი ორი ხალხის დაახლოება და საერთო ინტერესების, საერთო გზების გამონახვა? ნუთუ ასე ძნელია საერთო ენის გამონახვა? როგორ ვცხოვრობდით აქამდე ამდენი საუკუნეები? ზოგს ამის დანახვაც უკვე უჭირს, რომ აღიაროს საუკუნეების თანაცხოვრების ფაქტი.

ომი ქართულ ცნობიერებაში

ომი ჯერ გონებაში და ცნობიერებაში იწყება და მერე რეალურად. წლების წინ ჩვენს შორის დაწყებული ომი, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. ომი ოდესმე უნდა დამთავრდეს და ეს თავდაპირველად უნდა დამთავრდეს ჩვენს ცნობიერებაში. ომი უკვე დამარცხებაა.

ხშირად ყველაზე რთული პრობლემა ყველაზე ადვილი მეთოდით, ელემენტარული ჭეშმარიტების შეცნობით მიიღწევა. ადამიანს უკან უბრუნდება ის, რასაც აგზავნის, აგრესია იწვევს აგრესიას, სიძულვილი – სიძულვილს. ძალადობა – ძალადობას. რამდენი უარყოფითი ინფორმაცია, უარყოფითი იმპულსი და მუხტი წავიდა აფხაზეთის და აფხაზების მიმართულებით უკანასკნელ წლებში? და პირიქით... ეს მუხტი გროვდება. და აისახება ჩვენს მომავალ ურთიერთობებზე. დადებითს გააგზავნი, ასევე მიიღებ დადებითს, სიყვარულის წილ მიიღებ სიყვარულს. აგრესიისა და სიძულვილის ნაცვლად კი მიიღებ იგივეს. ეს ის ბიბლიური ჭეშმარიტებაა, რომლის გაგება ასე უჭირს ჩვენს საზოგადოებას. გვინდა, მართლა რამე შევცვალოთ ამ დინამიკაში? გვინდა დადებითი მესიჯის გაგზავნა აფხაზი ხალხის მიმართ?

სხვის თვალში ბეწვს ვამჩნევთ და საკუთარში დირეს ვერ ვხედავთ.

ბოდიშის კამპანიის მიმართვაში იყო მოწოდება ლოცვისადმი. ბევრს ეს სასაცილოდ არ ეყო. სიყვარული და ლოცვა ცვლის ბევრ რამეს, და ის, რომ ქართველებმა და აფხაზებმა პატივი სცენ ერთმანეთს, არაა მხოლოდ ოცნება. ესაა ერთადერთი გზა, დავაღწიოთ თავი შექმნილ მდგომარეობას, საიდანაც გამოსვლა თითქოს ყველას გვინდა, მაგრამ საკუთარი სიამაყის, საკუთარ თავში შოვინიზმის ნიშნების შენიშვნა არ გვინდა.

ქართული შოვინიზმი

რამდენად შეძლებს ქართული საზოგადოება და მთლიანად ქართული სახელმწიფო, უარი თქვას ქართულ შოვინიზმზე, ისტორიის შელამაზებასა და საკუთარი შეცდომების აღიარებაზე – ამაზე ბევრადაა დამოკიდებული მთლიანად ჩვენი საზოგადოების და სახელმწიფოს მომავალი.

რა თქმა უნდა, ბევრ კითხვაზე აქვთ პასუხი გასაცემი აფხაზებსაც. ვერც მოსკოვი, ვერც ბრიუსელი, ვერც ვაშინგტონი ვერ გადაწყვეტს იმ საკითხებს, რაც ორი ხალხის გადასაწყვეტია. რამდენად გვინდა ეს? რამდენ ხანს გავაგრძელებთ ასე? ქართველებმა ან უნდა უარი ვთქვათ ქართულ შოვინიზმზე, ან აფხაზეთზე საერთოდ. დამოუკიდებლობის აღიარების ეიფორია მალე გადის და რეალობას უნდა დაბრუნება. უზარმაზარი რუსული სამხედრო მანქანა აფხაზეთში პირველ რიგში აფხაზების წინააღმდეგაა მიმართული. ეს ათი წლის მერე გაცილებით კარგად გამოჩნდება. თუმცა, აფხაზეთში ფიქრობენ, რომ მათთვის ნომერ პირველი საფრთხე სააკაშვილის ხელისუფლებაა და რუსეთს დღეს ალტერნატივა არა აქვს.

აფხაზური აფხაზეთი

ქართულმა საზოგადოებამ უნდა ყველანაირად შეუწყოს ხელი აფხაზური ენის განვითარებას და აფხაზეთში აფხაზური ენის გადაქცევას სახელმწიფო ენად. როგორც კი აფხაზეთი იქნება აფხაზური, ის უკვე გასულია რუსული ორბიტიდან.

არ არსებობს ქართულ-აფხაზური ხედვა

ფაქტია, რომ არ არსებობს მოუგვარებელი კონფლიქტი და არსებობს ყველა სიტუაციიდან გამოსავალი, ალტერნატივა. საკითხავია, რამდენად აქვს ქართულ საზოგადოებას ეს გათვითცნობიერებული? რამდენად ვუყურებთ საკითხს შორეული პერსპექტივის თვალსაზრისით და პრაგმატული მიდგომით? დღეს ჩვენი საზოგადოება ემოციებზეა დაფუძნებული და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გამოსავალს ვერ ხედავს. საზოგადოებას არ აქვს ნათელი წარმოდგენა ომის მიზეზებზე და შედეგებზე, ყველაფერს მხოლოდ ვიწრო, ცალმხრივი პოზიციიდან უყურებს და უჭირს საკუთარი შეცდომებისა და პრობლემების აღიარება. დღეს საზოგადოება ყველგან ეძებს კითხვებზე პასუხს, გარდა საკუთარი თავისა. ყველაში ხედავს დამნაშავეს, მაგრამ არა საკუთარ თავში, ხელისუფლება – რუსეთს და ოპოზიციას, ოპოზიცია – ხელისუფლებას, ხალხი – ყველას ადანაშაულებს: რუსეთს, ამერიკას, ევროპას, აფხაზებს, ოსებს.

პირველ რიგში პრობლემა ჩვენშია. კი, რა თქმა უნდა, სხვებიც გვეხმარებიან, და გვეხმარებიან ძალიან ძლიერად, მაგრამ პირველ რიგში ჩვენ ვართ პრობლემა. საკუთარ სახელს არ ვარქმევთ იმას, რაც არის. დროა, ქართულ შოვინიზმს დავარქვათ ქართული შოვინიზმი.

ფაქტია, რომ მთელი ეს წლები არ შექმნილა ფართომასშტაბიანი კონცეფცია, სადაც საზოგადოების სხვადასხვა ფენების აზრი იქნებოდა გამოხატული. ჩვენთვის ძნელია, აღვიქვათ საკუთარი წვლილი კონფლიქტში

და ომში. და მზად ვართ, ყოველთვის სხვა დავადანაშაულოთ. ამ წლების მანძილზე აფხაზი ხალხის მიმართულებით მხოლოდ აგრესია, ძალადობა, ომის პროპაგანდა, დაშინების მცდელობა და აბუჩად აგდება იგზავნებოდა... და ვიღებდით იგივეს.

ბევრი ნიშნის მოგებით გვეკითხებოდა – ხომ მოუხადეთ ბოდიში აფხაზებს, რა მიიღეთ? არაფერი! მხოლოდ დაცინვა და აგრესია როგორც ქართველებისგან, ისე აფხაზებისგანო.

ბოდიშის მიზანი არ ყოფილა იგივე ნაბიჯის გადადგმის მოწოდება აფხაზებისგან. ბოდიში ძირითადად ქართველებისთვის დაიგეგმა, რომ ჩვენ ვაღიაროთ ჩვენი შეცდომები და ვისწავლოთ რამე ამ შეცდომებზე; რომ ჩვენ მეტი პასუხისმგებლობა გვეკისრება, როცა რამე ხდება ქვეყანაში. და არა აქვს მნიშვნელობა, საპასუხოდ მოიხდის თუ არ ვინმე ბოდიშს, ახლა ან საერთოდ ოდესმე. ეს მხოლოდ ინდივიდუალური, ინტიმური აქტია – მთავარია, ჩვენ ჩვენი ვალი მოვიხადეთ, რომ მხოლოდ გულში აღარ არის ის სიტყვები, საჯაროდ შევძელით ამ სიტყვების თქმა და მორალურად შეგვიძლია, ვიყოთ თავისუფლები ამ ტვირთისგან, რაც ამ ომმა მოიტანა.

მეორე აზრი, რომელიც ხშირად გამოითქმებოდა – ბოდიშს იხდის ის, ვისაც არანაირი მონაწილეობა არ მიუღია ომში. შეიძლება, მართლაც ასეა. იმასაც გეტყვით, რომ ომის დროს ვცდილობდით აფხაზეთში საომრად წასული ბიჭები შეგვეჩერებინა და აეროპორტისკენ მიმავალთ გადაეფიქრებინათ საომრად წასვლა. რამდენიმედღიანი პატიმრობაც გამოვცადეთ პოლიციაში ომისა და ზოგადად იმ პოლიტიკური მოვლენების წინააღმდეგ გამოსვლის გამო, რასაც ადგილი ჰქონდა 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში. და სამწუხაროდ მაშინაც ვიყავით უკიდურეს უმცირესობაში.

ორი წლის წინ ბოდიში ტაბუდადებული თემა იყო. ამ თემაზე საუბარი საჯაროდ არც პოპულარული იყო და არც უსაფრთხო. აქცია შედგა, იმიტომ, რომ მასზე უკვე ბევრი საუბრობს. და ყველა ფიქრობს. ფაქტობრივად, ეს იყო პროვოკაცია, კარგი გაგებით. ამ პროვოკაციამ თავისი მისია შეასრულა. ბოდიშმა ბევრ რამეს ახადა ფარდა, მათ შორის იმას, თუ რამდენადაა ქართული საზოგადოება ნამდვილად მშვიდობიანად განწყობილი აფხაზებისადმი და რამდენად დიდია მილიტარისტული სულისკვეთება, რამდენად შორსაა ხელისუფლება და საზოგადოება მშვიდობის ხედვისგან.

სხვა საქართველო

რადიკალური ნაბიჯები ყოველთვის მტკივნეულად აღიქმება საზოგადოებაში. ხშირად შეიძლება, მოღალატედ გამოგაცხადონ, მაგრამ საზოგადოება სწორედ მსგავსი გულწრფელი და ღია, მშვიდობიანი

ინიციატივებით იღებს შერიგების შანსს. ყველა იყურება წარსულში, ვინც კი ბოდიშის კამპანიას კი არა, თვით იდეას, ამ სიტყვის ხმარებასაც კი ეწინააღმდეგებოდა. ბოდიში თავისთავად არაა პანაცეა. ეს იყო მესიჯი, რომ არსებობს სხვა საქართველო. არსებობენ სხვა ადამიანებიც ამ ქვეყანაში, რომლებსაც სხვანაირი საქართველო წარმოუდგენიათ – სხვა მიზნებით და სხვა მენტალიტეტით.

დღეს ყველა საუბრობს კონფლიქტის მოგვარებაზე, მაგრამ სამწუხაროდ, ადამიანებს დავიწყებული აქვთ უბრალო ჭეშმარიტება – სიყვარულისა და მიტევების გარეშე არც ერთი საქმე არ მოგვარდება. დღეს ვერც ერთი ამ იდეის მოწინააღმდეგე ვერ გეტყვით ვერანაირ არგუმენტს იდეის წინააღმდეგ. მხოლოდ კომპლექსები და სიამაყე, რომ ჩვენ არავისთან არაფერი გვაქვს საბოდიშო; ბოდიში სისუსტედ, სიმხდალედ ითვლება. კვლავ იმართება უსარგებლო დებატები, ვინ დასახლდა პირველად აფხაზეთში – ქართველი თუ აფხაზი, ვინ გაისროლა პირველად, როგორ გაბედეს ამდენი და ა.შ. მაგრამ რატომ მოხდა ეს, ამაზე ყველას უჭირს პასუხის გაცემა.

ბოლო ხანს ამბობენ, რომ ეს მხოლოდ რუსეთ–საქართველოს ომი იყო, მაგრამ რომ არ იყოს ხვალ რუსეთი, შევძლებთ კი ჩვენ და აფხაზები ერთად ცხოვრებას? იქნებ მართლა ვცდებით რაღაცაში? რამდენადაა მართალი ჩვენი ისტორიოგრაფია, მარიკა ლორთქიფანიძისა და სხვათა თეორიები რომ მე–16 საუკუნეში ჩამოსახლდნენ აფხაზები და სინამდვილეში „ნამდვილი აფხაზები“ ქართველები არიან, და აფსუები სხვები, რომლებმაც ამდენი ცუდი რამ ჩაიდინეს. დავუშვათ ერთი წუთით, რომ ეს ყველაფერი მართალია. რა მერე? გადავასახლოთ აფხაზები უკან – ჩრდილოეთ კავკასიაში? საზოგადოება იმდენადაა გამსჭვალული მსგავსი აზროვნებით, რომ უჭირს ადეკვატურად ასახოს ყველაფერი და ჰქონდეს სწორი რეაქცია. საზოგადოებას თავს უჭედავენ სხვადასხვა აზრებით, არჩევინებენ ჯერ ერთ პრეზიდენტს 90 პროცენტით, შემდეგ მეორეს იმავე პროცენტით, მერე მესამეს. და მერე ყოველთვის ვაცხადებთ, რომ შევცდით წინა პრეზიდენტის არჩევაში. რაც მთავარია, ეს ყველაფერი შესანიშნავადაა მართული გარედან – ხან უხილავი და ხანაც ხილული ძაფებით და აბსოლუტურ უმრავლესობას უჭირს ამის გაგება. და ყველა პრეზიდენტი გვპირდება გაერთიანებულ საქართველოს. მაგრამ ყველას მსგავსი მიზნები და პოლიტიკა ჰქონდა და აქვს აფხაზეთთან დამოკიდებულებაში. საქართველოს სამივე პრეზიდენტი ერთნაირ პოლიტიკას ახორციელებდა. მათ პოლიტიკაში აფხაზები იყვნენ დავიწყებულნი და გარიყულნი. ეს პოლიტიკა დღესაც გრძელდება.

კამპანიის მიმდინარეობის მანძილზე მრავალი ზარი, მუქარა და ბინძური ცილისწამება გამოვცადეთ საკუთარ თავზე. არავის უკითხავს, რატომ დავიწყეთ კამპანია. ზოგმა პირდაპირ მოღალატეებად და აგენტებად გამოგვაცხადა; მავანმა ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მიერ მართულად;

ზოგმა კი, მაგალითად – პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2007 წლის ნოემბერში თავის გამოსვლაში პირდაპირ განაცხადა: „რისთვის უნდა ვიხადოთ ბოდიში, რომ თავები დაგვაჭრეს და გამოგვყარეს? რომ ქართული ძეგლები დაანგრიეს, რომ უღელტეხილზე ბავშვები გაგვიყინეს და თვითმფრინავები ჩამოგვიყარეს? ამ ყველაფრისთვის კიდევ ჩვენ უნდა მოვიხადოთ ბოდიში? ვინ არიან ეს ადამიანები, რომელი საერთაშორისო ორგანიზაციიდან? რა გრანტი მიიღეს, რომ ასეთ სისულელეებს წერენ?“

ქართული მედიის უდიდესი ნაწილი არათუ კამპანიის, სიტყვა „ბოდიშის“ ბლოკირებას დღემდე განაგრძობს. მხოლოდ რამდენიმე მცირეტირაჟიანი გაზეთი, რადიო და ინტერნეტ–გამოცემა გახდა ხელმისაწვდომი. ხელისუფლებაც და ოპოზიციის უდიდესი ნაწილიც ასევე სალანძღავად იყენებს ამ სიტყვას. ერთი რამ ცხადია – კამპანიამ გააშიშვლა ქართული საზოგადოება, მისი უარყოფითი და დადებითი მხარეებით, მოჩვენებითი დემოკრატიულობისა და ტოლერანტობის მიღმა საზოგადოებაში საკმაოდ ძლიერია შოვინისტური განწყობა.

რა ფილოსოფია დევს „ბოდიშის“ კამპანიის უკან?

კონფლიქტები ფიზიკური ძალადობის და ომის დამთავრების შემდეგ ადამიანთა გულებში კიდევ დიდხანს გრძელდება. სიძულვილი და რისხვა აკონტროლებენ ადამიანების ცხოვრებას დიდი ხნის განმავლობაში. ეს ემოციები ადამიანებს პარალიზებას უკეთებენ და სიძულვილის მძევლებად აქცევენ. რისხვა და სიძულვილი როცა იპყრობს ადამიანს, შეუძლებელია, მან საღად შეაფასოს მოვლენები და წინ გაიხედოს. „ბოდიშის კამპანია“ შესაძლოა, იყოს პირველი ნაბიჯი ნეგატიური წრის გარღვევისთვის. იგი ქმნის ცნობიერებას, რომელიც ხელს უწყობს ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემის ჩამოყალიბებას. კამპანია მიისწრაფის იქითკენ, რომ ემოციებმა და სიძულვილმა აღარ მართონ ადამიანები. ესაა გზა, გაიხედო წინ, დატოვო წარსულში ყველა ბოროტება და იფიქრო მომავალზე. ეს არაა ბრალდება, რომელიმე მხარესადმი. ესაა პირველი ნაბიჯის გადადგმა, რომ ადამიანებმა მიიღონ ერთმანეთი და აპატიონ. „მოწინააღმდეგე“ მხარის ადამიანების ჰუმანური მხარის ჩვენებით ხალხს შეუძლია, გადალახოს წინააღმდეგობები.

არ არსებობს მომავალი პატიების გარეშე. კამპანია სწავლობს წარსულ შეცდომებზე. ესაა პასუხისმგებლობის აღება კონფლიქტში საკუთარ როლზე. კონფლიქტში, რომელშიც ორივე ხალხმა უმძიმესი დანაკარგი ნახა. ამის გაცნობიერებით ხალხი ერთად შეიძლება მივიდეს. ეს ნაბიჯი აუცილებლად ერთ-ერთი მხარის მიერ იდგმება და მას აუცილებლად მოჰყვება შედეგი, იგი

ერთგვარ კატალიზატორად იქცევა სოციალური ცვლილებებისათვის. ბოდიში – ესაა ერთმანეთის გულებისკენ მიმავალი გზა.

სიძულვილის ჯაჭვის გარღვევა – რას მივაღწიეთ და რას ვგეგმავთ?

ბევრი გვეკითხებოდა – აგერ, უკვე ორი წელია, კამპანია დაიწყეთ და რა შედეგი მიიღეთო? სიტუაცია კიდევ უფრო მძიმეა. ცხადია, მსგავს კამპანიას შედეგები 5, 10 და 20 წლის შემდეგ ექნება. მთავარია, შეჩერდეს ის ნეგატიური დამოკიდებულება, რაც დღეს არსებობს ორ ხალხს შორის. მთავარია, გაირღვეს ის სიძულვილის ჯაჭვი, რომელიც ხალხებს შორის არსებობს. ნეგატიური დამოკიდებულებები ნელ–ნელა პოზიტიურში უნდა გადავიდეს.

ჩვენს გარშემო ადამიანებს ვუნერგავთ აზრს, რომ აფხაზებმა და ქართველებმა უნდა სცენ ერთმანეთს პატივი. კამპანია მხოლოდ პირადი შემოწირულობებით ფინანსდება, რადგან რეალურად შერიგებისთვის თანხას არავინ გამოყოფს. ზოგიერთი დონორი და საელჩო დაინტერესებული იყო ამ იდეის მხარდაჭერით, მაგრამ როგორც კი ხელისუფლების პოზიციას ისმენდა, მაშინვე უარს ამბობდა მხარდაჭერაზე.

საზოგადოებამ უნდა შეძლოს ის, რაც ვერ შეძლეს წამყვანმა პოლიტიკოსებმა. საზოგადოებაში უნდა დაიბადოს ჯანსაღი მიდგომა, რომ ყველას შეგვიძლია, რაღაც გავაკეთოთ და აქცენტს ვაკეთებთ თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობაზე, სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე. საბოლოო ჯამში ამ კამპანიით ახალი პრინციპში არაფერი არ თქმულა. ორი ათასი წლის წინ იესო ქრისტე მოვიდა და მოგვცა მაგალითი, რომ მონანიების, შეცდომების აღიარების გარეშე არ იქნება მომავალი. ღმერთი მზადაა, მოგვცეს სიყვარულისა და სიკეთის მაგალითი და ეს ყველაფერიც, ალბათ, ღმერთმა დაუშვა ჩვენი შეცოდებების და ცოდვების გამო, რათა დავეფიქრებინეთ ჩვენს თითოეულ ნაბიჯზე – რამდენად ვართ მართლები, როცა გვგონია, რომ ჩვენ არაფერი შეგვიცოდავს, რომ მხოლოდ სხვაა დამნაშავე და ჩვენ არაფერს ვაღიარებთ.

შევხედოთ ყველაფერს სხვა თვალით. ემოციები გადადის. ტკივილი გადადის. ცხოვრება გრძელდება. გვინდა თუ არ გვინდა, ვერც აფხაზები და ვერც ქართველები ვერსად ვერ წავალთ. ჩვენ აქ ცხოვრება გვიწერია. ადრე თუ გვიან ჩვენ მაინც მოგვიწევს წარსულის გადაფასება და ჭეშმარიტი ისტორიის დაწერა. მოგვიწევს ქართული და აფხაზური მითების გვერდზე გადადება.

ჩვენ გამოვალთ იმ ჩიხიდან, სადაც დიდი ხანია, გავიჭედეთ. სათანადო პატივს მივაგებთ აფხაზ ხალხს, უკეთ გამოვიყენებთ დიალოგში სამეგრელოს.

პარალელურად, უნდა შეგროვდეს და გადამოწმდეს ომის მსხვერპლთა შესახებ მონაცემები. ომის მსხვერპლთ უნდა გადაეხადოს შესაბამისი კომპენსაცია. ის ადამიანები კი, ვინც სამხედრო და ომის დანაშაულში არიან

ბრალდებულნი, უნდა გასამართლდნენ ყველა მხრიდან. დაუსჯელობამ აღარ უნდა იმეფოს რეგიონში.

ნდობა ორ ხალხს შორის უნდა აღსდგეს. ხალხებს შორის უნდა არსებობდეს ყოველდღიური ურთიერთობა. უნდა შეიქმნას საერთო ველი, საინფორმაციო, ეკონომიკური და სხვა. პოლიტიკურ საკითხებს ჩვენ ვერ ვწყვეტთ, მაგრამ შეგვიძლია, რაღაც გავაკეთოთ, რომ ეს არანორმალური ურთიერთობა დასრულდეს. ამაში ჩვენი აზრი ნათელია. ეს ურთიერთობები უნდა ეფუძნებოდეს სიმართლეს, გულწრფელობას, სიყვარულს, მიტევებასა და იმ თვისებებს, რაც ასე ფასობდა საუკუნეების განმავლობაში კავკასიაში. ეს არის ხალხის გასაკეთებელი. ალბათ, მოვა დრო და გვეყოლებიან ხელისუფალნი, ვინც პოლიტიკურ საკითხებზეც შეთანხმდებიან. აფხაზი ხალხის გადარჩენის ერთადერთი გარანტი შეიძლება იყოს ევროკავშირი. ვერც ოფიციალური მოსკოვი და ვერც ოფიციალური თბილისი დღეს ამ მიმართულებით ვერანაირ პოზიტიურ როლს ვერ ასრულებენ. პირიქით!

რეალურად ვინ იბრძვის დღეს ამისთვის? ძალიან ცოტა ადამიანი. პოლიტიკოსებს, სამხედროებს, მედიას, სამოქალაქო საზოგადოებას, ეკლესიას, საერთაშორისო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ რეალური ხედვა კონფლიქტის მოგვარების შესახებ. ვიყენებთ კი ყველა რესურსს საომარი მოქმედებების მზადების, გამალებული მილიტარიზმის და ომის პროპაგანდის შესაჩერებლად? თუ პირიქით, როგორც 2008 წლის აგვისტოში ყველა ვისუსებით და ველოდებით მთავარსარდლის განცხადებას ცხინვალის რეგიონის კრიმინალებისგან გაწმენდის შესახებ? ვისუსებით ყველა – პოლიტიკოსებიც და არაპოლიტიკოსებიც, ერიც და ბერიც? და როცა ასეთი განცხადება ვერ მოვისმინეთ, მერე ნელ–ნელა დავიწყეთ ხელისუფლების კრიტიკა – „აი, ჩვენ რომ ვყოფილიყავით, გავიმარჯვებდით“ და ა.შ. დავფიქრებულვართ იმაზე, რას ვუწყობთ მსგავსი დუმილით ხელს?

დუმილი თუ მშვიდობა?

ჩვენ ვიცით მშვიდობის ფასი და ჩვენ ვირჩევთ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობას. ჩვენთვის მიუღებელია ომი, მოწოდება ომისკენ, ომის პროპაგანდა, იარაღის ჟღარუნი და სამხედრო რიტორიკა, რადგან ომი მხოლოდ გარეგნულად შეიძლება, ჩანდეს სამართლიანი და კეთილშობილური, თუნდაც გაეროს მიერ ცნობილი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

ქართველი და აფხაზი ხალხის შეკვეთა მხოლოდ მშვიდობა და დიალოგია.

ქართველებს და აფხაზებს სხვაგან წასასვლელი მაინც არსად აქვთ. ჩვენი

შვილები ასი წლის მერეც იცხოვრებენ აქ და შეინარჩუნებენ ენას, კულტურას, ღირსებას და ისტორიულ მეხსიერებას.

ჩვენს ხალხებს აქვთ მომავალი!

დიალოგი – არასათანადოდ შეფასებული ინსტრუმენტი მშვიდობის მშენებლობაში

სტეინარ ბრინი, ნანსენის მშვიდობისა და დიალოგის ცენტრი

მოსაზრებები დიალოგის თანამშრომლისგან

ეს სტატია ეყრდნობა დიალოგის თანამშრომლის შთაბეჭდილებებს, რომელმაც ბოლო 20 წელი, როგორც ნანსენის დიალოგის ქსელის წარმომადგენელმა, გაატარა დასავლეთ ბალკანეთში, დიალოგის ხელშეწყობისთვის.

დასავლეთ ბალკანეთის სოფლებსა და თემებზე დღემდე, 20 წლის შემდეგაც, აქვს გავლენა იმას, რაც 1994 წელს ნორვეგიაში იდეის სახით დაიწყო, როდესაც ლილეჰამერი დაუკავშირდა სარაევოს, როგორც ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი. ჩემი მოსაზრებები შეეხება რამდენიმე მითს დიალოგის შესახებ. ეს არის ცრუ მითები. ისინი ხელს უშლის დიალოგის განმკტიცებისათვის უფრო სოლიდურ ძალისხმევასა და შერიგებას მშვიდობის მშენებლობაში.

1990-იან წლებში, ყოფილ იუგოსლავიაში, ომების შედეგად მოხდა საზოგადოებების ეთნიკური დანაწევრება. სახელმწიფოს მშენებლობა და ძლიერ ინსტიტუტებზე ფოკუსირება საერთაშორისო მშვიდობის მშენებლობის ქვაკუთხედს წარმოადგენს, ხშირად ქვეყნის შიგნით მცხოვრები ხალხის შერიგების საფუძველზე. ნანსენის დიალოგის ცენტრმა სცადა ამის დეფიციტი აღმოეფხვრა შიდაეთნიკური დიალოგის ხელშეწყობით და განავითარა შერიგების სტრატეგიები გრძელვადიანი მშვიდობის მისაღწევად. პრაქტიკაში ეს წარმოდგენს სემინარებს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ადგილობრივ თემებსა და ლილეჰამერის ნანსენის აკადემიაში, რასაც მოსდევს კონკრეტული ძალისხმევა დიალოგისათვის სივრცის გამოსაყოფად საგანმანათლებლო და პოლიტიკურ ინსტიტუციებში, ასევე სტრუქტურული ცვლილებები ინტეგრაციული საზოგადოებისთვის.

1995-2000 წლებში დაახლოებით 200 ადამიანი ყოფილი იუგოსლავიიდან მონაწილეობდა სამთვიანი დიალოგის ტრენინგში ლილეჰამერში. ტრენინგის

ფოკუსს წარმოადგენდა იუგოსლავიის დაშლის მიზეზებისა და შედეგების გააზრება. სწორედ ამ წლების განმავლობაში მოხდა ნანსენის დიალოგის მეთოდის განვითარება. 2000-2005 წლებში ნანსენის დიალოგის ცენტრები შეიქმნა ყოფილ იუგოსლავიაში და მათ გაიმყარეს ადგილობრივი რეპუტაცია, რათა ხელი შეეწყოთ დიალოგისათვის და წამოეწყოთ ადგილობრივი პროექტები. 2005-2010 წლებიდან ძლიერი „ნანსენის მხარდამჭერი ჯგუფები“ ჩამოყალიბდა ისეთ ადგილებში, როგორიცაა სრებრენიცა, ბრატუნაცი, იაიცე, ზროვნიკი, პროზორამა, პრიედორი, სანსკი მოსტი, კოსოვო, პოლიემბუიანოვაცი და იეგუნოვცე. ჯგუფების ფოკუსს შერიგება წარმოადგენდა. ბოლო 5 წლის განმავლობაში (2010-2015 წწ.) ჩვენ ვმუშაობთ სტრუქტურულ ცვლილებებზე, კერძოდ – საგანმანათლებლო სფეროში და ყურადღებას ინტეგრაციის საკითხებზე ვამახვილებთ.

ყველაზე თვალნათელი შედეგები ჩანს მაკედონიის 9 მუნიციპალიტეტში, სადაც განხორციელდა ნანსენის ინტეგრაციული განათლების მოდელი. ნანსენის დიალოგის 10 ცენტრი დღეს ხელს უწყობს დიალოგს და შეიმუშავებს შერიგების სტრატეგიებს მეორე მსოფლიო ომის შედეგად ყველაზე მეტად განადგურებულ ევროპის მუნიციპალიტეტებში. ნორვეგიულ საზოგადოებაში მზარდი ინტერესია ნანსენის დიალოგის მეთოდის მიმართ, ისევე, როგორც ისეთ კონფლიქტურ ტერიტორიებზე, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი, კავკასია, ავღანეთი და სომალი.

მითი 1. „დიალოგი ქალების საქმეა“

იუგოსლავიის დაშლის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული შედეგი იყო კომუნიკაციის თითქმის სრული მოშლა. იუგოსლავიის მოქალაქეებს ყველაზე თავისუფალი გადაადგილების გამოცდილება ჰქონდათ ევროპაში. იუგოსლავიის პასპორტი თავისუფლად ხსნიდა გზას ლონდონსა და ლენინგრადში. 1995 წლის შემდეგ, ამავე მოქალაქეებმა გამოსცადეს მკაცრი სასაზღვრო პირობები რესპუბლიკებს შორის, ზოგჯერ საზღვრის გადაკვეთისა და საკუთარ ქალაქში გამშვებ პუნქტზე გასვლის შიშიც კი. შეხვედრის ადგილების სიმცირემ, ასევე ეთნიკურმა სეგრეგაციამ სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში, საჯარო ასპარეზი გახადა უფრო ღია ცალმხრივი ნაციონალისტური პროპაგანდისთვის. ერთი რამ, რაც საერთო ჰქონდათ მონაწილეებს, იყო რწმენა, რომ ისინი დაიბადნენ სიმართლის ქალაქში, მაშინ, როდესაც სხვები პროპაგანდისა და ტყუილების ხეობაში იზრდებოდნენ. არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომელი იყო შენი მშობლიური ქალაქი – ზაგრები, ბელგრადი, სარაევო, პრიშტინა თუ სკოპიე. დომინანტური იყო რწმენა, რომ ის ჟურნალისტები, პოლიტიკოსები და ისტორიის პროფესორები, რომელთანაც გქონდა წვდომა, იყვნენ უფრო ახლოს

ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ისინი, ვისთანაც სხვას ჰქონდა წვდომა. ეთნიკურ სეგრეგაციას თან ახლდა პოლიტიკური სეგრეგაცია. ორ მონაწილეს ერთი და იმავე ქალაქიდან შესაძლოა, ჰქონოდა სრულიად საპირისპირო შეხედულებები, მაგრამ ორივეს გულუბრყვილო ნდობა გააჩნდა საკუთარი წყაროსადმი, მიუხედავად იმისა, ეს წყარო იქნებოდა ე.წ. პრო თუ ანტი ნაციონალისტური.

დემოკრატია ეფუძნება ვარაუდს, რომ შესაძლოა ცდებოდე და სწორედ ამიტომ გესაჭიროება სხვა ხალხი ან სხვა პოლიტიკური პარტიები, რათა შეგისწორონ. ის სიმტკიცე, რითაც ადამიანები საკუთარ თავს გამოხატავდნენ, მაშინაც კი, როცა სრულიად განსხვავებული წარმოდგენები ჰქონდათ ერთსა და იმავე ფაქტის მიმართ, ცხადი გახდა თავად მონაწილეებისათვის. ეს გახდა მოძრაობის პროცესის დასაწყისი. თავიდან დაიწყეს იმით, რომ არსებობდა მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება, რომელსაც ისინი ფლობდნენ, ვიდრე სხვები ტყუოდნენ. ნელ-ნელა მათ დაიწყეს გააზრება, რომ სხვებს სწამდათ სხვა სიმართლის და ღირდა სხვა ვერსიების მოსმენაც.

ეს არ ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება ფარდობითია. თუმცა, საერთო სიმართლისათვის საჭიროა, არსებობდეს ნდობა და თავდაჯერება ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის. თუკი ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა განისაზღვრება იმით, რომ „ჩვენ“ ვეძებთ „ჩემს“ სიმართლეს, მაშინ იშვიათად შეინიშნება ძვრა პოზიციებში, როგორც წესი – პირიქით, ჩიხში ექცევა. დიალოგში მონაწილეები დროთა განმავლობაში იღებენ გამოცდილებას, რომ დიალოგი აყალიბებს ურთიერთობებს ხალხთა შორის. თანაცხოვრებით, საერთო საკვების გაზიარებით, სოციალური დროითა და კულტურული ღონისძიებებით. ისინი იწყებენ ერთმანეთის მრავალნაირი იდენტობის აღმოჩენას. ცხოვრების სხვა ასპარეზზე ურთიერთკავშირით, მათ შესაძლოა, გამოუმუშავდეთ პატივისცემა, რომელიც ბევრად უფრო მარტივს ხდის ორივე მხარისათვის ერთმანეთის ისტორიების მოსმენას. ისინი ერთმანეთს აღარ შეხედავენ ისე, როგორც მხოლოდ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს.

როდესაც ეს პროცესი იწყება, დიალოგის მთავარი გამოწვევა ხდება ფუნდამენტური მიდგომები კონფლიქტის, ისტორიისა და რეალობის მიმართ. კომუნიკაციის ასეთი სახე არ არის „ქალური“, თუკი ქალური არ განისაზღვრება, როგორც ძალიან ჰუმანური გზა კომუნიკაციისა ღრმა ანალიტიკურ და ემოციურ დონეზე.

მითი 2. „დიალოგი გაგრძელდება მანამ, სანამ ნორვეგია გადაიხდის ყავის საფასურს“

ხშირად ვაწყდები ადამიანებს, რომლებიც მეკითხებიან: „ალბათ მძიმე სამუშაო გაქვს?!“ სულაც არა. კონფლიქტის შემდეგ ხალხში, ფაქტობრივად,

არსებობს ერთმანეთთან კონფრონტაციის ლტოლვა. რთული სამუშაო არის მათი დარწმუნება, რომ ჩაერთონ დიალოგში. შეიძლება, არსებობენ სასემინარო ადამიანები, რომლებიც ყოველთვის შეგიძლია, მოაგროვო, თუკი მათ სიამოვნებთ მოგზაურობა და შეხვედრები. თუმცა, ნანსენის დიალოგი სამიზნე სფეროდ მუნიციპალიტეტებს ირჩევს. რიგით მოქალაქეებს არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა ნანსენის დიალოგის სემინარებში და არც მაინცდამაინც მოტივირებულები არიან საამისოდ. ისინი მიიჩნევენ, რომ მეტისმეტად ბევრი იტანჯეს სხვათა დანაშაულების გამო. მსხვერპლის მითოლოგია მძლავრია ყველა მხარისთვის. ისინი არ არიან მოტივირებულები ორმხრივად მომგებიანი გამოსავლისთვის, რადგან ამგვარი გადაწყვეტილება მეორე მხარესაც სარგებელს მოუტანს, რასაც, მათი აზრით, ისინი არ იმსახურებენ – „იმის გამო, რაც მათ გაგვიკეთეს, უნდა დაისაჯონ ან სულ მცირე, იგივე საკუთარ თავზე გამოსცადონ“. ხალხი მზადაა, ცოტა კიდევ დაიტანჯოს, თუკი იცის, რომ ამით სხვები უფრო მეტად აგებენ პასუხს. მათთვის არ არის მიმზიდველი მაგიდასთან დასხდომა და დიალოგი, ორმხრივად მომგებიანი შესაძლებლობების აღმოსაჩენად. ორმხრივად წამგებიანი უფრო ურჩევნიათ, თუკი თვითონ ნაკლებს წააგებენ.

სამხრეთ სერბეთში 4 წელი ვიცადეთ, სანამ დიალოგში რადიკალი სერბები ჩაერთვებოდნენ. იეგუნოვცეში, რომელიც ჩვენი წარმატებული პროექტიდან ერთ-ერთია, პირველ წელს ერთმა სოფელმა საერთოდ არ გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. მაგრამ მაინც, საიდანღაც უნდა დავიწყოთ. დიალოგის ყველაზე კარგი პრომოუტერები არიან გამოცდილი მონაწილეები. ასე რომ, ჩვენ დავუშვით შემცვლელი მოტივები, რათა საქმე დაგვეწყო (მაგალითად, ვიზის აღება). ეს ეყრდნობა თავად დიალოგის პროცესში არსებულ ნდობას. სარისკო რეკრუტირების პროცედურებით, 1990-იანი წლების ბოლოს, ნანსენის ქსელმა ჩამოაყალიბა ისეთი დაწესებულება, სადაც დღეს ჩვენ შეგვიძლია მინისტრებისა და მერების მოწვევა და გვაქვს მოლოდინი, რომ ისინი მიიღებენ ამ მოწვევას.

მითი 3. „დიალოგი შესაძლებელია, იყოს მნიშვნელოვანი საუბარი, მაგრამ ის არ წარმოადგენს ჯადოსნურ ხერხს და არცთუ ისე ეფექტურია“

სანდო გარემოს შესაქმნელად საკმაო დრო იხარჯება. მართალია, რომ დიალოგი არ წარმოადგენს მაგიურ ძალას, რომელსაც ერთ ღამეში შეუძლია ყველაფრის შეცვლა. დროის ერთად გატარება არის წინაპირობა, რაშიც იხარჯება დრო. შეხვედრების უმეტესობა, რომელიც ტარდება და არქმევენ დიალოგს, არის მხოლოდ შეხვედრები. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ისინი ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს დიალოგად. უმეტესად, ეს არის განსხვავებულ პოზიციათა გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ არა რეალური

მოძრაობის პროცესი მხარეებს შორის. მე ეჭვი მეპარება, რომ დიალოგი შეიძლება მოექცეს მხოლოდ „შეხვედრის“ ფარგლებში, იმდენად, რამდენადაც ის უკეთესად განიმარტება, როგორც მუდმივი პროცესი. წინასწარ საკმაოდ ბევრი ლაპარაკია საჭირო, რომ დიალოგისთვის მოემზადო.

ნდობა და პატივისცემა როცა ჩამოყალიბდება, გაცილებით ადვილია დიალოგის წარმოება; საინტერესოა გამოძიება, თუ როგორ და რატომ მივედით ასეთ განსხვავებულ დასკვნებამდე ჩვენს უახლოეს ისტორიასთან და ამჟამინდელ მიმდინარე კონფლიქტებთან დაკავშირებით, რომლის მონაწილეც ორივე მხარე ვართ. დიალოგი არ არის მხოლოდ მეორე მხარის მოსმენა, არამედ იმის მცდელობაც, რომ გაიგო, რატომ ამბობენ ისინი ამას. ამგვარი აღმოჩენითი გამოძიება ძალიან ჯანსაღია, რადგან ის საშუალებას აძლევს ყველა მხარეს, უკეთ გაიგოს სხვისი თვალით დანახული კონფლიქტი. „რომ გვცოდნოდა, თქვენ ასე ფიქრობდით გასულ შემოდგომაზე, სხვაგვარად მოვიქცეოდით“ (სტოლაცის მასწავლებლები, ბოსნია-ჰერცოგოვინა, 2012, დაყოფილი სკოლიდან). პირველი სამი თვის განმავლობაში, ხანგრძლივი სემინარის მონაწილეები უფრო კრიტიკულები გახდნენ და დაფიქრდნენ, რამდენად სრულად მოისმინეს ისტორია თავიანთი წყაროებისგან. გარკვეული დრო დასჭირდა, მოესმინათ სხვებისთვის და ენახათ, შეძლებდნენ თუ არა ისინი თავსატეხის იმ ნაწილებზე საუბარს, რომელიც მათ ისტორიას აკლდა. მათი აზრით, ეს იყო კონკრეტული „მოძრაობა“, რაც მე არაერთხელ დავაფიქსირე.

დიალოგის ირგვლივ ეს მოსაზრებები არ წარმოადგენს ფილოსოფიურ დისკუსიას. ის, უბრალოდ, ეყრდნობა ჩემს პირად გამოცდილებას, რამდენიმე ასეული დიალოგის ხელშეწყობის შედეგს სერბებსა და ალბანელებს შორის – კოსოვოდან, ხორვატებსა და ბოსნიელებს შორის – ჰერცოგოვინადან, მაკედონიელებსა და ალბანელებს შორის – მაკედონიიდან, სერბებსა და ხორვატებს შორის – აღმოსავლეთ სლოვენიიდან, სერბებსა და ბოსნიელებს შორის – პრიედორიდან, სრებრენიციდან და ბრატუნაციდან. მონაწილეები ხშირად არიან მაღალი მუნიციპალური თანამდებობის პირები. 20 წლის შემდეგაც კი ვისმენ მათგან: „დაუჯერებელია, რომ ვიღაცას გარედან მოუწია ჩვენი ერთად სასაუბროდ მოწვევა. რატომ ჩვენით არ გავაკეთეთ იგივე, ათი წლის წინ?“

მოუთმენლობა და მოსალოდნელი სწრაფი შედეგების მოლოდინი საკმაოდ დომინირებს. ისეთ პროექტებს ანიჭებენ უპირატესობას, რომელთაც წარმატების მეტი შანსი აქვთ სხვა რთულ პროექტებთან შედარებით. ურჩევნიათ ისეთი პროექტები, რომლებსაც აქვთ დასაწყისი და დასასრული. პროექტები, რომელთაც მოსდევს წინადადება – „არ შეიძლება, უბრალოდ დავიწყოთ და მერე ერთხელაც შევწყვიტოთ“, არ არის მიმზიდველი იმ დონორებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ, სრულად აკონტროლონ

სამომავლო წყაროები. ასეთი პროექტები არასახარბიელოა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიალოგის ნელი პროცესი, რაც მისი ბუნებაა, მისსავე საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

შერიგებისაკენ მიმავალი გზა გრძელი და რთულია, რადგან მოკლე გზები არ არსებობს. ხშირად მესმის ასეთი ფრაზა: ვისთან უნდა გვქონდეს დიალოგი, როდესაც ჯარისკაცები ჩვენს მისაღებ ოთახში დგანან? იქნებ არავისთან? იქნებ ეს ის მომენტია, რომელიც ამტკიცებს, რომ დიალოგმა კრახი განიცადა ან არც არასდროს დაწყებულა? მთავარი ძალისხმევა 10 წლის წინ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ შერიგებაზე მუშაობა მაინც აუცილებელია. მის გარეშე შესაძლოა, წლების მერე, სწორედ ამ ჯარისკაცის ბავშვები დაისაჯონ. ჩვენ, ნორვეგიელებმა დავსაჯეთ გერმანელი ჯარისკაცების ბავშვები. ამჟამინდელი კვლევის მიხედვით, ეს მათ შვილიშვილებზეც კი ახდენს გავლენას.

მითი 4. „ძალიან ბევრი დიალოგია და ძალიან ცოტა – მონდომება მოქმედებისა და ცვლილებისათვის“

ჯონას გასტორმა დაწერა სტატია „საერთაშორისო ჰარვარდის მიმოხილვაში“ 2012 წლის ზაფხულს. მან გამოხატა დაღლილობა სამიტების მანიისადმი, განმარტა რა, რომ პოლიტიკურ შეხვედრებს აქვთ ძალიან მცირე ან არანაირი შედეგი პოლიტიკური ქმედებისთვის. ნორვეგიულმა გაზეთმა კომენტარი გააკეთა მოგვიანებით, იმავე წელს, რომ გასტორი დაიღალა დიალოგისგან. ეს არის პოლიტიკური საუბრისა და დიალოგის ერთმანეთში აღრევა. პოლიტიკური საუბარი იწვევს ერთი პიროვნების პოზიციის დაცვას და პოზიციის შეცვლა შეიძლება აღქმული იყოს, როგორც სისუსტის ნიშანი.

ჩემი გამოცდილებიდან, დიალოგი ქმნის პოზიციებისა და პერსპექტივების ცვლის საფუძველს. ერთი კონკრეტული პოზიციის დაცვის ნაცვლად და აზრის შეცვლის მარცხად მიჩნევის მაგივრად, აზრის შეცვლა უნდა იყოს მიჩნეული, როგორც სრულფასოვანი რეაქცია, მაშინ, როდესაც უკეთესი არგუმენტით გიპირისპირდებიან ან კორექტირებულ ამბავს გიყვებიან. როდესაც სხვების ტანჯვის გააზრება ხდება, ერთობლივი მოქმედების განვითარებაც მარტივდება. სამწუხარო გაუგებრობაა ის, როდესაც დიალოგს აღიქვამენ, როგორც „მყუდრო საუბარს“, ძალაუფლების ნამდვილი პრობლემებისა და უსამართლობისგან თავის არიდებას. კარგი დიალოგი გამოწვევის წინაშე აყენებს ხალხის მიერ ისტორიისა და რეალობის აღქმას, მათ ძირეულ მსოფლმხედველობას. კომუნიკაციის ამაზე ძლიერი გზა თითქმის არასოდეს გამომიცდია. შევეცდები, სემინარების აღწერით მოვახდინო ამის ინტერპრეტაცია.

რა პრინციპით მუშაობს დიალოგის სემინარი?

ჩემს პოზიციას ვაფიქსირებ, როგორც დიალოგის ხელშემწყობი, რომელმაც იცის ისტორია, სახელები, ადგილები და შემთხვევები. ზოგიერთ გამოცდილებას გიზიარებთ სხვა, მაგრამ მსგავსად დანაწევრებული საზოგადოებებიდან ყოფილი იუგოსლავიის მასშტაბით, სადაც ნანსენის ხალხი აქტიურად არის ჩართული. როდესაც ერთმანეთის მსგავს პრობლემებს ვაწყდებით თემებში, გაცილებით ადვილი ხდება გარკვევა, თუ რასთან არის დაკავშირებული სეგრეგაცია და რატომ ნახულობს ზოგიერთი ინდივიდი სარგებელს ამ სეგრეგაციისგან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მე არ ვარ საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე. მე ხელს ვუწყობ დიალოგს. მე ვცდილობ, არ ჩავება მონაწილეებთან დისკუსიებში, არამედ ხელს ვუწყობ, რომ მათ ისაუბრონ ერთმანეთთან.

ტიპური დიალოგის სემინარი იმართება მონაწილეთა შორის დისკუსიით. მე ვცდილობ, მათ გავაგებინო განსხვავება დისკუსიასა და დიალოგს შორის. ისინი იაზრებენ, რომ თუკი დისკუსიისას დარწმუნებით კამათობენ და მხარეებს იჭერენ, დიალოგის პროცესში შესაძლებელია მეტი მოძრაობა და ცვლილებები აღქმაში. დიალოგის დროს არ არის საჭირო, რომ დაიცვა საკუთარი გამოცდილება. შენ გევალება, რომ თქვა ის და გაუზიარო სხვებს. თუმცა, შეუძლებელია და არც არის სასურველი, რომ თავი ავარიდოთ მნიშვნელოვან დისკუსიებს გადამწყვეტ საკითხებთან დაკავშირებით. დიალოგი ვერ ჩაანაცვლებს დებატებს – ის კომუნიკაციის დამატებითი ხერხია.

ზოგიერთმა მონაწილემ უარი განაცხადა დიალოგზე, რადგან იგრძნეს, რომ მსგავსი ჩართულობა არასასურველ აღიარებასა და დამოკიდებულებას მოუპოვებდა მათ სხვებისგან. ჩემი პასუხი ამაზე შემდეგია: დაფიქრდნენ, რამდენად საკმარისი ცოდნა და გაგება აქვთ იმ სხვებს საკუთარი სიტუაციის შესახებ. ხშირად მპასუხობენ, რომ „არა, რა თქმა უნდა, ეს პრობლემის ნაწილია“. როდესაც ვუხსნი, რომ დიალოგი წარმოადგენს ისტორიების გაზიარებას, ერთი პიროვნების მეორისათვის ხილულად ქცევას და, ამავდროულად, სხვებისთვის იგივე შესაძლებლობის მიცემას, მეკითხებიან – „ეს დიალოგია? გვეგონა, დიალოგი პოლიტიკური საუბრის მსგავსი იყო, როგორიც დევიდის ბანაკში არის ხოლმე“. როდესაც ხაზს ვუსვამ, რომ დიალოგი არის კომუნიკაციის გზა, რომელიც პოლიტიკური საუბრის საპირისპირო სპექტრშია, მათ მონაწილეობის უფრო დიდი სურვილი უჩნდებათ..

საერთაშორისო საზოგადოების მიერ მოწყობილი მოლაპარაკებების დროს თითქმის ყოველთვის ყურადღებას ამახვილებენ შეთანხმების ან კომპრომისის მიღწევაზე. დიალოგის დროს არაა საჭირო რაიმეს დაეთანხმო, რადგანაც

მიზანს წარმოადგენს იმის გაგება, თუ რატომ იქცა კონფლიქტი ყველასათვის დამანგრეველი შედეგების მომტანად. ჩვენ ვერ ვიგულისხმებთ, რომ ეს ყველამ იცის. ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ხალხს უნდა უთხრა ეს. დიალოგი დამნაშავესა და მსხვერპლს შორის საჭიროა თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ დამნაშავემ გაიაზროს, რა მომენტალური თუ გრძელვადიანი შედეგები გამოიღო მისმა ქმედებებმა. ყოფილ იუგოსლავიაში, სადაც ყველა ეთნიკურ ჯგუფს აქვს ძლიერი მსხვერპლის მითოლოგია, ნანსენის დიალოგის ცენტრის ხელშეწყობით შიდაეთნიკური დიალოგი, შესაძლოა, თვალის გახელის მიზეზად იქცეს. არავის მოეთხოვება რაიმეს დათმობა დიალოგის სემინარში. მიზანს წარმოადგენს მხოლოდ ურთიერთგაგების ზრდა, შერიგებისათვის საჭირო ვარიანტების ძიება და საუბარი, თუ რატომ იქცა კონფლიქტი ასეთ სისასტიკედ.

სემინარების პირველი დავალება არის პატარა ჯგუფებად შეკრება, სადაც დაახლოებით ოთხი ადამიანი მონაწილეობს. ისინი ერთმანეთს უზიარებენ აღქმებსა და გამოცდილებებს, თუ რა გავლენა მოახდინა კონფლიქტმა მათზე და მათ ოჯახურ ცხოვრებაზე, სამუშაო პირობებზე. პირველივე საუბრისას ზოგიერთი მონაწილე უკვე იაზრებს და იზიარებს დიდი თანაგრძნობით სხვების ტანჯვას და მსგავსებასაც პოულობს საკუთარ გამოცდილებასთან. უამრავმა ახალგაზრდამ 1990-იანებში დაკარგა თავისი ახალგაზრდობა. ბოსნია-ჰერცოგოვინას ყველა მოქალაქემ დაკარგა მსოფლიოში თავისუფლად გადაადგილების უფლება. ბევრმა დაკარგა ოჯახის წევრები და სახოვრებელი სახლები. ზოგიერთ შემთხვევაში მათი სოფლები მთლიანად განადგურდა. მე ვეხმარებოდი დიალოგში დაკარგული ადამიანების საერთაშორისო კომისიის წევრებს. მათი ისტორიები ყველაზე მეტი სისასტიკის შემცველია, მაგრამ მაინც ახერხებენ ურთიერთგაგებასა და ერთმანეთის დაფასებას მსგავსი გამოცდილებების გამო. იმ ტკივილს, რომელსაც საკუთარი მამის მძიმე ვითარებაში დაკარგვა იწვევს, ეთნიკური ფერი არ გააჩნია.

მეორე დავალებისას ისინი ერთმანეთს უზიარებენ ახლანდელი რეალობის გამოცდილებას. რა არის დღევანდელი კომუნიკაციის ხარისხი და ურთიერთთანამშრომლობა? როგორ განიცდიან ეთნიკურ სეგრეგაციას? არსებობს მიზეზები, რის გამოც ეს საზოგადოებები დანაწევრებულია და ხშირ შემთხვევაში ძლიერ პოლიტიკასა და ხალხს სურს, რომ ასე შენარჩუნდეს მომავალშიც. მაგალითად ავიღოთ ვუკოვარის შემთხვევა – ქალაქის, რომელიც ომის დროს 87 დღის განმავლობაში იბომბებოდა. ბევრს ვუკოვარი იმით ახსოვს, რომ ეს არის ადგილი, სადაც იუგოსლავიის დაშლა დაიწყო. ვუკოვარში სერბულ/ხორვატულ კოალიციას 11 წლის მანძილზე ჰქონდა ძალაუფლება, რომელიც პოლიტიკურ მიზნად მუნიციპალიტეტის ეთნიკური სეგრეგაციის შენარჩუნებას ისახავდა. ნანსენის დიალოგის ცენტრი ცდილობს, იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური, როცა ხელს უწყობს დიალოგისთვის

შეხვედრების მოწყობას, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენ ვდავობთ შიდა სახელმწიფოს სასარგებლოდ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ინტეგრაციას და არა სეგრეგაციას. ჩვენ ვდავობთ, რომ სახელმწიფო, რომელიც აშენებულია დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემასა და ადამიანების უფლებათა დაცვაზე, არის ალტერნატივა ეთნიკურ პრინციპებზე დაფუძნებული სოციალური და პოლიტიკური მობილიზაციისა.

შერიგების შესახებ დისკუსიებში კონფლიქტი ჩნდება მათ შორის, ვისაც ყველაზე მეტი ლოიალურობა აქვს წარსულის მიმართ, ვისაც მეტი ერთგულება აქვს მომავალი, ომის შემდგომი თაობებისადმი. ეს წარსული განსახიერებულია ომის მემორიალში, ვუკოვარის ცენტრში. ყველა 14 წლის მოსწავლე ეწვევა ამ მემორიალს – პატივი უნდა სცენ ომის ვეტერანებს. რასაკვირველია, უნდა ვისწავლოთ ისტორიისგან, თუ როგორ ავარიდოთ თავი წარსულის დანაშაულების განმეორებას და რომ პატივი უნდა ვცეთ იმ ომის ვეტერანებს, რომლებიც ემსახურებოდნენ ქვეყანას. ამავდროულად, ისიც ვიცით, რომ ისტორიამ შეიძლება გვიბიძგოს მომავალი თაობების ცხოვრების განადგურებისკენ, როგორც ეს მოხდა „გერმანელი ბავშვების“ შემთხვევაში ნორვეგიაში. გერმანელი ჯარისკაცების შვილები დაისაჯნენ მათი მამების დანაშაულის გამო და დღეს ამავე სამხედროთა შვილიშვილები იგივეს ყვებიან.

შერიგება ყველაზე მინიმალური საშუალებაა, გავიაზროთ, რომ წარსული არის ის, რაც მოხდა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ჩვენი წინაპრების მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა არ გაანადგუროს ჯერ არშობილი ახალი თაობის შესაძლებლობები. უამრავი ისტორია არსებობს ადამიანთა ტანჯვის შესახებ. სემინარებზე ვისმენდი, როგორ ყვებოდნენ ყველაზე სასტიკ ამბებს საკუთარი ოჯახის წევრებზე. შერიგება საერთოდ როგორ არის შესაძლებელი? თუმცა, მომავალ თაობებს მოუწევთ ერთად ცხოვრება. წარმატებული დიალოგის პროცესი დაეხმარება მონაწილებს, არ იქცნენ წარსულის ტყვეებად და სანაცვლოდ, გახდნენ ახალი მომავლის შემქმნელები.

ბოლო დავალება არის იმ წინაღობების გარკვევა, რაც საჭიროა ურთიერთთანამშრომლობის გასაუმჯობესებლად და დისკუსია ამის შესახებ. ბოსნია-ჰერცოგოვინას შემთხვევაში, დიალოგის სემინარების უმეტესობა ფოკუსირებული იყო ეთნიკურად დანაწევრებულ სკოლებზე, კერძოდ – ჰერცოგოვინაში, მაგრამ ასევე კრავიცაში, კონიევიცპოლიესა და იაიცეში. მოსახლეობის უმეტესობას არ სურს სკოლების ინტეგრაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურად დაყოფილი სკოლების გამო მათ ბავშვების სახლიდან შორს ტარება უწევთ. ეთნიკურად დაყოფილი სკოლები დღემდე არსებობს, რათა უზრუნველყონ ეთნიკურად წმინდა აღზრდა. დღეისათვის ასეთი 50-ზე მეტი სკოლაა ბოსნია-ჰერცოგოვინაში.

ასეთი ეთნიკური პოლიტიკის საპირისპიროდ ჩნდება კითხვა: როგორ მუშაობს მუნიციპალიტეტი, პროფესიონალურ და დემოკრატიულ პრინციპებს ეყრდნობა თუ ეთნიკურს? ეთნიკურობა შეიძლება გამოიხატებოდეს ცერემონიებში, დღესასწაულებზე, ხელოვნებასა და ტრადიციებში, მითებსა და ლეგენდებში, მაგრამ სახელმწიფო აშენებული უნდა იყოს წინასწარ შეთანხმებული ინტეგრაციის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპულ სტანდარტებზე. ასეთი სტანდარტები როცა არსებობს, ვეღარ იპოვი კანონიერ საფუძველს, დაანაწილო ბავშვები მათი ეთნიკურობის მიხედვით.

ჯგუფებს ვუზიარებ ნორვეგიის ბოლოდროინდელ კვლევას. 900 სამუშაო განაცხადი გაიგზავნა ნორვეგიელთა სახელით, 900 იდენტური განაცხადი გაიგზავნა იმავე CV-ებით, მაგრამ სხვა უცხოური სახელებით. ნორვეგიული სახელით 25%-ით მეტი შანსი ჰქონდათ გასაუბრებაზე გასვლის. პასუხად მივიღე: „ეს ნორმალურია“. ესე იგი, მაკედონიელებს აქვთ უპირატესობა მაკედონიაში, ხორვატებს – ხორვატიაში, სერბებს – სერბეთში, მაგრამ ის, რაც ნორმალურია, არ ნიშნავს, რომ სწორია. თუკი სერიოზულად მივიღებთ იმ პოლიტიკურ საფუძვლებს, რასაც ჩვენი კონსტიტუცია ეყრდნობა, ხალხის დისკრიმინაცია არ უნდა ხდებოდეს იმ ნიშნით, რომლის კონტროლიც მათ არ შეუძლიათ, როგორიცაა, მაგალითად, მათი სახელი და გვარი. პირისპირ გამოკითხვის დროს, თანამშრომლები ირწმუნებოდნენ, რომ მათ ემიგრანტების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, მაგრამ ამ კონკრეტული საქმისათვის მათ ესაჭიროებათ ის, ვინც კარგად იცნობს ნორვეგიულ საზოგადოებას. რეზიუმეების მიხედვით, მათ ყველას კარგი ცოდნა ჰქონდათ ნორვეგიული საზოგადოების შესახებ, მათ შორის ნორვეგიული განათლება და ნორვეგიული ენის სრულყოფილად ცოდნა. თუმცა, სავარაუდოდ, CV-ები არც არასდროს წაუკითხავთ.

ნორვეგიას ამ გზით მინდა დავანახო, რომ სეგრეგაციისა და ინტეგრაციის ურთიერთდაპირისპირება არ წარმოადგენს დასავლეთ ბალკანეთისათვის დამახასიათებელ პრობლემას. ეს ევროპის პრობლემაა. ამ კუთხით ერთმანეთისგან ბევრი რამ გვაქვს სასწავლი, წარმატებიდანაც და მარცხიდანაც. გამოწვევა – თუ როგორ ვიცხოვროთ ერთად, მიუხედავად განსხვავებულობისა, სავარაუდოდ, ყველაზე მწვავე პოლიტიკური გამოწვევაა ევროპაში. დასავლეთ ბალკანეთის ხალხმა უნდა დაინახოს საკუთარი თავი ევროპულ კონტექსტში, რათა გამოაღწიოს ადგილობრივი უმრავლესობა/უმცირესობის სფეროდან.

მითი 5. ერთი კვირა ნორვეგიაში ყოფნით ვერაფერსაც ვერ ისწავლი

ლილეჰამერში სამთვიანი სემინარები 5 წელს გაგრძელდა. როდესაც რეპუტაცია მოვიპოვეთ, ლილეჰამერის სემინარების ფუნქცია იქცა იმ

თავდაპირველი სემინარების გაგრძელებად, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ნამდვილი ლიდერების რეკრუტირება როცა დავიწყეთ, ისინი შორს 1 კვირაზე მეტხანსაც ვერ რჩებოდნენ. ნორვეგია ხშირად არის მაგალითი იმისა, თუ როგორ ნელა მიდის შერიგების პროცესი, მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებისა და მისი შემდგომი ეფექტების გათვალისწინებით. ჩვენ შეგვიძლია, ეს შემოვაბრუნოთ და ვთქვათ, თუ როგორი ნელი შეიძლება იყოს პროცესი, როცა შერიგების არანაირი პოლიტიკა არ წარმოებს. ნორვეგიაში გამგზავრებით ვთავაზობთ მონაწილეებს დიალოგისათვის ნეიტრალურ სივრცეს, სადაც ისინი განაგრძობენ დისკუსიას. ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივ სემინარში დაწყებულ ფრთხილ დაკვირვებებს მშობლიური საზოგადოება უფრო აჩქარებს.

ლილეჰამერის სემინარების მეთოდოლოგიის მიხედვით, ყველაზე ეფექტური ტექნიკაა, უბრალოდ, მისცე საშუალება ორ ჯგუფს, დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები. ეს კითხვები და პასუხები უზრუნველყოფენ კომუნიკაციის იდეალურ ფორმას, რომელსაც ჩვენ ხშირად ხელს ვუშლით შეკითხვების სწრაფი დასმითა და პასუხის გაცემით. ბავშვი არის ძალიან კარგი პირი დიალოგისთვის, რადგან იგი მთელ დღეს შეკითხვების დასმაში ატარებს. ბავშვი, რომელიც იძინებს ღამით, არის სრულიად განსხვავებული იმ პიროვნებისგან, რომელიც იყო იმავე დღის დილას. დღის განმავლობაში მოხდა ცვლილება, ზრდა. სწორედ იგივეს ვატყობ მონაწილეებსაც დღის განმავლობაში: მოძრაობას, მზარდ ხედვასა და გაუმჯობესებულ ურთიერთობებს.

თითოეულ ჯგუფს ეძლევა 2-3 საათი 5-6 კითხვის ფორმულირებისათვის მეორე ჯგუფთან. ისინი ცვლიან კითხვებს და ატარებენ 2-3 საათს დისკუსიაში, იმისდა მიხედვით, თუ როგორ უპასუხებენ ერთმანეთს. ზოგჯერ ისინი ჯგუფურად პასუხობენ, ზოგჯერ ინდივიდუალური პასუხებია საჭირო. ერთკვირიანი სემინარის განმავლობაში ჩვენ გვაქვს დრო, რომ გავამარტივოთ სიტუაცია და გამოვიყენოთ იმდენი დრო, რამდენიც საჭიროა კითხვის დასმისა და პასუხის გაცემისთვის. ამ გზით თავად მონაწილეები ქმნიან დღის წესრიგს და არა ჩვენ.

ნორვეგიაში გამგზავრება მათ დაანახებთ, თუ რამდენი რამ აქვთ საერთო: ენა, ისტორია, კულტურა, საკვები, მუსიკა, ცეკვები და ა.შ. ახალი „ჩვენ“ და „ისინი“ ჩამოყალიბდება, ხშირად იუმორისტული ქვეტექსტებით, იმისდა მიხედვით, როგორ უდგებიან ნორვეგიულ კულტურასა და ინსტიტუტებს. ნორვეგიული მუნიციპალური ინსტიტუტები წარმოადგენს არა განვითარების მოდელს, არამედ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ყველაფრის სხვაგვარად გაკეთება. დიალოგის მონაწილეები ხშირად სცილდებიან ეთნიკური განსხვავების ზღვარს, როცა გამოხატავენ საერთო ინტერესებს მუნიციპალური განვითარებისადმი ან დაწყებით სკოლებში თანატოლების მედიაციისთვის.

ეჭვგარეშეა, რომ სახლიდან შორს მყოფი მონაწილეები უფრო მოდუნებულები არიან. ზეწოლა მათი ეთნიკური ჯგუფისაგან შემცირებულია. წვდომა, პოლიტიკური ან სხვა სახის შეხედულებების ცვლილება მეტად ბუნებრივი ხდება, როდესაც ღონისძიებაში შედის ნარჩენების გადამუშავებაზე (ნაგავსაყრელის სტუმრობა) ან კლასიკურ კონცერტზე დასწრება. მოგზაურობა ნორვეგიაში იძლევა ევროპის ახალ ხედვას და გამოცდილებას. ბევრი მონაწილე საკუთარი ქვეყნის ან რეგიონის გარეთ პირველად მოგზაურობს. ისინი აღმოაჩენენ იმ ფაქტს, რომ ევროპის ხალხი, როგორც ჩანს, უმრავლესობის მმართველობის, უმცირესობათა უფლებების, ინტეგრაციისა და სეგრეგაციის და პოლიტიკური დიალოგის ნაკლებობის პრობლემას ებრძვიან. ზოგ შემთხვევაში ისინი აცნობიერებენ, რომ ისინი წინ წავიდნენ ინტეგრაციისათვის ბრძოლაში, მხოლოდ იმიტომ, რომ „ისინი აიძულეს“. ევროპის კონტექსტში მათი პრობლემები კიდევ უფრო ნაკლებად განსაკუთრებული და უნიკალურია. გერმანიას, პოლონეთს, საფრანგეთსა და რუსეთს საკუთარი, სასტიკი ომის ისტორია გააჩნიათ, უფრო სასტიკი, ვიდრე დასავლეთ ბალკანეთში. გერმანიისა და საფრანგეთის, გერმანიისა და პოლონეთის შერიგების პროცესი ჯერ კიდევ იმედისმომცემ ისტორიებად წარმოგვიდგება და მსხვილ ევროპულ კონტექსტში გვერდიგვერდ მცხოვრები მრავალი უმცირესობის ხედვა ამცირებს „სახლში დაბრუნების“ კლაუსტროფობიულ დაძაბულობას.

ნანსენის დიალოგის ცენტრში ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებთ მონაწილეთა სტუმრობის ორგანიზებას ლილეჰამერის მერთან, ნორვეგიის პარლამენტში და ზოგჯერ საგარეო საქმეთა სამინისტროში. ამგვარი ვიზიტები მონაწილეებს უტოვებს განცდას, რომ მათ სერიოზულად აღიქვამენ და პატივისცემით ეპყრობიან. ეს აძლიერებს თავიანთ თემში მათ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და ხაზს უსვამს არაკორუმპირებული ქცევის მნიშვნელობას. თუმცა, მთავარი მიზანი ლილეჰამერის სტუმრობისა არის შერიგების ეფექტი, რომელიც თვით მონაწილეებზე ვრცელდება და რასაც ისინი ნორვეგიაში ვერ ისწავლიან.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, 3000 ადამიანზე მეტი, წარმომავლობით ყოფილი იუგოსლავიიდან, ლილეჰამერსა და ნანსენის აკადემიაში არსებულ „ცნობილ“ „ლურჯ ოთახს“ ეწვია. ზოგიერთი „ნანსენის სულისკვეთებაზეც “ კი საუბრობს. მიჭირს ამ სულისკვეთების ახსნა. ნანსენის აკადემია დაფუძნდა სიტყვის გამოხატვის თავისუფლებისა და კაცობრიობის ღრმა რწმენით ღირებულებებზე დაყრდნობით. ეს „სულისკვეთება“ შერიგების განვითარებასა და დიალოგს მეტად ამარტივებს. ხალხის აზრით, ლილეჰამერში მეტად მარტივია ახალი აზრებისა და აღქმის წარმოჩენა, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში, სახლში.

ზემოხსენებული მოგზაურობა ნორვეგიაში არ არის ტურისტული მოგზაურობა, მაგრამ ისინი მრავალ ფოტოს იღებენ. ეს არის მოგზაურობა, რომელიც მათ გონებრივ, გეოგრაფიულსა და პოლიტიკურ ჰორიზონტს აფართოებს. ზოგიერთისთვის სიტყვის გამოხატვის თავისუფლება ხდება უფრო მეტი, ვიდრე ადამიანის უფლება. ევროპა ხდება უფრო მეტი, ვიდრე სტანდარტები, კონცეპტები და რუკა. ის იქცევა ადგილად, სადაც ცხოვრობს ხალხი.

მითი 6. დიალოგს არ მივყავართ სტრუქტურულ ცვლილებებამდე

2008 წლის სექტემბერში, იეგუნოვცეში „ფრიდჯოფ ნანსენის სკოლა“ გაიხსნა. ეს არის მაკედონიაში არსებული პირველი ორენოვანი მრავალეთნიკური სკოლა. ოთხი სოფელი, რომელიც 2001 წელს ერთმანეთს ბომბავდა, ახლა თავიანთი შვილებისთვის ერთიანი სკოლის გამო თანამშრომლობენ. ამით ისინი თავიანთ შვილებს აძლევენ შესაძლებლობას, გაიზარდონ მათგან განსხვავებულ სამყაროში. ამ მშობლებმა დაპირისპირებიდან თანამშრომლობაზე გადასვლა არჩიეს. როგორ აკეთებდნენ ამას? რას წარმოადგენდა მათი შერიგების სტრატეგია?

პირველად ადგილობრივი მაკედონურ/ალბანური გუნდი NDC-ს შეუერთდა სკოპიედან და მუნიციპალიტეტში მხოლოდ შეფასებას საჭიროებდა. შემდეგი ნაბიჯი იყო ორივე სოფლის ბავშვებისათვის კომპიუტერული კლასების შეთავაზება, რაც სოფლის მცხოვრებთა მიერ გამოთქმულ საჭიროებებზე იქნა დაფუძნებული. ეს გაკეთდა მშობლებთან ახლო ურთიერთობის დროს. პირობა იყო, რომ სამი სოფლის ბავშვები მეოთხე სოფელში უნდა გადასულიყვნენ. მაგრამ შემდეგ, მოწინავე კომპიუტერული კლასები შევთავაზეთ მეორე სოფელში; საბაზისო ინგლისური ენის კურსი – მესამე სოფელში, ხოლო გაძლიერებული ინგლისური – მეოთხე სოფელში. ამ გზით ბავშვებმა დაიწყეს მოგზაურობა ერთმანეთის სოფლებში და დაინტერესათ ერთმანეთის ენამ. საპასუხოდ ჩვენ შევთავაზეთ ალბანელ ბავშვებს მაკედონური ენის კლასები და მაკედონელ ბავშვებს – ალბანური ენის კლასები, რა თქმა უნდა, კვლავ მშობლებთან ახლო ურთიერთობისა და თანამშრომლობის საფუძველზე. ხაზს ვუსვამთ, რომ ეს არ უნდა განხორციელდეს, როგორც გარე ინიციატივა, არამედ როგორც თვითონ მოსწავლეებისა და მშობლების სურვილი.

ჩვენ ვიყავით რეალისტები და არ ველოდით სტუდენტების დიდ რაოდენობას. პირველი ექვსი თვის მანძილზე ერთ-ერთი სოფელი ნებისმიერ ჩვენს აქტივობაში მონაწილეობის წინააღმდეგი იყო. მას შემდეგ, რაც მათ „მტრის“ ენაზე განათლების მიღება შესთავაზეს, მოვიდოდნენ სტუდენტები? დაახლოებით 20 %-ს ველოდით, მაგრამ მოვიდა ყველა (97 %). საკლასო

ოთახი გადაივსო და მოგვიწია ორი ცვლის შეთავაზება. ამავდროულად, ზოგიერთ სტუდენტს სჯეროდა, რომ უფრო მეტს სწავლობდა სკოლის გარეთ, ვიდრე თვით სკოლის შიგნით და აქედან გაჩნდა ერთიანი ორენოვანი სკოლის შექმნის იდეაც. ორენოვანი მრავალეთნიკური „ფრიდჯოფ ნანსენის სკოლა“ 2008 წლის 1 სექტემბერს, იეგუნოვცეს მუნიციპალიტეტში, პრელიუბისტეს სოფელში გაიხსნა. მომდევნო წლის მარტში, ადგილობრივი ნანსენის დიალოგის ცენტრმა პირველი ორენოვანი საშუალო სკოლის მშენებლობა დაიწყო, რომელიც 2010 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა.

მაკედონიაში ზემოხსენებული პირველი ორენოვანი სკოლის დაარსება ძლიერი ოპოზიციის გარეშე ვერ ჩაივლიდა – სკოლის ავტობუსის გაჩერება, საკონტროლო გამშვები პუნქტები მშობლების მიერ შვილების სკოლაში მოყვანის შეჩერების მიზნით, პირდაპირი და სატელეფონო მუქარები და ა.შ. მშობლების სიძლიერე გახლდათ ის, რამაც სკოლის მუშაობა სიცოცხლისუნარიანი გახადა. მათ აძლიერებდა რწმენა, რომ თავიანთ შვილებს აქვთ უფლება, ჰქონდეთ უკეთესი მომავალი მსოფლიოსთვის ღია კარებითა და ფანჯრებით. ჩვენ გვწამს, რომ ეს სკოლა მაკედონიური განათლებისათვის მაგალითად იქცევა. მან უკვე შეძლო აღმოსავლეთ მაკედონიაში ნანსენის მსგავსი პროექტების შთაგონება, სადაც ენები მაკედონიური და თურქულია. მუნიციპალიტეტებს შორის არსებული ინტერესები იმდენად ფართო იყო, რომ გამოაშკარავდა მასწავლებლებისთვის ორენოვან პედაგოგიკაში ინფრასტრუქტურის არარსებობა. კომპენსაციის მიზნით NDC-სკოპიემ მასწავლებლებისთვის გახსნა ნანსენის ტრენინგ ცენტრი; უკვე ასმა მასწავლებელმა გაიარა ბაზისური ორწლიანი პროგრამა.

ჩვენს სემინარებში მონაწილეები წარმოადგენენ აზრის შემქმნელებს. ისინი არიან ადამიანები სტატუსითა და პოზიციით ადგილობრივ თემში. მათ გააჩნიათ სამოქმედო ასპარეზი, სადაც უნდა დანერგონ ახალი მოსაზრებები და აღქმები. ჩვენი სამიზნე ჯგუფები განათლებაში, სამართალსა და მედიცინაში ყველაზე ხშირად მუნიციპალურ ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენენ. ნანსენის მიდგომა ხაზს უსვამს მრავალმხრივი დონის მიდგომის მნიშვნელობას. თუ გსურთ განათლების სისტემაში ცვლილებების შეტანისათვის შრომა, უნდა ჩართოთ სტუდენტები, მშობლები, მასწავლებლები, სოფლის ლიდერები, მუნიციპალიტეტის ლიდერები და განათლების სამინისტრო. თუ გსურთ იხილოთ სტრუქტურული ცვლილებები, მაშინ უნდა ჩართოთ ხალხი, რომელსაც ამ ცვლილებების მოხდენა შეუძლია.

მითი 7. დიალოგი დომინანტურ კულტურას ყოველთვის მოუტანს სარგებელს

როდესაც ჩემი შვილი 5 წლის იყო, მოვიდა და მუხლზე დამიჯდა. მე ფეხბურთის თამაშს ვუყურებდი. მკითხა, თუ ვის მხარეზე ვიყავით. ავუხსენი, რომ გვინდოდა, წითლებს მოეგო. ახლაც კი, 22 წლის შემდეგ, ის მანჩესტერ იუნაიტედის გულითადი ქომაგია. ცუდი შედარებაა, მაგრამ საკმაოდ დიდი ალბათობაა იმისა, რომ ბავშვს, რომელიც სერბეთის ჩრდილოეთ მიტროვიცას ნაწილში გაიზრდება, ექნება უარყოფითი დამოკიდებულება ალბანელების მიმართ. ალბათობა, რომ სამხრეთ მიტროვიცაში ალბანელი ბავშვი ანალოგიურად უარყოფითი დამოკიდებულებით გაიზრდება სერბების მიმართ, ასევე მაღალია. თუკი ისინი 20 წლის ასაკში ხიდზე შეხვდებიან და ერთმანეთს შეხედავენ, შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ სარკეში იხედებიან. შევიძულებდი ჩემ თავს შენს ადგილას რომ ვყოფილიყავი? დამთხვევაა თუ არა, რომ ოჯახი სადაც დავიბადეთ, გადაწყვეტს, ვინ იქნებიან ჩვენი მეგობრები და ვინ იქნებიან ჩვენი მტრები?

ჩვენი მიდგომის სიძლიერე არის ის, რომ ხელი შეუწყოს მონაწილეებს, რათა მათ ერთმანეთი არ აღიქვან, როგორც მთავარი პრობლემა. ამ მიდგომას მიჰყავს ისინი სტრუქტურული ფაქტორების დანახვამდე, როგორიცაა თვითსეგრეგაცია და პრობლემის ცალმხრივი პროპაგანდა. ეს აღიარება ამცირებს სხვის მეტად დადანაშაულებას და აფართოებს პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში ადამიანის ურთიერთობისათვის განკუთვნილ სივრცეს. უმცირესობები ხშირად უწოდებენ დიალოგს დროის ფუჭ ხარჯვას, მას შემდეგ, რაც დომინანტური კულტურა არ საჭიროებს მოსმენას. მსურს შევაბრუნო ეს მოსაზრება. დომინანტური კულტურა ფრიად თვალსაჩინოა და დიალოგში ჩართვის შედეგად ბევრის მოპოვება არ სჭირდება. მათი ისტორია ისედაც ცნობილია. ეს არის უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც თავის წარმოჩენას დიალოგის საშუალებით ახერხებენ. ალტერნატივას მეტად ძალადობრივი რეაქციები ან უჩინრად ყოფნის შენარჩუნება წარმოადგენს.

დასკვნა

უმეტეს შემთხვევაში, განვითარების პროცესის ხელშეწყობისას, არის დამოკიდებულების შიში და მანტრას ძლიერი რწმენა: „არ მისცე ხალხს თევზი. მიეცი მათ თევზაობისათვის აღჭურვილობა და ასწავლე თევზაობა“. ჩემი გამოცდილება საპირისპირო იყო. დასავლეთ ბალკანეთში ჩვენ ხალხს „თევზაობის“ შესახებ ბევრს ვერ ვასწავლით, მაგრამ შეგვიძლია „მათთან ერთად თევზაობა“. ფინანსური მხარდაჭერა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან, ტრენინგი ნანსენის აკადემიაში, ადგილობრივი ნანსენის დიალოგის ცენტრები ძლიერი ადგილობრივი მხარდაჭერის ჯგუფებთან

ერთად – მუშაობდნენ, როგორც ბერკეტების გარდამტეხი ქვები დანაწევრებულ თემებში. ჩვენ ერთად ავაშენეთ ეს შერიგების სტრატეგია, ერთად ვაჩვენეთ, რომ ინტეგრაცია შესაძლებელია. ეს არ არის დამოკიდებულება. ეს არის თანამშრომლობა. როგორც ჩანს, არსებობს გარკვეული ღირებულებები, რომლებიც თავისთავად ახლავს დიალოგის მიდგომას: ტოლერანტობა, ჩართულობა და ინტეგრაცია. ამან შეიძლება ახსნას, თუ რატომ ერთვება ამდენი მონაწილე, გრძელვადიანი დიალოგის დროს, აქტიურ მუშაობაში სოციალური ცვლილების განსახორციელებელად. ეს ფასეულობები: ტოლერანტობა, ჩართულობა და ინტეგრაცია აუცილებელია თანამედროვე მრავალეთნიკურ დემოკრატიებში. ევროპული სახელმწიფოების მრავალეთნიკური განვითარება იწვევს დემოკრატიის ფუნდამენტს, რომელიც, როგორც ჩანს, ხელს უწყობს უმრავლესობას. მომავლის დემოკრატიებმა უნდა შეიმუშაონ დიალოგის კულტურა, მხოლოდ იმიტომ, რომ დემოკრატია არის წარმომადგენლობითი სისტემა და არჩეულმა თანამდებობის პირებმა უნდა იცოდნენ, ვის წარმოადგენენ ისინი.

ამ პროცესში ვხვდებით ბევრ მსგავს პრობლემას და აღმოვაჩინე, რომ ფრიად შედეგის მომცემია ამის, როგორც საერთო ევროპული ბრძოლის, წარმოდგენა. მას შემოაქვს ძლიერი გადაუდებელი დიალოგის კულტურის პოპულარიზაცია. ამის განხორციელება, ძლიერი წინააღმდეგობების მიუხედავად, ყოფილი იუგოსლავიის მცხოვრებმა მრავალმა ადამიანმა მოახერხა. მშობლების სურვილის გარეშე იეგუნოვცეში არასოდეს იარსებებდა ნანსენის სკოლა, რომელიც შესაძლებელია, იქცეს მაკედონური განათლების პოლიტიკის მაგალითად. ეს ადასტურებს მრავალდონიანი მიდგომის აუცილებლობას.

ევროპაში მრავალეთნიკური სახელმწიფოს განვითარება იწვევს ასპარეზზე დემოკრატიის ფუნდამენტს. ეთნიკური ჯგუფების პოზიციების სისწორე აუცილებლობას არ წარმოადგენს მხოლოდ იმიტომ, რომ უმრავლესობაში არიან. მას შემდეგ, რაც დემოკრატია წარმომადგენლობითი სისტემაა, უნდა ვიცოდეთ, თუ ვის წარმოვადგენთ. თუ განათლება, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება გახდება დანაწევრებული, მომავალში ჩვენ ნაკლებად შევძლებთ გამოწვევებთან შერკინებას. ეს ყოველივე დიალოგის კულტურის განვითარების აუცილებლობას ზრდის. თუ არა დიალოგი – რა წარმოადგენს ალტერნატიულ გზას?

გარდამავალი მართლმსაჯულება და შერიგება ბოსნია-ჰერცოგოვინაში

როლანდ კოსტიჩი, ჰიუგო ვალენტინის ცენტრი, უპსალას უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ამ ნაშრომში ნაჩვენებია, რომ გარდამავალი მართლმსაჯულების ინიციატივებს (როგორიცაა: ყოფილი იუგოსლავიისათვის სასამართლო განხილვები სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალსა და ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფო სასამართლოში, სრებრენიცას კომისია და კონფლიქტის დროს დაღუპულთა ზუსტი სტატისტიკის შექმნა) მხოლოდ შეზღუდული გავლენა ჰქონდა ჯგუფებს შორის შერიგებაზე ბოსნია-ჰერცოგოვინაში. გავრცელებული მიდგომები ამ ინიციატივებთან დაკავშირებით ასახულია 2005 და 2010 წელს ჩატარებულ კვლევებში. შედეგები არ არის გასაკვირი. მით უმეტეს – დამატებითი რეგულაციებისა და კონტროლის დონის გამო, პოსტ-დეიტონის სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკის არარსებობის ფონზე, რაც გულისხმობს, რომ პოლიტიკა ხვდება იმ ასპარეზზე, რომელიც ეხება წარსულს.

საერთაშორისო თანამეგობრობამ დააკანონა სამი გავრცელებული კონფლიქტის ნარატივი, როგორც მშვიდობის დამყარების გზა დეიტონში. კომუნალური ნარატივები გამოიყენებოდა მშვიდობის მშენებლობის პროცესში ადგილობრივი ელიტის მიერ. ამ გზით მათ უნდა დაეცვათ მოლაპარაკებების დროს მოპოვებული დათმობები და დაეპირისპირებინათ დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების გარე ხელმძღვანელობისგან თავსმოხვეული ცვლილებებისათვის. ამან ბოლოდროინდელ კონფლიქტებთან დაკავშირებული დებატები წარსულზე მოლაპარაკების გარდამავალი პროცესიდან გარდაქმნა მუდმივ საკითხად, მუდმივ საქმედ. ეს პროცესი გამორიცხავს შერიგებას, როგორც ტანჯვის ორმხრივ გააზრებასა და ძალადობრივი კონფლიქტის მიზეზებისა და დინამიკის დეტალურ გაგებას.

შესავალი[85]

სამშვიდობო შეთანხმებებზე მოლაპარაკებები საკმაოდ პოპულარული გახდა ცივი ომის დასრულების შემდეგ[86]. 1989 წლიდან 2011 წლამდე

[85] ავტორს სურს, მადლობა გადაუხადოს ტომისლავ დულიჩს, ვანესა პუპოვაჩს, ალექსანდრა კენტს, იენს სორენსენს, ფრედერიკ სოდერბაუმს, ჯულიან რეიდს, ჯიორჯო შანმის, ჰენინგ ლებერს, კრიტინ ჰოგლუნდს და კარიმ აგესტამს ამ ნაშრომის წინა ვერსიისთვის გაკეთებული კომენტარებისთვის. ნაშრომი შესრულდა შვედეთის კვლევის საბჭოს გულუხვი დახმარების საფუძველზე.

პერიოდში, 178 სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა სხვადასხვა დიპლომატიური ინიციატივების მხარდასაჭერად[87]. პოლიტიკოსები და მეცნიერები კამათობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ადრე ნაკლებად სრულყოფილი სამშვიდობო შეთანხმებებით ხდებოდა ძალადობის დასრულება, ისინი ძალიან იშვიათად განიხილავდნენ სოციალურ დაყოფას ომის შემდგომ საზოგადოებებში[88]. შედეგად, სამშვიდობო შეთანხმებებში, სახელმწიფოს მშენებლობის მრავალფეროვან ზომებთან ერთად, სხვადასხვა სახის გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმიც ჩართეს, ხელშეკრულების შემდგომ პერიოდში მდგრადი სახელმწიფო მშენებლობის ხელშესაწყობად[89]. კამათის საგანი იყო ის, რამდენად შესაძლებელია, რომ ერთდროულად, სახელმწიფო მშენებლობამ და იმ ზომებმა, რაც უმკლავდება წარსულში მომხდარ დანაშაულებს და ამავე დროს, წარსულში მომხდარ ფაქტებზე სელექციურმა შეხედულებებმა, შედეგად მოიტანოს ეროვნული შერიგება და ხანგრძლივი სტაბილურობა.

ზოგადად, უამრავი კვლევა იყო ფოკუსირებული წარსული მოვლენების გააზრების აუცილებელობაზე, რათა მხარეებმა დაიწყონ შერიგება და საერთო მომავლის მშენებლობა. მაგალითად, ჰიუსი შერიგების მიღწევას განიხილავს წარსული უსამართლობების გამოსწორებისა და ინდივიდებსა და თემებს შორის არაძალადობრივი ურთიერთობების აღდგენა-მშენებლობის ჭრილში[90]. ამ შეხედულებების თანახმად, დამსხვრეული მორალური წესრიგის აღსადგენად, საჭიროა, დავინახოთ, რომ სამართლიანობა აღსრულდა[91]. ამასვე წერს პრისცილა ჰაინერი: „შერიგება გულისხმობს ურთიერთობების აღდგენას და მშენებლობას, რასაც გუშინდელი კონფლიქტისა და სიძულვილის აჩრდილი თან არ სდევს“[92]. იგი ასევე მიუთითებს რამდენიმე მაჩვენებელზე საზოგადოებაში შერიგების დონის შექმნისთვის. ეს მოიცავს საკითხებს, თუ როგორ მოხდება წარსულის ინტეგრირება და რადგანაც ყოფილ მტრებზე ვსაუბრობთ, როგორ შეჯერდება წარსულის ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიები, ურთიერთობები წარსულზე იქნება დაფუძნებული თუ აწმყოზე?

ლოგიკის თანახმად, ვიდრე კარგ მმართველობას, კონსტიტუციურ და სამართლებრივ თანასწორობას შეუძლია შიდა ჯგუფური თანამშრომლობის წახალისება ომის შემდგომ პერიოდში[93], გარდამავალი მართლმსაჯულების

[86] Vinjamuri and Boesenecker, 2007:5
[87] Wallensteen, 2012: 81
[88] Borer, 2006:5
[89] Kostić, 2007: 31–34; Kostić, 2008:205; Vinjamuri and Boesenecker, 2007:5
[90] Huyse, 2005:19
[91] Williams and Scharf, 2002: 16-22; Huyse, 2005: 97-98;
[92] Hayner, 2001:161;
[93] EU, 2004; Rigby, 2001:180;

ზომები, როგორიცაა – ტრიბუნალი და სიმართლის კომისიები, აწარმოებს ანგარიშვალდებულებებს ომის დანაშაულებზე, ინდივიდუალურ თვისებებს ანიჭებს ამ ანგარიშვალდებულებებს და აადვილებს წარსულის სიღრმისეულ გაგებას[94]. ეს ყველაფერი, ერთად აღებული, ხელს უწყობს შიდა ჯგუფურ და პერსონალურ შერიგების პროცესს, რაც მიჩნეულია მდგრადი მშვიდობის მშენებლობის საყრდენად[95].

თუმცა, ბოლო დროს, სამეცნიერო დებატებში არაერთხელ გააკრიტიკეს გარდამავალი მართლმსაჯულების ძალისხმევა. გარედან წახალისებული გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმების ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის დღის წესრიგში გაერთიანების მომხრეები დაობენ, რომ მოლაპარაკებები და ძალაუფლება, რომელიც თანაზიარია საომარ მხარეებს შორის, ეწინააღმდეგება სიმართლისა და მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების მიწოდების იდეას[96]. მათი რჩევით, გარე მხარეებმა თავიდანვე ნათლად უნდა განსაზღვრონ, თუ ვინ არის მსხვერპლი და ვინ – დამნაშავე და დასახონ კონფლიქტის გადაჭრის სამართლიანი გზები[97].

დებატების მეორე მხარე აკრიტიკებს გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმების ჩართვას გარედან მოქმედი ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის პროექტების ფართო სტრატეგიაში. როგორც სრირამი აღნიშნავს, გარდამავალი მართლმსაჯულების გადაწყვეტილებებმა შესაძლოა, ძირითად აქცენტად სამართლებრივი ანგარიშვალდებულება აქციოს. ასეთი მიდგომა კი პრობლემური აღმოჩნდება, რადგანაც, პირველ რიგში, აქცენტს აკეთებს ინდივიდუალურ უფლებებსა და მოვალეობებზე და ეს შესაძლოა, არ განიხილებოდეს სამართლიანად იმ საზოგადოებებში, სადაც გამოკვეთილია ჯგუფური და თემური იდენტობა[98]. ამასთან, კამათის საგანს წარმოადგენს ისიც, რომ უნივერსალური მართლმსაჯულების გარეგანმა დაკისრებამ, როგორც ეს მოხდა ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) და, როგორც დღემდე გრძელდება, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) შემთხვევაში, შესაძლოა, ჩაშალოს საშინაო მშვიდობისა და შერიგების პროცესი[99]. ასევე მიჩნეულია, რომ საშინაო შერიგების განხორციელება როცა არ ხდება, ამგვარი

[94] Rigby, 2001: 180; Williams and Scharf, 2001:16–22; Huyse, 2005;
[95] Williams and Scharf, 2001; EU, 2004; Jeong, 2005: 12;
[96] Wiliams and Scharf, 2001;
[97] see Wiliams and Scharf, 2001: 12–14;
[98] Sriram, 2009: 100;
[99] Sriram, 2009: 100; Hayden, 2011: 313;

პრაქტიკები ფინანსურად მომგებიანია ადამიანის უფლებების დამცველთათვის და ადამიანის უფლებათა ადგილობრივი ცენტრებისთვის[100].

გარედან დაკისრებული გარდამავალი მართლმსაჯულებისა და შერიგების პროცესზე მისი გავლენის კრიტიკა მნიშვნელოვანია, მაგრამ ის ბოლომდე ვერ განსაზღვრავს კავშირს საგარეო მშვიდობის მშენებლობასა და გარდამავალ მართლმსაჯულებას შორის. ასევე, ვერ განსაზღვრავს, რა გავლენას ახდენს მშვიდობის მშენებლობა და გარდამავალი მართლმსაჯულება ომის შემდგომი საზოგადოების შერიგების პროცესზე. ამ სტატიაში ვცდილობ, წარმოვაჩინო, რომ პრობლემა კომპლექსურია და უკავშირდება ჩვენი შეგნების უფრო ფართო ცვლილებას და ცივი ომის შემდგომ კონფლიქტის გადაწყვეტის ხორცშესხმას.

თავდაპირველად კონფლიქტის მოგვარება ეფუძნებოდა შუამავლობის გზით პირველადი პარტიების დახმარების იდეას, რათა მათ თავად მოეძებნათ გამოსავალი დავების მშვიდობიანად გადაწყვეტისთვის[101]. თუმცა, ცივი ომის დასრულების შემდეგ, მზარდი ტენდენცია იყო კონფლიქტით მართულ საზოგადოებებზე ძლიერი მესამე მხარის ინტერვენციისა და ჰეგემონური დამოკიდებულებისა. ამ დროს აქცენტი კეთდებოდა ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის ფორმულაზე, არჩევნებსა და ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკურ რეფორმებზე დაფუძნებული ინსტიტუციების შენებაზე[102]. პირველადი პარტიები კონფლიქტში მოიაზრებიან, როგორც პროცესის მონაწილეები, მაგრამ მცირე გავლენა აქვთ მის არსსა და შედეგებზე[103]. გარეგან-შინაგანი ჰიბრიდულობა საკუთრებასთან მიმართებით განსაკუთრებით დამახასიათებელია გარდამავალი მართლმსაჯულების თანამედროვე გაგებისა და შერიგების პროცესზე მისი გავლენისათვის. მე ვდაობ, რომ პირველადი პარტიების ჩართვა ლეგიტიმურს ხდის მათ კონკრეტულ შეხედულებებს კონფლიქტის მიზეზებთან და დინამიკასთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ლეგიტიმურს ხდის ურთიერთსაპირისპირო რწმენებს შეუთავსებლობის წყაროს შესახებ. იმავდროულად, გარე პარტიებს ხშირად აქვთ თავიანთი პერსპექტივები კონფლიქტებთან დაკავშირებით და შეთავაზებები მის მოსაგვარებლად, მათ შორის – გარდამავალი მართლმსაჯულების კონკრეტული მექანიზმი[104]. ასეთი ტიპის ინტერაქცია გარდამავალი მართლმსაჯულების პრაქტიკას პოლიტიკის

[100] Hayden, 2011: 313, 325; Bilić, 2011: 305, 309) as well as local political elites (Subotić, 2009: 45–46;

[101] Galtung, 2012;

[102] Ericsson and Kostić, 2013;

[103] Chandler, 2006, 2011; Kostić, 2011;

[104] see Dragović-Soso and Gordy, 2010: 203; Krampe, 2013;

წიაღში აქცევს, სადაც დომინირებისათვის იბრძვის წარსულის განსხვავებული ნარატივები და ჩარჩოები[105].

იმის ნაცვლად, მოხდეს წარსულში მომხდარ ფაქტებზე შეთანხმება და მაშინდელი ტანჯვის ორმხრივი გააზრება, ამგვარი ჰიბრიდული პროცესების დინამიკას მივყავართ წარსულის პოლიტიზირებამდე და პირველადი პარტიების მიერ წარსულის შესახებ კონფლიქტური რწმენების შენარჩუნებამდე. ასეთ სოციალურ კონტექსტში, გარდამავალი მართლმსაჯულების ინიციატივების სხვადასხვა სამუშაოები და შედეგები განიხილება არსებული კოლექტიური ნარატივების გადმოსახედიდან და პოლიტიკური ჩარჩოებიდან, რაც აკანონებს და უკავშირებს სელექციური ჯგუფის პერსპექტივებს ომის შემდგომ სიტუაციას. ეს თეორიული არგუმენტი განვრცობილია უნიკალური გამოკითხვის მონაცემთა ბაზაში 2005 (n=2500) და 2010 (n+1500) წლებში, რომელიც ეხებოდა ბოსნია-ჰერცოგოვინაში გავრცელებულ აღქმებს გარდამავალი მართლმსაჯულების სხვადასხვა ინიციატივებთან დაკავშირებით.

შემდგომი ნაწილი მოკლედ ასახავს, დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ (DPA), ბოსნია-ჰერცოგოვინას შემთხვევაზე დაყრდნობით, კავშირებს სამშვიდობო ხელშეკრულებების მოლაპარაკებებსა და სელექციური ჯგუფის ნარატივების წარმონაქმნებს შორის. მე ვიკვლევ კონფლიქტური კოლექტიური მეხსიერების ლეგიტიმურობის საკითხს მშვიდობის მშენებლობის კონტექსტში და განვიხილავ გავლენას, რომელიც მას აქვს ორმხრივად ექსკლუზიური კოლექტიური მეხსიერების რეპროდუქციასა და რელიეფზე და მართლმსაჯულების იმ აღქმებზე, რაც მისგან იღებს სათავეს. მომდევნო აბზაცებში მე წარმოგიდგენთ კონფლიქტის ჯგუფურ აღქმებს ბოსნია-ჰერცოგოვინაში და შევისწავლი ICTY-ის, ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფო სასამართლოს, სრებრენიცას კომისიისა და შიდა ჯგუფური შერიგების კვლევისა და დოკუმენტაციის ცენტრის მიზნებსა და გავლენებს. ბოლო ნაწილი ეძღვნება დასკვნებს.

ჯგუფური ნარატივების როლი ომის შემდგომი მშვიდობის მშენებლობის პროცესში

არსებობს მოსაზრება, რომ სოციო-ფსიქოლოგიური ინფრასტრუქტურა, რომელიც ახასიათებს გადაუჭრელ კონფლიქტებს, ასრულებს განმსაზღვრელ როლს მის განვითარებასა და განგრძობაში, შემდგომ კი – მის მოგვარებასა და შერიგებაში[106]. სამი საკვანძო საკითხი არსებობს სოციო-ფსიქოლოგიურ

[105] იხ. Williams and Scharf, 2001: 12;
[106] Bar-Tal, 2007:1432;

ინფრასტრუქტურაში: კოლექტიური მეხსიერება, კონფლიქტის ხასიათი და კოლექტიური ემოციური ორიენტაცია[107]. კოლექტიური მეხსიერება მოიაზრებს წარსულს, როგორც საზოგადოების არსებობის ამჟამინდელი მდგომარეობის ფუნქციას, განსაკუთრებით კი მის მეტოქე ჯგუფებთან კონფრონტაციის პროცესში. კოლექტიური მეხსიერება, როგორც წესი, წარსულის ჭეშმარიტი მოვლენებიდან იღებს სათავეს, მაგრამ მიკერძოებული, სელექციური და დამახინჯებულია ისე, რომ არ შეესაბამება ჯგუფის ამჟამინდელ მოთხოვნებს. ასეთ მოგონებებს ახასიათებს გარკვეული ფაქტების გამოტოვება, მათ ნაცვლად საეჭვო მოვლენების ჩამატება და წარსულ მოვლენათა მიზანმიმართული ინტერპრეტაციის შეთავაზება[108]. და მაინც, კოლექტიურ მახსოვრობას საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილი ეპყრობა, როგორც წარსულის ნამდვილ ასახვას და თავიანთი ჯგუფის სანდო ისტორიას. ამასთანავე, საზოგადოებები წარმოქმნიან ნარატივებს აწმყოს შესახებ – ეთნოსი, რომელიც შედგება მთავარი საზოგადოებრივი რწმენებისგან და უკავშირდება ჯგუფის ორიენტაციას, როგორც წარსულთან, ასევე მომავალთან მიმართებაში[109]. ერთად აღებული, ყოველივე ეს ქმნის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების, მისი ევოლუციისა და აწმყოსთან კავშირის მნიშვნელოვან და თანმიმდევრულ სურათს[110].

ბოსნია-ჰერცოგოვინას შემთხვევაში, მოდავე ბოსნიაკების, ბოსნიელი სერბებისა და ბოსნიელი ხორვატების ეთნიკურ-ეროვნული ნარატივები და რწმენები, პოლიტიკურ შეუთავსებლობასთან დაკავშირებით, წარმოიშვა ყოფილი იუგოსლავიის დაშლის ფართო კონტექსტში. ომმა და მისმა დინამიკამ გადამწყვეტი როლი შეასრულა არსებული ეთნიკურ-ეროვნული ჩარჩოებისა და კონფლიქტის გამომწვევი ძირეული მიზეზების წარმოშობაში. შედეგად, მივიღეთ სამი, ორმხრივად ექსკლუზიური, ეთნიკურ-ეროვნული ნარატივი თავიანთი საზოგადოების როლისა და ბოსნიის ომში სხვების როლის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოებულმა მშვიდობის მშენებლობის დასავლურმა ინიციატივამ და დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერამ 1995 წლის ნოემბერში წერტილი დაუსვა შიდა-ეთნიკურ ძალადობას[111]. იმას, თუ როგორი სახით დასრულდა ძალადობა, დიდი გავლენა ჰქონდა ომის შესახებ კოლექტიური ნარატივების შემდგომ აღიარებაში.

გარედან მართული მოლაპარაკებების გზით მიღწეული მშვიდობა იყო კომპრომისი, რაც ნიშნავდა, რომ არ არსებობდა გამარჯვებული და

[107] Bar-Tal, 2007: 1432;
[108] Bar-Tal, 2007:1437;
[109] Bar-Tal, 2000: 139-142;
[110] Devine-Wright, 2003;
[111] იხ, Kostić, 2009;

დამარცხებული მხარე[112]. გარდა ამისა, ბოსნიაკების, ბოსნიელი სერბებისა და ბოსნიელი ხორვატების საზოგადოების პოლიტიკური წარმომადგენლების მონაწილეობით გამართულ სამშვიდობო მოლაპარაკებებში, შეერთებული შტატების მიერ მართულმა შუამავლებმა, ნაწილობრივ მაინც, აღიარეს და დააკანონეს გაბატონებული კოლექტიური მეხსიერებები ომის დროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით, რათა დაეწყოთ მშვიდობის დამკვიდრება[113].

თუმცა, დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების ინტერპრეტაციისა და განხორციელების კუთხით აშშ-ს საერთაშორისო საზოგადოებამ დასაწყისიდანვე მოიპოვა სრული კონტროლი პროცესზე. პოლიტიკური პროცესის, საკონსტიტუციო სასამართლოსა და იმპლემენტაციის მექანიზმის ისეთი ორგანოების კონტროლით, როგორიცაა უმაღლესი წარმომადგენლის ოფისი (OHR) და მშვიდობის განმახორციელებელი საბჭო (PIC), აშშ-ისა და ევროკავშირის პოლიტიკოსებს სჯეროდათ, რომ ისინი დეიტონის მშვიდობის შეთანხმების ევოლუციის სათავეში ჩადგებოდნენ. პროცესის განმავლობაში აშშ-ს საერთაშორისო საზოგადოება ცდილობდა, გაეუქმებინა ჯგუფის უფლებებთან დაკავშირებული რეტროსპექტიული დებულებები და ხელი შეეწყო პროგრესული დებულებებისათვის, რომლებიც ინდივიდების უფლებებზე იქნებოდა ორიენტირებული[114]. მართალია, ფორმალურად ჩართულები იყვნენ, მაგრამ ბოსნია-ჰერცოგოვინას პოლიტიკური ელიტა, ვინც ადგილობრივ ოლქებს წარმოადგენდა, ბოლო დრომდე რეალურად ვერ ფლობდა გავლენებს ქვეყნის პოლიტიკასა და ეკონომიკაში[115].

პოლიტიკის გარეშე მშვიდობის მშენებლობის არსებული სიტუაციით, დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების განვითარების მუდმივი გარე მოთხოვნების ფონზე, მეტ-ნაკლებად დემოკრატიულად არჩეულმა ელიტამ სხვადასხვა სპექტრის მიდგომები განავითარა. ამ საშინაო-საგარეო დინამიკის ყველაზე ცნობილი მახასიათებელი იყო წარსულის პოლიტიკაში ჩართვა. წარსულის შესახებ საკუთარი ხედვების გამართლებისა და აწმყოსთან მათი შეკავშირების მიზნით, პოლიტიკური ელიტები მონაწილეობდნენ ტრაგიკული მოვლენების ხსენების დღეებში და განაგრძობდნენ ომის გამომწვევ მიზეზებზე საკუთარი მხარის შეხედულებების გავრცელებას,

---

[112] Williams and Schafer, 2001:160–161;

[113] საერთაშორისო დონეზე მცირე თანხმობა არსებობდა საკითხთან მიმართებაში. მთავარი საერთაშორისო ძალისთვის, აშშ-სთვის, ომი იყო გენოციდური ძალადობა ბოსნიელი მოსახლეობის წინააღმდეგ. თუმცა სხვა დიდმა ქვეყნებმა, როგორიცაა საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და გერმანია, მეტ-ნაკლებად გადაანაწილეს პასუხისმგებლობა სამივე მხარეზე (იხ.Wiliams and Scharf, 2001: 64-87).

[114] (დაწვრილებით იხ. Nystuen, 2005: 239-51; O'Brien, 2005: 108:109;

[115] ბოსნია-ჰერცოგოვინას შეხედულებების გასაგებად საკუთრებასა და პოსტ-დეიტონის პოლიტიკაში მონაწილეობაზე, იხ.: Kostić 2007: 183–192.

კერძოდ, „სხვების“ – მტრად და საკუთარი თავის მსხვერპლად წარმოჩენას ისე, რომ მიუწვდომლები რჩებოდნენ OHR-სთვის[116]. წარსული მოვლენების ხელახალმა გაცოცხლებამ მათ ასევე საშუალება მისცა, განეცხადებინათ, რომ დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების საწყისი შინაარსი მათი კონკრეტული პოზიციის ლეგიტიმურობას ახდენდა. ასეთ პროცესში, ომის დროინდელი საკუთარი კოლექტიური ნარატივის უარყოფა და ოპონენტის ნარატივის მიღება წარმოადგენს საზოგადოებისათვის პოლიტიკურ მარცხს და არა შერიგებისკენ წინ გადადგმულ ნაბიჯს.

წინამორბედმა დამოკიდებულებებმა და აღქმებმა, ისევე, როგორც პოლიტიკურმა უთანხმოებამ ომზე და ომის დროინდელ კონკრეტულ მოვლენებზე, წარმოშვა მრავალი კითხვა დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების საგარეო ზედამხედველებში. შესაძლებელია თუ არა საერთო სახელმწიფოს აშენება ომის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით დიამეტრულად განსხვავებული საერთო ნარატივებისა და სხვადასხვა როლების მქონე ჯგუფების შერიგების გარეშე? შესაძლებელია მშვიდობის მშენებლობა ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების აღდგენის გარეშე მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებათა უხეში დამრღვევები კვლავ თავისუფლები არიან? დაბოლოს, შეუძლიათ თუ არა ყოფილ მტრებს ერთმანეთის ნდობა და პატივისცემა, თუკი მათ არ ექნებათ თუნდაც მინიმალური ურთიერთგაგება წარსულთან დაკავშირებით?

კომპლექსური გამოწვევების ფონზე, რაც ბოსნიის ომის შემდეგ გაჩნდა დამოკიდებულებებისა და უსამართლობის ხანგრძლივი შეგრძნების შედეგად, გარდამავალი მართლმსაჯულების მრავალი საგარეო მექანიზმი შემუშავდა შიდა ჯგუფური შერიგების ხელშესაწყობად და სამი საზოგადოების სელექციურ კოლექტიურ მეხსიერებებთან სამუშაოდ. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი ჰააგაში, ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფო სასამართლოს ომის დანაშაულების პალატა, კვლევისა და დოკუმენტაციის ცენტრი სარაევოში და სრებრენიცას კომისია. მომდევნო თავში განხილულია რამდენიმე საკვანძო მიგნება ამ ინიციატივებთან დაკავშირებულ ცნობილ მიდგომებთან მიმართებაში.

ომის კომუნალური მოგონებები ბოსნია-ჰერცოგოვინაში

გარდამავალი მართლმსაჯულების სხვადასხვა ინიციატივების დამსახურებებს ვიდრე წარმოგიდგენთ და განვიხილავთ, მნიშვნელოვანია, ვაჩვენოთ ბოსნია-ჰერცოგოვინაში ომის შესახებ კოლექტიური მეხსიერების

[116]ბოსნია-ჰერცოგოვინას პოლიტიკოსების წარსულისადმი დამოკიდებულებების გასაგებად იხილეთ Kostić (2007: 243–280).

მდგომარეობა. ამისთვის გამოვიყენებ ჩემ მიერ IPSOS-თან ერთად 2005 და 2010 წლებში ჩატარებული კვლევის აღმოჩენებს. რესპონდენტებს უნდა გამოეთქვათ საკუთარი შეხედულებები ჯგუფში თავიანთ როლთან და ომის მახასიათებლებთან დაკავშირებით და დაესახელებინათ კონფლიქტში თავდაცვითი სამხედრო ძალა.

2005 წლის გამოკითხვაში, განაცხადზე – „ჩემი ხალხი აწარმოებდა მხოლოდ თავდაცვით ომს“ – წარმოუდგენელმა უმრავლესობამ, ბოსნიელების 85.3%-მა, სერბების 76.2%-მა და ხორვატების 75.9%-მა მკაცრად დადებითი პასუხი გასცა. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს შემცირდა ამ დადებითად მოპასუხეთა რიცხვი, განსაკუთრებით ბოსნიელ და სერბ რესპონდენტებს შორის (54.7% ეთანხმებოდა), ის მოსაზრება, რომ ამ ომში თავს იცავდნენ, მაინც დომინანტური იყო სამივე თემში.

ცხრილი 1:

ჯგუფები და მონაწილეობა თავდაცვით ომში

(პროცენტული მაჩვენებლები)

ჩემი ხალხი მხოლოდ თავდაცვით ომს აწარმოებდა (2005)	**ეროვნება**			
	ბოსნიელი	ხორვატი	სერბი	სულ
სავსებით ვეთანხმები	85.3	75.9	76.2	79.4
გარკვეულწილად ვეთანხმები	11.7	16.6	16.8	14.9
გარკვეულწილად არ ვეთანხმები	1.8	2.9	4.1	2.9
საერთოდ არ ვეთანხმები	0.2	0.5	0.4	0.4
არ ვიცი	1.0	4.1	2.5	2.4
ჩემი ხალხი მხოლოდ თავდაცვით ომს აწარმოებდა (2010)	**ეროვნება**			
	ბოსნიელი	ხორვატი	სერბი	სულ
სავსებით ვეთანხმები	81	70	54.7	68.6
გარკვეულწილად ვეთანხმები	16.6	24.5	33.5	24.8
გარკვეულწილად არ ვეთანხმები	0.5	2.7	5.8	3
საერთოდ არ ვეთანხმები	0.3	0.8	0.2	0
არ ვიცი	1.6	2	5.8	3.6

ეთნიკურობაზე დაფუძნებული განსხვავებებიც საკმაოდ ძლიერია, როდესაც რესპონდენტებს ეკითხებიან, განსაზღვრონ ბოსნია-ჰერცოგოვინას ომის ხასიათი.

ცხრილი 2:

ბოსნია-ჰერცოგოვინას ომის განმარტება

(პროცენტული მაჩვენებლები)

თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინთაგან, ყველაზე კარგად რომელი განმარტავს ბოსნია-ჰერცოგოვინას ბოლო ომს? (2005)	**ეროვნება**			
	ბოსნიელი	ხორვატი	სერბი	სულ
სამოქალაქო ომი	3.7	16.7	83.6	34.2
აგრესია	95.1	73.2	9.0	59.8
არ ვიცი	1.2	10.1	7.4	6.0
თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინთაგან, ყველაზე კარგად რომელი განმარტავს ბოსნია-ჰერცოგოვინას ბოლო ომს? (2010)	**ეროვნება**			
	ბოსნიელი	ხორვატი	სერბი	სულ
სამოქალაქო ომი	2.7	28.3	87.3	39.4
აგრესია	96.6	69.6	9	58.4
არ ვიცი	0.7	2.1	3.7	2.2

ნათელია, რომ აღმოჩენებში თითქმის არ არის ცვლილება ბოსნია-ჰერცოგოვინას ომის ეთნიკურ-ნაციონალურ განმარტებებს შორის. 2010 წელს სერბების 87.4%-მა კონფლიქტი სამოქალაქო ომად დაასახელა, მაშინ, როდესაც ბოსნიელების 96.6% და ხორვატების 69.6% ფიქრობდნენ, რომ ეს იყო აგრესია. წარსულის საერთო ხედის კომპლექსურობა ნათელი იყო, როდესაც რესპონდენტებს სთხოვეს, დაესახელებინათ სამხედრო ძალა (ძალები), რომელიც, მათი აზრით, დამცველის როლს თამაშობდა ბოლო ომში.

2005 წელს, როცა დაისვა ეს კითხვა, ხორვატი რესპონდენტების უმრავლესობამ – 92.7%-მა ხორვატიის თავდაცვის საბჭო (HVO) დაასახელა დამცველად; ბოსნიელების უმრავლესობამ – 91.4%-მა დაასახელა ბოსნია-ჰერცოგოვინას არმია (Armija BiH), ხოლო სერბებმა – RS არმია (Vojska RS).

ბოსნიელების მხოლოდ 5.9% მიიჩნევს HVO-ს დამცველად, ხოლო სერბების 4.5% – იუგოსლავიის ხალხის არმიას (JNA) განიხილავს ამ კონტექსტში.

ცხრილი 3:

ომი ბოსნია-ჰერცოგოვინაში და დამცველების განმარტებები
(პროცენტული მაჩვენებლები)

თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი სამხედრო ძალა შეიძლება დაახასიათოთ, როგორც დამცველი უკანასკნელ ომში?(2005)	**ეროვნება**			
	ბოსნიელი	ხორვატი	სერბი	სულ
HVO	5.9	92.7	1.8	31.0
Armija BiH	91.4	1.2	1.2	34.0
Vojska RS	0.1	0.1	89.6	29.8
Vojska AP Zapadne Bosne	0.6	0	0	0.2
JNA	0	3	4.5	1.6
არ ვიცი	2.0	3	2.9	3.4

თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი სამხედრო ძალა შეიძლება დაახასიათოთ, როგორც დამცველი უკანასკნელ ომში? (2010)	**ეროვნება**			
	ბოსნიელი	ხორვატი	სერბი	სულ
HVO	5.9	92.1	1.6	33.2
Armija BiH	91.2	6.6	2	33.2
Vojska RS	0.9	0.6	88	29.8
Vojska AP Zapadne Bosne	1.5	0.1	0.6	0.7
JNA	0.3	0.4	6.8	2.5
არ ვიცი	0.2	0.2	1	0.6

2010 წლის კვლევაში თითქმის არ აღმოჩნდა ცვლილება დამკვიდრებულ ეთნიკურ-ნაციონალურ აღქმებს შორის, რომლებიც პოპულარულ მოსაზრებად დომინირებს ბოსნია-ჰერცოგოვინას სამ ჯგუფში.

მთლიანობაში, ემპირიული აღმოჩენები ნათლად მიუთითებენ, რომ სამი ეთნიკურ-ნაციონალური თემის წარმომადგენლები ბოსნია-ჰერცოგოვინაში ინარჩუნებენ განსხვავებულ შეხედულებებსა და მოგონებებს ომის დროინდელ მოვლენებსა და მოქმედ პირებთან დაკავშირებით. ყველა გამოკითხული ჯგუფიდან, დიდი უმეტესობა იზიარებს აზრს, რომ მათი ხალხი თავდაცვით ომს აწარმოებდა. თუმცა, მაშინ, როცა ბოსნიელები და ხორვატები ბოლოდროინდელ ომს აგრესიას უწოდებენ, სერბების უმეტესობა მას სამოქალაქო ომად მიიჩნევს. საბოლოოდ, როდესაც დაისვა კითხვა, თუ ვინ იყო თავდაცვითი სამხედრო ძალა, ხორვატების უმრავლესობამ ხორვატიის თავდაცვის საბჭო აირჩია, ბოსნიელების უმრავლესობამ – ბოსნია-ჰერცოგოვინას არმია და სერბების უმეტესობამ კი – RS არმია. ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ნათელია, რომ ამჟამად ბოსნია-ჰერცოგოვინაში ეთნიკურ-ნაციონალურ ჯგუფებს შორის თითქმის არ არის საერთო გაგება წარსულთან მიმართებაში და თითოეული ჯგუფის უმრავლესობა განაგრძობს ორმხრივად ექსკლუზიური ეთნიკურ-ნაციონალური ნარატივების გამოხატვას.

შერიგების ხელშეწყობის სხვადასხვა მექანიზმები ბოსნია-ჰერცოგოვინაში – სადამსჯელო სამართალი

მსხვერპლთათვის სამართლიანობის უზრუნველყოფა წარმოდგენილია, როგორც შერიგების წინაპირობა. მართლმსაჯულებას მრავალი სახე აქვს და სადამსჯელო სამართალი მათ შორის ერთ-ერთია. ომის დანაშაულები და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები საჭიროებს ანგარიშვალდებულებასა და გასამართლებას, რამდენადაც ამგვარი ქმედებები საფრთხეს უქმნის როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო წესრიგს. სადამსჯელო სამართლის იდეა სწორედ ისაა, რომ შეამციროს შურისძიების რისკი, თავიდან აიცილოს ომში და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ჩამდენების ძალაუფლებაში ხელახლა მოსვლა და ამით საერთო დანაშაულის სტიგმა მოაშოროს მთელ თემს. უფრო მეტიც, საჯარო აღიარებით – ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, აღდგენით მართლმსაჯულებას შეუძლია ჭრილობების შეხორცება და თავდაჯერებულობის აღდგენა დანაშაულთა მსხვერპლში. საბოლოოდ, სასამართლოებმა შესაძლოა, უზრუნველყონ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შეავსებს წარსულის გამორჩენილ ფრაგმენტებს. ეს ლოგიკა ნათელი იყო ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალისა და ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფო სასამართლოში საომარი დანაშაულების პალატის შექმნისას.

საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისთვის

საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისთვის დაარსდა გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს N827 რეზოლუციით, 1993 წლის 25 მაისს. მის მიზანს წარმოადგენდა იმ ადამიანთა გასამართლება, ვინც პასუხისმგებელნი იყვნენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზულ დანაშაულებში. ეს დანაშაულები მათ ჩაიდინეს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე 1991 წლის 1 იანვრის შემდეგ. ICTY-ს ჩართვა დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებაში გათვალისწინებული იყო, როგორც დამატებითი ძალისხმევა ბოსნია-ჰერცოგოვინაში მართლმსაჯულებისა და შერიგების ხელშესაწყობად. ბოსნიელი, ხორვატი და სერბი ლიდერები მომართულნი იყვნენ ICTY-თან სათანამშრომლოდ, რათა მიეწოდებინათ უფრო გააზრებული ნარატივი ომის დროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით და უზრუნველეყოთ სამართლიანობის შეგრძნება მსხვერპლთათვის. თავდაპირველად, ICTY-მ გაასამართლა ადგილობრივი დამნაშავეები ომის დანაშაულებისთვის, რათა წარმოედგინა სამხილები სამხედრო და პოლიტიკური მეთაურების აღნიშნულ მოვლენებთან დასაკავშირებლად. თუმცა, შეზღუდული დროისა და რესურსების გამო და ასევე, რადგან უამრავ ადამიანს ედებოდა ბრალი, საჭირო გახდა სტრატეგიის შეცვლა. სასამართლო სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო და ბრალი წაუყენეს ზემდგომ სამხედრო ხელმძღვანელებსა და პოლიტიკურ ლიდერებს, როგორც ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, ასევე ყოფილი იუგოსლავიიის დანარჩენ ნაწილში.

ამასთანავე, 161 პატიმარს წარედგინა ბრალი ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ (ICTY). სასამართლომ შეადგინა 126 საქმე, მაშინ, როდესაც 35 პიროვნება კვლავ ელოდებოდა თავისი საქმის საბოლოო მოსმენას. 73 პიროვნებას გამოუტანეს დამნაშავის ვერდიქტი, 5 პიროვნება გაამართლეს, 13 საქმე ადგილობრივ სასამართლოს გადაეცა, ხოლო 35 საქმე შეჩერდა საბრალდებო აქტის გამოთხოვის ან ბრალდებულის გარდაცვალების გამო. თავის ერთ-ერთ დასკვნაში სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა ყოფილი იუგოსლავიისთვის (ICTY) მიიღო დადგენილება, რომ მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და ადგილობრივი ბოსნიელების გენოციდი სრებრენიცაში განახორციელეს ბოსნიელ სერბთა ძალებმა.

მიუხედავად ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სასამართლო პროცესების მიმართ საყოველთაო პოპულისტური დამოკიდებულებისა, 2010 წლის მიმოხილვაში ნათლად შეინიშნება, რომ მას მხოლოდ მოკლევადიანი ზეგავლენა აქვს მორიგების

პროცესებზე და წარმოადგენს ნარატივს წარსულის შესახებ და სამართლიანობის აღდგენაზე. მაშინ, როდესაც ბოსნიელების 74,3% და ხორვატების 61,2% მეტ-ნაკლებად ან სრულიად ეთანხმება, რომ ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მუშაობა არის წინაპირობა მშვიდობისა და თანაარსებობისთვის, სერბი რესპონდენტების მხოლოდ 15,20% ეთანხმება ამ მოსაზრებას სრულად ან მეტ-ნაკლებად.

ამასთანავე, ბოსნიელი რესპონდენტების 56,7% მეტ-ნაკლებად ან სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) სასამართლო პროცესები სამართლიანია. ხორვატების 56,6% და სერბების 89,6% კი სრულიად არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. უფრო მეტიც, ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) სამუშაო პროცესის სამართლიანობის მიმართ დამოკიდებულება მინიმალურად შეიცვალა 2005 წლიდან 2010 წლამდე.

ეს დასკვნები და შედეგები სულაც არ არის მოულოდნელი, რადგან წარმოდგენილია კონფლიქტში მონაწილე სამი ჯგუფის მოსაზრება ომისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. უფრო მეტიც, შეუძლებელია გაკონტროლდეს, აქვს თუ არა მოსახლეობაში ვინმეს საყოველთაო აზრისაგან განსხვავებული მოსაზრება.

კვლევის შედეგები წარმოადგენს ერთგვარ ტენდენციას, რომ ინდივიდები გამოხატავენ დაინტერესებას იმ სასამართლო პროცესების მიმართ, რომელიც განიხილავს მათ ეთნიკურ ჯგუფზე განხორციელებულ დანაშაულს, ამასთანავე, ისინი უარყოფენ იმ პროცესებს, რომელიც განიხილავს მათ დანაშაულს ომის დროს.

ცხრილი 4:

შეხედულებები ICTY-ზე 2005 წელს (პროცენტული მაჩვენებლები)

რა დოზით ეთანხმებით მოცემულ მოსაზრებებს?		**ეროვნება**			
		ბოსნიელები	ხორვატები	სერბები	სულ
საომარი დანაშაულების განხილვა ჰააგის სასამართლოზე არის მშვიდობისა და ნორმალური ურთიერთობის წინაპირობა	სრულად ეთანხმება	51.6	4.7	4.7	26.0
	მეტ-ნაკლებად ეთანხმება	28.7	11.1	11.1	25.8
	მეტ-ნაკლებად არ ეთანხმება	5.1	15.4	15.4	10.3
	სრულად არ ეთანმხება	11.0	63.3	63.3	33.5
	არ ვიცი	3.6	5.5	5.5	4.4
სასამართლო პროცესები ტრიბუნალზე არის სამართლიანი	სრულად ეთანხმება	32.7	4.3	4.3	16.7
	მეტ-ნაკლებად ეთანხმება	35.2	9.2	9.2	25.6
	მეტ-ნაკლებად არ ეთანხმება	9.3	11.2	11.2	11.7
	სრულად არ ეთანმხება	19.8	68.0	68.0	41.0
	არ ვიცი	3.0	7.3	7.3	5.0

ცხრილი 5:

შეხედულებები ICTY-ზე 2010 წელს (პროცენტული მაჩვენებლები)

რა დოზით ეთანხმებით მოცემულ მოსაზრებებს?		**ეროვნება**			
		ბოსნიელები	ხორვატები	სერბები	სულ
საომარი დანაშაულების განხილვა ჰააგის სასამართლოზე არის წინაპირობა მშვიდობისა და ნორმალური ურთიერთობისა	სრულად ეთანხმება	45.5	22.9	3.2	23.8
	მეტნაკლებად ეთანხმება	28.8	38.3	12.0	26.3
	მეტნაკლებად არ ეთანხმება	10.3	19.5	24.6	18.1
	სრულად არ ეთანმხება	11.7	16.5	58.7	29
	არ ვიცი	3.6	2.8	1.5	2.8
სასამართლო პროცესები ტრიბუნალზე არის სამართლიანი	სრულად ეთანხმება	24.8	10.9	4.0	13.2
	მეტნაკლებად ეთანხმება	31.9	29.2	5.2	22.1
	მეტნაკლებად არ ეთანხმება	15.1	22.9	22.0	20.0
	სრულად არ ეთანმხება	24.0	33.7	67.6	41.7
	არ ვიცი	4.2	3.3	1.2	3

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბოსნიელ სერბ პოლიტიკურ ლიდერებსა და პოლიტიკოსებს, უამრავ ბოსნიელ ხორვატთან ერთად, სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა, შესაძლოა, აისხნას, თუ რატომ არის ორივე მხარე – სერბებიც და ხორვატებიც – ბოსნია-ჰერცოგოვინაში სკეპტიკურად განწყობილი ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალისა და მისი სამართლიანობის მიმართ[117]. სასამართლო პროცესები 2014 წლის ბოლომდე არ დასრულებულა. შერიგების პროცესებს კი უფრო მეტი დრო დასჭირდება. ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის როლი სამართლიანობის აღდგენასა და შერიგებაში მხოლოდ მომავალში გახდება ნათელი.

ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფო სასამართლოს მომრიგებელი პალატა საომარი დანაშაულების საკითხებში

მას შემდეგ, რაც ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ICTY) უძლური აღმოჩნდა, შეზღუდული დროის პირობებში განეხილა ყველა საეჭვო საქმე საომარი დანაშაულების შესახებ (როგორც ბოსნიიდან, ასევე ჰერცოგოვინიდან), ამ ქვეყნის პარლამენტმა დაამტკიცა ადამიანთა უფლებების ოფისის (OHR) მიერ 2000 წელს შემუშავებული კანონი. 2002 წლის ივლისში კი დაამტკიცა ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფო სასამართლო და მისი მომრიგებელი პალატა საომარი დანაშაულების საკითხებში. ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფო სასამართლო არის ჰიბრიდული ტრიბუნალი, რომელშიც ვრცელდება ეროვნული იურისდიქცია, მაგრამ დასაქმებულები არიან როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მოსამართლეები (48 ადგილობრივი და 5 საერთაშორისო). უფრო მეტიც, ის ხელმძღვანელობს საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის ნაზავით, როდესაც განიხილავს საომარ დანაშაულებს და ადამიანთა უფლებების შელახვას. ნავარაუდევი იყო, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფო სასამართლოს დანიშვნა აღადგენდა

[117] პოზიტიურ დამოკიდებულებას ICTY-ს მიმართ ხელს უშლის უამრავი დავა სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით. როგორც აღინიშნა, ქვეყნის ხელმძღვანელების წინააღმდეგ სასამართლო დევნამ გამოიწვია სხვადასხვაგვარი შედეგები. მილოშევიჩი გარდაიცვალა სასამართლო განხილვისას, მაშინ, როცა სასამართლომ ა. იზეტბეგოვიჩისა და ფ. ტუდმანის წინააღმდეგ გამოიტანა განაჩენი მხოლოდ მათი გარდაცვალების შემდეგ. უფრო მეტიც, საქმე კოსოვოელი ალბანელების ლიდერის წინააღმდეგ შეჩერდა მოწმეების არარსებობის გამო (Dragović-Soso and Gordy 2011: 190).

სამართლიანობას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რასაც ვერ ფარავდა ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის საქმიანობა, ICTY შეამცირებდა პროცესების ხარჯებს და მოსახლეობას დაუახლოვებდა სასამართლო პროცესებს. 2002 წლის შემდეგ პალატამ განიხილა 93 საქმე, რომლებიც შეეხებოდა საომარ დანაშაულებს და ადამიანთა უფლებების შელახვას. ამ დროისთვის 67 ადამიანს წარედგინა ბრალი 32 გაუხსნელ საქმესთან დაკავშირებით (OSCE 2011). ზოგიერთი საქმის განხილვა შესაძლოა, ათწლეულები გაგრძელდეს, რადგანაც მასში დასახელებულია 10 000 სახელი და გვარი.

საჭიროა, გავიდეს ათწლეულები, რათა ნათლად განისაზღვროს, რა გავლენა იქონია სამართლიანობის აღდგენასა და დადგენაში ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფო სასამართლოს შექმნამ. კვლევაში მოყვანილი 2010 წლის მონაცემები გვაძლევს საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინას მოსახლეობა იშვიათად ადევნებს თვალს სახელმწიფო სასამართლოს მომრიგებელი პალატის საქმიანობას. მხოლოდ ბოსნიელი ხორვატი რესპონდენტების 60% და ბოსნიელი სერბი რესპონდენტების 75% პროცენტი ამბობს, რომ წელიწადში ერთხელ ან რამდენჯერმე ინტერესდება პალატის საქმიანობითა და გადაწყვეტილებებით. ბოსნიელი რესპონდენტების 52% ამბობს, რომ წელიწადში ერთხელ ან რამდენჯერმე ინტერესდება ამ საკითხით.

ცხრილი 6:

შეხედულებები ბოსნია-ჰერცოგოვინას საომარი დანაშაულების ტრიბუნალზე 2010 წ.

(მონ. წარმოდგენილია პროცენტებში)

რა დოზით ეთანხმებით მოცემულ მოსაზრებებს?		**ეროვნება**			
		ბოსნიელები	ხორვატები	სერბები	სულ
ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფო სასამართლოს საომარი დანაშაულების პალატის საქმიანობა არის მშვიდობისა და ნორმალური ურთიერთობის წინაპირობა	სრულად ეთანხმება	44.1	27.5	5.2	25.6
	მეტ-ნაკლებად ეთანხმება	34.2	31.6	16.6	27.4
	მეტ-ნაკლებად არ ეთანხმება	7.8	18.8	28.3	18.4
	სრულად არ ეთანხმება	5.4	15.9	40	20.4
	არ ვიცი	8.5	6.2	9.9	8.2
სასამართლო პროცესები ბოსნია-ჰერცოგოვინას საომარი დანაშაულების მომრიგებელ პალატაში სამართლიანია	სრულად ეთანხმება	29.7	7	2.2	12.9
	მეტ-ნაკლებად ეთანხმება	43.2	27.6	9.4	26.7
	მეტ-ნაკლებად არ ეთანხმება	9.9	26.5	25.9	20.8
	სრულად არ ეთანხმება	8.3	32.3	52.7	31.2
	არ ვიცი	8.9	6.6	9.8	8.4

78,3% ბოსნიელებისა და 59,1% ხორვატი რესპონდენტებისა მეტ-ნაკლებად ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინას სახელმწიფო სასამართლოს საომარი დანაშაულების საკითხების მომრიგებელი პალატის მუშაობა არის წინაპირობა სამართლიანობის აღდგენისა და მშვიდობიანი თანაარსებობისთვის. სერბი რესპონდენტების მხოლოდ 21,8% ეთანხმება ამ მოსაზრებას სრულებით ან მეტ-ნაკლებად. უფრო მეტიც, მაშინ, როცა ბოსნიელების 72,9% მიიჩნევს, რომ სასამართლო პროცესები სამართლიანად მიმდინარეობს, სერბი რესპონდენტების 78.9% და ხორვატი რესპონდენტების 52% პროცენტი სრულებით **არ** ეთანხმება ამ ფაქტს.

ეს მონაცემები გვიჩვენებს საომარი დანაშაულების მიმართ დამოკიდებულებას და ახდენს იმ სირთულეების დემონსტრირებას, რაც მრავალეთნიკურ საზოგადოებაში ჩნდება სამართლიანობის აღდგენის პროცესში. პირველ რიგში, საომარი დანაშაულების მომრიგებელი პალატა განიცდის კომპეტენციის ნაკლებობას, რათა გაუმკლავდეს ასეთი დიდი ოდენობის დანაშაულებს. ბოროტმოქმედების მხოლოდ მცირე პროცენტს გამოუტანეს გამამტყუნებელი განაჩენი, რაშიც არბიტრაჟს მიუძღვის წვლილი. მეორეც, გასათვალისწინებელია სამივე ჯგუფის საყოველთაო დანაშაული და ზეგავლენა სოციალურ კლიმატზე. რთულია, განისაზღვროს და დადგინდეს სამართლიანი სასჯელი ინდივიდებისათვის, იმ პასუხისმგებლობებისა და დანაშაულების გარეშე, რომელიც სამივე თემს ეკისრება. გარდა ამისა, არსებობს აგრეთვე სამმხრივი პოლიტიკური წნეხი, რაც, თავის მხრივ, არის ზეგავლენის მცდელობა ომის დანაშაულების პალატაზე და იქ მიმდინარე პროცესებზე[118].

სიმართლე ბოსნია-ჰერცოგოვინის ომის შესახებ

სიმართლე ვერ შეცვლის იურიდიულ პროცესებს, მაგრამ წარსულში მომხდარი მოვლენების შესახებ ჭეშმარიტების დადგენა ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული და პოლიტიკური შერიგების დაწყებისთვის. ჭეშმარიტების დასადგენად ყველაზე გავრცელებული მექნიზმია სახალხო კომიტეტები. მის ალტერნატივად შესაძლოა, გამოყენონ საომარი პროცესების დროს კონკრეტული მოვლენების შემსწავლელი კომისია. ამასთანავე, ხელი უნდა შეეწყოს არასამთავრობო პროექტებს რიგ ინსტანციებში ადამიანთა უფლებების შელახვისა და ძალადობის დასადგენად. შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ (Sida) და

[118] ინტერვიუ მოსარჩლის ადვოკატთან, რომელიც მუშაობს საომარი დანაშაულების პალატაში სარაევოში, 13 ოქტომბერი 2011.

აშშ-ის მშვიდობის ინსტიტუტმა (USIP), ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან („სიმართლე და შერიგება“) ერთად, გამართეს მოლაპარაკებები ბოსნია-ჰერცოგოვინაში სიმართლის დასადგენად სახალხო კომიტეტების დაფუძნებაზე.

კვლევის მონაცემების მიხედვით, 2010 წლიდან, ბოსნიელების 85%, ხორვატების 83% და სერბი რესპონდენტების 65% თანხმდება, რომ ასეთი კომიტეტების არსებობა ხელს შეუწყობს მშვიდობიან თანაარსებობას. ეს ინიციატივა არასდროს განხორციელებულა. ბოსნია-ჰერცოგოვინაში მყოფმა არაადგილობრივმა მშვიდობის ინსპექტორებმა მიიჩნიეს, რომ ასეთი ინიციატივა მეტად დიდ თანხებს მოითხოვს ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალისგან (ICTY). ამავე დროს, ძალიან ცოტა პოლიტიკოსი თუ მოიძებნება, ვინც გააცნობიერებს თავისი თემის მიერ ჩადენილ დანაშაულს და ამის გამო მოიხდის ბოდიშს.

სრებრენიცის კომიტეტი

იმისათვის, რომ გამოირკვეს სიმართლე სრებრენიცაში 1995 წლის ზაფხულში მიმდინარე პროცესების შესახებ და ამაღლდეს ცნობიერება, ადამიანთა უფლებების ოფისმა (OHR) შექმნა სერბთა რესპუბლიკის ასამბლეა, რათა შემდგომში დაფუძნებულიყო კომიტეტები, რომლებიც გამოიძიებდნენ 1995 წლის 10-დან 19 ივლისამდე სრებრენიცაში მიმდინარე მოვლენებს. კომიტეტმა შეაგროვა დიდი ოდენობით ახალი ინფორმაცია. მათი ცნობებით, 1995 წლის 10-19 ივლისის პერიოდში 7800 ბოსნიელი კაცი და ბიჭი დასაჯეს სიკვდილით სერბთა რესპუბლიკის ჯარებმა. კომისიამ ასევე აღწერა, როგორ გადაიტანეს ბოროტმოქმედებმა სხეულები მეორად სასაფლაოებში თავიანთი დანაშაულის დაფარვის მიზნით. იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც კომისიის წევრებმა მოიპოვეს სერბთა რესპუბლიკასთან მუშაობის დროს, აღმოაჩინეს 32 ასეთი საერთო სასაფლაო. საბოლოოდ დადგინდა სამხედრო ძალების მოქმედების სტრუქტურა და გეგმა, თუ როგორ ახორციელებდნენ ისინი მასობრივ ხოცვა-ჟლეტას; შედგა მასობრივი გენოციდის მსხვერპლთა სია (სრებრენიცის კომიტეტი, 2004).

კომიტეტის მუშაობის დასრულების შემდეგ სერბთა რესპუბლიკის (რესპუბლიკა სრპსკა) მთავრობამ ბოდიში მოუხადა ბოსნიელ სერბებს 2004 წლის 10 ნოემბერს[119]. საბოდიშო განცხადება მოიცავდა აღიარებას, რომ რესპუბლიკა სრპსკა-ს მთავრობა აცნობიერებდა იმ მასობრივ დანაშაულს, რომელიც განახორციელა მისმა არმიამ 1995 წელს სრებრენიცაში და გამოხატავდა მზადყოფნას, გამოესწორებინა მათ მიერ დაშვებული

[119] Associated Press, 2004;

შეცდომები, ბოსნია-ჰერცოგოვინაში. ამავე დროს, რესპუბლიკა სრპსკა-ს პრეზიდენტი დრგან ჩავიჩ ამბობდა, რომ არ არსებობს გენოციდზე საუბრის საფუძველი[120].

ბოსნია-ჰერცოგოვინას მოსახლეობის უმრავლესობისთვის სრებრენიცას მოვლენები კარგად ნაცნობია. თუმცა, 2010 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბოსნიელი, სერბი და ხორვატი რესპონდენტების 97% ამბობს, რომ ბევრი ფაქტი ინტერვიუს დროს შეიტყვეს. მაშინ, როცა ბოსნიელების 97,8% და ხორვატი რესპონდენტების 96% მიიჩნევს, რომ ომის დროს ჩადენილია უამრავი დანაშაული, სერბი რესპონდენტების მხოლოდ 55,7% იზიარებს ამ აზრს. სერბ რესპონდენტთა 16,2%-მა არ იცის, როგორ დაახასიათოს მოვლენები. 24,2% მიიჩნევს, რომ ეს იყო შეცდომით განხორციელებული სამხედრო ოპერაცია.

რაც შეეხება რესპუბლიკა სრპსკა-ს პრეზიდენტის მიერ მოხდილ ბოდიშს, ბოსნიელი რესპონდენტების 36,8% თვლის, რომ ეს ბოდიში საერთაშორისო საზოგადოების მიერ განხორციელებული წნეხის შედეგია; 33% პროცენტს კი მიაჩნია, რომ ეს ყველაფერი ითქვა ომის დროს განხორციელებული დანაშაულის ასაღიარებლად და არა – შესარიგებლად. შედარებისთვის: ბოსნიელი ხორვატი რესპონდენტების 35,3% მიიჩნევს, რომ ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეთნიკური გაერთიანებისთვის, მაგრამ 30,6%-ს სჯერა, რომ ეს განცხადება საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით გაკეთდა.

ბოსნიელი სერბი რესპონდენტების 27,3%-ის აზრით, ეს გაერთიანებისკენ გადადგმული ნაბიჯია, 20,3% აღიქვამს სიმართლედ, მაგრამ არა – გაერთიანებისთვის ნათქვამს, 20,6% კი მიიჩნევს, რომ ეს საერთაშორისო საზოგადოების ზეგავლენის შედეგია; 21,4%-ს არაფერი სმენია, 10,3%-ს კი არა აქვს საკუთარი აზრი.

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ ბოდიშის მოხდისა და შეცდომის გაცნობიერების მიუხედავად, ბოსნიელი სერბი პოლიტიკოსები კვლავ ცდილობენ ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალისგან, (ICTY) გენოციდის კატეგორია მიენიჭოს ფაქტს და მოხდეს რესპუბლიკა სრპსკა-ს დელეგიტიმიზაცია[121].

კვლევისა და დოკუმენტაციის ცენტრი სარაევოში და ომის მსხვერპლთა შესახებ ჭეშმარიტების ძიება

2004 წლის აპრილიდან მოყოლებული, საერთაშორისო დონეზე დაფინანსებული კვლევისა და დოკუმენტაციის ცენტრი (RDC) სარაევოში,

[120] Dragović-Soso and Gordy 2011:205;
[121] Marić, 2010; Flego, 2012.

მართავდა დამატებით და მნიშვნელოვან ინიციატივას ბოსნია-ჰერცოგოვინას ომის შესახებ სიმართლის მოსაძიებლად. ამ ცენტრის სახელმძღვანელო იდეებს წარმოადგენს ომის შესახებ ფაქტების გამოქვეყნება და დამკვიდრება, სიმართლის ხელშეწყობა მოვლენათა სელექციური მანიპულაციის თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს დახმარება ომის დანაშაულებში ეჭვმიტანილების გასამართლების მიზნით და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება. 2009 წლამდე RDC ასევე მონაწილეობდა რეგიონულ ქსელში – „სამოქალაქო საზოგადოების“ ორგანიზაციებში, რათა შეექმნა რეგიონალური კომისია (RECOM), რომლის მიზანიც იქნებოდა ომის დანაშაულების მსხვერპლთა ფაქტებისა და ადამიანის უფლებათა სხვა სერიოზული დარღვევების ფაქტების დადგენა, რომლებიც განხორციელდა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ერთმანეთს მიყოლებული ომების შედეგად[122].

RDC-მ შეაგროვა ერთ მილიონამდე დოკუმენტი, 60 000 ფოტო და 3500-საათიანი ვიდეომასალები. მათი აღმოჩენები ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომია და არაერთი საჯარო ლექცია ჩატარდა მათ შესახებ ბოსნია-ჰერცოგოვინაში. ამ ნაშრომის შედეგად გადაიხედა მანამდე ომში დაღუპულად ან დაკარგულად მიჩნეული ადამიანების რიცხვები. RDC-ს ანგარიშის – The Bosnian Book of the Dead მიხედვით, 97 207 დაიღუპა ან დაიკარგა ომის შედეგად: ბოსნიელებმა დაკარგეს 33 070 მოქალაქე და 30 966 ჯარისკაცი; ხორვატებმა დაკარგეს 2163 მოქალაქე და 5625 სამხედრო; ასევე, RDC-ის მიხედვით, 4075 სერბი მოქალაქე და 20 830 სერბი ჯარისკაცი დაიღუპა ომის შედეგად. დაკარგულ ადამიანთა მოცემული რაოდენობის გათვალისწინებით, RDC-ს ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საბოლოო რიცხვი შესაძლოა, კიდევ 10 000-ით გაიზარდოს.

RDC-ს შედეგები დამოუკიდებლად დადასტურდა ICTY-ის დემოგრაფიული გაერთიანების მიერ, რომელმაც გამოაქვეყნა ბოსნია-ჰერცოგოვინაში ომის დროს დაღუპულთა იგივე რიცხვი – 104 732. თუმცა, ეს შედეგებიც კი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მიეცა ბოსნია-ჰერცოგოვინას სხვადასხვა კუთხეში. ბოლო გამოკითხვის მიხედვით, რომელიც 2011 წელს ჩატარდა, რესპონდენტთა 20% ეთანხმება, რომ დაღუპულთა რაოდენობა დაახლოებით 100 000-ია, 32%-ს სჯერა, რომ საბოლოო რიცხვს ვერასოდეს დაადგენენ, 48% კი ფიქრობს, რომ ძველი რაოდენობა ანუ 200 000 შეესაბამება სიმართლეს და შესაძლოა, მეტი

[122] კვლევისა და დოკუმენტაციის ცენტრმა მიატოვა პროექტი, სხვა მიზეზთა შორის, იმის გამო, რომ 960 700 ევროს ოდენობის გრანტი ჰოლანდიის მთავრობიდან, ისევე როგორც 1 002 847 ევრო ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ინსტრუმენტისგან ვერ გაზიარდა და დამოუკიდებლად ვერ მართა სამმა ორგანიზაციამ ((Research and Documentation Centre from Sarajevo, Humanitarian Law Fund from Belgrad, and Documenta from Zagreb), განაწილებული იყო ექსკლუზიურად ინიციატივის ორგანიზატორის პრინციპის მიხედვით. ჰუმანიტარული სამართლის ფონდი ((Bilić, 2011: 309).

დაღუპულიც იყოს. ბოსნიელებით დომინირებულ სარაევოში გამოკითხულთა 60% მიიჩნევს, რომ 200 000 და მეტი ადამიანი დაიღუპა ომის შედეგად, მაშინ, როდესაც სერბებით დომინირებულ ბანია ლუკაში 70% ეთანხმება მოსაზრებას 100 000 დაღუპულის შესახებ[123].

დასკვნები

ომმა ბოსნია-ჰერცოგოვინაში უსაზღვრო გავლენა იქონია ინდივიდებზე, შიდა-ჯგუფურ და სოციალურ ურთიერთობებზე. თუმცა, ბოსნიის შემთხვევა გვიჩვენებს, რომ როდესაც საქმე ეხება მასობრივი ძალადობის შედეგებს, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, თუ როგორ გავლენას ახდენს გარედან მშვიდობის მშენებლობის პოლიტიკა შერიგების პროცესზე და რისი მიღწევაა შესაძლებელი გარდამავალი მართლმსაჯულების ინიციატივებით. როგორც ამ სტატიაში ჩანს, გარდამავალი მართლმსაჯულების სხვადასხვა ინიციატივების შედეგები, რომლებიც გამოიცადა ბოსნია-ჰერცოგოვინაში, ინტერპრეტირებულია სამი წარმოქმნილი კოლექტიური ნარატივის ფრაგმენტირებული პერსპექტივებიდან. შესაბამისად, დღემდე მიღებულ სხვადასხვა ზომებს მხოლოდ შეზღუდული ეფექტები ჰქონდა წარსულის საერთო გაგების ხელშეწყობისა და სამართლიანობის აღსრულებისთვის.

ბოსნია-ჰერცოგოვინაში პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების რეგულაციების საგარეო ნეოლიბერალური პრაქტიკის შედეგია მშვიდობის მშენებლობა პოლიტიკის გარეშე. იმ სიტუაციაში, როცა საზოგადოების ორგანიზებაზე და მის მომავალზე ორიენტირებული საშინაო პოლიტიკა შეუძლებელია, პოლიტიკისათვის სახასიათო არენად იქცევა დისკუსია წარსულის შესახებ. წარსულ მოვლენებზე ურთიერთსაპირისპირო ნარატივების შენარჩუნებით, ბოსნია-ჰერცოგოვინას სამი მთავარი ჯგუფის წევრებმა განავითარეს საკუთარი პოზიციების ლეგიტიმიზაციის გზა სხვა თემების პოზიციათა და საშინაო სახელმწიფო მშენებლობის პროცესის საგარეო რეგულაციების საპასუხოდ. ეს, თავისი არსით, ბოლოდროინდელ დებატებს კონფლიქტზე, წარსულთან დაკავშირებული მოლაპარაკების გარდამავალი პროცესიდან გარდაქმნის მუდმივ საკითხად. ეს პროცესი, როგორც ბოსნია-ჰერცოგოვინას შემთხვევაში ჩანს, გამორიცხავს შერიგებას, როგორც ტანჯვის ორმხრივ გააზრებასა და ძალადობრივი კონფლიქტის მიზეზებისა და დინამიკის დეტალურ გაგებას.

დაბოლოს, ბოსნიის მაგალითზე ჩანს, რომ შერიგების მნიშვნელობა არ არის უნივერსალური და ხშირად სპეციფიკური კულტურული და პოლიტიკური ასპექტები გააჩნია. შესაბამისად, ვიდრე დაიწყება სხვადასხვა შემრიგებლური ინიციატივები, სასარგებლო იქნება დადგინდეს, თუ რასთან

[123] Dnevni Avaz, 2011;

დაკავშირებით უნდა მოხდეს შერიგება და ვინ არიან ამ პროცესის მოქმედი პირები. ბოსნია-ჰერცოგოვინას შემთხვევა გვიჩვენებს, რომ შერიგება მეტადაა დამოკიდებული წარსულ კომუნალურ პრეტენზიებსა და საჩივრებთან და მათ კავშირზე ამჟამინდელ პოლიტიკასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ შერიგების ხელშეწყობა ხელიდან ხელში გადადის, ეძიებს რა გრძელვადიან გამოსავალს არსებული შეუთავსებლობებისთვის. შედეგად, ეს გულისხმობს, რომ ხანგრძლივი, ადგილობრივად შექმნილი პოლიტიკური შეთანხმების ხელშეწყობა, გააქრობს იმ დიდ წინაღობას, რომელიც ხელს უშლის შერიგებას ბოსნია-ჰერცოგოვინას მოსახლეობასა და ელიტას შორის.